

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეყნეუბო დანესებულეზა-საარქივო სამმართველო
Sub-department of Ajara Autonomous Republic Government –

Archives Administration

**სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (ისტორია,
არქეოლოგია, ეთნოლოგია)
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები
South-West Georgia (history, archaeology, ethnology)
International Scientific Conference materials**

ISSN 2298-0776

VII



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი – 2017 – Tbilisi

სარედაქციო საბჭო:

მაია ივანიშვილი – აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსი, **სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე**;

თამაზ ფუტყარაძე – საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების პუბლიკაციისა და გამოყენების სამსახურის უფროსი, **რედაქტორი**.

სარედაქციო საბჭო: **სოსო სტურუა** – აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე, **ანზორ თხილაიშვილი** – აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე, **ელგუჯა ჩაგანავა** – ანალიტიკურ-მეთოდოლოგიური და ტერიტორიულ ორგანოებთან მუშაობის სამსახურის უფროსი, **ელგუჯა გოგიბერიძე** – ცენტრალური სახელმწიფო არქივის სამსახურის უფროსი; **მაია რურუა** – დაცვის, აღრიცხვის და სამეცნიერო – საცნობარო განყოფილების უფროსი, **ფრიდონ ქარდავა** – საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების პუბლიკაციისა და გამოყენების სამსახურის უფროსი სპეციალისტი; **ნატო ქიქავა** – საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების პუბლიკაციისა და გამოყენების სამსახურის უფროსი სპეციალისტი; **ინგა ელიავა** – ქუთაისის ცენტრალური არქივის ესფ დოკუმენტების დაცვის, უზრუნველყოფის, აღრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო განყოფილების მთავარი სპეციალისტი, **ალა სერდიუკი** – ბერდიანსკის სახელმწიფო ფილოლოგიური უნივერსიტეტის ფილოლოგიისა და სოციალური კომუნიკაციების ინსტიტუტის დირექტორი, **თინათინ ჯაბადარი** – საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის უფროსი სპეციალისტი, **თამილა ლომთაიძე** – ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, **ოთარ გოგოლიშვილი** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, **ჯემალ კარალიძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; (ციური ქათამაძე – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

Editorial Board:

Maia Ivanishvili – head of Sub-department of Ajara Autonomuouus Republic Government – Archives Administration, chairman of editorial board;

Tamaz Putkaradze – head of foreign, public, media relations and documents publication and utilization department, **editor**;

Editorial Board: **Soso Sturua** – Deputy chief of Ajara AR – Archives Administration; **Anzor Tkhalishvili** – Deputy chief of Ajara AR – Archives Administration; **Elguja Chaganava** – Head of analytical-methodological and working with territorial bodies service; **Elguja Gogiberidze** – head of service of Central State Archives; **Maia Rurua** – Archives Administration, Head of preservation, registration and scientific-informational department; **Fridon Kardava** – Archives Administration, senior specialist of foreign, public, media relations and documents publication and utilization service; **Nato Kikava** – Archives Administration, senior specialist of foreign, public, media relations and documents publication and utilization service; **Inga Eliava** – senior specialist of preservation, registration and scientific-informational department of Central Archives of Kutaisi; **Alla Serdiuk** – director of Philology and Social communication Institute of Berdyansk State Philological University; **Tinatin Jabadari** – senior specialist of Contemporary History Archives of National Archives of Georgia; **Tamila Lomtadze** – research fellow of Niko Berdzenishvili scientific-research Institute; **Otar Gogolishvili** – professor of Shota Rustaveli State University; **Jemal Karalidze** - professor of Shota Rustaveli State University; Tsiuri Katamadze - professor of Shota Rustaveli State University.

სარედაქციო საბჭო შეიძლება ყოველთვის არ ეთანხმებოდეს ავტორების მოსაზრებებს. ავტორთა სტილი დაცულია.

Editorial board may not always agree with authors opinions.

Authors style is retained.

© აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეყნუბო

დანესებულება – საარქივო სამმართველო, 2017

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2017

თბილისი, 0179, 0. შავაშავაძის რაზმ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; universal@internet.ge

ოთარ თურმანიძე

აგრარული სექტორისა და სასოფლო სავაჭრო კოოპერაციის კადრების განადგურება

„ხალხის მტრის“, „მავნებლის“ ბრალდებით გაანადგურეს აგრარული სექტორის, სასოფლო სავაჭრო სფეროს ძირეული რგოლის კადრები: სახელმწიფო მეურნეობების დირექტორები, სამეურნეო გაერთიანებათა ხელმძღვანელები, რიგითი მუშაკები და სხვები. 1937 წლისათვის აჭარაში 19 სახელმწიფო მეურნეობა ითვლებოდა. მათგან ქობულეთის რაიონში–12 (ამ რიცხვში შედის ანასეულის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალი), ხოლო ბათუმის რაიონში – 7 მეურნეობა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელი კადრების რეპრესიების პარალელურად მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის საწარმოო მუშაკების დაპატიმრება-დახვრეტები. ბრალდებები ამ კატეგორიის კადრების მიმართ ანალოგიური იყო: ნიადაგების არასწორად გათოხნა-დაბარვა, მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების აგრონესების დაცვის გარეშე შეტანა, პლანტაციებისა და ბაღების მცენარეთა სიმეჩხრე, პირუტყვის დაავადების წინააღმდეგ არაეფექტური ბრძოლა, ჩაის ბუჩქებისა და ციტრუსოვანთა ნარგავების დაბარვის დროს ფესვების დაზიანება, სამინათმოქმედო ტექნიკის უკმარისობა, თამბაქოს, ჩაის, ხეხილის გაშენებისა და მოსავლის აღებისას დანაკარგები, სილოსისა და მინათმოქმედების პროდუქტების განგებ განადგურება, ჩაის ფოთლის ნაადრევი კრეფა, ბუჩქების ხელოვნურად დაზიანება, დამახინჯებები საკარმიდამო მიწის ნაკვეთების მიზომვისას, შრომადღეების დაგვიანებით დარიცხვა, კოლმეურნეების შრომის წიგნაკების მოუწესრიგებლობა და სხვა. ძნელია იმის თქმა, რომ სოფლის მეურნეობაში ნაკლოვანებები არ იყო. მაგრამ ამ ნაკლოვანებების მავნებლის, ხალხის მტრის იარლიყით შეფუთვა უდიდესი ბოროტმოქმედებაა. ისიც უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო მე-

ურნეობების მშენებლობა მიმდინარეობდა ძნელ პირობებში, ძირითადად აჭარის მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობის მობილიზაციით, მათი შრომის ანაზღაურების გარეშე. გლეხური მეურნეობის კოლექტივიზაციაც ძალდატანებითი იყო. ამ პროცესში მთელი სიმძიმე კოლმეურნეობების ხელმძღვანელებზე გადადიოდა. ხელისუფლება შანტაჟით ცდილობდა კოლმეურნეობების ჩამოყალიბებას, მათ გადაყვანას სასოფლო-სამეურნეო არტელზე.

დიდი ტრაგედია გადაიტანა ქობულეთის რაიონის სახელმწიფო მეურნეობების კადრებმა. მუხაესტატეს მეურნეობის დირექტორი ანდრო პეტრესძე ლომია კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1919 წლიდან. მას გაუხსენეს, რომ 1927-1929 წლებში ტროცკისტების მიმდევარი იყო და ამის გამო დაპატიმრებულიც ყოფილა. მოინანია, რის შედეგად პარტიაში აღადგინეს, მაგრამ ოფიციალური მასალების მიხედვით, მეურნეობაში ტროცკისტებს მფარველობდა. 1937 წელს კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს, თანამდებობიდან მოხსნეს და დააპატიმრეს (ასს ცსა, ფ. პ-11, ან. 2, ს. 89, ფურც. 30-31).

საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის ბიუროს 1937 წლის 29 ივლისის დადგენილებით კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს მუხაესტატეს სახელმწიფო მეურნეობის ახლადანიშნული დირექტორი შერმადინ ნიკოლოზისძე სიხარულიძე, დაბადებული ჩოხატაურის რაიონში 1905 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი 1928 წლიდან. შერმადინ სიხარულიძის საქმე პროკურატურას გადაეცა, ხოლო პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის წინაშე დაისვა საკითხი თანამდებობიდან მოხსნის შესახებ. მას ბრალად ედებოდა, რომ მეურნეობაში არ ჩატარდა ჩაის პლანტაციებისა და ციტრუსოვანთა ბაღების პირველი და მეორე გათოხნა, დაირღვა სასუქების შეტანის აგრონესები და წამლობა, დაბალი იყო მოსავლის ხარისხი, მოუწესრიგებელი მუშათა საერთო საცხოვრებელი და სხვა. ძირითადი ბრალდება მაინც ის იყო, რომ შერმადინ სიხარულიძემ „ვერ ამხილა“ მეურნეობაში მოკალათებული „ხალხის მტრები“. იგი კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტად გამოაცხადეს, მოხსნეს თანამდებობიდან და დააპატიმრეს. შერმადინ ნიკოლოზისძე სიხარულიძე ბათუმში დახვრიტეს 1937 წელს.

ვლადიმერ პარმენისძე ჯორბენაძე მუხაესტატეს სახელმწიფო მეურნეობის დირექტორის მოადგილედ მუშაობდა მომარაგების დარგში. იგი დაბადებულია ლანჩხუთის რაიონში 1901 წელს. კომუ-

ნისტური პარტიის წევრად მიიღეს 1927 წელს. შინსახკომმა 1937 წლის ივლისში დააპატიმრა კონტრრევოლუციურ ტროცკისტული საქმიანობის ყალბი ბრალდებით. საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის ბიურომ 23 ივლისს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა და პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტს მიმართა მისი თანამდებობიდან მოხსნის შესახებ. იგი მოხსნეს და 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს. 1937 წლის ივლისში კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტების ბრალდებით შინსახკომმა დააპატიმრა მუხაესტატეს სახელმწიფო მეურნეობის სასადილოს გამგე ლონგინოზ სოლომონისძე ლორთქიფანიძე, დაბადებული 1904 წელს, კომუნისტური პარტიის წევრად ითვლებოდა 1932 წლიდან. საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის ბიურომ ლონგინოზ სოლოვანისძე ლორთქიფანიძე 1937 წლის 23 ივლისს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა. იგი ბათუმში 1937 წელს დახვრიტეს.

1937 წლის 20 ივლისს მუხაესტატეს სახელმწიფო მეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ კომპარტიიდან გარიცხა მეზალე ბრიგადირი მამუდ ისმაილისძე ხვიჩია. იგი ქობულეთის რაიონის მკვიდრი იყო. დაბადებულია 1903 წელს, ხოლო კომპარტიის წევრად მიიღეს 1932 წელს. მუხაესტატეს სახელმწიფო მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის დადგენილებაში ნათქვამია: მამუდ ისმაილისძე ხვიჩია არის კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტი, დივერსანტი, ხალხის მტერი. მეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის დადგენილება უცვლელად დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის ბიურომ. მამუდ ისმაილისძე ხვიჩია ბათუმში დახვრიტეს 1937 წელს (ასს ცსა, ფ.პ-1, ან. 4, ს. 223, ფურც. 113-124; ფ. პ-11, ან.2, ს. 91, ფურც. 67-68, 70, 93-94; ფ. პ-11, ან. 1, ს. 1471, ფურც. 1-2; გაზ. აჭარა, 1997, 17 მაისი (N95-96)).

ჩაქვის სახელმწიფო მეურნეობა XIX საუკუნის 90-იან წლებში შეიქმნა. 1937-1938 წლებში მეურნეობაში 1700-მდე მუშა-მოსამსახურე ითვლებოდა. მეურნეობაში შექმნილი იყო პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდა მატერიალურ წარმოებასა და ფინანსური შემოსავლების მიხედვით. ჩაქვის სახელმწიფო მეურნეობის დირექტორად 1933 წლიდან მუშაობდა პროკოფი ამბაკოსძე მეგრელიშვილი. დაბადებული 1895 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი 1920 წლიდან. პროკოფი მეგრელიშვილის წინააღმდეგ შეაკონწინეს

მაკომპრომეტირებელი მასალები. მას აბრალეზდნენ კონტრრევოლუციურ-ტროცკისტულ საქმიანობას, რომლის შესწავლისათვის საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომმა სპეციალური კომისია შექმნა. კომისიის მიერ მომზადებული მასალები 1937 წლის 26 თებერვალს განიხილა ჩაქვის სახელმწიფო მეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის მდივნის მოადგილე ხასან ძნელაძე.

პარტკომის დადგენილებაში წერია, რომ პროკოფი მეგრელიშვილმა სამუშაოზე მიიღო ტროცკისტი მექვაბიშვილი, რომელიც ამჟამად დაპატიმრებულია. სამუშაოზე მიიღო აგრეთვე კონტრრევოლუციონერ-ანარქისტი ვაძინსკი, რომელიც მეურნეობის ეკონომიკის განყოფილების გამგედ დანიშნა. მეურნეობის ბუღალტრად მუშაობდა კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტი სეფერთელაძე, რომელიც ადრე გადასახლებაში ყოფილა. დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ პროკოფი მეგრელიშვილმა მოადუნა პოლიტიკური სიფხიზლე, რის გამო მეურნეობა დანაგვიანებულია ანტისაბჭოთა ელემენტებით. პარტიულმა კრებამ ჩაქვის სახელმწიფო მეურნეობის დირექტორი პროკოფი ამბაკოსძე მეგრელიშვილი გარიცხა კომუნისტური პარტიიდან, როგორც კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტი (ასს ცსა, ფ.პ-11, ან. 2, ს. 109, ფურც. 14-18; ს. 117, ფურც. 74).

პროკოფი მეგრელიშვილი 1937 წლის 27 ივნისს შინსახკომმა დააპატიმრა. საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის ბიურომ 1937 წლის 6 ივლისს განიხილა პროკოფი მეგრელიშვილის ბრალეულობის საკითხი. დადგენილებაში ნათქვამია, რომ იგი არის თვალთმაქცი, დაფარა ტროცკისტები. დადასტურებულია პროკოფი მეგრელიშვილის კომუნისტური პარტიიდან გარიცხვა (ასს ცსა, ფ.პ-11, ან. 2, ს. 91, ფურც. 14).

პროკოფი მეგრელიშვილი მოხსნეს ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის თანამდებობიდან. საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გამსვლელი სესიის 1937 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა მიუსაჯეს. პროკოფი მეგრელიშვილი დახვრიტეს 1937 წლის 3 ოქტომბერს. საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1957 წლის 25 ივნისის დადგენილებით რეაბი-

ლიტირებულია (სტალინური სიები საქართველოდან (ელექტრონული მონაცემთა ბაზა); ასს ცსა, ფ. პ-11, ან.2, ს. 91, ფურც.14).

ამასთან, კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტობის ბრალდებით დააპატიმრეს, კომუნისტური პარტიიდან და კომკავშირიდან გარიცხეს ჩაქვის სახელმწიფო მეურნეობის სხვა მომუშავენი. მათ შორის: მიხეილ ლორია, ოსმან ხვიჩია, ვლადიმერ სიხარულიძე, ნიკოლოზ საბლინი, ქაზიმ თოფჩიშვილი და სხვები. ოსმან ქიბარისძე ხვიჩია, დაბადებული ქობულეთის რაიონში 1897 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1932 წლიდან, მუშაობდა ჩაქვის სახელმწიფო მეურნეობის საწყობის გამგედ. საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის ბიურომ 1937 წლის 23 ივლისს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა. ოსმან ქიბარისძე ხვიჩია დააპატიმრეს და ბათუმში დახვრიტეს. 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს აგრეთვე ჩაქვის სახელმწიფო მეურნეობის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ იუსტინისძე ლორია, რომელიც კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1932 წლიდან. იგი კომუნისტური პარტიიდან გარიცხა მეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელიც 1937 წლის 23 ივლისს დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის ბიურომ.

ვლადიმერ ბესარიონისძე სიხარულიძე ჩაქვის სახელმწიფო მეურნეობაში ბრიგადირად მუშაობდა. დაბადებულია 1896 წელს ჩოხატაურის რაიონში. კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1925 წლიდან. საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის ბიურომ 1937 წლის 23 ივლისს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა, როგორც კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტი და დივერსანტი. ვლადიმერ ბესარიონისძე სიხარულიძე დააპატიმრეს და 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს.

საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის ბიურომ 1937 წლის 23 ივლისს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა ჩაქვის სახელმწიფო მეურნეობის კომენდანტი ნიკოლოზ სიმონისძე საბლინი, რომელიც წევრიც 1931 წლიდან იყო (დაბადებულია 1907 წელს). იგი შერაცხეს ტროცკისტად და დივერსანტად. ამავე დროს კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს და დააპატიმრეს ჩაქვის სახელმწიფო მეურნეობის მძღოლი ქაზიმ ახმედისძე თოფჩიშვილი (პარტიის წევრი იყო 1930 წლიდან). მისი ბრალეულობა ის იყო, რომ კარგი დამოკიდებულება ჰქონდა მეურნეობის დირექტორთან პროკოფი მეგრელიშვილთან, რომელიც მავნებლის, „ხალხის

მტრის“ იარლიყით იყო დაპატიმრებული (ასს ცსა, ფ. პ-11, ან. 2, ს. 91, ფურც. 69-71, 167-168). ამჟამად ყველა მათგანი რეაბილიტირებულია დანაშაულის არარსებობის გამო.

შინსახკომმა მაკომპრომატირებული მასალები შეითთხნა ოჩხამურის სახელმწიფო მეურნეობის კოლექტივის შესახებაც. 1937-1938 წლებში მეურნეობაში ითვლებოდა 1150-- მუშა-მოსამსახურე, მათ შორის კომკავშირელი იყო 965 კაცი. მავნებლად შერაცხულები იყვნენ წულუკიძე, მამინაიშვილი, კალანდაძე, კომახიძე და სხვები. ისინი შინსახკომმა 1937 წლის ივლისში დააპატიმრა (ასს ცსა, ფ.პ-11, ან. 2, ს. 117, ფურც. 75).

ისრაფილ რიზასძე წულუკიძე, დაბადებული 1905 წელს, კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატი 1932 წლიდან, ოჩხამურის სახელმწიფო მეურნეობაში მშენებლობის დარგს ხელმძღვანელობდა. საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის ბიურომ 1937 წლის 16 ივლისს კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატობიდან გარიცხა. ბიუროს დადგენილებაში ნათქვამია: ისრაფილ წულუკიძე მეურნეობაში ეწეოდა შპიონაჟს, კონტრრევოლუციურ-ტროცკისტულ და დივერსიულ საქმიანობას. ამ ფაქტის დადასტურებული ბრალდებით იგი დააპატიმრეს და 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს (ასს ცსა, ფ. პ-11, ან. 2, ს. 112, ფურც. 33, 42; გაზ. სრულიად არასაიდუმლოდ, 1997, N8, გვ. 17).

1937 წლის მაისში სპეციალური კომისია შეიქმნა ციხისძირის სახელმწიფო მეურნეობის შესწავლისათვის. კომისიამ გამოავლინა ნაკლოვანებები: აგროტექნიკური წესების დარღვევების, მიწის ნაკვეთების გადაბარვა-გათოხნის, მინერალური სასუქების შეტანისა და ბაღების შეწამლის, ციტრუსების ახალი ნერგების გამოყვანის, ნარგავების დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის, წყალსაწრეტი არხების მშენებლობისა და სხვა მიმართულებით. სამართლიანადაა გაკრიტიკებული მეურნეობის დირექტორი მელიტონ ჯაყელი და უფროსი აგრონომი აკაკი ცინცაძე. მაგრამ გაოცებას იწვევს მეურნეობის ზოგიერთი მომუშავის კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტად გამოცხადება და ამ ყალბი ბრალდებით დასჯა. ძირითად დამნაშავედ, მავნებლად შერაცხეს ციხისძირის სახელმწიფო მეურნეობის სამეურნეო ნაწილის გამგე პოლიექტორ სიმონისძე გოგიბერიძე, რომელიც ამავე დროს პარტიული ორგა-

ნიზაციის მდივანიც იყო. პოლექტორ სიმონისძე გოგიბერიძე 1937 წელს შინსახკომმა დააპატიმრა და ბათუმში დახვრიტეს.

„კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობის“ ბრალდებით 1937 წლის ივლისში შინსახკომმა დააპატიმრა ციხისძირის სახელმწიფო მეურნეობის მოლარე ხარლამპი ქრისტეფორესძე კვირკველია, დაბადებული 1902 წელს, ხოლო კომუნისტური პარტიის წევრი 1932 წლიდან. საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის ბიურომ 1937 წლის პირველ აგვისტოს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა და ამავე წელს ბათუმში დახვრიტეს (ასს ცსა, ფ.პ-11, ან. 2, ს. 91, ფურც. 127; ს. 101, ფურც. 2-4; რ. სურმანიძე, ნაშ., გვ. 29, 43).

კონტრრევოლუციური საქმიანობის ყალბი ბრალდებით დააპატიმრეს ვლადიმერ არსენისძე გოგიბერიძე. იგი მაშინ 73 წლისა იყო (დაბადებულია ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში 1874 წელს). საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის“ 1937 წლის 4 სექტემბრის დადგენილებით დახვრეტა მიუსაჯეს. ვლადიმერ არსენისძე გოგიბერიძე ბათუმში დახვრიტეს 1937 წლის 4 ოქტომბერს (სისხლიანი გრიგალის ექო. აჭარა. თბილისი, 2001, გვ. 30).

ქობულეთის გერანის სახელმწიფო მეურნეობის დირექტორი იუსუფ მამუდისძე მეგრელიძე 1937 წლის ოქტომბერში შინსახკომმა დააპატიმრა. იგი დაბადებულია 1902 წელს. კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1928 წლიდან. საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის ბიურომ 1937 წლის 26 ოქტომბერს განიხილა იუსუფ მეგრელიძის საკითხი და იგი კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს. მის მიმართ წაყენებული ბრალდებები შემდეგი იყო: გეგმის გარეშე გაიყვანა 4 კმ გზა, დაიღუპა ერთი სული კამეჩი, პირუტყვმა დააზიანა ციტრუსოვანთა ნარგავები, მეურნეობაში არ იყო სარწყავი წყალსაქაჩი, დაიხურა სასადილო, ადგილი ჰქონდა მუშახელის დენადობას და სხვა. თითქოს ნაკლოვანებები გამიზნულად იყო შექმნილი, რათა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა უკმაყოფილება გამოეწვიათ. ამ ნაკლოვანებების ბრალდებით იუსუფ მამუდისძე მეგრელიძე კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტად შერაცხეს და 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს (ასს ცსა, ფ.პ-11, ან. 2, ს. 88, ფურც. 7; ს. 93, ფურც. 60; რ. სურმანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 48). ქობულეთის გერანის სახელმწიფო მეურნეობის ახალი დირექტორიც ა. ტაბიძეც 1938 წლის აგვისტოში დააპატიმრეს, გა-

რიცხეს კომუნისტური წევრობის კანდიდატობიდან და მოხსნეს თანამდებობიდან.

იუსუფ ისმაილისძე მუავანაძე დაპატიმრებისას ქობულეთის რაიონის ბუენარის სახელმწიფო მეურნეობის (სანერგე) დირექტორად მუშაობდა. იგი დაბადებულია 1900 წელს სოფელ ხუცუბანში. კომუნისტური პარტიის წევრი გახდა 1926 წელს. კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობის ფალსიფიცირებული ბრალდებით შინსახკომმა 1937 წლის ივლისში დააპატიმრა. საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის ბიურომ 23 ივლისს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა, როგორც კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტი, შპიონი, დივერსანტი. ამ ყალბი ბრალდებით იუსუფ ისმაილისძე მუავანაძე 1937 წელს დახვრიტეს. ამავე ბრალდებით 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს იუსუფ ისმაილისძე მუავანაძის ორი ძმა – იბრაიმი და ახმედი. ეს უკანასკნელი დაბადებულია 1907 წელს, კომუნისტური პარტიის თანამგრძნობთა ჯგუფის წევრი იყო. მუშაობდა რიგით კოლმეურნედ. როგორც უკვე აღინიშნა, იბრაიმ ისმაილისძე მუავანაძე დაპატიმრებისას ბათუმის რაიონის მინათმოქმედების განყოფილების გამგედ მუშაობდა. 1937 წელს კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს და ბათუმში დახვრიტეს ბუენარის სახელმწიფო მეურნეობის სამეურნეო ნაწილის გამგე და პარტიული ორგანიზაციის მდივანი ლევან ედიშერისძე კალანდარიშვილი. რომელიც დაბადებულია ლანჩხუთის რაიონში 1889 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1917 წლიდან (ასს ცსა, ფ. პ-11, ან.2, ს. 88, ფურც.8; ს. 91, ფურც. 72, 167-168).

საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის ბიურომ 1937 წლის 31 აგვისტოს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა ალამბრის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი დიმიტრი ირაკლისძე გურგენიძე, დაბადებულია 1899 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი 1918 წლიდან. დიმიტრი გურგენიძის მიმართ წაყენებული ბრალდება იმაში მდგომარეობდა, რომ ადრე ირიცხებოდა მოსწავლე ახალგაზრდობის მარქსისტულ კავშირში. იგი შინსახკომმა დააპატიმრა. დიმიტრი ირაკლის ძე გურგენიძე 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს (ასს ცსა, ფ.პ-11, ან.2, ს. 91, ფურც. 224-225; გაზ. აჭარა, 1997, 17 მაისი (N95-96). ამავე წელს ბათუმში დახვრიტეს ალამბრის სახელმწიფო მეურნეობის სამეურნეო ნაწილის გამგე და პარტორგი იუსუფ მემედისძე ყურშუბაძე და მეხანძრე ინსპექტორი ახმედ მემედისძე უსტალიშვილი. იუსუფ მემედისძე

ყურშუბაძე დაბადებულია 1905 წელს. კომუნისტური პარტიის წევრად მიიღეს 1931 წელს. ახმედ მემედისძე უსტალიშვილი დაბადებულია 1900 წელს, ხოლო კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1926 წლიდან. საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის ბიურომ 1937 წლის დეკემბერში ორივე მათგანი კომუნისტური პარტიიდან გარიცხა, როგორც კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტები, „ხალხის მტრები“ (ასს ცსა, ფ.პ-11, ან.2, ს. 88, ფურც. 146-147; გაზ. აჭარა, 1997, 17 მაისი (N95-96).

ცეცხლაურის სახელმწიფო მეურნეობის კოლექტივში კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტებად შერაცხულები იყვნენ სანდრო ჩიტაიშვილი, რაფიელ ცინცაძე. შინსახკომის ცნობებით სანდრო ჩიტაიშვილი ადრე საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში (მენშევიკები) ირიცხებოდა, ოფიცრის სამხედრო წოდება ჰქონდა და ბოლშევიკებს ებრძოდა. რაფიელ ცინცაძეს აბრალებდნენ, რომ ჩაშალა ევკალიპტის ნერგების გამოყვანის გეგმა და ამ ბრალდებით ისინი 1937 წელს დააპატიმრეს. 1937 წლის სექტემბერში შინსახკომმა დააპატიმრა კვირიკეს სახელმწიფო მეურნეობის დირექტორი თედორე ისიდორისძე იაშვილი. ბრალდება ტიპიური იყო – კონტრრევოლუციურ ტროცკისტული საქმიანობა. მავნებლად ისიც ჩაუთვალეს, რომ მეურნეობაში გახმა 1933-1935 წლებში დარგული ნარგავების 43,2%. საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის ბიურომ კომუნისტური პარტიიდან გარიცხა და თანამდებობიდან მოხსნა. საგულისხმოა, რომ 1937 წლის 19 სექტემბერს კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატობიდან გარიცხეს თედორე მინაშვილის მეუღლე ლუბა ვლადიმერის ასული სულაბერიძე. ბრალდება ის იყო, რომ არ ამხილა მისი ქმარი. ლუბა სულაბერიძე უმაღლესი განათლებით იყო, დამთავრებული ჰქონდა საფინანსო-ეკონომიკური ფაკულტეტი და კვირიკეს სახელმწიფო მეურნეობაში ეკონომისტად მუშაობდა (ასს ცსა, ფ. პ-11, ან. 2, ს. 88, ფურც. 8, 127; ს. 101, ფურც. 6-12; ს. 122, ფურც. 26-27.

გიორგი ივლიანესძე ლლონტი ჯიხანჯურის ტუნგის სახელმწიფო მეურნეობის სამეურნეო ნაწილის გამგედ და პარტორგად მუშაობდა. დაბადებულია 1904 წელს, კომუნისტური პარტიის წევრად მიიღეს 1929 წელს. დაბალი განათლებით იყო, მაგრამ პასუხისმგებლობით ეკიდებოდა საქმეს. ამითაც იყო განპირობებული, რომ საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის პლენუმის

წევრად აირჩიეს. გიორგი ივლიანესძე ლლონტი შერაცხეს კონტრ-რევოლუციონერ-ტროცკისტად. ამ ბრალდებით 1937 წლის 27 ოქტომბერს კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს, გამოიყვანეს საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის პლენუმის შემადგენლობიდან და დააპატიმრეს (ასს ცსა, ფ. პ-11, ან. 2, ს. 88, ფურც. 36).

შინსახკომმა ბათუმის რაიონის შვიდივე სახელმწიფო მეურნეობაში „აღმოაჩინა“ კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტები. ყველა „მავნებლის“ მიმართ შეკონინებული მაკომპრომეტირებული საქმეები ერთი და იმავე ძაფით იყო ნაკერი. მაგალითად, ტროცკისტულ-ზინოვიევიური პარალელური ცენტრის მონაწილეთა სასამართლო პროცესის განხილვისას ანტისაბჭოთა გამონათქვამებისათვის 1937 წლის 18 აპრილს სალიბაურის სახელმწიფო მეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ კომუნისტური პარტიიდან გარიცხა მეურნეობის დირექტორი ივანე ვასილისძე ჩაკვეტაძე. დადგენილება 27 მაისს დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ბათუმის რაიკომმა. ივანე ვასილისძე ჩაკვეტაძე დაბადებულია 1893 წელს და კომუნისტური პარტიის წევრად ითვლებოდა 1917 წლიდან.

ბრალდებები გამოგონებული და სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ივანე ვასილისძე ჩაკვეტაძე ძმასთან პირადი საუბრისა და შვილის გამონათქვამის გამო პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად იქცა. ივანე ჩაკვეტაძესთან ძმას უთქვამს, რომ უძნელდება პარტიის ისტორიის შესწავლა. ივანე ჩაკვეტაძეს უპასუხნია: რა ისეთი ასაკი გაქვს, რომ ვერ შეისწავლეო. სტალინი, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი, დღესაც სწავლობს. მაკდონალდი, ინგლისის მუშათა კლასის ლიდერი, 36 წლის იყო, სწავლა რომ დაიწყო. გარდა ამისა, ივანე ჩაკვეტაძის უფროს შვილს, სკოლის მოსწავლეს, უთქვამს: ამჟამად პარტიას არ ჰყავს კომუნისტები, ვინც კარგები იყვნენ, დახვრიტესო, შემდეგი ბრალდება ის იყო. რომ ექვსი თვალთ უყურებდა კოლმეურნეობას. ერთ-ერთი ბრალდება იმაში გამოიხატა, რომ პიატაკოვი, როდესაც ხელისუფლებაში იყო, ბათუმს ეწვია და ივანე ჩაკვეტაძე, სხვებთან ერთად, დახვედრია (ასს ცსა, ფ.პ-538, ან.1, ს. 4, ფურც. 32-56). სალიბაურის სახელმწიფო მეურნეობის მომდევნო დირექტორის დავით ექვთიმესძე ლორთქიფანიძის და უფროსი აგრონომის ნიკოლოზ გიორგისძე ებანოიძის მიმართ წაყენებული ბრალდება იმაში გამოიხატა, რომ ჩაის პლანტაციები გამეჩხრებული იყო, დაბარვი-

სას დაზიანდა ბუჩქები, პლანტაციებში ლიმონის ნერგები გამოვრგეს. მოსავლის გეგმა გამიზნულად შეამცირეს, ნაკვეთები შემოუღობავი დატოვეს, რის გამოც პირუტყვი აზიანებდა, მეურნეობაში არ იყო სადრენაჟო სისტემა, დაგვიანებით გაიცემოდა ხელფასები და სხვა. მუშებს გამოუყვეს მიწის ნაკვეთები საბოსტნედ და პირუტყვის შენახვის უფლებაც დართეს (საბჭოთა აქტარა, 1937, 11 ოქტომბერი (N234).

ხარვეზები და ნაკლოვანებები შესაძლებელია ყოფილიყო, მაგრამ ამ ბრალდებით მეურნეობის კადრების პოლიტიკური რეპრესირება საფუძველს მოკლებულია. მიუხედავად ამისა, დავით ექვთიმე ლორთქიფანიძე კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტად შეამკეს, კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს, სამუშაოდან მოხსნეს და დააპატიმრეს. დავით ექვთიმესძე ლორთქიფანიძე რევოლუციონერთა ძველ თაობას ეკუთვნოდა (დაბადებულია 1886 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1904 წლიდან). საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1937 წლის 28 ივნისის დადგენილებით დახვრიტეს. საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1956 წლის 11 ივლისის განჩინებით გაუქმდა საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს 1937 წლის 28 ივლისის დადგენილება. დავით ექვთიმესძე ლორთქიფანიძე რეაბილიტირებულია (ასს ცსა, ფ. პ-1, ან. 9, ს. 107, ფურც. 6). ამავე ბრალდებით კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს, თანამდებობიდან მოხსნეს და დააპატიმრეს სალიბაურის სახელმწიფო მეურნეობის დირექტორის მოადგილე და უფროსი აგრონომი ნიკოლოზ გიორგის ძე ებანოიძე, დაბადებული 1908 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი 1932 წლიდან (ასს ცსა, ფ. პ-7, ან. 1, ს. 58, ფურც. 96; 115, ს. 94, ფურც. 1-14).

კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული ჯგუფისადმი თანაგრძნობის და ანტისაბჭოთა გამონათქვამების გამო 1937 წელს კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს სალიბაურის სახელმწიფო მეურნეობის სამეურნეო-საწარმოო ქვედანაყოფის ხელმძღვანელი ტიტოკო ერმილესძე ჟღენტი, აგროტექნიკოსი გიორგი ვასილისძე ჩაკვეტაძე, აგრონომი გეგეშიძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ლავრენტი თადუმისძე კანდელაკი, საწყობის გამგე ალექსანდრე ბეჟანისძე ნადარეიშვილი (პარტიის წევრი 1918 წლიდან), კომენდანტი მიხეილ სიმონისძე დოროშენკო, მისი შემცვლელი გ. შევაკოვი, ბუხჰალტერი ს. ბურჭულაძე და სხვები (ასს ცსა, ფ. პ-7,

ან. 1, ს. 58, ფურც. 15-16, 49; ს. 59, ფურც. 82, ს. 60, ფურც. 44; ფ. პ-1, ან.4, ს. 223, ფურც. 44, 79; ასმხფ). კონტრრევოლუციურ-ტროცკისტად, მავნებლად „ხალხის მტრად“ შერაცხულებმა მკაცრი სასჯელი იწვენიეს და ბრალდებას არაერთი მათგანის სიცოცხლეც შეენირა. მაგალითად, ტიტუკო ერმილისძე ჟღენც 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მაგრამ შემდგომ სასჯელი დახვრეტიტ და ქონების კონფისკაციით შეუცვალეს. იგი 1937 წლის 11 სექტემბერს დახვრიტეს.

ანალოგიური ბრალდებით 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს ახალშენის სახელმწიფო მეურნეობის დირექტორი პლატონ ლონგილოზისძე სიორიძე, დაბადებული ლანჩხუთის რაიონში 1906 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი 1937 წლიდან რამდენიმე დღის შემდეგ (27 მაისი) კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს და დააპატიმრეს ახალშენის სახელმწიფო მეურნეობის მომდევნო დირექტორი რუბენ ფედოსისძე ჭანიშვილი. საქართველოს კომპარტიის ბათუმის რაიკომმა 1937 წლის 27 მაისს დაამტკიცა ახალშენის სახელმწიფო მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის 24 აპრილის დადგენილება მეურნეობის თანამშრომლის აპოლონ მიხეილისძე ჯახუტაიშვილის კომუნისტური პარტიიდან გარიცხვის შესახებ. ამის ფორმალური საფუძველი გახდა 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობა (ასს ცსა, ფ.პ-7, ან.1, ს. 58, ფურც. 44, 72).

გონიოს სახელმწიფო მეურნეობაში კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტებად შერაცხეს დირექტორი ჭანუყვაძე, მისი შემცვლელი მანჯგალაძე, მოადგილე სალუქვაძე, აგრონომი ორაგველიძე, სანერგეს გამგე ლორია და სხვები. ისინი კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს და საქმე პროკურატურას გადაეცა. საქართველოს კომპარტიის ბათუმის რაიკომმა 1938 წლის 8 თებერვალს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა თხილნარის სახელმწიფო მეურნეობის დირექტორი იორდანიდი, მუშა მიხეილ ამბაკოსძე ბოლქვაძე (1937 წელს). მოსე მაქსიმესძე ჭყონია 1937 წლისათვის მახინჯაურის სახელმწიფო მეურნეობის დირექტორად მუშაობდა. იგი დაბადებულია 1902 წელს, კომუნისტური პარტიის წევრად მიიღეს 1925 წელს. საქართველოს კომპარტიის ბათუმის რაიკომმა 1937 წლის 9 ივლისს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა, როგორც ტროცკისტული ოპოზიციის მონაწილე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ამ მონაწილეობისათვის 1928 წლის 8 თებერვალს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა, აღადგი-

ნეს 1931 წლის აგვისტოში. მაგრამ ამის შემდეგაც მოსე მაქსიმესძე ჭყონიას აბრალებდნენ კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტების მიმართ თანაგრძნობას. იგი თანამდებობიდან მოხსნეს და დააპატიმრეს (ასს ცსა, ფ.პ-7, ან. 1, ს. 58, ფურც. 104-105; ს. 59, ფურც. 18, 105; ს. 94, ფურც. 1-14). კონტრრევოლუციურ-ტროცკისტობის საქმიანობის ყალბი ბრალდებით 1937 წლის დეკემბერში კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს და დააპატიმრეს მახინჯაურის სახელმწიფო მეურნეობის სამეურნეო ნაწილის გამგე სევერიანე დიონისესძე ზამთარაძე. მახინჯაურის დასასვენებელი სახლის დირექტორი არეთ ანტონისძე ზამთარვაძე კომუნისტური პარტიის წევრად ითვლებოდა 1917 წლიდან. იგი კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტად შერაცხეს იმის გამო, რომ თანაუგრძნობდა ტროცკისტებს, ხელი მოაწერა „83-ის პლატფორმას“. არეთ ანტონისძე ზამთარაძე შინსახკომმა დააპატიმრა.

მეოთხე სახელმწიფო მეურნეობა ბათუმის შემოგარენში მდებარეობდა, სადაც ტროცკისტებად, ხალხის მტრად შერაცხულები იყვნენ დირექტორი მანაგაძე, უფროსი აგრონომი გუგუშვილი და სხვები. მათ ბრალდებად ედებოდათ ის, რომ მეურნეობაში მუშაობდნენ კულაკის შვილები, ზამთარში გაიყინა 60 ათასი ძირი ციტრუსოვანთა ნარგავი, მეურნეობა „დანაგვიანებულია მავნებლებით, ადგილი აქვს ტროცკისტულ გამონათქვამებს. ამ და სხვა ბრალდებით მეოთხე საბჭოთა მეურნეობის დირექტორი სერგო ანტონისძე მანაგაძე 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს. ახლადდანიშნული დირექტორი ქავთარაძე კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტად შერაცხეს, დააპატიმრეს და დახვრიტეს (ასს ცსა, ფ.პ-7, ან. 1, ს. 60, ფურც. 70-71; გაზ. „ბატუმსკი რაბოჩი“, 1937, 4 ოქტომბერი; გაზ. აჭარა, 1997, 17 მაისი (N 95-96)).

აჭარაში 1937 წლისთავის 230 კოლმეურნეობა ითვლებოდა. მათგან ქობულეთის რაიონში-56, ბათუმის-47, ქედის-44, ხულოს რაიონში-83 კოლმეურნეობა. გლეხების კოლმეურნეობებში განევრიანება და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ორგანიზაციის მთელი სიმძიმე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეზე გადადიოდა.

სოფლის მოსახლეობის დაშინების მიზნით 1937 წელს დაიწყო კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების შერჩევით დაპატიმრება, გადასახლება-დახვრეტა. 1937 წლის სექტემბერში აჭარის კონტრრევოლუციურ-სააჯანყებო, ჯაშუშურ-ტერორისტული, დივერსი-

ულ-მავნებლური ორგანიზაციის“ მონაწილეთა საჯარო სასამართლო პროცესზე სამი კოლმეურნეობის თავმჯდომარე გაასამართლეს: ოსმან რომანაძე (ქობულეთის რაიონი, სოფელი წყავროკა), ხასან ჩალოღლი (ბათუმის რაიონი, სოფელი თოფალოღლები), ოსმან ვანაძე (ხულოს რაიონი, სოფელი ვანაძეები). ისინი იმდენად ნანამები იყვნენ, რომ სასამართლო პროცესზე გამოგნებელ და დაუჯერებელ ჩვენებებს იძლეოდნენ. პროკურატურის საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ოსმან რომანაძე არარსებული აჭარის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის აქტიური წევრი ყოფილა, რომლის მიზანი საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და აჭარის საბჭოთა კავშირისაგან ჩამოცილება იყო. ოსმან რომანაძის წინააღმდეგ შეთითხნილი ბრალდება პროკურატურამ გააფორმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლით: 58-2 (შეიარაღებული აჯანყება), 58-9 (სახელმწიფო ქონების განადგურება), 58-11 (ყოველგვარი ორგანიზებული ქმედება, მიმართული დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის). ამ ფალსიფიცირებული ბრალდებით აჭარის უზენაესი სასამართლოს 1937 წლის 28 სექტემბრის განჩინებით დახვრეტა მიუსაჯეს. ოსმან რეჯებისძე რომანაძე დახვრიტეს ბათუმში განაჩენის გამოტანის მეორე დღეს (გაზ. კომუნისტი, 1937, 26, 28, 29 სექტემბერი (N220, 222, 223); სისხლიანი გრიგალის ექო. აჭარა. თბილისი, 2001, გვ. 67-68). საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს 1989 წლის 16 იანვრის ბრძანებულების 1-ლი პუნქტის თანახმად რეაბილიტირებულია.

ხასან ხალიფის ძე ჩალოღლი (ჩავლეიშვილი) დაბადებულია 1892 წელს. მართალია, მას დაბალი განათლებით ჰქონდა, მაგრამ გამოცდილი სახელმწიფო და სამეურნეო მუშაკი იყო. 1921 წლიდან მონაწილეობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში: შედიოდა „ფუზარა კომიტეტის“ შემადგენლობაში, არჩეული იყო აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად, მუშაობდა ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისრად და ბათუმის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარედ. აქედან გადაიყვანეს თოფალოღლების კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. პროკურატურის საბრალდებო დასკვნით, ხასან ჩალოღლის ასევე თვლიდნენ აჭარის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის აქტიურ მონაწილედ, რომლის ამოცანა თურმე აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და საბჭოთა კავშირიდან მისი ჩამოცილება იყო. ხასან ჩალოღლის სასჯელის განსაზღვრის საფუძვლად გამო-

იყენეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლი: 58-2, 58-9 და 58-11. აჭარის უზენაესი სასამართლოს 1937 წლის 28 სექტემბრის განჩინებით, ხასან ხალიფის ძე ჩალოღლის 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, სასჯელის მოხდის შემდეგ ხუთი წლით თავისუფლების აყრით (კომუნისტი, 1937, 29 სექტემბერი (223). იგი აღმოსავლეთის რუსეთის უკაცრიელ მხარეში გადაასახლეს, საიდანაც აღარ დაბრუნებულა. მისი საფლავიც ამოუცნობია. ამჟამად ხასან ხალიფისძე ჩალოღლი რეაბილიტირებულია დანაშაულის არარსებობის გამო.

ხულოს რაიონის ვანაძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარის ოსმან თერჯანალისძე ვანაძის მიმართ წაყენებული ბრალდება ანალოგიური იყო. მასაც აბრალებდნენ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში აქტიურ მონაწილეობას. თურმე ოსმან ვანაძეც ცდილობდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობასა და აჭარის დედა-სამშობლო საქართველოსაგან ჩამოცილებას. მისი მავნებლობა იმაში გამოიხატა, რომ გაფუჭდა 400 ფუთი კარტოფილი და კოლმეურნეობას არასაკმარისი თესლი დარჩა. ამის გამო კარტოფილის დარგვის გეგმა 50%-ით შესრულდა. ამასთან, კოლმეურნეობაში დაიღუპა 80 სული პირუტყვი. ამ და სხვა ნაკლოვანებების გამო ოსმან თერჯანალისძე ვანაძე კონტრრევოლუციონერთროცკისტად მონათლეს, დააპატიმრეს და გაასამართლეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-2, 58-9 და 58-11 მუხლებით. აჭარის უზენაესი სასამართლოს 1937 წლის 28 სექტემბრის განჩინებით ოსმან თერჯანალისძე ვანაძეს 8 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, სასჯელის მოხდის შემდეგ 5 წლით სამოქალაქო უფლებების აყრით (კომუნისტი, 1937, 26, 27, 28, 29 სექტემბერი (N220, 221, 222, 223). იგი რუსეთის აღმოსავლეთის უკაცრიელ მხარეში გადაასახლეს სადაც წამებით დაასრულა სიცოცხლე.

ზემოთ დასახელებული სამი პიროვნების გარდა, 1937 წელს იმავე ბრალდებით დააპატიმრეს, აწამეს, საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულისა“ და განსაკუთრებული სათათბიროს დადგენილებებით დახვრიტეს თუ გადაასახლეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა და საკოლმეურნეო სანარმოთა სხვა მომუშავენი. მათ მიმართ წაყენებული ბრალდებები, როგორც სხვების, ხელოვნურად შეკონინებული იყო და ერთმანეთისაგან ნაკლებად განსხვავდებოდა. 1937 წელს ქობულეთის რაიონში დააპატიმრეს კოლმეურნეობათა

თავმჯდომარის საერთო რაოდენობის ერთი მესამედი (56-დან 18 კაცი). 1938 წელს დაპატიმრებები გრძელდებოდა. თავმჯდომარეების ნაწილი დახვრიტეს, სხვები გადაასახლეს. მათ შორის: სულეიმან შავიშვილი (ფიჭვნარი), ჯემალ შუბალაძე (ქაქუთი), ხასან პაპუნაიშვილი (გვარა), ოსმან რომანაძე (წყავროკა), იუსუფ დუმბაძე (ხუცუბანი), ხასან გოგიტიძე (ალამბარი), ილიას ფალავანდიშვილი (ჩაისუბანი), ხასან ხალვაში (სახალვაშო), აბდულ დოლიძე (ჩაქვის სასოფლო საბჭო, სოფელი საჩინო), ხასან ნაკაიძე (სტალინის უბანი), დურსუნ ნიჟარაძე (სოფელი ქობულეთი), შებან ჯინჭარაძე (აჭყვისთავი), შაბან ლალაიშვილი და სხვები.

სულეიმან მემედისძე შავიშვილი ქობულეთის რაიონის ფიჭვნარის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა. საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის ბიურომ 1937 წლის 6 აგვისტოს განიხილა მისი „კონტრრევოლუციური საქმიანობა“. ბიუროს დადგენილებაში წერია: სულეიმან შავიშვილმა მავნებლური განზრახვით არ შეასრულა ჩაის ფოთლის მოსავლის ხარისხის გეგმა. ამასთან, მოუვლელობის გამო, ეკვალიპტის ახლადდარგული ნარგავები გახმა. ამ და სხვა ბრალდებებით სულეიმან შავიშვილი კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს, თანამდებობიდან მოხსნეს და საქმე შინსახკომს გადაეცა. შინსახკომმა იგი დააპატიმრა, პირველი კატეგორიის დამნაშავეთა სიაში შეიყვანა და საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ერთ-ერთი წევრის რეზოლუციით 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს (ასს ცსა, ფ. პ-11, ან. 1, ს. 1495, ფურც. 1-3; გაზ. აჭარა, 1997, 17 მაისი (N95-96)).

ჯემალ ქამილისძე შუბალაძე დაპატიმრებისას ქობულეთის რაიონის ქაქუთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა. მას ბრალად წაეყენა, თითქოს ჩაის პლანტაციებს 20-25 სმ-ის ნაცვლად 10 სმ-მდე სიღრმით ბარავდნენ. ზოგიერთ ბუჩქზე ჩაის ფოთოლს მოუკრეფავს ტოვებდნენ. იყო სხვა ბრალდებებიც. შინსახკომმა ჯემალ შუბალაძე პირველი კატეგორიის დამნაშავედ ჩათვალა და მოსკოვში გასაგზავნად დამნაშავეთა სიაში შეიყვანა. საკავშირო ხელისუფლების თანხმობის შემდეგ 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს (გაზეთი აჭარა, 1997, 17 მაისი (N 95-96)). ხუცუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იუსუფ სულეიმანისძე დუმბაძე დაბადებულია 1894 წელს, კომუნისტური პარტიის თანამგრძნობთა ჯგუფის წევრი იყო 1937 წლიდან. საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის ბიურომ 1937 წლის 31 აგვისტოს პარტიის

თანამგრძნობთა ჯგუფის წევრობიდან გარიცხა და მოხსნა კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან, როგორც კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტი, მავნებელი და ხალხის მტერი (ასს ცსა, ფ.პ-11, ან. 2, ს. 91, ფურც. 226). იგი შინსახკომმა დააპატიმრა და „სამეულის“ დადგენილებით 10 წლით პატიმრობა მიესაჯა. გადაასახლეს რუსეთის ფედერაციის აღმოსავლეთის უკაცრიელ მხარეში, სადაც მძიმე კატორღულ პირობებში დაასრულა სიცოცხლე.

1937 წლის 31 აგვისტოს კომუნისტური პარტიის თანამგრძნობთა ჯგუფის წევრობიდან გარიცხეს და დააპატიმრეს სოფელ ხალას კოლმეურნეობის წევრი პორფილე გიორგისძე ჩხარტიშვილი. პარტიის ქობულეთის რაიკომის ბიუროს დადგენილებაში ნათქვამია: პორფილე ჩხარტიშვილი არის კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტი, დივერსანტი, ხალხის მტერი. პორფილე გიორგისძე ჩხარტიშვილი შეთითხნილი ბრალდებით 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს (ასს ცსა, ფ. პ-11, ან.2, ს. 91, ფურც. 226-228; გაზ. აჭარა, 1997, 17 მაისი (N95-96).

ბათუმის რაიონში კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტებად, მავნებლად, ხალხის მტრებად შერაცხეს თოფალოღლების, ახალშენის, ორთაბათუმის, კაპრეშუმის, წინსვლის, აგარის, გონიოს, თხილნარის, ყოროლისთავის, ჩიქუნეთის და სხვა სოფლების კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები: ხასან ჩალოღლი, ფილიპე კრომლიდი, ბექირ ჩახვაძე, რეჯებ ახალაძე, იბრაიმ ბრუნჯაძე, მეიდან ცეცხლაძე, კახიძე, სულეიმან ვარშანიძე, ხემიდ მალაყმაძე და სხვები. თოფალოღლების კოლმეურნეობის თავმჯდომარის ხასან ჩალოღლის შესახებ ზემოთ ითქვა. ორთაბათუმის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბექირ ხუსეინისძე ჩახვაძე (დაბადებული 1904 წელს) 1937 წელს დააპატიმრეს ბრალდებით: შეიარაღებული აჯანყების მონაწილის მცდელობა (საქართველოს სსრ-ის საშინაო უსაფრთხოების კომისიის 58-2 მუხლი)) და ყოველგვარი ორგანიზებული ქმედება, მიმართული დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის (მუხლი 58-11). ამ მუხლების საფუძველზე საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის“ 1937 წლის 14 ოქტომბრის დადგენილებით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს (სისხლიანი გრიგალის ექო. აჭარა. თბილისი, 2001, გვ. 85). ბექირ ხუსეინისძე ჩახვაძე რუსეთის აღმოსავლეთის უკაცრიელ მხარეში გადასახლეს. სასჯელის მოხდის შემდეგ დაბრუნდა მშობლიურ

კუთხეში. იგი რეაბილიტირებულია დანაშაულის არარსებობის გამო. ბექირ ხუსეინისძე ჩახვადე 1985 წელს გარდაიცვალა.

შინსახკომმა 1937 წელს დააპატიმრა მისი ძმა ალი ხუსეინისძე. რომელიც ადრე ორთაბათუმის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო. მას წაუყენეს ბრალდება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით (აგიტაცია ან პროპაგანდა, რომელიც შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მოწყობას). ალი ჩახვადე გადაასახლეს რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში, საიდანაც აღარ დაბრუნებულა. გარდაიცვალა მძიმე კატორღულ პირობებში 1938 წლის 23 დეკემბერს (სისხლიანი გრიგალის ექო, აჭარა. თბილისი, 2001:84-85).

ბათუმის რაიონის ყოროლისთავის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს იბრაიმ სულეიმანისძე ბრუნჯაძეს დაბადებულს 1887 წელს, აბრალედნენ აგიტაცია-პროპაგანდას, რომელიც შეიცავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ მოწოდებას (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლი). 1937 წელს დააპატიმრეს. საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის“ 1937 წლის 15 დეკემბრის დადგენილებით, 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. გადაასახლეს რუსეთის უკაცრიელ მხარეში. იბრაიმ სულეიმანისძე ბრუნჯაძე რეაბილიტირებულია აჭარის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1960 წლის 21 იანვრის განჩინებით ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო. „კონტრრევოლუციური საქმიანობის“ ბრალდებით დააპატიმრეს მისი თანამეგვარე მუსტაფა იზეთისძე ბრუნჯაძე, რომელსაც საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის“ 1937 წლის 26 თებერვლის დადგენილებით 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ამჟამად მუსტაფა იზეთისძე ბრუნჯაძე რემბილიტირებულია (ასს ცსა, ფ. პ-1, ან.1, ს.94, ფურც. 14: სისხლიანი გრიგალის ექო, აჭარა. თბილისი, 2001:27).

ალი თევრათისძე კორძაია დაბადებული 1899 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი გახდა 1928 წელს. მუშაობდა კაპრეშუმის კოლმეურნეობის („კულტურის სახელობის“) თავმჯდომარედ. იგი ხალხის მტრად შერაცხეს. 1937 წელს შინსახკომმა დააპატიმრა, ხოლო 1 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის ბათუმის რაიკომმა კომუნისტური პარტიიდან გარიცხა. „კონტრრევოლუციური საქმიანობის“ ბრალდებით 1938 წელს დააპატიმრეს ახალშენის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ფილიპე გიორგისძე კრომლიდი,

რომელიც კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატი იყო. მისი ბრალეულობა იმაში გამოიხატა, რომ კარგი ურთიერთობა ჰქონდა თემსიტოკლე ამირიძთან, რომელიც ბათუმის რაიონში ჩაის კანტორის მმართველად მუშაობდა და 1937 წელს კონტრრევოლუციური საქმიანობის ყალბი ბრალდებით დააპატიმრეს. ფილიპე კრომლიდი ამავე ბრალდებით 1938 წლის იანვარში საქართველოს კომპარტიის ბათუმის რაიკომმა პარტიიდან გარიცხა (ასს ცსა, ფ. პ-7, ან.1, ს. 60, ფურც. 141-142).

მავნებლის, ხალხის მტრის ბრალდებით დახვრიტეს ბათუმის რაიონის წინსვლის და აგარის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები რეჯებ ახალაძე და მეიდან არიფისძე ცეცხლაძე. ეს უკანასკნელი დაბადებულია 1885 წელს და მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩამოაყალიბეს აგარის კოლმეურნეობა. 1937 წელს დააპატიმრეს თხილნარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სულეიმან ვარშანიძე, რომელიც რუსეთის ფედერაციის აღმოსავლეთის მხარეში გადასახლეს და სიცოცხლე ტანჯვით იქვე დაამთავრა. ხემიდ ასლანისძე მალაყმაძე სოფელ ჩიქუნეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო მისი დაარსებიდან მოყოლებული დაპატიმრებამდე. იგი დააპატიმრეს ბრალდებით: ვერ დაიცვა საკოლმეურნეო ქონება-კოლმეურნეობაში მოიპარეს 3 კგ თამბაქო. ხემიდ ასლანისძე მალაყმაძე ბათუმში დახვრიტეს 1937 წელს. ამჟამად ყველა მათგანი რეაბილიტირებული არიან დანაშაულის არარსებობის გამო.

ქედის რაიონში რეპრესირებული იყო ქედის, ზვარეს, ზესოფელის, ვაიოს, მერისის სიხალიძეების, ნამონასტრევის, ალიქოლღების, მეძიზნის და სხვა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, სარევიზიო კომისიის წევრები, ბრიგადირები, ბუხჰალტრები. მაგალითად, 1937 წლის აგვისტოში „კონტრრევოლუციური საქმიანობის“ ბრალდებით დააპატიმრეს ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ეუბ რეჯებისძე ხაბაზი. იგი კომკავშირელი იყო. კომკავშირის რაიკომმა გარიცხა მისი რიგებიდან. საქართველოს კომპარტიის ქედის რაიკომმა 1937 წლის 3 სექტემბერს მოხსნა კოლმეურნეობის თავმჯდომარის პოსტიდან. ეუბ რეჯებისძე ხაბაზი ბათუმში დახვრიტეს. მასთან ერთად დახვრიტეს ძმა ფელულ რეჯებისძე ხაბაზი (ასს ცსა, ფ. პ-8, ან.1, ს. 67, ფურც. 303; გაზ. სრულიად არასაიდუმლოდ, 1997, N 5-6, გვ.17; N 8, გვ. 17). 1938 წლის აგვისტოში შინსახკომმა დააპატიმრა ზესოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხასან ალისძე ბერიძე დაბადებული 1896 წელს, კომუნისტური

პარტიის წევრი 1932 წლიდან. იგი ხალხის მტრად შერაცხეს, 1937 წლის 3 სექტემბერს კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს.

ახმედ აბდულისძე ლორთქიფანიძე ვაიოს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა. დაბადებულია 1885 წელს. 1937 წლის აგვისტოში დააპატიმრეს ბრალდებით: შეიარაღებული აჯანყების მონაწილის მცდელობა (საქართველოს სისხლის სამართლის კლდექის 58-2 მუხლი) და ყოველგვარი ორგანიზებული ქმედება, მიმართული დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის (მუხლი 58-11). საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის“ 1937 წლის 15 ოქტომბრის დადგენილებით დახვრეტა მიუსაჯეს. ახმედ აბდულისძე ლორთქიფანიძე დახვრიტეს 1937 წლის 1 ნოემბერს. აჭარის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1958 წლის 15 მაისის განჩინებით ახმედ აბდულისძე ლორთქიფანიძე რეაბილიტირებულია დანაშაულის არარსებობის გამო (სისხლიანი გრიგალის ექო. აჭარა. თბილისი:54).

1937 წელს შინსახკომმა დააპატიმრა ალიქოლოების კოლმეურნეობის თავმჯდომარე მამია ასლანისძე ბაჯელიძე, რომელსაც ბრალად წაუყენეს საკოლმეურნეო წყობის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ ბრალდების მოტივაცია იყო, რომ სოფელს ეწვია აჭარის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი, რომელმაც დაიწუნა თამბაქოს ფოთლის ასხმა და სასოფლო სამეურნეო სხვა სამუშაოები. საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის“ დადგენილებით, მამია ასლანისძე ბაჯელიძეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. იგი გადაასახლეს რუსეთის უკაცრიელ ადგილას, სასჯელის მოხდის შემდეგ დაბრუნდა მშობლიურ კუთხეში, მაგრამ ორი წლის შემდეგ არასანდო პიროვნების ბრალდებით, ისევ რუსეთის უკაცრიელ მხარეში გადაასახლეს. 50-იან წლებში, როდესაც გადაისინჯა რეპრესირებულთა საქმეები, მამია ასლანისძე ბაჯელიძე დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს და ამჟამად რეაბილიტირებულია დანაშაულის არარსებობის გამო (სარდიონ ახმედისძე ბაჯელიძის მოგონება, ჩავინერეთ 2009 წლის 7 თებერვალს).

ასლან აბდულისძე დიასამიძე (დაბადებულია 1902 წელს) დაპატიმრებისას მეძიბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა. 1938 წლის აპრილში დააპატიმრეს საქართველოს შინსახკომთან არსებულ „სამეულის“ 1938 წლის 5 მაისის დადგენილებით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. იგი ამჟამად

რეაბილიტირებულია (სისხლიანი გრიგალის ბრძლა. აჭარა. თბილისი, 2001:37).

მერისის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ღისა ალიჯანისძე დიასამიძე კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1926 წლიდან. „კონტრრევოლუციური საქმიანობის“ ყალბი ბრალდებით საქართველოს კომპარტიის ქედის რაიკომმა 1937 წლის 3 სექტემბერს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა და თანამდებობიდან მოხსნა. საქმე გადაეცა შინსახკომს, მაგრამ დაპატიმრების შიშით მიმალვაში იმყოფებოდა, თურქეთში გადავიდა და სიცოცხლე შეინარჩუნა. 1937 წლის დეკემბერში დააპატიმრეს ნამონასტრევის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. დიასამიძე საქართველოს კომპარტიის ქედის რაიკომის 24 დეკემბრის დადგენილებაში წერია: ა.დიასამიძე არის მავნებელი, ხალხის მტერი. მისი განკარგულებით ნამონასტრევის კოლმეურნეობაში 1936 წლის საშემოდგომო ჭვავის ნათესი განადგურდა, იგი საბალახო-საძოვრად გამოიყენეს, რამაც მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. ამასთან, 200 ფუთი დარგული კარტოფილის თესლისაგან 150 ფუთი მოსავალი მიიღეს. ამ და სხვა ნაკლოვანებების გამო ა. დიასამიძე კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს და კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან მოხსნეს. ამავე „კონტრრევოლუციური საქმიანობის“ ბრალდებით შინსახკომმა დააპატიმრა მერისის (ქოშიოღლები) კოლმეურნეობის თავმჯდომარე ოსმან ახმედისძე თურმანიძე. იგი დაბადებულია ქედის რაიონის სოფელ სიხალიძეებში 1893 წელს. საქართველოს კომპარტიის ქედის რაიკომმა თანამდებობიდან მოხსნა და კომუნისტური პარტიიდან გარიცხა 1937 წლის 30 დეკემბერს. ოსმან ახმედისძე თურმანიძე ბათუმში დახვრიტეს. 1937 წელს დააპატიმრეს და 10 წლით ციმბირში გადაასახლეს ქედის რაიონის სოფელ ორცვის კოლმეურნეობის ბუხჰალტერი მუსა ქაჯაია. მასთან ერთად დააპატიმრეს და ასევე ციმბირში გადაასახლეს ბიძაშვილი. ორივე გადასახლების დროს ციმბირში დაიღუპა. ამჟამად ისინი რეაბილიტირებული არიან დანაშაულის არარსებობის გამო.

ხალხის მტრის, მავნებლის ბრალდებით 1937 წელს დააპატიმრეს, კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს და სამუშაოდან მოხსნეს თამბაქოს ნედლეულის რწმუნებული ქედის რაიონში ხასან ალისძე დიასამიძე, თამბაქოს დამზადების პუნქტის გამგე ზვარეს სასოფლო საბჭოში ხაჯი სულეიმანისძე შავიშვილი. ხ. დიასა-

მიძე სოფელ მერისიდან იყო, რომელსაც აბრალეზდნენ შეიარაღებული აჯანყების მცდელობას, ჯაშუშობას, ყოველგვარ ორგანიზებულ ქმედებას დანაშაულის მომზადებასა და ჩატარებისათვის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-2, 58-6, 58-11 მუხლები). ამ ყაღბი ბრალდებით 8 წლით გადაასახლეს რუსეთის ფედერაციის უკაცრიელ ადგილას, სადაც სიცოცხლე წამებით დაასრულა. ჯაშუშობის, საბოტაჟის მცდელობის, კონტრაბანდისტობის ბრალდებით 1937 წელს დააპატიმრეს რიგითი კოლმეურნე გლეხები სულეიმან ეუბისძე, ხულუს ხემიდისძე ბერიძეები, ხემიდ ხასანისძე ხალვაში, მეველუდ ხუსეინისძე ბოლქვაძე, შაქირ ალისძე, ხასან ქემალისძე თურმანიძეები და სხვები (ასს ცსა, ფ. პ-8, ან.1, ს. 67, ფურც. 303, 414, 416, 43; გაზ. „სრულიად არასაიდუმლოდ, 1997, N 8, გვ.17; ასმა, ფ.2, ს. 287; სისხლიანი გრიგალის ექო. აჭარა. თილისი, 2001:36). ისინი დახვრიტეს, ანდა გადაასახლეს რუსეთის ფედერაციის აღმოსავლეთის მხარეში, სადაც უმრავლესობა შიმშილისა და სიცოცხისაგან დაიღუპა.

ქედის რაიონის ზესოფლის კოლმეურნეს ხულუს ხემიდისძე ბერიძეს დააბრალეს ჯაშუშობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-6 მუხლი) და საბოტაჟის მცდელობა (მუხლი 58-7). საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის“ 1937 წლის 15 ოქტომბრის დადგენილებით სასჯელის უმაღლესი ზომა-დახვრეტა მიუსაჯეს. ხულუს ბერიძე ბათუმში დახვრიტეს. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის 1957 წლის 1 ოქტომბრის დადგენილებით ხულუს ხემიდისძე ბერიძე რეაბილიტირებულია დანაშაულის არარსებობის გამო (სისხლიანი გრიგალის ექო. აჭარა. თბილისი, 2001:21; ასმა, ფ. 2, ს. 287). 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს აგრეთვე ქედის რაიონის მერისის კოლმეურნეობის წევრები, რიგითი გლეხები შაქირ ალისძე და ხასან ქემალისძე თურმანიძეები. აჭარის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1957 წლის 4 სექტემბრის დადგენილებით ისინი რეაბილიტირებული არიან დანაშაულის არარსებობის გამო.

მიძიე რეპრესიები განიცადეს ხულოს რაიონის საკოლმეურნეო კადრებმა. 1937 -1938 წლებში „კონტრრევოლუციური საქმიანობის“ ბრალდებით დააპატიმრეს, გადაასახლეს და დახვრიტეს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, აგრარული სექტორის ძირეული რგოლის სხვა მუშაკები, სოფლის პირველი კომუნისტები, რომლებიც, იმდროინდელი ძნელი პირობის მიუხე-

დავად, ერთგულად ემსახურებოდნენ ქვეყანას. ჰესრეტალ მაირისძე სამოლიძე ხულოს რაიონში ერთ-ერთი პირველი კომუნისტი იყო. კომუნისტური პარტიის წევრად მიიღეს 1925 წელს (დაბადებულია 1898 წელს). მართალია, იგი დაბალი განათლებით იყო, მაგრამ ადამიანებთან ურთიერთობის ნორმალური უნარ-ჩვევები გააჩნდა და კარგი ორგანიზატორი იყო. ამიტაც უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ 1925-1926 და 1936-1937 წლებში მუშაობდა უჩამბისა და შუახევის სასოფლო საბჭოების აღმასკომის თავმჯდომარედ. 1929-1932 წლებში იყო ხულოს რაიონის საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარე, სახელმწიფო ბანკის მმართველი, მუშათა და გლეხთა საკონტროლო კომისრის ხელმძღვანელი, რიყეთისა და უჩამბის სასოფლო სამომხმარებლო კოოპერატივების თავმჯდომარე. ჰესრეტალ მაირისძე სამოლიძე სამოლეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა 1934-1935 წლებში და 1937 წლის თებერვალ-ივლისში. იგი 1937 წლის ივლისში დააპატიმრეს არარსებული „კონტრრევოლუციური საქმიანობის“ ბრალდებით. საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომმა ჰესრეტალი მაირისძე სამოლიძე 18 ივლისს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა და 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს (ასს ცსა, ფ. პ-12, ან.26, ს. 2154, ფურც. 1-5; გაზ. „სრულიად არასაიდუმლოდ“ 1997, N 7, გვ.19 (წყაროში გვარი დამახინჯებულია)).

ტრაგიკულად დაასრულეს სიცოცხლე სამოლეთის კოლმეურნეობის წევრებმა ოსმან ხუშუტისძე ლორთქიფანიძემ და ხუსნი ახმედისძე თურმანიძემ. ოსმან ლორთქიფანიძე იყო ზექერია ლორთქიფანიძის ბიძაშვილი. დაბადებულია სოფელ მოფრინეთში 1896 წელს, კომუნისტური პარტიის წევრად მიიღეს 1926 წელს. ოსმან ლორთქიფანიძე 1930-1932 წლებში მუშაობდა უჩამბის სასოფლო საბჭოს დამზადების პუნქტის საწყობის გამგედ, შემდეგ სამოლეთის კოლმეურნეობის რიგით წევრად, იყო კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი. დაპატიმრებისას – ტყისმცველი. ოსმან ლორთქიფანიძე კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს 1937 წლის 25 ივლისს, რომელიც მაშინ შინსახკომის მიერ დაპატიმრებული იყო. ოსმან ლორთქიფანიძეს ბრალდებად წაუყენეს შეიარაღებული აჯანყების მოწყობის მცდელობა (საქართველოს სისხლის სამართლის 58-2 მუხლი) და ყოველგვარი ორგანიზებული ქმედება, მიმართული დანაშაულის მომზადებისა

და ჩატარებისათვის (მუხლი 58-11). ამ მუხლების საფუძველზე საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის“ 1937 წლის 19 აგვისტოს დადგენილებით დახვრეტა მიუსაჯეს. ოსმან ხუშუტისძე ლორთქიფანიძე ბათუმში დახვრიტეს 1937 წელს.

ანალოგიური ბრალდება წაუყენეს ხუსნი ახმედისძე თურმანიძეს. მისი ბიოგრაფია მოკრძალებულია. დაიბადა ხულოს რაიონის სოფელ სამოლეთში 1896 წელს. კომუნისტური პარტიის წევრი გახდა 1932 წელს. მუშაობდა უჩამბის საექიმო პუნქტის სანიტრად, სამოლეთის კოლმეურნეობის რიგით წევრად, ერთ ხანს საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივანიც იყო. ხუსნი თურმანიძე ზეკერია ლორთქიფანიძის ნათესავი იყო. ეს გარემოება მისი დაპატიმრების საფუძველი გახდა. საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომმა ხუსნი თურმანიძე კომუნისტური პარტიიდან გარიცხა 1937 წლის 18 ივლისს „კონტრრევოლუციური საქმიანობის“ ბრალდებით (იგი ბათუმში დახვრიტეს იმავე წელს (ასს ცსა, ფ. პ-12, ან.26, ს. 2145, ფურც. 1-3; ს. 2148. ფურც. 1-4; გაზ. „სრულიად არასაიდუმლოდ“, 1997, N 7, გვ.19). ამჟამად ოსმან ხუშუტისძე ლორთქიფანიძე და ხუსნი ახმედისძე თურმანიძე რეაბილიტირებული არიან დანაშაულის არარსებობის გამო.

„კონტრრევოლუციური საქმიანობის“, მავნებლის, ხალხის მტრის ბრალდებით 1937 წელს დააპატიმრეს ნიგაზეულის და ვერნების კოლმეურნეობების თავმჯდომარეები დემურალი სულეიმანისძე ხიმშიაშვილი და ისმაილ ქამილისძე აბაშიძე. დემურალ ხიმშიაშვილი დაბადებულია 1882 წელს ხულოს რაიონის სოფელ ნიგაზეულში. იგი მოწმედ გამოიყვანეს აჭარის „კონტრრევოლუციურ-სააჯანყებო, ჯაშუშურ-ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის“ მონაწილეთა სასამართლო პროცესზე 1937 წლის სექტემბერში. დემურალ ხიმშიაშვილმა იძულებით აღიარებით ჩვენებაში განაცხადა: მავნებლური მიზნით, შეგნებულად დავაბნეე შრომადღეების აღრიცხვა, სრულყოფილად არ ვაძლევდი კოლმეურნეებს შრომის საზღაურს, რათა გამომეწვია მოსახლეობის უკმაყოფილება. აჭარის პროკურორის საბრალდებო დასკვნაში ნათქვამია: დემურალი სულეიმანისძე ხიმშიაშვილი არის „კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მონაწილე“. იგი ბათუმში დახვრიტეს 1937 წელს.

ისმაილ ქამილისძე აბაშიძე დაბადებულია 1900 წელს ხულოს რაიონის სოფელ ვერნებში. კომუნისტური პარტიის წევრად მიიღეს

1932 წელს. მისი ბრალეულობა იმაში მდგომარეობდა, რომ მამა მსახურობდა ბეგებ ხიმშიაშვილებთან. თვითონ იგი მონაწილეობდა 1929 წლის აჯანყებაში. ერთხანს თურქეთში იმალეობოდა. ისმაილ აბაშიძემ ეს დამალა კომუნისტურ პარტიაში შესვლისას. იგი 1937 წლის 29 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომმა კომუნისტური პარტიიდან გარიცხა. ისმაილ ქამილისძე აბაშიძე ბათუმში დახვრიტეს (გაზ. კომუნისტი, 1937, 26 სექტემბერი (N220); გაზ. „სრულიად არასაიდუმლოდ“, 1997, N 5-6, გვ.17; ასს ცსა, ფ. პ-12, ან.2, ს. 71, ფურც.72; ფ. პ-12, ან.26, ს. 2134, ფურც. 1-2).

ხულოს რაიონის კალათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ღურსუნ ეფრემისძე აბულაძე შინსახკომმა 1937 წლის დეკემბერში დააპატიმრა ბრალდებით აგიტაცია--პროპაგანდა, რომელიც შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მოწოდებას. საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის“ 1938 წლის 2 მარტის დადგენილებით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის 1957 წლის 17 მაისის დადგენილებით საქმე წარმოებით შეწყდა მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო. ამჟამად იგი რეაბილიტირებულია (სისხლიანი გრიგალის ექო. აჭარა. თბილისი, 2001:11).

1937 წლის ივლისში დააპატიმრეს „დუზჭვანის“ კოლმეურნეობის თავმჯდომარე მურთაზ ასლანისძე დუმბაძე, დაბადებული 1898 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი 1931 წლიდან. საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომმა 18 ივლისს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა. რაიკომის დადგენილებაში ნათქვამია: მურთაზ ასლანისძე დუმბაძე არის კონტრრევოლუციონერთროცკისტი, რომელიც დაპატიმრებულია. მურთაზ ასლანისძე დუმბაძე საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის“ 1937 წლის დადგენილებით 10 წლით ციმბირში გადაასახლეს. სასჯელის მოხდის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში, მაგრამ მეორედ გაასახლეს და 1954 წელს დაბრუნდა თავის კუთხეში. ამჟამად დემურალი სულეიმანისძე ხიმშიაშვილი, ისმაილ ქამილისძე აბაშიძე, მურთაზ ასლანისძე დუმბაძე რეაბილიტირებული არიან დანაშაულის არარსებობის გამო (ასს ცსა, ფ. პ-12, ან.26, ს. 2142, ფურც. 9-11; ფ. პ-1, ან.9, ს. 240, ფურც. 126-127).

„კონტრრევოლუციური საქმიანობის“ ბრალდებით 1937 წელს დააპატიმრეს ხულოს რაიონის დიდაჭარის კოლმეურნეობის

თავმჯდომარე ყადირ ხოზრევანიძე. რეპრესიების ორგანიზატორები მას თვლიდნენ არარსებული აჭარის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრად, თუმცა განსასჯელთა სიაში არ შეუყვანიათ. ყადირ ხოზრევანიძეს ჩვენების მიცემა მოუხდა საჯარო სასამართლოს პროცესზე. ზენოლის შედეგად ყადირ ხოზრევანიძემ ჩვენებაში განაცხადა: დიდაჭარის კოლმეურნეობაში დიდძალი პირუტყვი დავხოცე, გავაფუჭე სამი სილოსი, თითოეული 50 ტონის ტევადობით, ჩავშალე მეცხოველეობის სულადობის გეგმის შესრულება, ნაყოფიერი მიწები საკარმიდამო ნაკვეთებად მივუზომე. არტელი მივიყვანე დაშლამდე (გაზ. კომუნისტი, 1937, 26, 29 სექტემბერი (N 220, 223)). ცხადია, ნორმალური ადამიანი ამ ჩვენებას არ დაიჯერებს. შინსახკომი და პროკურატურა ანალოგიურ სცენარს სხვა პოლიტიკური პატიმრების მიმართაც იყენებდნენ.

1937 წლის აპრილში დააპატიმრეს ხულოს რაიონის დარჩიძეების კოლმეურნეობის პირველი თავმჯდომარე მერჯან ხუსეინისძე ბერიძე. მაშინ იგი 37 წლისა იყო (დაბადებულია 1900 წელს). საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის“ 1937 წლის 4 აგვისტოს დადგენილებით ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მერჯან ხუსეინისძე ბერიძე რეაბილიტირებულია ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის 1963 წლის 10 ოქტომბრის დადგენილებით.

აღალი იუსუფისძე ბოლქვაძე დაპატიმრებისას აღმეს (ამჟამად ვაშლოვანი) კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა. იგი დაბადებულია 1895 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1926 წლიდან და წლების განმავლობაში საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავა. კონტრრევოლუციურ ტროცკისტული საქმიანობის ფალსიფიცირებული ბრალდებით კომუნისტური პარტიის ხულოს რაიკომმა 1938 წლის 7 მაისს პარტიიდან გარიცხა (ასს ცსა, ფ. პ-12, ან.2, ს. 83, ფურც. 235). აღალი იუსუფისძე ბოლქვაძე 1938 წელს დახვრიტეს.

ალი სულეიმანისძე წულუკიძე დაბადებულია ხულოს რაიონის სოფელ დიდაჭარაში 1890 წელს. 1918-1931 წლებში მცუშაობდა ქ. ბათუმში და ანჰისის მშენებლობაზე. 1932-1937 წლებში ხულოს რაიონის მინათმომწყობად მსახურობდა. კოლექტივიზაციის დროს ეს სამსახური უაღრესად რთული იყო, რამდენადაც გლეხობა საკარმიდამო მიწების მიზომვისას უკმაყოფილებას ამკარად გამოთქვამდა. ალი წულუკიძე, მართალია, არარსებული აჭარის

კონტრრევოლუციური ორგანიზაციის განსასჯელთა სიაში არ შედიოდა, მაგრამ მომწმედ გამოიყვანეს სასამართლო პროცესზე. ამ გამოაგნებელი სცენარის რეჟისორები და პრაქტიკულად აღმსრულებლები მას მიაწერენ ჩვენებას: ნური გამრეკელიძემ (ხულოს რაიონის მინათმოქმედების განყოფილების გამგე) ჩამაბა მავნებლურ ორგანიზაციაში. მან დამავალა: საკარმიდამო ნაკვეთების მოზომვისას დამეშვა მრავალნაკვეთიანობა, ზოგიერთებისათვის მეტი ფართობი მიმეზომა, ზოგიერთისათვის ნაკლები და ამით გამომეწვია უკმაყოფილება. სასილოსე კოშკების მშენებლობისას მიწას კარგად არ ვტკებნიდით, რის გამო ჰაერი შეიპარა და სილოსი დაღპა (გაზ. „კომუნისტი“, 1937, 26, 29 სექტემბერი (220, 223)). საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის“ დადგენილებით ალი სულეიმანისძე წულუკიძე ბათუმში დახვრიტეს 1937 წელს. აჭარის უმაღლესი სასამართლოს 1958 წლის 24 მაისის დადგენილებით ალი სულეიმანისძე წულუკიძე რეაბილიტირებულია დანაშაულის არარსებობის გამო.

1937-1938 წლებში პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი აღმოჩნდნენ დამზადების, სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის ძირეული რგოლის მუშაკები. 1937 წლის ოქტომბერში შინსახკომმა დააპატიმრა ბათუმის „ზაგოტზერნოს“ მმართველი არისტაკე ავაკუმისძე ოსიპოვი, დაბადებული, 1882 წელს, ეროვნებით სომეხი. იგი კომუნისტური პარტიის წევრად ითვლებოდა 1921 წლიდან. არისტაკე ოსიპოვი მავნებლად ჩათვალეს იმის გამო, რომ საწყობში დაღპა 208 ტონა შვრია და 108 ტონა ქერი. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ არისტახე ავაკუმისძე ოსიპოვი კომუნისტური პარტიიდან გარიცხა. იგი დააპატიმრეს და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ამჟამად არისტარკე ავაკუმისძე ოსიპოვი რეაბილიტირებულია. უფრო ადრე, კერძოდ, 1937 წლის 23 იანვარს კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს „ზაგოტზერნოს“ საწყობის გამგე კალენიკე ამბაკოსძე პაიჭაძე, რომელიც პარტიის წევრად ითვლებოდა 1925 წლიდან. მიზეზი ის გახლდათ, რომ XX საუკუნის 20-იან წლებში ირიცხებოდა „კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში“ და ეს ფაქტი დამალა პარტიული ბილეთების შემოწმებისა და გამოცვლის დროს.

ტროცკისტად შერაცხულ ადამიანებთან შეხვედრა, საუბარი შინსახკომის მიერ ყურადღების გარეშე არ რჩებოდა და თუ ასეთი

ფაქტი გამოვლენდებოდა, ადამიანებს კონტრრევოლუციუნერად, ხალხის მტრად შეამკობდნენ. მაგალითად, ბათუმის საავადმყოფოს სამეურნეო ნაწილის გამგე დომენტი ევსესისძე თენიშვილი, რომელიც კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1926 წლიდან, 1937 წლის 29 იანვარს პარტიიდან გარიცხეს იმ მოტივით, თითქოს ტროცკისტებთან იყო დაკავშირებული (ასს ცსა, ფ. პ-6, ან.12, ს. 22, ფურც. 32, 49; ს. 26, ფურც. 37, 72; ფ.პ-1. ან.9, ს. 302, ფურც. 234-235). 1937 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ კომუნისტური პარტიიდან გარიცხა „აჭარხილბოსტნის დამზადების საწყობის გამგე კონსტანტინე თევდორისძე ძნელაძე (დაბადებული 1904 წელს), რომელიც კომუნისტური პარტიაში ირიცხებოდა 1930 წლიდან. 1937 წლის 14 ივლისს დააპატიმრეს ასლან ალისძე თურმანიძე, რომელიც დაბადებულია ქედის რაიონის სოფელ ნამონასტრევეში. დაპატიმრებისას ასლან თურმანიძე „აჭარციტრუსხილდამზადების“ მაღაზიის დირექტორად მუშაობდა ბათუმში. საქართველოს შინსასაკომთან არსებული „სამეულის“ 1937 წლის 16 ოქტომბრის დადგენილებით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სინამდვილეში იმავე წელს დახვრიტეს. 1937 წლის აგვისტოში დააპატიმრეს „აჭარზაგოტზერნოს“ ქობულეთის პუნქტის საწყობის გამგე რამიზ ხუსეინისძე შაქარიშვილი. იგი შერაცხეს კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტად, ხალხის მტრად. საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის ბიურომ 31 აგვისტოს პარტიის წევრობის კანდიდატობიდან გარიცხა.

აჭარაში 1937-1938 წლებში სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ფართო ქსელი არსებობდა. მაგრამ საოჯახო სამომხმარებლო საქონელი არასაკმარისი იყო. მაღაზიებში დიდი რიგები იდგა. შინსასაკომის მუშაკები პრობლემების არსში ვერ ერკვეოდნენ. ობიექტურ სიძნელეებს მავნებლობით, „კონტრრევოლუციური საქმიანობით“ ხსნიდნენ. ამ წლებში დააპატიმრეს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ხელმძღვანელები, დაბალი რანგის თანამშრომლები. ნაწილი დახვრიტეს, ხოლო დანარჩენები საპატიმროში გამომანყვდიეს, ანდა რუსეთის უკაცრიელ მხარეში გადაასახლეს. 1937 წელს კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს და დააპატიმრეს ქობულეთის რაიონის დაბა ქობულეთის, მუხანესტატეს, ხუცუბნის, ჩაქვის, დაგვის სასოფლო სამომხმარებლო კოოპერატივების გამგეობათა თავმჯდომარეები მურად

დიასამიძე, გიორგი თავდიშვილი, ხასან გოგიტიძე, ლუკა კვიტაიშვილი, ხასან ხალვაში.

მურად ახმედისძე დიასამიძე დაბა ქობულეთის სამომხმარებლო კოოპერატივის თავმჯდომარედ მუშაობდა. დაბადებულია 1905 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი გახდა 1930 წელს. შინსახკომმა დააპატიმრა 1937 წლის ივლისში ტროცკისტობის, შპიონის, დივერსანტის ბრალდებით. საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომმა 6 ივლისს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა. გიორგი ივლიანესძე თავდიშვილი მუხაესტატეს კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე იყო. იგი დაბადებულია 1892 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1921 წლიდან. გიორგი თავდიშვილი იმავე ბრალდებით 1937 წელს დააპატიმრეს და კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს. მუხაესტატეს სამომხმარებლო კოოპერატივის ახლადდანიშნული თავმჯდომარე ხასან ალისძე გოგიტიძე (დაბადებული 1893 წელს) კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1926 წლიდან. იგი 1937 წლის აგვისტოში შინსახკომმა დააპატიმრა კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტობის, დივერსანტის, შპიონის ბრალდებით. საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომმა 31 აგვისტოს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა (ასს ცსა, ფ. პ-11, ან.2, ს. 91, ფურც. 224-225).

ტრაგიკულად დაასრულეს სიცოცხლე ხუცუბნისა და ჩაქვის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობების თავმჯდომარეებმა მურად დარისპანისძე კვიტაიშვილმა და ხასან ისკენდერისძე ხალვაშმა. „კონტრრევოლუციური საქმიანობის“ ყალბი ბრალდებით ისინი 1937 წელს დააპატიმრეს და კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს. ლუკა კვიტაიშვილი ბათუმში დახვრიტეს 1937 წელს. ხასან ხალვაში – ჩაქვის სამომხმარებლო კოოპერატივის თავმჯდომარე, დაბადებულია 1903 წელს, კომუნისტური პარტიის წევრი 1932 წლიდან, პარტიის ქობულეთის რაიკომის ბიურომ კომუნისტური პარტიიდან გარიცხა, როგორც კონტრრევოლუციონერი ტროცკისტი. საქართველოს შინსახკომთან არსებული სამეფულის დადგენილებით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, გარდაიცვალა 1938 წელს (ასს ცსა, ფ. პ-11, ან.2, ს. 91, ფურც. 226; რ. სურმანიძე, 2014:254).

სიტყვის თავისუფლების დევნის კონკრეტული და ამავე დროს თვალსაჩინო მაგალითია ხელისუფლების დამოკიდებულება აკაკი ნიკოლოზისძე გიორგაძის მიმართ. იგი კომუნისტური პარტიის

წევრი იყო 1921 წლიდან. 1937 წელს მუშაობდა ჩაქვის სამომხმარებლო კოოპერატივის N3 მაღაზიის გამგედ. როგორც კომუნისტი, აღრიცხვაზე იმყოფებოდა ჩაქვის ჩაის ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციაში. 1937 წლის 24 იანვარს, როდესაც აღნიშნული ორგანიზაციის კრებაზე იხილებოდა კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული პარალელური ცენტრის სასამართლო პროცესის მიმდინარეობა, აკაკი გიორგაძეს უთქვამს: „როგორც ირკვევა, ყოფილი დიდი კაცები, რომლებიც ჩვენ გვზრდიდნენ და გვასწავლიდნენ, ყველა კონტრრევოლუციონერი ყოფილა. აღარ ვიცი, ამის შემდეგ ვიღას უნდა დავუჯერო და ვენდო“. ამ გამოწვევების გამო აკაკი გიორგაძე პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ კომუნისტური პარტიიდან გარიცხა, ხოლო დადგენილება ამის შესახებ საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის ბიურომ 1937 წლის 27 იანვარს დაამტკიცა.

ბათუმის რაიონში არსებობდა 3 სასოფლო-სამომხმარებლო კოოპერატივი (ორთაბათუმის, კახაბრის, აჭარისწყლის). „კონტრრევოლუციური საქმიანობის“ ბრალდებით 1937 წელს დააპატიმრეს მათი თავმჯდომარეები ა. პატარაია, პ. სიხარულიძე და ი. ზაქარაძე. პარმენ ანდროსძე სიხარულიძის „კონტრრევოლუციური საქმიანობა“ იმაში გამოიხატა, რომ თანაუგრძნობდა ტროცკისტებს, კავშირი ჰქონდა ევგენი სიხარულიძესთან, რომელიც „ხალხის მტრის“ ბრალდებით დაპატიმრებული იყო. აჭარისწყლის სასოფლო სამომხმარებლო კოოპერატივის თავმჯდომარე იუსუფ ალისძე ზაქარაძე (დაბადებული 1890 წელს) კომუნისტური პარტიის წევრი, ბრალდებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით – 58-2 (შეიარაღებული აჯანყება) და 58-11 (ყოველგვარი ორგანიზებული ქმედება, მიმართული დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის). საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის“ 1937 წლის 22 ნოემბრის დადგენილებით სასჯელის უმაღლესი ზომა-დახვრეტა მიუსაჯეს. იუსუფ აზაქარაძე დახვრიტეს ბათუმში 1937 წელს. აჭარის უმაღლესი სასამართლოს 1957 წლის 13 ივნისის დადგენილებით იუსუფ ალისძე ზაქარაძის საქმე წარმოებით შეწყდა, იგი რეაბილიტირებულია დანაშაულის დაუმტკიცებლობის გამო (ასს ცსა, ფ. პ-7; სისხლიანი გრიგალის ექო. აჭარა. თბილისი, 2001:42).

ოსმან სულეიმანისძე ჩხეიძე დააპატიმრეს 1932 წლის 14 ივლისს. დაპატიმრებისას ქედის რაიონის სამომხმარებლო კოოპე-

რატივის საწყობის გამგედ მუშაობდა (დაბადებულია 1900 წელს სოფელ აქუცაში). ოსმან ჩხეიძეს აბრალებდნენ შეიარაღებული აჯანყების მოწყობის მცდელობას და ყოველგვარ ორგანიზებულ ქმედებას, რომელიც მიმართული იყო დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის. ამ მუხლების საფუძველზე საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის“ 1937 წლის 4 სექტემბრის დადგენილებით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სინამდვილეში ოსმან სულეიმანისძე ჩხეიძე ბათუმში დახვრიტეს 1937 წელს (სისხლიანი გრიგალის ექო. აჭარა. თბილისი, 2001:86; გაზ. „სრულიად არასაიდუმლოდ“, 1997, N 8, გვ. 17). შინსახკომმა 1937 წლის დეკემბერში დააპატიმრა ოსმან ჩხეიძის უმცროსი ძმა მამუდი, რომელიც ოჯახში აღარ დაბრუნებულა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

ხულოს რაიონში არსებობდა 5 სასოფლო სამომხმარებლო კოოპერატივი (ხულოს, შუახევის, სხათის, ხიხაძირის, ყარადერეს). გარდა ამისა, ხულოს რაიონულ ცენტრში და შუახევეში იყო სასოფლო სავაჭრო მაღაზიები, რომლებიც სამომხმარებლო კოოპერატივების დაქვემდებარებაში არ შედიოდნენ. 1937-1938 წლებში „კონტრრევოლუციური საქმიანობა“ დასწამეს ხულოსა და სხალთის სამომხმარებლო კოოპერატივების თავმჯდომარეებს ახმედ ჯორბენაძეს, ისაკ ბერიძეს, ხულოსა და შუახევის ცენტრალური მაღაზიების დირექტორებს მუსტერ ბოლქვაძესა და მუხამედ ვარშანიძეს. ოფიციალური ცნობით, ახმედ იშილისძე ჯორბენაძე დაბადებულია 1897 წელს ხულოს რაიონის სოფელ ძირკვაძე-ეში. იგი ერთ-ერთი პირველი კომუნისტი იყო ხულოს რაიონში. კომუნისტური პარტიის წევრად მიიღეს 1925 წელს და სახელმწიფო, პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება გააჩნდა.

ახმედ იშილისძე ჯორბენაძე შინსახკომმა 1938 წლის აპრილში დააპატიმრა. საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომმა 20 აპრილს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა და სამუშაოდან მოხსნა, როგორც „კონტრრევოლუციონერი“. ახმედ იშილისძე ჯორბენაძეს აბრალებდნენ შეიარაღებული აჯანყების მცდელობას (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-2 მუხლი) და ყოველგვარი ორგანიზებულ ქმედებას, მიმართული დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის (მუხლი 58-11). საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის“ 1938 წლის 29 აპრილის

დადგენილებით ახმედ იშილისძე ჯორბენაძეს დახვრეტა მიუ-საჯეს, რაც მეორე დღეს აღასრულეს (ასს ცსა, ფ. პ-12, ან.26, ს. 2143, ფურც. 15; სისხლიანი გრიგალის ექო. აჭარა. თბილისი, 2001:201). ამჟამად ახმედ იშილისძე ჯორბენაძე რეაბილიტირებულია, დანაშაულის არარსებობის გამო.

სხალთის სამომხმარებლო კოოპერაცივის თავმჯდომარე ისაკ ინუსისძე ბერიძე 1938 წელს, 35 წლის ასაკში დახვრიტეს. იგი და-ბადებულია 1903 წელს ხულოს რაიონის სოფელ ფურტიოში. წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლა მშობლიურ სოფელში დაამთავრა. 1924-1927 წლებში ფურტიოს ქოხ-სამკითხველოს გამგე იყო. შემდგომში „აჭარტყის“ სისტემაში მუშაობდა. 1929-1930 წლებში სხალთის საწარმოო ამხანაგობის თავმჯდომარეა 1931-1934 წლებში მუშაობდა სხალთის სასოფლო სამომხმარებლო კოოპერა-ტივის თავმჯდომარედ, (ორჯერ) 1934-1935 წლებში იყო აჭარკო-ოპკავშირის დამზადების ხულოს რაიონული კანტორის მმართვე-ლი. 1936 წლის თებერვალში მესამედ დანიშნეს სხალთის სა-მომხმარებლო კოოპერაცივის თავმჯდომარედ.

ისაყ ბერიძე კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1932 წლიდან. „კონტრრევოლუციური საქმიანობის“ ფალსიფიცირებული ბრალდებით 1937 წლის 14 დეკემბერს კომუნისტური პარტიიდან გარიცხეს და დააპატიმრეს. იგი თავს დამნაშავედ არ ცნობდა. სა-კავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის იანვრის პლენუმის შემდეგ პარტიაში აღადგინეს, მაგრამ მცირე ხნით. 1938 წლის 7 მაისს საქართველოს კომპარტიის ხულოს რაი-კომმა კომუნისტური პარტიიდან გარიცხა (ასს ცსა, ფ. პ-12, ან.26, ს. 2138, ფურც. 2, 6-9; ს. 2143, ფურც. 15-16). ისაყ ინუსისძე ბერი-ძე 1938 წელს დახვრიტეს.

მუხტერ დურსუნის ასული ბოლქვაძე დაბადებულია 1904 წელს, იგი ხულოს რაიონში აჭარელ ქალთა შორის პირველი კომუ-ნისტი იყო. პარტიის წევრად მიიღეს 1931 წელს. მუშაობდა პარტი-ის ხულოს რაიკომის ინსტრუქტორად, მცირე ხნით ხულოს რაი-აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელიც იყო. აქედან გადაიყვანეს რაიონული ცენტრალური მაღაზიის დი-რექტორად. 1937 წლის სექტემბერში შინსახკომმა დააპატიმრა. ამის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომმა კომუ-ნისტური პარტიიდან გარიცხა და თანამდებობიდან მოხსნა. სა-ქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის“ 1937 წლის გა-

დანყვეტილებით მუხტერ ბოლქვაძეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, გადაასახლეს რუსეთის ფედერაციის უკაცრიელ მხარეში. მძიმე კატორღული პირობების მიუხედავად სიცოცხლე შეინარჩუნა და სასჯელის მოხდის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში. ამჟამად მუხტერ დურსუნის ასული ბოლქვაძე რეაბილიტირებულია დანაშაულის არარსებობის გამო.

მუხამედ ხასანისძე ვარშანიძე დაბადებულია ხულოს რაიონის სოფელ სამოლეთში 1896 წელს. იგი დაბალი განათლებით იყო. კომუნისტური პარტიის წევრი გახდა 1931 წელს. მუხამედ ვარშანიძე მუშაობდა სამოლეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, პარტიული ორგანიზაციის მდივნად. არჩეული იყო პარტიის ხულოს რაიკომისა და რაილმასკომის პლენუმის წევრად. 1937 წლის 16 ივნისიდან შუახევის სასოფლო მაღაზიის დირექტორი იყო. „კონტრრევოლუციური საქმიანობის“ ბრალდებით 1938 წლის აპრილში შინსახკომმა დააპატიმრა. საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომმა 7 მაისს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა და თანამდებობიდან მოხსნა. მუხამედ ხასანისძე ვარშანიძე გადაასახლეს რუსეთის აღმოსავლეთის მხარეში, სადაც კატორღულ პირობებში დაასრულა სიცოცხლე.

დურსუნ როსტომისძე ბერიძე (დაბადებულია რაგვთაში 1905 წელს) კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატი იყო 1931 წლიდან. 1919-1993 წლებში მუშაობდა სოფლის მეურნეობაში რიგით მეურნედ. 1933-1934 წლებში იყო სოფლის სავაჭრო წერტის (დუქანი) გამგე, 1934-1935 წლებში-მეტყევე, 1935-1937 წლებში-სოფელ რაგვთის მაღაზიის გამგე. „კონტრრევოლუციური საქმიანობის“ ყალბი ბრალდებით შინსახკომმა 1937 წლის სექტემბერში დააპატიმრა. საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომმა 29 სექტემბერს კომუნისტური პარტიიდან გარიცხა. დურსუნ როსტომისძე ბერიძე 10 წლით გადაასახლეს რუსეთის აღმოსავლეთის მხარეში, სადაც ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი (ასს ცსა), ფონდი (ფ.) პ-1, ანაწერი (ან.) 4, საქმე (ს.) 223;
2. ასს ცსა, ფ. პ-1, ან.9, საქმეები (სს.) 107, 240, 302;

3. ასს ცსა, ფ. პ-6, ან. 12, სს. 22, 26;
4. ასს ცსა, ფ. პ-7, ან. 1, სს. 58, 59, 60, 82, 94;
5. ასს ცსა, ფ. პ-8, ან. 1, ს. 67;
6. ასს ცსა, ფ. პ-11, ან. 2, სს. 88, 89, 91, 93, 101, 109, 112, 117, 122, 147, 1471, 1495;
7. ასს ცსა, ფ. პ-12, ან. 2, სს. 71, 83;
8. ასს ცსა, ფ. პ-12, ან. 26. სს. 2134, 2136, 2138, 2142, 2143, 2145, 2148, 2154;
9. გაზეთი, „აჭარა“, 1997, 17 მაისი (N 95-96);
10. გაზეთი „სრულიად არასაიდუმლოდ“, 1997, N 8;
11. სისხლიანი გრიგალის ექო. აჭარა. თბილისი, 2001;
12. რ. სურმანიძე, ტრაგედია ბათუმში (1937-1938 წწ.) თბილისი, 2014 (სურმანიძე რ. 2014);
13. გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, 1937, 11 ოქტომბერი (N 234);
14. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი (ასმხფ);
15. გაზეთი „ბატუმსკი რაბოჩი“, 1937, 4 ოქტომბერი;
16. გაზეთი „კომუნისტი“, 1937, 26, 28, 29 სექტემბერი (N 220, 222, 223);
17. გაზეთი „სრულიად არასაიდუმლოდ“, 1997, N 5-6;
18. გაზეთი „სრულიად არასაიდუმლოდ“, 1997, N 7.

Otar Turmanidze

***Destroying the staff of
agrarian sector and agricultural trade cooperatives
Summary***

By 1937 there were 19 state farms in Ajara. Among them are Kobuleti region -12 (this number includes Chakvi branch of Anaseuli Scientific-Research Institute) and in Batumi district - 7 farms.

In the parallel with the repressions of the state, party and civil society organizations of the Autonomous Republic of Ajara, arrest and killing of industrial workers of the village farm were going on. These issues are discussed in the article.

**БОРЬБА ГРУЗИИ ЗА НЕЗАВИСИМОСТЬ
- ДИПЛОМАТИЧЕСКОЕ ДЕЙСТВИЕ: ИСТОЧНИКИ ИЗ
АРХИВА МИНИСТЕРСТВА ИНОСТРАННЫХ ДЕЛ
РУМЫНИИ, 1921-1924 ГГ.**

Распад Российской империи позволил народам Армении, Азербайджана, Грузии, Северного Кавказа и Украины возродить жизнь независимых государств на демократических основах. Эти усилия, однако, были прерваны правопреемницей царской России - Советская Россия, вторжением на территории этих государств (1920-1921гг.), отменой национальных исполнительных и законодательных органов, в контексте общей национализации в интересах Москвы и терроризации населения.

В этом контексте, враждебность местного населения достигла самого высокого уровня гражданского и политического протеста и вооруженной борьбы, чему последовали кровавые репрессии. По причине особенностей географического положения, но в основном из-за вынужденной изоляции и советской дезинформации, о грузинских реалиях в Европе узнавали поздно или вообще не узнавали.

После окончательной установки советской власти в Грузии, единственными прямыми информационными каналами для властей в Бухаресте были грузинские дипломатические миссии в Париже и Константинополе, руководители румынских миссий поддерживали хорошие отношения с представительствами Грузии и после 1921 года. Третьим косвенным каналом была румынская дипломатическая миссия в Варшаве, которая информировала, в частности, о событиях в Грузии с 1924 года, на основании данных, полученных на местном уровне или из Риги. Следует отметить, что информации из этих миссий сопоставлялись с результатами, полученными от властей и средств массовой информации из страны пребывания.

Эти первоисточники, выявленные в архивах Министерства иностранных дел Румынии¹, являются предметом нашего синтеза и

¹ Далее АМИДР.

анализа, охватывающего период 1921-1924 гг. Разделенные, с точки зрения происхождения, на три категории (румынские, грузинские, советские), учитывая пресловутый пропагандистский и дезинформаторский характер советских коммюнике (из Москвы или от дипломатических миссий), мы остановились только на первые две категории, совершенно неизвестные.

С точки зрения редактирования, коммюнике румынских миссий принимают форму докладов или дипломатических телеграмм, на румынском языке, а грузинские представляют вербальные информационные ноты и/или ноты протеста или коммюнике на французском языке. С точки зрения затронутых тем, источники охватывают политическую, экономическую, социальную и культурную жизнь Грузии, а также борьбу грузинского народа против советского оккупанта.

Первый документ про ситуацию в Грузии, в период, охватываемый нашим исследованием, найденный в АМИДР зарегистрирован в Министерстве иностранных дел² 12 февраля 1921 г. Посредством телеграммы №1642 от 9 февраля 1921 года на имя Таке Ионеску, румынская легация в Париже сообщала центральному аппарату министерства о признании правительств Эстонии, Латвии и Грузии со стороны Франции³.

Телеграммой №407 от 20 февраля 1921 года, легация Румынии в Константинополе информировала центральный аппарат МИДа о том, что Грузия находилась в преддверии полной большевистской оккупации, дипломатические представители покинули столицу страны, за исключением представителя Италии, согласно которому кемалисты сильно выступали против оккупации города Батуми русскими. Румынский дипломат указывает, что запоздалое международное признание Грузии ничего хорошего не принесло⁴.

9 июня 1921 года министр Грузии в Париже А. Чхенкели сообщил Дм. И. Гике, полномочному министру Румынии во Франции, вербальной нотой №1354, о провозглашении так называемого Советского Правительства Грузии, „с помощью московских штыков»,

² Далее МИД.

³ АМИДР, Ф. 71/СССР. 1920-1944, оп. 37, л. 33.

⁴ АМИДР, Ф. 71/СССР. 1920-1944, оп. 1, л. 33.

на самом деле, «простой инструмент в руках оккупантов» без какого-либо внутреннего органа, навязанный только внешней силой⁵.

Тот же министр Грузии, вербальной нотой №2230 от 23 ноября 1921 года, сообщал румынским властям, через легацию в Париже, о подписании договора «советскими революционными организациями» в Тифлисе, Баку и Ереване, с одной стороны, и Великим Национальным Собранием Ангоры, с другой стороны, в Карсе, согласно которому «значительная часть территории Грузии была передана Турции». Обращалось внимание международного сообщества на отсутствие мандата в этом отношении «тех, кто временно оккупировали земли», соответственно, на отсутствие юридической силы документа⁶.

23 декабря 1921 года, вербальной нотой №2360, Асатисни, временный поверенный в делах Грузии в Париже, информировал посольство Румынии о том, что провозглашение кавказского федерального государства является искусственным созданием, которое отменяет международно-правовой статус грузинского государства.

Грузинский дипломат указывал, что, несмотря на все депортации и репрессии, жертвы узурпации власти советскими оккупантами, грузинский народ никогда не прекращал протестовать против авторитарного режима, насажденный силой штыков. Требовалось доведение до сведения Правительства Румынии о том, что грузинский народ считает недействительными все правовые акты, заключенные захватчиками⁷.

24 февраля 1922 года Комиссариат Румынии в Турции направил Центральному аппарату МИД ноту относительно последних событий в Грузии, полученную от Гварджаладзе, дипломатического представителя грузинского правительства в Константинополе. В прилагаемой ноте указывается, что по всей Грузии организовывались протесты и демонстрации с призывами покидания страны войсками Красной Армии и восстановления демократии.

«В Батуми, Тифлисе и Кутаиси и во всех регионах проходят протесты против оккупации страны большевиками. В Батуми, как и в

⁵ АМИДР, Ф. 71/СССР. 1920-1944, оп. 37, л. 35.

⁶ Там же, л. 36.

⁷ Там же, л. 39.

других местах, русские солдаты стреляли в население. Есть много жертв, число пока не известно. Железнодорожные линии были прерваны на несколько дней и магазины будут закрыты по всей стране. Происходят многочисленные аресты. Только в Батуми были задержаны учителя из школ, 500 учеников коллегий, офицеры и грузинские политики, независимо от их про или антибольшевицких ориентаций.»

Курс советской валюты упал и цены достигли максимального уровня. Один ливр хлеба стоил 60.000 советских рублей и пуд кукурузы - 1.100.000 рублей. Грузия не принимает эти деньги, каждый надеется, что Грузия восстановит свою независимость. „Большевики потеряли свою голову и паникуют; грузинские коммунисты и их пресса умалчивают об этих событиях»⁸.

Один из самых обширных материалов этого периода является меморандум представителя Грузии в Константинополе, посланный румынскому министру иностранных дел Комиссариатом Румынии в Турции 4 марта 1922 г. Автор документа анализирует первый год советского присутствия в Грузии. Одна из причин установки большевиков в Грузии связана с способом проведения восточной политики.

Советские ожидания по привлечению на их сторону грузинского сообщества еще не завершились - за исключением некоторых отдельных лиц, все слои общества имеют враждебное отношение к большевикам, пример этому акции протеста в Тифлисе в феврале 1921 г. Не сумев привлечь местное население на свою сторону, Советская Россия обращается к пришельцам, что положило начало антигрузинской политики.

Репрессии стали касаться рабочих и крестьян, отказавшихся присоединиться к грузинской большевистской армии. В то же время новые военные контингенты и чужие должностные лица были доставлены в Грузию, а кроме того - голодное население Поволжья. Иммиграция была систематической и преднамеренной с целью создания враждебного элемента в Грузии, грузинскому обществу, примером служили города Тифлис и Батуми, население которых значительно увеличилось.

⁸ Там же, л. 41.

Экономическая ситуация ухудшилась изо дня в день, до полного исчезновения промышленности и до скорейшего упадка сельского хозяйства. Так называемое „русское явление» встречается в Грузии - голод и отток квалифицированных рабочих и интеллектуалов, чтобы спасти себя от голода и эпидемий. Кража общественной собственности имеет массовый характер.

Установление советской власти совпадает с началом процесса русификации Грузии. Грузинский язык, хотя и признается советскими декретами, удаляется из государственных учреждений (например, директор Закавказской железной дороги запрещает официальную переписку на грузинском языке и Ревком Грузии не протестует).

Перегруженное налогообложение разрушило национальную экономику. Сбор и налогообложение натурой изначально ориентировались на зерновые и фрукты. Грузинское село должно было поставлять один миллион фунтов зерновых, полмиллиона ведер вина. Завышение суммы налогооблагаемых товаров разрушило сельские местности.

Если в первые два месяца оккупации, большевики, в соответствии с постановлением амнистии грузинского Ревкома, избегали расправы, далее они были применены к военным Народной Гвардии, чиновникам старого режима и к тем, кто поддерживали республиканское правительство. Документ сообщает о наличии 400 политических заключенных в тюрьмах Тифлиса и около 2000 в провинции, 80-90% из этих заключенных происходили из сельской местности и из рабочего класса.

Итог первых 11 месяцев „большевистского военного правления» начинается с оценкой большевизма в России, где коммунистическая тактика основана на использовании террора. Суть большевистского режима - подавление устойчивости населения. Подавление свободы слова, письма, собраний, привели к расторжению социальной солидарности, к социальному распаду, соответственно, к изоляции граждан. Выживание большевизма в России объясняется не его силой и влиянием на население, а отсутствием каких-либо политических сил.

Вывод автора документа о том, что все эти методы не получили ожидаемого результата в Грузии, что большевики нашли здесь общество глубоко враждебное к коммунистической системе. По его

словам, „распределение сил в Грузии таково, что присутствие оккупационных сил контингента не может позволить грузинскому народу разбить ярмо большевиков»⁹.

8 марта 1922 года румынская миссия во Франции передавала МИДу в Бухаресте, через сообщение №470, копии телеграммы, полученную из Константинополя от Грузинского посольства во Франции, о последних событиях. Согласно телеграмме, по случаю первой годовщины большевистской оккупации, всю Грузию пересекали протесты, Россия отвечала массовой мобилизацией войск, особенно в Тифлисе, усеянный в начале февраля 1922 года, артиллерией, кавалерией, бронетехникой и авиацией.

Передаются сведения о военных действиях в Лантекхути, Квирилли (бомбардировки бронепоездов) или в Сигнахске, где советы сосредоточили артиллерию, кавалерию и 600 чекистов. Передается случай национального поэта Разикашвили, который, „доведенный до отчаяния, убил главу Революционного комитета Меджуриякхеви и еще двоих чекистов» и которого „большевики разрезали на куски и бросили собакам»¹⁰.

Вместе с сообщением комиссариата Румынии в Константинополе №616 от 3 апреля 1922 г. МИД получал ноту от Гварджаладзе, дипломатического представителя Грузии, в котором указывается, среди прочего, кризис через который проходит грузинский народ, „страшный продовольственный кризис», голод в разных местах, но и определенность „народа Грузии свергнуть большевистское иго, чтобы быть свободными от оккупантов и восстановить национальную независимость»¹¹.

5 августа 1922 г. посольство Грузии во Франции передало румынскому посольству в той же стране ноту № 665 о плохом обращении, которому подвергаются грузины со стороны оккупационных войск Красной Армии; принуждение даты 25 февраля (дата вступления советских войск в Грузию) в качестве Национального дня и подавление мероприятий, посвященных 25-го и 26-го мая, дни

⁹ Там же, лл. 40-60.

¹⁰ Там же, лл. 63-64.

¹¹ Там же, лл. 65-66.

провозглашения независимости Грузии. Примером варварства приводится Тифлис, где были подвергнуты пыткам и казни антисоветские демонстранты. Автор дипломатического документа, А. Чхенкели, рассказывает про терроризирование „лучших сынов Грузии», протестует от имени своего правительства и выражает надежду на то, что правительство Румынии „не останется равнодушным и займет позицию против такого уничтожения людей»¹².

6 октября 1922 г. посольство Грузии во Франции отправило румынскому представительству в той же стране ноту протеста №770 против режима, которому поддаются грузины со стороны Советской России. Румынскому правительству доводится до сведения информация о восстаниях в провинциях Кхевосуретхи и Дучхетхи против российских оккупационных властей; про массовые аресты в Тифлисе, жестокое обращение с задержанными, отправки некоторых из них в тюрьмах России¹³.

Через сообщение министру Румынии в Константинополе №691 от 23 апреля 1923 г. МИДу передавался отчет о ситуации в Грузии, полученный от местного грузинского коллеги. В сущности, обширная презентация представляет итог двух лет советской оккупации. Цель Москвы для подавления грузинского национального настроения осуществляется с помощью „грубой силы и террора по всей стране». Грузинские официальные лица удаляются из администрации и заменяются чужими - „русские и армяне лояльные оккупационному режиму». Эта политика описывается как „реакционная и аннексионистская» и оккупация - „невыносимый режим угнетения, направленного исключительно против грузинского элемента», грузины не имели другого выбора, кроме как бороться за национальное освобождение.

Приводится случай местного диктатора, Оболадзе, посланный во главе репрессивного отряда в регионе Гори и убитый местными жителями, смерть которого послужило поводом для дальнейших массовых казней. Например, в ночь на 14 февраля, в Тифлисе, были убиты 92 человек и 50 человек в Батуми. В сельских местностях

¹² Там же, лл. 69-71.

¹³ Там же, лл. 66-68.

землевладельцы были обязаны предоставлять свои земельные участки членам Коммунистической Партии. Религиозное чувство населения „оскорбляется и имеет ту же участь, что и национальное чувство».

В заключение, международному сообществу доводится до сведения, что „вся страна превращается в боевое поле, условия в которых излишне говорить о развитии экономической и интеллектуальной жизни. [...] Одним словом, террор, разруха, деградация, грязь - вот судьба Грузии под русско-большевистской оккупацией»¹⁴.

20 июня 1923 г. та же миссия передает румынскому министру иностранных дел И. Г. Дуке письмо из Тифлиса от 19 мая того же года, что подтверждает ситуацию, описанную в дипломатических грузинских документах, поступивших в Бухаресте, которое делится на разделы: инфляция, порождающая нищету; плохое промышленное производство и враждебность местного населения; борьба против религии; политический режим.

Вывод: „Несмотря на нищету, аресты, депортации и бесконечные расстрелы, грузинский народ продолжает интенсивную борьбу против большевиков. Под этим мы видим ненависть против нынешнего режима и российских оккупантов. Этому способствовали все силы любви к свободе родины, что привело к гибели тысячи сыновей. Но все грузины убеждены, что героические смерти ведут к воскресению свободной и независимой Грузии»¹⁵.

Через ноту посольства Грузии в Париже №421 от 21 июня 1923 г. Румынская сторона информируется о зверствах большевиков в Грузии, только в феврале того же года были казнены без суда 200 человек, десятки политических заключенных перевозили в Россию¹⁶.

Та же легация передает центральному аппарату МИД сообщением №800/E1 от 18 декабря 1923 года ноту грузинской миссии во Франции №1030 про уголовные процедуры большевиков в Грузии. Они перечислены и подробно описаны, сосредоточившись на массовые расстрелы патриотов Грузии, которые продолжают борьбу за независимость своей страны и ликвидацию автокефалии Грузинской

¹⁴ Там же, лл. 72-75.

¹⁵ Там же, лл. 76-82.

¹⁶ Там же, лл. 83-85.

Православной Церкви (независимая с XVII ст. до XIX ст., которая восстановила свою независимость в 1917 году) и подавления её руководства.

Министр Грузии А. Чхенкели не только информирует, он просит довести до сведения правительства Румынии его официальный протест против нарушений прав человека в Грузии, „беспощадная атака на свободу совести грузинского народа»¹⁷.

В 1924 году информационный поток в румынском направлении о политическо-экономическом положении в Грузии значительно снижается, глава румынского представительства в Константинополе, называя уже своего коллегу, в тематичном сообщении для МИДа 9 сентября, „бывшим представителем бывшего Национального Правительства Грузии». В этом сообщении (№1482), и. о. министра иностранных дел Г. Мырзеску предлагается объяснение ситуации: „Из-за мер, принятых советской властью, даже грузинские местные круги не в состоянии иметь точную информацию о событиях на Юге России».

Приложение ноты №1482 относится к всеобщему восстанию, которое охватило не только Грузию, но и весь Кавказ, даже если СССР говорило об этом как „о местных и незначимых нападениях контрреволюционных банд», в то же время принимая меры для изоляции Грузии от цивилизованного мира. Батуми находится в руках советских властей, вблизи него, „российские войска захватили 500 заложников, пожилых людей, женщин и детей, которые были собраны и увезены в неизвестном направлении. Тысячи грузин из Тифлиса и Батуми пойманы и брошены в тюрьмах ЧК. 22 грузин были приговорены к смерти в Тифлисе, еще 21 в Батуми. Известны имена нескольких выстреленных»¹⁸.

О том же восстании в Грузии и на Кавказе сообщает легация Румынии в Константинополе, отправляя МИДу, в приложении, сообщение №1527 от 11 сентября 1924 года, представляя тематическую передовую статью из газеты „Стамбул» того же дня, в котором предлагается и отражение в румынской прессе, „помогая

¹⁷ Там же, лл. 85-86.

¹⁸ Там же, лл. 89-91.

просвещать наше общественное мнение о борьбе народов России против нынешнего угнетающего режима»¹⁹.

Из телеграммы румынского посольства в Варшаве №4055 от 13 сентября 1924 г. следует, что „бунт в Грузии набирал тревожные обороты и кавказское население, большинство из которых мусульмане, попросило помощь у правительства Ангоры»²⁰.

Растущая изоляция Грузии подтверждается и телеграммой министра Румынии в Константинополе №1507 от 15 сентября 1924 года, которая сообщает о своей встрече с К. С. Гварджаладзе - „бывшим представителем бывшего национального правительства Грузии», соответственно и о его пессимизме „относительно успеха грузинского восстания». Гварджаладзе, „может из-за сдерживающих мер советской власти, лишь с трудом успел получить точную информацию о масштабах революционного движения»²¹.

На следующий день, тот же румынский дипломат передает в Бухарест советские коммюнике из Турции по ситуации в СССР отмечает, что „из того как написаны эти сообщения можно легко сделать выводы о значении событий в Грузии. К сожалению, до сих пор не хватает точной информации о реальной ситуации в этой части России. Отсутствуют, в основном, информации о ситуации на Кавказе, без поддержки которого, в отсутствие иностранной помощи, грузинское восстание обречено на подавление со стороны массы красных войск».

В приложении сообщения указывается на то, что новые советские войска продолжают поступать в Грузию, терроризируя грузинское население. Целые деревни сожжены, повсеместно происходят массовые расстрелы. Про казнь нескольких десятков человек узнаем из Кутаиси. Вооруженные люди отступают в горы, где продолжают борьбу»²².

17 сентября 1924 г. министр Румынии в Варшаве, сообщением №4124, информирует МИД о том, что информация, полученная из

¹⁹ Там же, лл. 92-93.

²⁰ Там же, л. 94.

²¹ Там же, л. 96.

²² Там же, лл. 98-101.

Риги, подтвержденная польскими источниками, „подтверждает новости про расширение восстаний на Кавказе и в Грузии против советского господства, а также про поспешное отправление комиссара Троцкого в Батуми, чтобы принять команду большевистских войск, посланных против повстанцев».

К. М. Лаптев докладывает и о встрече с председателем Грузинского Комитета в Польше, Павлом Тумановым, во время которой князь спросил его если Румыния может помочь грузинам в антисоветских действиях, под оказанием помощи подразумевая оружие и боеприпасы.

Ответ: „В первую очередь Румыния не может вмешиваться в конфликте, обеспечивая, возможно, необходимое оружие, потому что это означало бы, что мы отходим от нейтралитета, который мы должны соблюдать по отношению к обеим сторонам, а потом мы не видим, даже если хотим помочь повстанцам, как мы можем отправить это оружие». Грузинский собеседник заявил, что запрашиваемое вмешательство осталось бы секретным, оружие могло бы быть отправлено подлодками, а реплика Лаптева была в смысле того что Румыния не имеет подводных лодок; Румыния сама импортирует оружие и боеприпасы.

Князь Туманов подтвердил румынскому дипломату, что „новости, которые он получил от комитетов Грузии в Париже и Константинополе, подтверждают, что движение против Советов распространилось и в Азербайджане, Кубани, Тереке и Дербене, что железнодорожная линия, единственная, которая соединяет Кавказ с Россией, находится в руках повстанцев, и в настоящее время единственный открытый путь для российских войск это Батуми»²³.

Из коммюнике „представителя в Константинополе бывшего Национального правительства Грузии» Гварджаладзе, переданный румынскому представителю в Турции „в виде информации» и повторно переданный МИДу 19 сентября 1924 г., следует, что упомянутая выше железнодорожная дорога был оккупирована заново советскими войсками, повстанцы все еще держали контроль над

²³ Там же, л. 142.

большим количеством населенных пунктов, а регионы Зугдиди и Сенаки находятся в полном восстании.

Советская Армия широко использовала артиллерию, танки и авиацию против повстанцев. В Тзепаду 3.000 боевиков пытаются удержать советских. Регионы Зугдиди и Сенаки находятся в полном восстании. Бунт приобрел характер крупномасштабной партизанской войны. Тюремная охрана Батуми была удалена и заключенные сбежали. Среди сотен казненных людей сообщается о большем количестве женщин. В Батуми не было никакого выхода армии, ЧК казнил Агату Горделадзе²⁴.

Тоже в связи с антисоветском движении в Грузии, на следующий день, представительство Румынии в Польше информировало МИД о встрече в Варшаве, организованная 18 сентября Польской Социалистической Партией в пользу независимости Грузии и кавказских республик. Выступающие осудили советское самодержавие и в конце встречи участники проголосовали за следующее решение: „Долой большевизм! Да здравствует социализм! Да здравствует независимая Грузия! Да здравствует братство свободных народов, равноправных и независимых». Польская полиция запретила шествию, сформированное после встречи, протестовать у посольства СССР.

Городской совет Варшавы проголосовал за отправку главы национального правительства Грузии, от имени польской столицы, следующую телеграмму: „В то время, когда народ Грузии поднялся, чтобы разорвать цепи советского рабства и приобрести, ценой собственной крови, право свободного определения и восстановления ее демократической независимости, Варшава посылает благородному грузинскому народу братский привет и пожелания победы для приобретения своей независимости и мирного развития»²⁵.

Также, в сентябре 1924 г., румынское посольство в Турции направляет центральному аппарату МИД бюллетени Совесткого бюро прессы в Константинополе, содержащие материалы советской пропаганды о событиях в Грузии (написанные в известном стиле, представляя повстанцев в стиле авантюры врагов диктатуры

²⁴ Там же, л. 98.

²⁵ Там же, л. 105.

пролетариата, интриги грузинской эмиграции, ложных надежды Франции и Англии, и т.д.). Миссия также сообщает про статьи из турецкой прессы, информирующие о восстании, но без комментариев²⁶.

4 октября 1924 года министр Румынии в Варшаве присылает телеграмму №4417 румынскому министру иностранных дел, через которое информирует, из местных военных источников, что генерал Сикорский „подумывает, что польское правительство поможет грузинам»²⁷.

Через несколько дней (сообщение №4544 от 11 октября 1924 г.), тот же глава миссии передает обширную информацию по этому вопросу. МИД информирован, что в польской армии находятся для обучения более 50 грузинских офицеров, представляя, в какой-то момент, вопрос о направлении их в Грузию, но отказались от идеи по просьбе Национального Комитета Грузии в Париже. Кроме того, отказались от идеи предоставления материалов грузинским повстанцам в Варшаве. По словам информатора румынского дипломата, „Все, что мы можем сделать [...], это дать им нашу моральную поддержку и помочь грузинам, находящимся на нашей территории; любое материальное усилие [...] в пользу повстанцев практически невозможно, учитывая расстояние и сложность иметь прямой контакт с Грузией»²⁸.

Последнее сообщение в 1924 году про ситуацию в Грузии это №1684/7 октября и поступило в МИДе из Турции, о выпуске коммюнике бывшего представителя грузинского национального правительства в Константинополе.

Гварджаладзе показывает в коммюнике о привлечении новых советских войск в Грузии, из Армении, Азербайджана, Южной России и от границы с Румынией (несколько дивизий). В некоторых стратегически важных местах в Грузии благоприятных для повстанцев, битвы имели характер крупных военных операций. В Сванети укрылись революционные отряды, которые отступили в

²⁶ Там же, лл. 106-111.

²⁷ Там же, л. 117.

²⁸ Там же, л. 120.

Кутаиси, они захватили 500 советских солдат, 5 орудий и пушку. В таких регионах, как Гори, Мингреди, Дучхети, Тхионетхи, Кахети, ведется партизанская война, на уровне тысяч грузинских комбатантов²⁹.

Даже если выходит за хронологические рамки исследования, в контексте, стоит отметить конфиденциальный доклад румынского консула Василе Д. Штирбу от 16 мая 1933 г. В документе, рассматриваемый румынским министром иностранных дел, находим, что самым высокопоставленным представителем правительства независимой Грузинской Республики, который посетил межвоенный Бухарест, был Иосиф Салакая, заместитель министра финансов в правительстве 1918-1920 годах.

Салакая приехал из Парижа, посланный Комитетом по вопросам Грузии, возглавленный Н. Жордания, бывшим президентом Грузинской Республики. Он должен был, в первую очередь, распространять идеи о независимости Грузии, „вопрос, по его мнению, совершенно неизвестный в Румынии», намереваясь вступить в контакт с румынскими политическими лидерами, в том числе с представителями дипломатических кругов.

Салакая провел в Бухаресте конференцию по грузинскому вопросу, которая была отражена в румынской прессе, а затем предоставил агентству „Радор» информации антисоветского характера о грузинском вопросе и о ситуации на Кавказе. Среди других действий, он послал автору доклада информативный меморандум по грузинскому вопросу и соответствующую литературу, „которые могут сформировать начало исследования сепаратистского движения угнетенных народов России»³⁰.

В заключении, все эти источники, которые являются предметом нашего исследования, позволяют узнавать:

1) уровень знаний грузинских реалий в первые годы советской оккупации, сосредоточив внимание на враждебность народных масс и интеллигенции, сопротивление Советской России, соответственно

²⁹ Там же, лл. 118-119.

³⁰ Там же, лл. 137-138.

СССР (довольно низкий уровень, из объективных и субъективных причин, изложенных выше);

2) скорость передачи информации про грузинских реалий в начальном этапе советизации (крайне низкая скорость, учитывая расстояние между Румынией и Грузией и отсутствие прямого транспорта, отсутствие грузинской дипломатической миссии в Бухаресте);

3) позиция и реакция Румынии на события в Грузии, особенно в 1924 году, когда антисоветское восстание стало всеобщим (высокий интерес, моральная поддержка, но сохраняется нейтральность, из-за непосредственной близости к советскому колоссу, военной непосредственной угрозы на Днестре, ограниченных возможностей для вмешательства).

თამაზ ფუტყარაძე
ციცი ცინცაძე
სოსო სტურუა

გურია-სამეგრელოს ეპარქია და ეპისკოპოს
გრიგოლის წერილები დეკანოზ
სიმონ ქიქოძისადმი

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, მე-19 საუკუნის დასაწყისში, ქვეყნის ტერიტორიაზე არსებობას განაგრძობდა ქართლის (საქართველოს) და იმერეთის//აფხაზეთის ავტოკეფალური საეპისკოსოები. აღნიშნულ ეპარქიებში შემავალ ეკლესიებში მიმდინარეობდა გარკვეული სახის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, მაგრამ ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის წყალობით ეს პროცესები მნიშვნელოვნად შეფერხდა. რუსეთის ხელისუფლებამ დღის წესრიგში დააყენა ქართული ეკლესიის რუსეთის ეკლესიასთან მიერთების საკითხი, რაც ნათლად გამოიხატა იმპერატორ ალექსანდრე პირველის მთავარმართებელ ტორმასოვისადმი მიცემულ დავალებაში. მართალია გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებით საქართველოს კათა-



ანტონ პირველი
(1720-1788)

ლიკოს-პატრიარქი უნდა ყოფილიყო სინოდის მუდმივი წევრი, მაგრამ ამავე დროს სამომავლო ურთიერთობები უნდა დაფუძნებოდა „საგანგებო პროტოკოლს“.

ტრაქტატის ტექსტის შემუშავებაში საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარი ანტონ I-ც მონაწილეობდა. ამის გამო მკვლევართა ნაწილი (მაგ. თ. ჟორდანია) მიიჩნევს, რომ რუსეთის საერო და სასულიერო ხელი-

სუფლებამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე გააუქმა (თუმცა

ტრაქტატში არც სამეფოსა და არც ეკლესიის რუსეთთან ინკორპორაციაზე ლაპარაკი არაა) (ნუგზარ პაპუაშვილი სა-

ქართველოს ეკლესია მე-19 საუკუნიდან დღემდე – <https://matiane.wordpress.com>).



ანტონ მეორე
(1762-1827)

1801 წლისათვის აღმოსავლურ ქართულ ეკლესიას ანტონ მეორე (ერისკაცობაში თეიმურაზი, შეარქვეს ბაბუის თეიმურაზის პატივსაცემად) ბაგრატიონი განაგებდა. იგი იყო ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის მეოთხე ვაჟიშვილი მეორე ქორწინებიდან.

ცარიზმმა პირველივე დღეებიდანვე დაიწყო მისი შევიწროება და აიძულეს იგი სამშობლო დაეტოვებინა. 1811 წ. კათალიკოსი საქართველოდან ძალით პეტერბურგში გაიწვიეს, სადაც უბოძეს ხავერდის მწვანე მანტია, აირჩიეს სინოდის წევრად, მიანიჭეს ანდრია პირველწოდებულის ორდე-

ნი და ჰონორარების გარდა ჯამაგირად 54 000 მანეთი დაუნიშნეს, თუმცა იგი ვერ შეეგუა გადასახლებას და საერთოდ ჩამოშორდა საეკლესიო სამსახურს

2011 წლის 11 ივლისს, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სინოდის განჩინებით ანტონ მეორე შეირაცხა წმინდანად **მრავალწინებული ანტონ II-ის** სახელით. მისი ხსენება დაწესდა 21 დეკემბერს (ახალი სტილით 3 იანვარი).

კათალიკოსის განწვევა საქართველოდან ფაქტობრივად იყო ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. შემუშავდა ქართული ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი მთავარმართებელ ალ. ტორმასოვის, ობერპროკურორ ალ. გოლიცინის და არქიეპისკოპოს ვარლამის (ერისთავი) მიერ. რეფორმის შედეგად გაუქმდა საქართველოს საკათალიკოსო და დაარსდა საეგზარხოსო და სასულიერო სასამართლო - დიკასტურია, რომელიც 1815 წელს საქართველო-იმერეთის „სინოდალურ კანტორად“ გადაკეთდა.



ალ. გოლიცინი
(1773-1844)



ალ. ტორმასოვი
(1752-1819).

ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ მიტროპოლიტი **ვარლამი** (*ვარლამ დავითის ძე ერისთავი*, ქსნის საერისთავო, 1763 - 1830). საქართველოს ეგზარხოსად გაამწესეს (1811-1814). იგი იყო ერთადერთი ქართველი ეგზარხოსი.



ეგზარხოსი ვარლამი

ცარიზმის საეკლესიო ე. წ. „ტორმასოვის რეფორმების“ შედეგად ეპარქიების რაოდენობა ორამდე შემცირდა (მცხეთა-ქართლის და ალავერდ-კახეთის), მონასტრებსა და საკათედრო ტაძრებს ჩამოერთვა ყმამამულები, თანდათან შეიზღუდა ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა. ალექსანდრე I-მა ეს ცვლილებები 1811 წლის 30 ივნისს დაადასტურა. შესაბამისად, ეს თარიღი ითვლება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების ოფიციალურ თარიღად.

უფრო ტრაგიკულად წარიმართა დასავლურ ქართული საკათალიკოსოს გაუქმების პროცესი. მეფე სოლომონ მეორის დაპატიმრების

შემდეგ (1810 წ. 20 თებერვალი) ცარიზმმა გააუქმა იმერეთის სამეფო, ცოტა მოგვიანებით კი (1814 წ. ოქტომბერი) აფხაზეთის//იმერეთის საკათალიკოსოც. იგი აღმოსავლეთ საქართველოს საეგზარხოსოსთან გააერთიანეს და უწოდეს „საქართველოსა და იმერეთის საეგზარხოსო“

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საეკლესიო და სამოქალაქო გაერთიანება - რუსეთის ეკლესიისადმი დაქვემდებარების მიუხედავად, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ქართული ეკლესია ვერ იქცა რუსეთის ეკლესიის განუყოფელ ნაწილად. „ეგზარქატი“ (ბერძნ.) რომელიც განსაზღვრული ტერიტორიის მიღმა მდებარე ადგილს აღნიშნავს (**ნუგზარ პაპუაშვილი საქართველოს ეკლესია მე-19 ს-იდან დღემდე – <https://matiane.wordpress.com>**). ე.ი. ჯერ არ განხორციელებულა ქართული ეკლესიის ინკონპორაცია. საეგზარხოსოს 106 წლიანი ისტორიის მანძილზე 18 ეგზარხოსი შეიცვალა და მხოლოდ ერთი, ვარლამი იყო ქართველი.

ცარიზმის საეკლესიო რეფორმა აღნიშნულით არ დასრულებულა. ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ეპარქიების გაერთიანებას. რუსეთის სინოდის 1885 წ. 12 ივნისის გადაწყვეტილებით, გურიისა და სამეგრელოს ეპარქიები გაერთიანდა. გურია-სამეგრელოს გაერთიანებულ ეპარქიას სათავეში ეპისკოპოსი **გრიგორი** ჩაუდგა (1886–1898). საეპისკოპოსო **ცენტრად გამოცხადდა ქ. ფოთი**.



ეპისკოპოსი გრიგოლი

გრიგოლი, ერისკაცობაში გიორგი დადიანი წარმოშობით ქუთაისის გუბერნიის სოფ. ქვიშხორიდან (მარტვილი) იყო. იგი დაიბადა 1824 წელს. 1845 წლიდან იგი მორჩილია, 1849 წელს კი ბერად აღიკვეცა. სხვადასხვა დროს იგი მოღვაწეობდა სოხუმის, ბიჭვინთის, აბჟუას, დავით გარეჯის საეკლესიო დანესებულებებში, 1886 წელს კი რუსეთის სინოდის გადაწყვეტილებით, გრიგოლს ეპისკოპოსის ხარისხი მიანიჭეს და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად აკურთხეს.

ეპისკოპოსი გრიგოლი გამუდმებით ზრუნავდა თავის ეპარქიაში სასულიერო განათლების სრულყოფისათვის. ამ მიზნით სოფ. ბანძაში გახსნა 2-წლიანი სამრევლო სკო-

ლა. ცარიზმი საქართველოსაგან სამეგრელოს ჩამოცილების მიზნით ცდილობდა კუთხური დაპირისპირებების გაღვივებას. კავკასიის სასწავლო ოლქის ზედამხედველის იანოვსკის მითითებით მეგრულად ითარგმნა ლოცვები. განზრახული იყო მეგრულ ენაზე სწავლების შემოღება სკოლებში. გრიგოლი წინ აღუდგა ცარიზმის ასეთ ცბიერ პოლიტიკას, ეწეოდა მოსახლეობაში ახსნა-განმარტებით მუშაობას და განუმარტავდა მრევლს ცარიზმის მზაკვრული პოლიტიკის არსს. მრევლის წინააღმდეგობის გამო ხელისუფლებამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა, მაგრამ გრიგოლი არასაიმედო პიროვნებად მიიჩნია, ეპარქია ჩამოართვა და მოსკოვში გაიწვია. მოგვიანებით (1901 წ) მას საქართველოში დაბრუნების ნება დართეს. საცხოვრებლად თავდაპირველად გელათის, შემდეგ კი მარტვილის მონასტერი მიუჩინა. სიცოცხლის უკანასკნელი წლები მარტვილის მონასტერში გაატარა. გრიგოლი გარდაიცვალა 1907 წ. ოქტომბერში. დაკრძალულია ჭყონდიდის დღევანდელ საკათედრო ტაძარში.

გრიგოლის შემდეგ ეპარქიის სათავეში იყვნენ: **ალექსანდრე ოქროპირიძე** (1898-1903), **დიმიტრი აბაშიძე** (1903-1905), **გრიგოლ ალადაშვილი** (1905-1908), **ლეონიდე ოქროპირიძე** (1908-1917).



ალექსანდრე და
ლეონიდე
ოქროპირიძეები

გრიგოლ ალადაშვილი

დიმიტრი აბაშიძე

აჭარის საარქივო სამმართველოში დაცულია დოკუმენტები რომელიც გარკვეულწილად ასახავს გრიგოლ ეპისკოპოსის ურთიერთობას ბათუმის ეკლესიებთან. ეს ურთიერთობები ასახულია

გრიგოლისა და ბათუმის ბლალოჩინ, დეკანოზ სიმონ ქიქოძის მიმოწერებში.

დეკანოზი სიმონ ქიქოძე (ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის ძმა) 1854 წლიდან იყო გურიის სასულიერო სამრევლო სასწავლებლის (დაარსდა 1846 წელს) ზედამხედველი. ამავდროულად იგი იყო მასწავლებელი, დეკანოზი გურიის კათედრის სობოროში, ბლალოჩინი ეპარქიაში, ბახვის სოფლის სასწავლებლის მზრუნველი, პირუტყვის ექიმი. მოსწავლეთა მშობლებისაგან ბინის ქირის მიღების მიზნით სკოლა განათავსა საკუთარ სახლში. პრაქტიკულად იგი კერძო დაწესებულებად აქცია, სადაც ბავშვებს უწევდათ მუშაობა შინაური ცხოველების მოსაველეად თუ ბოსტანში.



ქიქოძის ასეთმა საქციელმა უკმაყოფილება გამოიწვია, რის შესახებაც 40-მდე მღვდელმა გაბრიელ ეპისკოპოსს გაუგზავნა შესაბამისი თხოვნა. 1872 წ. 22 ნოემბერს ისინი შეიჭრნენ შენობაში და მოითხოვეს ეკონომიკური ანგარიშის ჩაბარება. განაწყენებულმა სიმონ ქიქოძემ მოითხოვა სკოლისგან საკუთარი სახლის გათავისუფლება 1877 წელს, მაშინ როცა ომის გამო ყველა შენობა დაკავებული იყო სამხედროების მიერ. გრიგოლ გურიელმა კომისიის მიერ 28 ათას მანეთად შეფასებული საკუთარი სახლი 13 ათას მანეთად მიჰყიდა ხელისუფლებას სასულიერო სასწავლებლისათვის. დეკანოზმა ქიქოძემ კი მღვდლებს უკანონონაში დასდო ბრალი, იჩივლა ეპისკოპოსთან და მოსწავლეების საყვარელი მასწავლებე-

ლი (ვინც ამხილა დეკანოზი) ლიაძე სკოლიდან გააძევებინა. ლიადის გაძევებამ მოსწავლეთა პროტესტი გამოიწვია. მოსწავლეები გაიფიცნენ, მაგრამ ორგანიზატორები (ნინოშვილი და ჯიბლაძე) 1878 წ. სექტემბერში სასწავლებლიდან გარიცხეს.

ბოლოს სიმართლე მაინც გაირკვა. ლიაძე დააბრუნეს სასწავლებელში, ქიქოძეს კი ჯერ საყვედური გამოუცხადეს, შემდეგ კი მოხსნეს. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ სიმონ ქიქოძე იყო კარგი პედაგოგი. ის ასწავლიდა ექვთიმე თაყაიშვილსაც, რომელზეც მას წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია (<http://gurianews.com/article/istoria/guriis-skolebis-istoria>)

როგორც ითქვა, სიმონ ქიქოძე იყო ბლალოჩინი ეპარქიაში. **სწორედ მისდამი გრიგოლ ეპისკოპოსის მიერ გამოგზავნილი წერილებია დაცული აჭარის საარქივო სამმართველოში** (ფონდი 56, 5 საქმეთა ერთეული).

1890 წლის 1 იანვრით დათარიღებულ წერილში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი წერს დეკანოზ სიმონ ქიქოძეს (ბათუმის ეკლესიების ბლალოჩინი), რომ მღვდელ ქრისტეფორე სტეფანიდს რუსეთის ქვეშევრდომობის მიღებამდე მიცემოდა დაგვის ეკლესიაში ღვთისმსახურების უფლება (ასს ცსა, ფონდი N 56, ს. N 2, ფურც. 2)

როგორც ჩანს, მღვდელი ქრისტეფორე სტეფანიდი არის ლტოლვილი. იგი ახალგადმოსულია ოსმალეთის იმპერიიდან. მას ჯერ არ აქვს მიღებული რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობა („ქვეშევრდომობა“ იმ პერიოდში მოქალაქეობას აღნიშნავდა), მაგრამ მაინც ეძლევა მღვდელმსახურების შესაძლებლობა.

1891 წ. 4 ნოემბრის წერილში საუბარია საეკლესიო სასჯელების საკითხზე: „საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ამა წლის 24 ოქტომბრის ბრძანებულების კვალდაკვალ გადმოგანერთ შემდეგს: დაავალდებულეთ თქვენდამი რწმუნებული ოკრუგის სამღვდლო და საეკლესიო მსახურნი, რათა მათ გრაფის პირველი ნაწილის თანახმად ამიერიდან აღარ ჩაწერონ მოწმეები საეკლესიო სასჯელის დადებისას, არამედ შესთავაზონ ამ მოწმეებს, რათა საკუთარი ხელის მოწერით დაამოწმონ ნაწერის ნამდვილობა“ (ასს ცსა, ფონდი N 56, ს. N 2, ფურც. 65). როგორც ჩანს, საეკლესიო სასჯელის დაკისრებისას იქმნებოდა წერილობითი საფუძველი, სადაც მოყვანილი იყო მოწმეთა ჩვენებები. ამ წერილობით საფუძველს ქმნიდნენ სასულიერო პირები. სწორედ სა-

ქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ 1891 წლის ნოემბერში წესად შემოიღო მონმეთა ჩვენების ხელის მოწერით დადასტურება ბრალდების წაყენების შემთხვევაში.

ეპისკოპოსი გრიგოლი დაუღალავად იბრძოდა მრევლის **რელიგიური განათლების ამაღლებისათვის**. აღნიშნულის დასტურია აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტი, რომლის მიხედვით საქვეუწყებო საეპარქიო დანესებულებებს და სამღვდელოებას თავაზობენ „საეკლესიო მოამბისა“ და „ქრისტიანული საკითხავის“ გამოწერას სასულიერო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისთვის, მონასტრებისთვის, ტაძრებისთვის და სამრევლო ეკლესიებისთვის, მრევლისათვის. მათი ფასი ერთად შეადგენს 7 მანეთს (ასს ცსა, ფონდი N 56, ს.N 2, ფურც.66)

როგორც ცნობილია, ცალკეული ეპარქიების ტერიტორიაზე არსებობდა სასულიერო სასწავლებლები, თუმცა ზოგჯერ სასულიერო სასწავლებლების „ტერიტორიული არეალი“ ყოველთვის არ ემთხვეოდა „საბლალოჩინო“ ოლქის საზღვრებს. ერთი დოკუმენტის მიხედვით ბათუმის ეკლესიების „საბლალოჩინო ოკრუგი“ ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის არეალში შედიოდა (ასს ცსა, ფონდი N 56, ს.N 2 ფურც.45)

საარქივო ფონდებში დაცულ დოკუმენტებში წარმოდგენილია შეკვეთილის წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის გურია-სამეგრელოს ეპარქიის მოქალაქეთა სიები - სქესობრივი და ასაკობრივი სტრუქტურა, ოჯახების სრული შემადგენლობა (ქმარი, ცოლი, შვილები) (1888 წელი), (ასს ცსა, ფ. ი-56, ან. 1, ს. 1, ფურც.16; საქმე 3). დოკუმენტებში ვხვდებით სტატისტიკურ მონაცემებსიმის შესახებ, თუ რამდენმა მორწმუნემ ჩააბარა ან არ ჩააბარა აღსარება (მაგალითად 1908 წელს), ვინ ეზიარა და ვინ ვერა. დოკუმენტით 553 მართლმორწმუნეიდან 289 მამაკაცია, 264 ქალი. ერთ-ერთი უწყისის მიხედვით სასულიერო უწყების მამაკაცთაგან ექვსს ჩაბარებული აქვს აღსარება, ქალთაგან კი სამს. უწყისებში წარმოდგენილია მორწმუნე ქრისტიანთა სოციალური შემადგენლობაც (გლეხი, ვაჭარი, მსამხედრო და ა. შ.). სხვა უწყისის მიხედვით ჯამში აღსარება ჩაუბარებია 244 მამაკაცს და 224 ქალს (ასს ცსა, ფ. ი-56, ან. 1, ს. 1, ფურც.1). 74 ფურცლიან საქმე N 3-ში ცალკეა წარმოდგენილი ბერძნული ოჯახების რაოდენობა და ოჯახური შემადგენლობა სქესისა და ასაკის მიხედვით.

Всего при изыскании прим. литей. промышленности поселения:	в единицах т. металла										Итого.
	По изыск.		По изыск.		По изыск.		По изыск.		По изыск.		
	По изыск.	По изыск.	По изыск.	По изыск.	По изыск.	По изыск.	По изыск.	По изыск.	По изыск.		
Добычи металла	8	6	-	-	2	-	-	-	8	8	16
Обработки	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
Прочего	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
Всего, добычи, обработки и прочего металла	8	6	-	-	2	-	-	-	8	8	16
Прочего	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
Итого	8	6	-	-	2	-	-	-	8	8	16

Всего т.м., разобранного

Итого

При изыскании добычи металла

По изысканию (113.)

По изысканию, добычи, обработки и прочего металла

По изысканию, добычи, обработки и прочего металла

60

ამავე მიმონერებიდან ვიგებთ სანთლების დამზადებასა და გაყიდვაში სფეროში არსებული უნესრიგობის შესახებ, რომ ადგილი ჰქონია ფალსიფიცირებული სანთლების დამზადებას. პრობლემის მოსაგვარებლად 1890 წ. 8 დეკემბერს მოუწვევიათ ეპარქიის ბლალოჩინების საბჭო, დაუდგენიათ ახალი წესები და დაუწესებიათ მკაცრი მეთვალყურეობაფონდი (ასს ცსა, ფ. ი- 56 ს. 2, ფურც. 32). ახალი წესები ავალდებულებდა სამღვდლო მსახურებს საეკლესიო დანესებულებებში მუდმივ ყოფნას, ხოლო გათავისუფლების შესახებ თხოვნა უნდა წარედგინათ 4 აბაზიანი მარკის დასმით (ასს ცსა, ფ. ი- 56 ს. 2, ფურც.37).

ეკლესიებს ეპარქიებისათვის უნდა წარედგინათ ანგარიშები შემოწირული თანხების რაოდენობის შესახებ. შემოსული თანხის ნაწილი ხმარდებოდა ქვრივ-ობლებს (ასს ცსა, ფ. ი- 56 ს. 2, ფურც.64).

გურია-სამეგრელოს ეპარქიამ იარსება 1917 წლამდე, ქართული ეკლესია ავტოკეფალიის გამოცხადებამდე. იმხანად, ეპარქიის ტერიტორიაზე არსებობდა ორი სასულიერო სასწავლებელი, 141 საეკლესიო-სამრევლო და ოთხი სამონასტრო სკოლა.

აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტები სიმწირის მიუხედავად გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ეპარქიის საქმიანობის ცალკეული საკითხების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ნუგზარ პაპუაშვილი საქართველოს ეკლესია მე-19 საუკუნეიდან დღემდე –<https://matiane.wordpress.com/>;
2. <http://gurianews.com/article/istoria/guriis-skolebis-istoria>;
3. ასს ცსა, ფ. ი-56, ან. 1, ს. 1, ფურც.1, 16;
4. ასს ცსა, ფონდი N 56, ს. N 2, ფურც. 2, 32, 37, 45, 65, 64, 66;
5. ასს ცსა, ფ. ი-56, ან. 1, ს. 3, 4, 5.

Tamaz Phutkaradze

Tsitsi Tsintsadze

Soso Sturua

Guria-Samegrelo Diocese and Bishop Gregory's letters

To archpriest Simon Kikodze

Summary

By the decision of June 12, 1885, of Russian Synod, dioceses of Guria and Samegrelo were merged. Bishop Gregory Chugstaga (1886-1898), headed by the Diocese of Guria-Samegrelo. The Episcopal Center was announced Poti. The article discusses the Bishop Grigol's letters to archpriest Simon Kikodze.

**ფარსმან მაძევარის წერილები ოსმალელი
ქართველების შესახებ**

საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურის კერებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს სტამბოლის ქართულ სავანეს. ეს იყო კერა, რომელიც ხელს უწყობდა ეროვნული სულისკვეთების შენარჩუნებას, ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას იქაურ ქართველებში. როგორც აღნიშნულია, „სტამბოლის ქართული სავანე თავისი დანიშნულებით, ქართველი ერის წინაშე გაწეული სამსახურით ბევრად ემსგავსება ადრეულ საუკუნეებში საზღვარგარეთ მოქმედ სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს. ქართველი ერის ისტორიაში მან უკვე ჩაწერა ერთი ლამაზი ფურცელი. საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში იგი ერთგულად ემსახურებოდა არა მარტო ქართული კულტურის, ისტორიის, განათლების მიღწევების პოპულარიზაციას საზღვარგარეთ, არამედ თავდაუზოგავად ზრუნავდა სამშობლოდან შორს დარჩენილი შვილების ეროვნული გათვითცნობიერებისათვის, მათში ქართული ცნობიერების აღორძინებისათვის. ამ სავანეს ყოველთვის მაღლა ეჭირა საქართველოს ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის დროშა“ [ფუტყარაძე, 2012:23].

ფასეულია სტამბოლის ქართული სავანის არქივში დაცული მასალა. განსაკუთრებით საინტერესოა ფარსმან მაძევარის წერილები ოსმალელი ქართველების შესახებ. ჯერჯერობით გაურკვეველია ვინ წერდა ამ წერილებს ფარსმან მაძევარის ფსევდონიმით. არქივში დაცულია მისი წერილები სათაურით—„ოსმალელი ქართველები“. აღნიშნული წერილები ქვეყნდებოდა გაზეთ „დროებაში“, 1910 წელს სხვადასხვა ნომრებში (N34,36,37,38,39). მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტიცა და გაზეთის ნომრებიც ინახება სავანის არქივში.

აღნიშნული წერილები მრავალმხრივ არის საინტერესო და თემატურად მრავალფეროვანია. ძირითადი ძარღვი, შემკვრელი ამ წერილებისა კი, არის ქართული სულის, ქართული ცნობიერების გადარჩენის საკითხი ოსმალეთის ქართველებში. წერილები საყურადღებო და ანგარიშგასაწევია იმ მხრივაც, რომ ფარსმან მაძევარი თავად ხვდება იქაურ ქართველებს, ესაუბრება, ინტერესდება იქ

მყოფი ქართველების ყოფა-ცხოვრებით, კულტურით. განსაკუთრებულ ყურადღებას ენიხს საკითხებზე ამახვილებს. ანტერესებს რამდენად შენარჩუნებულია თუ მინავლებული მშობლიური ენა.

ერთ-ერთ წერილში საინტერესოდ გადმოგვცემს ახალგაზრდა ოსმალელი ქართველების ნაფიქრ-ნააზრევს. ეს ნაფიქრ-ნააზრევი მშობლიურ ენასა და ეროვნული სახის შენარჩუნება-გადარჩენას ეხება. განსაკუთრებით მოხიბლულია იუნუს ბაჰრის პიროვნებით. 18-19 წლის ახალგაზრდა მიდის ფასრმან მაძევართან და სვამს პრობლემურ საკითხს: „ქართული ანბანი უნდა ვისწავლო, მერე ვი-არო და ვასწავლო სხვა ჩვენებსაც-ყველამ ჩვენ მოგვჭყიპა, ყველა-ფერი აგვართვეს. განა ჩვენ კი ხალხი არა ვართ, სხვა რათ უნდა გვჭყლიპავდეს, ჩვენი ენა რად უნდა დაიკარგოს [მაძევარი, 1910, N34].

აი, რას ქადაგებს ახალგაზრდა. ის გაორებულ მდგომარეობაშია. ერთი მხრივ, აღფრთოვანებულია, მაგრამ იმავდროულად გულნატკენია, რომ გვიან გაიგო რა ფესვებიდან მოდის: „ბეჭდური ანბანით ქართული გაზეთი გამოდიოდა, ანუ თუ ქრისტიანი ქართველები იქნებოდნენ, არც ის ვიცოდი“ [მაძევარი, 1910, N34]. მას ეგონა, რომ მაჰმადიანები არიან ქართველები და მხოლოდ ოსმალეთში სახლობენ. აი, რა დულდა იუნუს ბაჰრის გულში. სხვა-დასხვა მიზეზთა გამო, მან გვიან აღმოაჩინა, რომ ყოფილა კიდეც საქართველო და უბრალო საქართველო კი არა, არამედ „ბეჭდური ანბანით“.

წერილში გადმოცემულია ახალგაზრდის გულისტკივილი ქართველების გაბნეულობა-გაფანტულობის გამო. მას სწამს და სჯერა, რომ გამოსავალი ერთიანობაშია: „თუ შევერთდებით, ცოტანი არ ვიქნებით, ძალა მოგვეცემაო“. ეს უბრალო სიტყვები არაა ბაჰრისა. ის ეძიებს გზებს და შეერთების მთავარ საშუალებად თვლის წერა-კითხვის ცოდნასა და მის გავრცელებას ხალხში.

წერილში ფარსმან მაძევარი გვაცნობს იუნუს ბაჰრის ცხოვრების ერთ გულსაკლავ რეალობას. მან იწვინია ტკივილი დედის ენის არცოდნისა. მაგრამ ეს მხოლოდ ბაჰრის ტკივილი როდია. ერის საერთო დაცემით გამოწვეული ტკივილის განზოგადებაა. ამ პირადულმა, კონკრეტულმა შემთხვევამ სურვილი გაუქმდაფრა ბაჰრის ქართულის შესწავლისა. დედამ ქართულად დანერილი წერილი გაუგზავნა. ბაჰრიმ კითხვა არ იცოდა, ვერც ნამკითხავი იპოვა და

ერთი წელიწადი უბით ატარებდა წერილს. არ იცოდა რას წერდა დედა. ეს დეტალი ღრმად გვახედებს იმ დიდ მწუხარება-სატკივარსა და პრობლემაში, რომელიც ეროვნულ ენას, სულს, ცნობიერებას უკავშირდება ოსმალელ ქართველებში. როგორც ფარსმან მაძევარი აღნიშნავს: „აბა, გაზომე ეს ფაქტი სიგრძე-სიგანეზე... თუ მთელი ქვეყნის მწუხარება შიგ არ ჩაეტიოს. მართლა, და ამაზე მეტი რალა იქნება: დედამ თავისი მოსიყვარულე, დატანჯული გული გადაუშალოს თავის შვილს, თავის იმედსა და სასოებას, შვილმა ვერ ამოიკითხოს დედის გულის ამბავი და საპასუხოდ ველარა სცა ნუგეში; დედა იწოდეს შვილის დამუნჯებაზე, შვილი იტანჯებოდა ზმანებაში შეკრულივით თავის უღონობითა და ასე შეილახოს, გაუგემურდეს ბუნების დიადი კანონი-ტკბილი დედაშვილობა“ [მაძევარი, 1910, N34].

ბაჰრის ისიც აწუხებს, რომ „გადაბრუნებულა ჩვენი ენა“, მაგრამ „ფსიქიკა, რომელზედაც არის დამოკიდებული ენის ფორმა და მიმოხვრა, ჯერ ისევ მრთელობს და ეს აიმედებს ახალგაზრდას.

არანაკლები საწუხარი ჩანს ამავე სათაურით დაბეჭდილ წერილში, N36. იქაურ ქართველთა ერთ-ერთი მთავარი ტკივილია ისიც, რომ „სამასწლიანმა კოალიციამ ჰქმნა საქმე თვისი და შეირყა საქართველო, შედრკა ხალხი, ქანაობა დაიწყო, ქრისტიანები მუსულმანთა შიშით მიეკედლნენ საქრისტიანო რუსეთს, მუსულმანები ქრისტიან რუსეთის შიშით გაიბნენ ოსმალეთში და აი, კულტურის მქონე, ოდესმე პატივსაცემი ხალხი დღეს შევიქენით აზიატები და ველურები“ [მაძევარი, 1910, N36].

იქაური აღნიშნული მდგომარეობიდან გამოსავალს დაახლოებაში, მიმოფანტული ქართველების გაერთიანებაში ხედავენ: „ჩვენ ერთმანეთი უნდა შევიძინოთ“ [მაძევარი, 1910, N34]. ასე ეძიებენ გზას და აუცილებელ წინაპირობად სკოლების გახსნასა და ერთადერთ ხსნად ისევ ქართული წერა-კითხვის სწავლას მიიჩნევენ: „ასე არ იქნება, უნდა გაკეთდეს რამე. შევადგინოთ რამე, ფული გამოვიღოთ და სკოლები გავაღოთ: მე მინდა ჩვენი ენა ვისწავლო“ [მაძევარი, 1910, N36]. – ამბობს იქაური ქართველი მემედ ქიამილი. მისი ღრმა რწმენით, ქართველები მოიწონებენ ამ გადაწყვეტილებას – არწმუნებს ფარსმან მაძევარს. ამას იმითაც ხსნის, რომ „სოფლიერნი ქართულად ლაპარაკობენ და თავის თავად მოუხდებათ ქართულის სწავლება; ვინც ქალაქებში ჩასულან და ენა დაუ-

ვინცნიათ, ვერ ლაპარაკობენ, თორემ ესმიან და ისინიც გურჯები არიან, იმათაც დავიყოლიებთ“ [მაძევარი, 1910, N36].

აღნიშნულ წერილში ავტორი გვაცნობს კიდევ ერთ ოსმალელ ქართველს –სულეიმან ვეისს და მის შეუპოვრობას, რომ „ჩვენ ქართული ენა არ დაგვაგინყდება“. ის წუხს, რომ ქართველობა ძლიერ დაუფანტიათ, აქეთ-იქით დაუბნევიათ, მაგრამ მთავარ ღირსებად მიაჩნია ის, რომ სადაც კი დასახლებულან, ყველგან სცდილობენ ეროვნული სახე შეინარჩუნონ, „სადედმამურო“ ენა-დაც ისეთ ქართული დაუტოვებიათ.

წერილში ერთ საინტერესო ფაქტზეც ამახვილებს ყურადღებას ავტორი. გვაცნობს, რომ ენასთან ერთად ოსმალეთში მცხოვრებ ქართველებს შეუნახავთ ანბანი: „ძველის ძველი ქართული ხელური... ქალურ ხელს ეძახიან. აქაც უფრო დედა-კაცობაში ყოფილა დარჩენილი და დედიდან ქალიშვილზე გადადის: „მოდო, შვილო, გათხოვების დრო გვაქვს და წერა-კითხვა გასწავლო, ქმარს წიგნს მისწერავდეო. ასოები ძლიერ მდაბიონი არიან და ხუცურიდან გამოყვანილსა ჰგვანან“ [მაძევარი, 1910, N36]. როგორც ცნობილია, მუჰაჯირ ქართველებში გავრცელებული ყოფილა დედაბრული წერა. ესეც მხოლოდ ქალებში ყოფილა გავრცელებული. შესაძლებელია, წერის ამ სახეს გულისხმობდეს ავტორი.

ბუნებრივია, რომ ფარსმან მაძევარი ინტერესდება მუჰაჯირი ქართველების ჩვეულებებით, ყოფა-კულტურით. მათ არაერთი ქართული ტრადიცია დაუცავთ. ჯერ კიდევ შემორჩენილია ოსმალელ ქართველებში სიმღერა. იციან ნადი და ამ დროსაც მღერიან. ჩვეულებებიდან ავტორი ქორწილზე საუბრობს. ნიშნობა, მეფე-დედოფლობა მაყრებით, მახარობლით, მაყრიონის სიმღერა, დედოფალზე ფულის გადაყრა, კარებზე გადაჯვარედინებული ხანჯლების ქვეშ დედოფლის გატარება ისევ დაცულია ჩვენებურებში. ქორწინებას შერჩენია ქართული სახე.

წერილში განსაკუთრებით ხაზგასმულადაა საუბარი ქართველი კაცის ერთ ნიშანდობლივ ხასიათზე – „დარბაისლური ზრდილობიანობა სიტყვა-პასუხებში და საოცარი პირ-ფაქიზობა“. ამით თავი მოსწონთ იქაურ ქართველობას. მათივე შეფასებით, თურქი ამ თვისებით არ გამოირჩევა, უფრო მეტი, ბევრჯერ ჩხუბის მიზეზიც ყოფილა მათი ცუდი ენა. ერთ-ერთი ოსმალელი ქართველის –

მამუდ ქაიმილის თქმით, „ქართველი კაცი არ დაგაგინებს და არც დაგეგინებო“ [მაძევარი, 1910, N36]. ასე მიუღებელია ჩვენებურთათვის ბილნსიტყვაობა, ცუდმეტყველება.

წერილებით ავტორი უამრავი ოსმალელი ქართველის სახეს გვაცნობს, გვესაუბრება მათ სატკივარზე, დარდსა და ფიქრზე. განსაკუთრებით მაინც, ქართველთა ეროვნული ხასიათის ერთ ნიშანდობლივ თვისებაზე ჩერდება, რომელიც ისევ წმინდად, ფაქიზად შენახულია ქართველობაში. აღნიშნულს ოსმალელი ქართველის – სულეიმან ვეისის სიტყვებით ასე გვაცნობს: „გურჯის ნამუსი მე სხვაში არა კაცში არ მეგულებო“ [მაძევარი, 1910, N37].

იგივე აზრი ნათქვამია აღნიშნული წერილების სხვა ნომრებშიც. რაშიდ ეფენდის სიტყვით, „კაცობა ისევ ჩვენში ყოფილა; შებრალება და სვინდისი გურჯისა მე არა ხალხში არ მეგულებო... ბნელა ან ცხოვრება ჩვენი, მაგრამ აბა, უყურე, შიგ როგორი ნათელი ჩანს. დაგვებნენ, დაკარგეს სამშობლო, მაგრამ არ დაჰკარგეს გული, მატარებელი ადამიანობისა“ [მაძევარი, 1910, N38]. ამდენად, ავტორს მოსწონს, რომ ქართული ხასიათი, ზნე ისევ ცოცხლობს მუჰაჯირებში და ზოგადად, ოსმალელ ქართველებში ასეთი აზრია დამკვიდრებული დიდებული ტრადიციის მქონე ერზე.

ავტორს აინტერესებს ქალის მდგომარეობა, ქალისადმი დამოკიდებულების საკითხი მუჰაჯირ ქართველებში. სულეიმან ვეისის სიტყვებით გვაცნობს, რომ ოსმალეთში ქალი დამცირებულ მდგომარეობაშია, არც პატივისცემით ეპყრობიან ქალებს, მძიმე საქმეებითაც არიან დაკავებული. ამას ემატება ისიც, რომ თურქი ქალს სცემს. მიუხედავად ამისა, ამ რეალობაში მოხვედრილ ქართველს არ შეუცვლია ადამიანური განწყობილება, ქალისადმი დამოკიდებულება, შრომის გადანაწილებაც კი სქესთა შორის. ბუნებრივია, რომ ეამაყება სულეიმან ვეისს: „გარე საქმე, ძნელი სამუშაო, ყველა, რასაც კი მეტი ღონე სჭირია, იგი კაცის საქმეა, დედაკაცისა არის სახლი და კერა. ცული და ხერხი, ცელი და ნამგალი ისეთი რამეა, რომელსაც დედაკაცმა ხელი არც კი უნდა წაავლოს; ამიტომ დიდ უკადრისობად და სირცხვილად ითვლება, ვინც თავის მაგიერ სამუშაოზე დედაკაცსა ჰგზავნის. თუ ასე აზიზად ექცევიან დედაკაცის სულიერ მდგომარეობას, მაშ, ქალის გალახვა რა იქნება ამათ თვალში? იგი პირდაპირ თავის მოჭრაა და ამის ჩამდენი ვაჟკაცი ვაჟკაცად აღარ ითვლება, სირცხვილით ველარ ეჩვენება

ქვეყანას და მადლობა ღმერთს, არ შეურცხვენია თავი ხალხსა, ჩვენში ქალის გალახვა არ არის“ [მაძევარი, 1910, N37].

წერილში ოსმალელ ქართველთა გულისტკივილიც იკითხება – „ქართველებმა ერთმანეთის წახმარება არ ვიცითო“. ისინი წუხან თავიანთ მდგომარეობაზე, ობლად დარჩენილ ხალხზე, ქართველობაზე, რომელთაც წინამძღვარი არ ჰყავთ: „სხვა ერის ვინმე რომ დიდი კაცი გახდება, სულ იმის ცდაშია, რომ თავისთან თავისი კაცი დააყენოს, ან სხვაგან უშოვნოს ადგილი და ასე ეხმარება გვარს. ჩვენებმა კი ეგრე არ იციან, ჩვენში რო დიდი ვინმე გახდება, მერე ჩვენ აღარ ვაგონდებით, ოღონდ თითონ იყოს კარგად და ჩვენი დარდი აღარა აქვს“ [მაძევარი, 1910, N37].

როგორც აღვნიშნეთ, ფარსმან მაძევარი გულისყურით აკვირდება და გვაცნობს ოსმალელ ქართველებს, მათ აზროვნებას, სულის მოძრაობასა და გულისტკივილს. წერილში იქაური ქართველი მანდილოსნის სახესაც გვიცოცხლებს და მის ჩივილსა თუ საყვედურზე გვესაუბრება. იქაური ხანუმი პროტესტს გამოსთქვამს, რომ გარკვეულმა გარემოებებმა ჩადრიტ შემოსა ქართველი ქალი. როგორც ავტორი ამბობს: „რანაირად შეხვდებოდა თავის ბედს ქართველი ქალი, შვილი სტუმართმოყვარე ერისა, დედაშვილობისა და დამძობის აზრზე აღზრდილი, მიმდევარი ნათესავისა შვიდ მუხლამდე? რას იტყოდა იგი, როცა რჯულმა ძალა დაატანა, ჩაიცვა უსახლებო კაბა, ჩამოიფარა პირზე ჩადრი... რა თქმა უნდა, იგი წუთი იქნებოდა დიდი, მეტად დიდი მოვლენილი რისხვა ქართველი ქალის ცხოვრებაში, ბრძოლა განუცდელი არ დარჩებოდა იგი, მაგრამ უღონობისა გამო შედეგი იქნებოდა მხოლოდ სულის კვეთება იდუმალი და გულში ჩადებული უკმაყოფილება ბედის ცვლილებისა; და იგი სულიერი განწყობილება თაობიდან თაობამდე გადმოიტანა ორასი წლის აქეთ და დღეს მ. ხანუმის პირით გვეუბნება: თუ ჩვენ პირს დავიბნელებთ და ჩავიკეტებით, რით გავატაროთ ჩვენი მოწყენილი ცხოვრება, საფლავში ხომ არ ვისხდებით და იქ ვილაპარაკებთ! ქალს პირზე ჩადრს იმიტომ აფარებენ, რომ კაცმა არ შეჰხედოს და არ გაირყვნესო: მაგრამ თუ ქალი არ ვარგა, ჩადრი ვერ დაიფარავს და თუ სვინდისიანია, ჩადრი რათ უნდა? იგი თავის პატიოსნებას თითონ დაიცავს“ [მაძევარი, 1910, N38]. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მხილება დიდ ფსი-

ქოლოგიურ სიმართლესთან ერთად დიდი საყვედურიცაა იქაური ქართველი ქალის მხრიდან ნათქვამი.

მ. ხანუმი არის სახე მშობლიურ გარემოს, მიწა-წყალს მოწყვეტილი ქალისა, რომლისთვისაც უძვირფასესი და ტკბილია ქართული ენა, დედის ნანათი დარწმუნული აკვანი, საქართველო და ქართველობა. შეუძლებელია არ აგვაფორიაქოს და სისხლის ყოველი წვეთი არ აგვიხმაუროს მ. ხანუმის სიტყვებმა: „მე თათრული მასწავლესო და თათრულს ვლაპარაკობ, მაგრამ ჩემი ენა ქართულია, იგი მეტკბილება. ქართულ ენაზე გავიცან მზე და მთვარე, როცა დედის ნანათი ჩემი აკვანი ირწეოდაო. მიყვარს საქართველო, მე იმის ხის ძირს ვენაცვალე, იმის კენჭი და კლდე მიჩვენია სხვისა ოქროს. ქართველები ჩემი ძმები არიან და მათთან მიიწვიეო. მომწონს მათი ქცევა და ცხოვრება, ადამიანობა აქვთ, შებრალება იციან, მე იმათთანა სხვა არ მეგულება ქვეყანაზე“ [მაძევარი, 1910, N38].

ამგვარად, ფარსმან მაძევარის წერილები ოსმალელი ქართველების შესახებ მრავალმხრივ არის საინტერესო და მნიშვნელოვანი. წერილებში საინტერესოა აღწერილ-გაანალიზებული ოსმალელი ქართველების ყოფა-ცხოვრება, შეხედულებანი და გულისტკივილი. მთავარი მიზანი კი, ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება-დაცვის ძიების საკითხია მუჰაჯირ ქართველებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ფუტყრაძე შ., სტამბოლის ქართული სავანე, თბილისი, 2012.
2. ფარსმან მაძევარი, ოსმალელი ქართველები, გაზეთი „დროება“, 1910, N34.
3. ფარსმან მაძევარი, ოსმალელი ქართველები, გაზეთი „დროება“, 1910, N36.
4. ფარსმან მაძევარი, ოსმალელი ქართველები, გაზეთი „დროება“, 1910, N37.
5. ფარსმან მაძევარი, ოსმალელი ქართველები, გაზეთი „დროება“, 1910, N38.

6. ფარსმან მაძევარი, ოსმალელი ქართველები, გაზეთი „დროება“, 1910, N39

Elza Putkaradze

Parsman Madzevari's Letters about Ottoman Georgians
Summary

Among the Georgian cultural centers, existing in different countries abroad, the Georgian treasure house in Istanbul is considered to be the most considerable one. The materials kept in the archive are quite valuable, particularly Parsman Madzevari's letters about the Ottoman Georgians. It is not known who wrote these letters under the pseudonym of Farasman Madzevari. The archive contains his letters under the headline „Ottoman Georgians“.

The letters are multifariously interesting and diverse. The main vein, and the binding rope of these letters, is the question of survival of Georgian spirit, Georgian consciousness in the Ottoman Georgians. The letters are also considerable from the point of view that they report about the author's meeting with the Georgians themselves and his interest in their life and culture. At the same time, special emphasis is placed on the issue of preservation or the weakening of the Georgian language.

We believe that Parsman Madzevari's letters are an important source to learn more about the Ottoman Georgians and their suffering and thoughts.

**ილია ჭავჭავაძის შენიშვნები ქუთაისის
სათავადაზნაურო სკოლის პირველ სასწავლო
პროგრამებზე**

რაც დრო გადის, მით უფრო აქტუალური ხდება ქართველებისთვის ილია ჭავჭავაძის ფენომენი. განსაკუთრებით ეს ეხება მის წერილებს, რომელთან პირველი შეხებისთანავე მკითხველს ატყვევებს ავტორის ფართო თვალსაზიერება და მოვლენების ანალიზის განსაკუთრებული უნარი. არ დარჩენილა იმჟამინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი არც ერთი სფერო, რომელშიც ილიას თავისი კომპეტენტური აზრი არ გამოეთქვას, იქნება ეს საქართველოს ისტორია, ლიტერატურა, განათლება, თეატრი თარგმანმცოდნეობა, ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა, საბანკო საქმე და ფინანსები, საშინაო და საგარეო პოლიტიკა და ა. შ.

ქართველი ახალგაზრდობის განათლებას უმნიშვნელოვანეს საქმედ მიიჩნევდა ილია ჭავჭავაძე. ამ საკითხს მან რამდენიმე წერილი მიუძღვნა, რომლებიც გაერთიანებულია მის „რჩეულ წერილებში“. ავტორი ამ წერილებში ეხება უმეცრებას, უმეცრებასთან ბრძოლა კი მხოლოდ განათლებას შეუძლია. მწერალი თვლის, რომ ბავშვის სრულყოფილი განვითარებისა და განათლებისათვის აუცილებელია როგორც სწავლება, ისე წვრთნა. სწავლა გონების განვითარებაა, წვრთნა კი ზნე-ხასიათის ჩამოყალიბება.

მკითხველის განსაკუთრებულ დაინტერესებას იწვევს **ილია ჭავჭავაძის შენიშვნები ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის პირველ სასწავლო პროგრამების შესახებ. დოკუმენტი დაცულია ქუთაისის ცენტრალურ არქივში.**

ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულ იმ ფონდებში, რომლებიც განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორიას ასახავს, დოკუმენტების სიმრავლითა და უნიკალურობით გამოირჩევა **ქუთაისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის ფონდი**. ცნობილია, რომ სათავადაზნაურო სკოლა ქუთაისში 1880 წელს გაიხსნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივითა და ქუთაისის მიხეილის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის ხარჯით. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ უდიდესი როლი შეასრულა

ქართული ეროვნული პედაგოგიური აზრისა და განათლების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება-განვითარების საქმეში.

„...ამისთანა მაღალმნიშვნელოვანი საზოგადოება ჩვენში ჯერაც არ დაბადებულა, მას დანიშნულებად აქვს არა რაიმე დაბალი საგანი, არამედ იმისთანა უძვირფასესი საუნჯე ადამიანისათვის, როგორიც არის ერის განათლება. იგი ემსახურება არა ერთი რომელიმე წოდებას ქვეყნისასა, არამედ ვალად იღებს ზრუნვას მთელ ერზედ“ - წერდა იაკობ გოგებაშვილი. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დიდი ქართველი მამულიშვილი დიმიტრი ყიფიანი, „თავმჯდომარის ამხანაგად“ (მოადგილედ) ილია ჭავჭავაძე, რომელიც მოგვიანებით თვითონ ასრულებდა თავმჯდომარის საპატიო მოვალეობას. საზოგადოებამ არსებობის მანძილზე რამდენიმე ათეული სკოლა გახსნა საქართველოს სხვადასხვა სოფელსა და ქალაქში. მათ შორის იყო ზემოთაღნიშნული ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლა, შემდგომში სახელგანთქმული ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია. ახლადგახსნილი სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორად დაინიშნა გამოჩენილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე **ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე**. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის სამზრუნველო საბჭოსთან ერთად (თავ-რე ანნა მუსხელიშვილისა) სისტემატურად განიხილავდა ანგარიშებს სკოლის მდგომარეობის შესახებ, თვალყურს ადევნებდა სკოლაში მიმდინარე მოვლენებს სწავლა-აღზრდისა და მართვის მხრივ, სასწავლო პროგრამებს, რასაც ქუთაისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის ფონდში დაცული დოკუმენტები ცხადყოფს. საინტერესო ფაქტია, რომ თვით ილია ჭავჭავაძე განიხილავდა სასწავლო პროგრამებს და თავის მოსაზრებებს გამოთქვამდა პროგრამებთან დაკავშირებით. ასეთ მოღვაწეთა აზრი განათლების საკითხებზე დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას, ამიტომ უცვლელად წარმოგიდგენთ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წერილს (1 ნოემბერი, 1882 წ.), ხელმოწერილს ილია ჭავჭავაძის მიერ:

**„ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორს
ბ-ნს ა. ა. ჭიჭინაძეს**

თქვენგან წარმოდგენილი პროგრამები საზოგადოდ შედგენილნი არიან ცოდნიერად და გვარიანად, მაგრამ შიგა და შიგ ეჭირებათ დამატება, შეცვლა და განვითარება. პროგრამებში მოხსენებული არ არის კვირის გაკვეთილების რაოდენობა, არც სახელმძღვანელონი არიან დასახელებულნი. ზოგან კერძო დასახელების მაგივრად ნახმარები არიან საზოგადო გამოთქმანი, ფრაზები, მაგალითად: **ქართულის ენის პროგრამაში** ნათქვამია არა ერთხელ, რომ ამა და ამ განყოფილებისათვის უნდა იქმნეს არჩეული ისეთი მოთხრობები, საუბრები და ლექსები, რომლებიც შეესაბამება ყმანვილების განვითარებას. აქ მოუცილებლად საჭიროა ჩამოთვლილი იქმნენ თვითონ მოთხრობები, სასაუბროები და ლექსები; წინააღმდეგ შემთხვევაში პროგრამმა ვერ გაუწევს მასწავლებელს ხელ-მძღვანელის სამსახურსა. საზოგადოდ პროგრამებებს უნდა ჰქონდეთ განვითარებულის კონსპექტის თვისება. ეს სასარგებლოა და საჭირო ჯერეთ მასწავლებლისათვის, მეტადრე ხამებისათვის, ისპექტორებისათვის და თვითონ საზოგადოებისათვის, რომელსაც დაწვრილებითი, კონსპექტიური პროგრამები მისცემს შეძლებას მოამზადოს თავის შვილები შინათ სკოლის სხვა და სხვა განყოფილებისათვის. კერძოთ რომ ვსთქვათ პროგრამმა სამღვთო სჯულისა საკმაოდ დაწვრილებით არის შედგენილი. მხოლოდ მესამე განყოფილებაში სამღვთო ისტორიას ბოლოში უეჭველად უნდა მიემატოს წმიდა ნინოს ცხოვრება და ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში, მეოთხე განყოფილებაში- მოკლე კატეხიზმო, წირვა-ლოცვის ახსნა და შესანიშნავის ადგილობრივის დღესასწაულების განმარტება წმინდანების ცხოვრების მოკლე აღწერით. ქართულის ენის პროგრამას განვითარება ეჭირვება, მეტადრე პირველისა და მეორის განყოფილებისას. საჭიროა, როგორც უკვე მოვიხსენეთ, კონკრეტიულად ნაჩვენები იყვეს შინაარსი პროგრამისა, და სხვათაშორის დასახელებულნი იყვნენ ის ქართველი ავტორები, რომლებზედაც მასწავლებელმა უნდა გადასცეს მოწაფეებს ბიოგრაფიული ცნობები. ამ გვარივე განვითარება ეჭირვება **რუსულის ენის პროგრამასაც**. აქ კიდევ უფრო საჭიროა ჩამოთვლილი იყვნენ ის სტატიები, მოთხრობები და ლექსები, რომელნიც უნდა იქმნენ წაკითხულნი, შეგნებულნი და ზეპირად დასწავლილნი. მხოლოდ ამგვარის სახელდობრივის ჩამოთვლით შეგვიძლიან სამუდამოდ ავაცილოთ ჩვენს სკოლას ის სენი, რომ ხშირად ქართველს ბავშვებს აკითხებენ იმისთანა სტა-

ტიებს და ლექსებს, რომელსაც აზის ბეჭედი განსაკუთრებული **რუსულის** თვისებისა და რომელნიც სრულიად გაუგებარნი არიან ჩვენის ბავშვებისათვის. სასურველია აგრეთვე მოხსენებული იყოს, რომ ყოველი რუსული სტატია, მოთხრობა, ან ლექსი მასწავლებელმა ჯერეთ სიტყვა-სიტყვით უნდა ქართულად ათარგმნინოს ბავშვებს, მერმე თავისუფლად, კარგად გააცნოს მნიშვნელობა სიტყვებისა, ფრაზებისა და აზრი მთელის საკითხავისა და მხოლოდ მასუკან შეუდგეს კითხვას, რუსულად ახსნას და ზეპირად დასწავლას. თვალ-საჩინო სწავლის პროგრამმა, ჩვენის აზრით, უნდა შეიცვალოს. პირველ განყოფილებაში უნდა გაშინჯულ და შესწავლილ იქმნას სასწავლო ნივთები, ოჯახის კუთვნილება და ავეჯეულობა, შინაურნი ოთხფეხნი და შინაური საქონელი; მეორე განყოფილებაში - ბოსტნეულობა, ბაღეულობა, მონდორი მცენარეებით და სარეველებით, ტყე შესანიშნავი ხეებით და ნადირებით და წყლები თავისი მცხოვრებლებით. **გეოგრაფიის** პროგრამასაც ზოგიერთი ცვლილება ეჭირვება. უკეთესი იქმნება მეოთხე პუნქტი, რომელიც ბუნების მოვლენათა ახსნას შეეხება, გადატანილ იქნმას მეოთხე განყოფილებაში, თუ სრულიად არა, ნახევრობით მაინც. მეხუთე პუნქტში და სხვაგანაც კონკრეტული დასახელება უნდა იყოს ამ გვარის საზოგადო ფრაზების მაგიერად: „მადნეულობა, თუ რამ არის ქალაქში, (ქუთაისში) ან ქალაქის მახლობლად“; კახეთი და ქართლი ცალ-ცალკე უნდა იქმნას განხილული; რუსეთის შემდეგ უნდა იქმნას მოხსენიებული ევროპა უდიდესი სახელმწიფოებით და მათი სატახტო ქალაქები, სხვა ნაწილები ქვეყნისა, ოკეანეები და ბოლოს ფორმა დედამიწისა, მისი თავის-გარშემო ბრუნვა, მზის გარშემო ტრიალი და წელიწადის დრონი. ყველაზედ უმეტესად პროგრამაში უნდა იხატებოდეს მოთხოვნილება, რომ მასწავლებელმა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება გეოგრაფიულის ფაქტორების ერთმანეთზედ დამოკიდებულობასა და ბავშვებისათვის გასაგების ენით აუხსნას მათ მიზეზები საქართველოს ბუნების მოვლენათა და ეტნოგრაფიულის ყოფა-ცხოვრებისა. **ქართულის წერის პროგრამაში** უნდა იყოს მოხსენიებული, რომ ბავშვები პირველს განყოფილებაში სწერენ მრგვალს ხელს----- ბადეში, მეორეში - ამავე ხელს ჯერ ექვს მწოლარე ხაზს შუა, მერმე ორს ხაზს შუა, მესამეში წვრილ მრგვალ ხელს უხაზოთ და მეოთხეში - გაკრულსა და გაბმულს ხელსა. გალობის პროგრამაში უნდა იყოს მოხსენიებული, რომ ბავშვები

პირველს წელიწადს სწავლობენ ადგილობრივ საბავშვო სიმღერებსა, მეორე განყოფილებაში საზოგადო ქართულს საბავშვო სიმღერებსა, მესამეში - ქართულ ხალხურ სიმღერებსა და მეოთხეში საეკლესიო გალობასა და რუსულს საბავშვო სიმღერებსა. არითმეტიკის პროგრამმა ძლიერ მოკლედ არის შედგენილი და განვითარება ძლიერ ეჭირვება; სხვათა-შორის ჩაემატოს იმგვარივე მეთოდური შენიშვნები, რომლებიც ზოგიერთ სხვა საგნების პროგრამებში მოიპოვებიან: შინაარსის განაწილებაც განყოფილებათა შორის, ჩვენის აზრით, უნდა შეიცვალოს: პირველის წლისათვის ცოტა პირველი ათეული, ორი ათეულის შეთვისება ადვილად შეუძლიანთ შვიდი-რვა წლის ბავშვებს წლის განმავლობაში, აქ საჭიროა, რომ მეორე ათეულის სწავლების დროს მასწავლებელმა უმთავრესი ყურადღება მიაქციოს რიცხვის წარმოდგენას ათეულიდან და ცალეულიდან; მეორე წელიწადს სწავლობენ პირველ ასეულს სრულიად და უმთავრესს ყურადღებას აქცევენ გამოანგარიშების ხერხებს (приемы вычисления), სწრაფად გაივლიან იმისთანა მარტივ რიცხვებს, რომლების შემადგენლობა და თვისება არაფრით განირჩევა, რაოდენობის გარდა წინა რიცხვებისაგან და შეჩერდებიან იმისთანა რთულს და მრავალმხროვან რიცხვებზედ, როგორიც არიან 48, 96 და სხვანი. დანარჩენს მასალას არითმეტიკისას უნდა მიემატოს გაცნობა უბრალო ნაწილ-ვანთა (знакомство с простыми дробями) და დახსნა მარტივთა ამოცანათა აღრიცხვის სამ-კეცა კანონიდან, ამხნაგობის და შერეულის კანონიდან და სარგებელის ანგარიშიდან (решение простейших задач из тройного правила, правила товарищества, смешения и вычисления процентов) და ესე შევსებული მასალა განაწილებულ იქმნას მესამე და მეოთხე განყოფილებას შუა.

თუ რომელსამე ჩვენს აზრს ინსპექტორი და მასწავლებლები არ დაეთანხმებიან, სრული უფლება აქვთ საბუთები წარმოუდგინონ მმართველობას, რომელიც უარს-ჰყოფს თავის აზრს, თუ დარწმუნდა მის უსაფუძვლობაში და წინააღმდეგის მოსაზრების სიმართლეში.

თავმჯდომარის ამხანაგი ილია ჭავჭავაძე, საქმეთ-მწარმოებელი გრ. ყიფშიძე“ (ქ.ც.ა. ფონდი № 9, საქმე №5, ფურ. 53, 54.)

სასწავლო პროგრამების ამ ზოგადი განხილვის გარდა, სარჩევო დოკუმენტებში დაცულია ილია ჭავჭავაძის შენიშვნები და

რეკომენდაციები სხვადასხვა საგნების პროგრამებსა და სწავლებაზე.

„ჩემი და ილია ჭავჭავაძის ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს ქართველის ერის წინაშე მიუძღვის, ქართველი მწერლების ნაწერებს დღეს თუ გასავალი აქვს, იაკობ გოგებაშვილს უნდა ვუმაღლოდეთ, მან ქართველ ერს ქართული ენის სიტკბოება ჩააწვეთა, ქართული ენა შეაყვარა“ - წერდა აკ. წერეთელი იაკობ გოგებაშვილზე.

ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულია იაკობ გოგებაშვილის წერილი ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორისადმი.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

ქუთაისის ინსპექტორს ბ-ნს ა. ჭიჭინაძეს

5 ოქტომბერს 1882 წელსა, მმართველობა გთხოვთ შემდეგი წესი მიიღოთ თქვენთვის მონდობილს სკოლის პროგიმნაზიულს პირველ კლასში და სხვებშიაც, ოდეს იგინი გაიხსნებიან, გაკვეთილების შესახებ:

„რადგან მოსწავლენი პირველისა და დანარჩენი კლასებისა, როგორც შენიშნულია, ვერ ითვისებენ იმდენად რუსულს ენას, რომ ცნობიერად და შეგნებით სწავლობდნენ ამ ენაზედ მასწავლებლის მიერ გარდაცემულს ცოდნას, ამისათვის სთხოვეთ მასწავლებლებს, რომ მათ პირველად გაკვეთილი ქართულს ენაზედ აუხსნან და მერმე რუსულად. მხოლოდ უნდა მტკიცედ იყვეს დაცული, რომ ერთი ენა მეორეში არ ირეოდეს ერთსა და იმავე დროს და ამით საქმის მსვლელობა არ შეფერხდეს. ეს ზომა საჭიროა იმიტომ, რომ მოსწავლეთ გონივრულად შეითვისონ ყოველი საგანი, მოშორებულნი იყვნენ მეხანიკურად რაისამე გაზეპირებას და რუსული ენაც უფრო გაგებით და აზრიანად შეისწავლონ“.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ მმართველობამ დაამტკიცა თქვენ მიერ მოხდენილი განკარგულება შესახებ ორის მასწავლებლის მოწვევისა

თამეჯდომარის ამხანაგის მაგიერი - იაკობ გოგებაშვილი,

საქმეთ-მწარმოებელი გ. ყიფშიძე (ქ.ც.ა . ფონდი 9, საქმე 5; ფურცელი 45).

უკვდავი „დედა-ენის“ შემქნელმა და საქართველოში სამეცნიერო პედაგოგიკის ფუძემდებელმა იაკობ გოგებაშვილმა მთელი

ცხოვრება მომავალი თაობების აღზრდა-განათლებას მიუძღვნა, სიკვდილის წინ დატოვებული ანდერძით მთელი ქონება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უსახსოვრა.

გამოყენებული წყაროები:

1. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი № 9, საქმე №5, ფურ.45, 53, 54

Mzia Kekeishvili

Ilia Chavchavadze's remarks to the First study programs of Kutaisi noble School Summary

Georgian political and public figure, writer, poet and publicist Ilia Chavchavadze considered Georgian youth education to be the most important case. In the article, the archival sources are presented by Ilia Chavchavadze's remarks about the Kutaisi noble school curriculum.

**«Я РОДИЛСЯ В ТИФЛИСЕ...»: КАВКАЗСКОЕ ДЕТСТВО
РУССКОГО РЕФОРМАТОРА СЕРГЕЯ ВИТТЕ**

«Мне 62 года, я родился в Тифлисе... Так начинаются мемуары графа Сергея Юльевича Витте (1849-1915) – едва ли не самый известный исторический источник по истории России периода поздней империи. В советское время в доме каждого интеллектуала был знаменитый синий трехтомник мемуаров Витте, и до сих пор его сочинение остается одним из самых цитируемых. Многие люди и в России, и за рубежом продолжают смотреть на царскую Россию глазами Витте.³¹

Кто же такой граф Сергей Витте? Некоторые исследователи считают, что больше него для России сделали только Петр I и Екатерина II. Автор золотовалютной реформы, строитель железных дорог, создатель тяжелой промышленности империи и ее небывалых промышленных успехов. Сановник, подписавший в 1905 г. почетный мир с Японией, который в ситуации проигранной войны, казалось, невозможно заключить. Витте – это и Манифест 17 октября 1905 года, открывший период «думской монархии» в России. Наконец, первый российский премьер-министр и разработчик проекта известной аграрной реформы П.А. Столыпина. По легенде, Витте однажды даже сказал о себе: «Что бы было тогда с Россией, если бы в ее истории не попадались такие как я?»

В своем докладе я хотела бы остановиться на кавказских страницах его биографии: детство и юность русского реформатора тесно связаны с Грузией. Родился будущий министр, действительно, в Тифлисе, в 1849 г. Его отец был имперским чиновником, который

³¹ Витте С.Ю. Воспоминания / Вступ. ст., общ. ред. коммент. и указ. А.Л. Сидорова. М., 1960. См. также последнее переиздание: Из архива С.Ю. Витте: Воспоминания / [Примеч. Б.В. Ананьич и др.; Рос. акад. наук, С.-Петерб. ин-т истории, Колумбийский ун-т в Нью-Йорке, Бахметев. Арх. рус. и восточноевроп. истории и культуры. СПб.: Дмитрий Буланин, 2003. Т. 1: Рассказы и стенографические записи, кн. 1. 2003; Т.1: Рассказы в стенографической записи, кн. 2. 2003; Т. 2: Рукописные заметки. 2003.

переехал сюда за два года до рождения сына, чтобы занять пост в Департаменте государственных имуществ в администрации Кавказского наместничества. Христоф-Генрих-Георг-Юлиус Витте (1814–1868), уроженец Лифляндской губернии, окончил курс Дерптского университета по естественному отделению, после чего изучал практику горного дела и сельского хозяйства в Пруссии. Перейдя из лютеранства в православие, он получил имя Юлий Федорович. Мама Сергея, Екатерина Фадеева происходила из старинного княжеского рода Долгоруких. Дедушка по материнской линии, Андрей Фадеев, был губернатором Саратовской губернии (1841–1846), затем короткое время управлял землями в Новороссийском крае, и, наконец, был переведен в Тифлис на должность начальника департамента государственных имуществ. Вместе с Фадеевым на Кавказ перебрался и его зять титулярный советник (IX класс) Ю. Витте с семьей. Там он сначала возглавил один из отделов департамента, а в 1857 году заменил тестя на его посту. Ю. Витте оставил о себе память как о человеке чрезвычайно предприимчивом, которому Кавказ обязан основанием многих полезных фабрично-заводских производств.³² Его заслуги были по достоинству оценены и в Петербурге - Ю. Витте получил чин действительного статского советника, соответствующий „генеральскому» IV классу Табели о рангах.

Тифлис в середине XIX в. был штаб-квартирой долгой и трудной российской кампании по „усмирению» горных народов Кавказа. Семья Витте-Фадеевых жила в большом доме недалеко от Головинского проспекта, купленном у вдовы князя Александра Чавчавадзе. Среди его родственников были интересные персонажи. Одной из сестер Сергея была известная Елена Блаватская, основательница Теософического общества, она часто приезжала в дом деда в Тифлисе проводить спиритические сеансы.

Дядя Витте - Ростислав Фадеев - ветеран нескольких кавказских и турецких кампаний, известный консервативный публицист, автор работы „Кавказская война». Для Сергея Витте дядя был кумиром его

³² Гулишамбаров С.И. Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии. Тифлис, 1888. С. 180.

детства и юности. Р. Фадеев выделял грузин среди других кавказских народов:

„Грузины составляют целый народ, и правительство должно смотреть на грузин, как на отдельный народ, не смешивая их безразлично под общими формами управления с прочими кавказскими населенными, уважать их историческую гордость и предания».³³

Ростислав Фадеев высказывал большое уважение к стране, в которой он проживал со своей семьей, он, к примеру, за короткое время выучил грузинский язык:

«Тысячелетия выработали в Грузии общественное устройство, преимущественно аристократическое, дух и разум этого небольшого народа заключается в его многочисленном дворянстве».³⁴

Независимость, чувство собственного достоинства, отчаянная храбрость, рыцарская верность монарху - все это было присуще Фадееву как русскому аристократу XIX столетия. Теми же качествами отличался и наместник Кавказа князь А.И. Барятинский, у которого Ростислав служил в должности старшего адъютанта. Отменный храбрец, князь был не раз ранен в стычках с горцами; „...говорили, будто живот князя Барятинского — как решето».³⁵ Особенно Ростислав отличился при пленении имама Шамиля, проведенном под руководством наместника. 30 августа 1859 года в Тифлисе был произведен 101 пушечный выстрел в ознаменование покорения Кавказа. За Гуниб А. И. Барятинский получил звание фельдмаршала, а его старший адъютант капитан Р. А. Фадеев 19 января 1860 года был произведен в полковники. За разработку тактики операции наместник подарил Фадееву родовое знамя Шамиля, которое со временем перешло к Сергею Витте и висело у него в кабинете в его доме в Петербурге.³⁶

Со времен Пушкина и Лермонтова Кавказ наделялся в умах русских людей экзотической привлекательностью. В 1863 году в нем

³³ Фадеев Р.А. Кавказская война. М., 2005. С. 87.

³⁴ Там же. С. 85.

³⁵ Ильин С.В. Витте. М., 2012. С. 12.

³⁶ Витте С.Ю. Воспоминания. Т. 1. С. 27.

проживало около 100 тысяч человек разных национальностей: грузины, русские, армяне, татары, евреи, французы, немцы, итальянцы. Через реку Куру было наведено 4 каменных моста; улицы интенсивно мостились, а по вечерам освещались газовыми фонарями. Для отдыха и развлечений было устроено 4 казенных сада и 1 общественный; во владении частных лиц находилось еще 262 сада, доступных для посещений. Работали учебные заведения: губернская гимназия, коммерческое училище, 2 семинарии, 8 приходских училищ для детей из низших сословий, Закавказский девичий институт, 5 бесплатных школ для девочек „бедного класса». Разнообразные потребности населения большого города и округа обслуживались 135 промышленными и многими торговыми заведениями.³⁷

Центром общественной жизни была резиденция Кавказского наместника.³⁸ Роскошью и блеском двор князя А.И. Барятинского не уступал дворам европейских монархов. Его дворец в Тифлисе был полон грузинской знати и петербургской золотой молодежи, которая устремилась на Кавказ - кто - в поисках острых ощущений и свободы от условностей Петербурга, кто – чтобы быстро сделать карьеру. Во дворце давались блестящие балы. Прием у наместника по случаю наступления нового, 1859 года произвел большое впечатление даже на Александра Дюма-отца:

«На парадной лестнице, справа и слева каждой ступени, стояли по два казак из княжеского конвоя. Я ничего не видел изящнее этого двойного ряда мундиров. Казаки были в белых папах и черкесках золотого и вишневого цветов, с кинжалами, пистолетами и шашками, украшенными золотом и серебром. Такой ряд сделал бы очень печальными и бесцветными наши фрачные одеяния; но в Тифлисе это было только великолепным предисловием к чудесной поэме. Залы были наполнены грузинами в национальных костюмах, великолепных

³⁷ Н.И. Воронов (сост.) Сборник статистических сведений о Кавказе, издаваемых Кавказским отделом Императорского русского географического общества. Т. 1. Тифлис, 1869. С.81–95.

³⁸ В советские времена в здании резиденции наместников Кавказа на проспекте Руставели помещался Дворец пионеров.

по покрою, цвету и изяществу; женщинами в блестящих платьях, с длинными, шитыми золотом вуалями, грациозно падающими с бархатной головной повязки. Оружие блистало за поясами мужчин, алмазы сверкали на головах и шеях женщин. Это переносило нас в XVI век. Щегольские мундиры русских офицеров, прелестные дамские туалеты, полученные из Парижа через посредство мадам Блот (тифлисской белошвейки Жозефины Блот. – Э.С.), дополняли ослепительное целое... Князь Барятинский принимал гостей в своих комнатах с той любезностью знатного господина, которую он наследовал тысячу лет назад от своих предков. Он был в русском мундире, с лентой и звездой Святого Александра Невского и Георгиевским крестом. Хозяин был одет проще всех, однако стоило гостю только войти, чтобы сразу почувствовать, что он был царем этого собрания, не столько по почестям, ему оказываемым, сколько по виду, с каким он их принимал»³⁹

В Тифлисе Сергей Витте безвыездно провел первые 16 лет своей жизни. Лето Фадеевы и Витте проводили в резиденции наместника в Коджорах, в 12 верстах от Тифлиса. Впечатления от поездок со взрослыми на охоту, посещения промышленных предприятий, устроенных отцом, общение с вольнолюбивым и храбрым местным населением, сформировали его характер. Подростком он посещал гимназию в Тифлисе. Полученное им образование, однако, не было глубоким и не принесло особой пользы.

Дальнейшая его жизнь тесно связана с Юго-Западным краем. В Одессе он поступил в Новороссийский университет, который окончил в 1870 г. с отличием и степенью по математике. Остался работать на Одесской железной дороге, через несколько лет переехал в Киев и возглавил частное общество Юго-Западных железных дорог. Там он стал одним из самых известных и успешных железнодорожных дельцов. А потом началась его петербургская карьера, которую современники называли самой стремительной бюрократической карьерой XIX века. Из IX ступени Табели о рангах – в IV, из управляющего частным обществом – в директора департамента путей

³⁹ Дюма А. Кавказ. Тбилиси, 1988. С. 241.

сообщения при министерстве финансов, затем – 11 лет на посту министра финансов и целая эпоха в экономике Российской империи, связанная с его именем. Золотой стандарт, винная монополия, строительство Великого Сибирского пути, впервые соединившего Европейскую часть России с ее окраинами на востоке. Наконец, первый русский премьер-министр и первая русская конституция.

Какое же влияние оказала на графа Витте жизнь в Грузии, если не считать любви к верховой езде и многочисленных кавказских рассказов, в которых он всегда с теплотой вспоминал свой дом в Тифлисе?

Во-первых, многих представителей петербургского высшего света С. Ю. Витте знал уже с детства. Это был особый клан администраторов, военных, которые делали карьеру на Кавказе во время войны, и после войны, так называемых „кавказцев». Они отличались известным либерализмом. Граф И.И. Воронцов-Дашков, начальник конвоя наместника, впоследствии министр двора и личный друг императора Александра III, адъютанты наместника графы Орловы-Давыдовы, братья Милютины, и другие.

Во-вторых, современники отмечали сильный характер, напор и витальность Сергея Витте, его южный темперамент, необыкновенную энергичность, бесстрашие. Несомненно, эти качества сформировались у него под влиянием культурной среды на Кавказе и определили, в свою очередь, вектор развития империи накануне революции.

Наконец, часто критики финансовой политики министра обвиняли его, что у него не было понимания крестьянского вопроса в отличие от Столыпина. Кавказ, в отличие от русских губерний, действительно не давал представления о крестьянских проблемах и бунтах, которые, начиная с 1861 года, то и дело сотрясали Россию.

Жизнь Витте до переезда в Петербург обусловила его взгляды на национальный вопрос, которые значительно отличались от взглядов его коллег в правительстве. В отличие от Столыпина, он не был узким этническим националистом, назначал чиновников по их способностям, а не происхождению, был сторонником облегчения положения евреев в империи. Кавказ был своего рода „прививкой» от национализма. Его взгляды часто критиковали его противники из

правоконсервативного политического лагеря, но на самом деле именно в этой плоскости в начале XX века решалась судьба империи.

Сложно переоценить важность национального вопроса на рубеже XIX-XX вв. не только для России, но и для всех монархий старой континентальной Европы. Сейчас в России очень актуален юбилей революции 1917 г., и вопрос о том, был ли шанс у Российской империи пойти по-другому, мирному пути, снова на острие обсуждения. Но в одном исследователи единодушны: Россию погубило нерешение двух важнейших вопросов: земельного и национального. Сергею Витте, выросшему вдали от столиц, на южной окраине империи, это было очевидно.

Источники и литература:

1. Дюма А. Кавказ. Тбилиси: Мерани, 1988.
2. Н.И. Воронов (сост.) Сборник статистических сведений о Кавказе, издаваемых Кавказским отделом Императорского русского географического общества. Т. 1. Тифлис: Тип. Главного Управления Наместника Кавказского и Меликова, 1869. С. 81-95.
3. Фадеев Р.А. Кавказская война. М.: Эксмо, Алгоритм, 2005.
4. Витте С.Ю. Воспоминания / Вступ. ст., общ. ред. коммент. и указ. А.Л. Сидорова. М.: Соцэкгиз, 1960. См. также последнее переиздание: Из архива С.Ю. Витте: Воспоминания / [Примеч. Б.В. Ананьич и др.; Рос. акад.наук, С.-Петерб. ин-т истории, Колумбийский ун-т в Нью-Йорке, Бахметев. Арх. рус. и восточноевроп. истории и культуры. СПб.: Дмитрий Буланин, 2003. Т. 1: Рассказы и стенографические записи, Кн. 1. 2003; Т.1: Рассказы в стенографической записи, кн. 2. 2003; Т. 2: Рукописные заметки. 2003.
5. Гулишамбаров С.И. Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии. Тифлис: Тип. Канц. главноначальствующего гражд. частью на Кавказе, 1888.
6. Ильин С.В. Витте. Изд. 2-е, испр. - М.: Молодая гвардия, 2012. (Жизнь замечательных людей)

არტაანი წერილობით წყაროებში

(ნაშრომი შესრულებულია საგრანტო პროექტის (NR/196/2-105/14) „არტაანის ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების“ ფარგლებში)

ისტორიული არტაანი ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის არდაჰანის პროვინციის რამდენიმე რაიონს მოიცავს. აქ ჯერ კიდევ დაცული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნაშთები ცხადყოფენ რეგიონის მდიდარ ისტორიულ წარსულს, რომლის დამადასტურებელი ცნობები საკმაოდაა ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში.

არტაანი, რომ ყოველთვის ქართული სახელმწიფოებრიობის განუყოფელი ნაწილი იყო ამის ამსახველი მასალები „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შემავალ თხზულებებში მრავლადაა დაცული. ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, ლეგენდარულმა მცხეთოსმა თავისი სამფლობელო მემკვიდრეებს დაუნანილა-„ჯავახოსს მისცა (ტერიტორია) ფანავრიტგან ვიდრე თავადმდე მტკურისა და ამან ჯავახოს ალაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: წუნდა და ქალაქი არტანისა, რომელსა მაშინ ერქუა ქაჯთა ქალაქი, ხოლო ან ჰქვიან ჰური“ **(ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, 1955:10)**. მოგვიანებით, როცა მცხეთის მამასახლისთა შთამომავალი ფარნავაზი ქართული სახელმწიფოს ფორმირებისათვის იღვწის, გადამწყვეტი ბრძოლა აზოსთან გაიმართა „ნაქალაქევსა თანა არტაანისასა, რომელსა ერქვა მაშინ ქაჯთა ქალაქი, რომელ არს ჰური... და იქმნა ბრძოლა დიდძალი“... რომელშიც დაიღუპა აზოც **(ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, 1955:23)**. გამარჯვებული ფარნავაზი კი მცხეთას დაბრუნდა. შემდეგ კი ქართლის ადმინისტრაციული მოწყობისას მეხუთე ერისთავი „გაგზავნა წუნდას... და მისცა ფანავრიტგან ვიდრე თავადმდე მტკურისა, რომელ არს ჯავახეთი, და კოლა და არტაანი“ **(იქვე, 1955:24)**, სადაც ზაფხულობით მიდიოდა და იქაურ საქმეებს აწესრიგებდა, მაგრამ ქართლის სამეფო „მეთორმეტე მეფის ფარსმანის“ დროს კარგავს ამ სასაზღვრო

ოლქს. სომხეთის მეფემ „მოულო საზღუარსა ქართლისასა ქალაქი წუნდა და არტანი მტკურამდე... უწოდა წუნდას, სახელად ქაჯატუნი, რომელი ესე ითარგმნების დევთა სახლად“ **(იქვე, 1955:44)**. მოგვიანებით ქართველებმა შეძლეს სომეხთაგან ამ მიწების დაბრუნება „სომეხთა უკუემოსცეს საზღვარი ქართლისა, ქალაქი წუნდა ჯავახეთი და არტანი“ **(იქვე, 1955:49)**.

ლეონტი მროველის ცნობით, IV ს. პირველ ნახევარში ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებისას, მირიან მეფის მიერ კონსტანტინეპოლიდან გამოთხოვილი ეპისკოპოსი იოანე და მისი თანმხლები პირნი ერუშეთში ტოვებენ ეკლესიის საშენებლად ხით ხუროებს, რომლებმაც საყდარში „სამაჟუალნი უფლისანი“ დაასვენეს, ხოლო შემდეგ ეკლესია აშენდა წუნდას, სადაც დაარსდა საეპისკოპოსო კათედრა **(ლეონტი მროველი, ნინოს ცხოვრება, 1955:117-118)**.

ქართველი ისტორიკოსის ჯუნშერის თხზულებაშიც „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა...“ ქართლის სამეფოს ტერიტორიულადმინისტრაციული მოწყობისას ვახტანგ გორგასალმა წუნდას ერისთავად წარგზავნა ნასრ **(ჯუნშერი, 1955:185)**.

„მატიანე ქართლისა“-ს უცნობი ავტორი აღწერს რა XI ს. პირველ ათწლეულებში საქართველოსა და ბიზანტიას შორის გართულებულ ურთიერთობას მიუთითებს, რომ გიორგი I (1012-1027) ოლთისთან უკანდახევის შემდეგ კოლას მოვიდა, ხოლო შემდეგ მოწინააღმდეგეები ერთმანეთს შირიმნის ბრძოლაში დაუპირისპირდნენ. მიუხედავად პირველი წარმატებისა, ქართველები დამარცხდნენ, ბასილი კეისარმა კი „ტყუე ყო ჯავახეთი და მოაოხრა არტანი...ასწყვიდა ქუეყანა ჯავახეთისა“... შემდეგ „უკუმოიარა ჯავახეთი და არტანი და კუალად უბოროტესადრე მოაოხრა ქუეყანანი იგი“ **(მატიანე ქართლისაი, 1955:285)**. იმავე ავტორის თხზულებაში არის ჩანართი სვეტიცხოვლისთვის ყმა-მამულის მოგების შესახებ და, რომ მელქისედეკ კათალიკოსმა „კოლას მოიგო სოფელი დიდი ოროტანი აგარაითა“ **(მატიანე ქართლისაი, 1955:290)**.

XI ს. ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე თავის თხზულებაში „ცხოვრება და უწყება ბაგრატონთა...“ აღწერს რა ადარნასე ქართველთა მეფესა და გურგენ კურაპალატს შორის დაპირისპირებას, მიუთითებს, რომ „მოვიდეს ესენი ხევსა არტანისასა, სოფელსა

მგლინავსა და ჰბრძოდეს ერთმანეთსა“. დაჭრილი გურგენ კურაპალატი, რომელიც ფლობდა შავშეთსა და არტაანს მალევე გარდაიცვალა (**სუმბატ დავითის ძე, 1955:379**). იგივე ავტორი საუბრობს გიორგი I-ისა (1014-1027) და ბასილი II-ის (976-1025) დაპირისპირებასა და ბასილის მიერ არტაანის გადანვაზე (**სუმბატ დავითის ძე, 1955:384**).

არტაანის შესახებ ცნობებს გვანვდიან თამარ მეფის ისტორიკოსები: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ უცნობი ავტორი აღნიშნავს, რომ მეფე თამარი სვიანად განაგებდა სამეფოს, აწესრიგებდა საქმეებს სამეფოს შიგნით თუ ყმადნაფიც ქვეყნებში „გაზაფხულ... წარვიდიან კოლას, თავსა არტანისასა, და მუნით მოილიან ხარაჯა კარნუ-ქალაქითა და ეზინკით და სხუათა გარემოთა ქალაქთა“ (**ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 1959:100**).

ბასილი ეზოსმოდღვარი ერთიანი საქართველოს მონაპირე ქვეყნების ჩამოთვლისას ასახელებს: ზემო ჯავახეთს, სადაც სარგის მხარგრძელი და შალვა თორელი „მონაპირობდეს“ და „ზედათ არტანი, სადა მესხნი მონაპირობდეს, რომელთა შორის იყო ყუარყუარე, სამცხისა სპასალარი, ჯაყელი, კაცი დიდად გამარჯვებული და ერთგული მეფეთა“ (**ცხოვრება მეფეთ-მეფის თამარისა, 1959:129**).

XIV ს-ის უცნობი ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი მონღოლთა ურდოების მოძრაობისას საქართველოში ახსენებს ალათემურის ურდოს, რომელიც „ივლტოდა და მომართა სამცხის კერძო“... თუმცა თვით მონღოლთა ცალკეულ ურდოებს შორის დაპირისპირება სასტიკი აღმოჩნდა... „კოლას მათა მოსვლამდე“... თორმეტი შეტაკება ალათემურის გამარჯვებით დასრულდა... „და ესრეთ მოინივნეს ქუენა არტანს, სოფელსა, რომელსა ჰქვიან გლინავი მუნ დახუდა მურვან გურკელელი, მახუნჯაგის ძე“... (**ჟამთააღმწერელი, 1959:252**). აქვე საუბარია სამცხის მთავრის ბექა ჯაყელის გაძლიერებაზე, მის დროს სამცხის სამთავრო გადაჭიმულია ტაშისკარიდან კარნუ-ქალაქამდე: სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, უმრავლესი ტაო, ვაშლოვანი, ნიგალისხევი, არტანუჯი, კოლა, კარნიფოლა და ორივე არტანნი და მრავალნი სოფელი ჯავახეთს (**ჟამთააღმწერელი, 1959:273**). ჟამთააღმწერელი კოლა-არტაანს ახსე-

ნებს სამცხის სამთავროში აზატ-მოსეს ლაშქრობისას, როდესაც ბექა ჯაყელმა შეძლო თურქთა დამარცხება **(იქვე, 1959:312-315)**.

XVI ს. კოლა-არტაანი აქტიურადაა ჩართული რეგიონში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებში. აქ გაჩაღებული შიდა დაპირისპირება და ოსმალთა ახალი ლაშქრობის დასაწყისი 1578 წ. საკმაოდ დეტალურადაა ასახული „მესხური დავითნის ქრონიკაში“ **(სამხრეთ-საქართველოს ისტორიის მასალები XV-XVI ს.ს.,1961:43-47)**. აქ საუბარია სამცხის სამთავრო სახლსა და ფეოდალთა დაპირისპირებაზე 1576-1578 წლებს შორის, მოხსენიებულია მგელციხე, სამწუმბთ ლელე, ოლაღის ქვაბი, ფოსო, პალაკაციო, თმოგვისციხე, ქაჯისციხე, თეთრაციხე, ურთის ციხე. ამ შიდა დაპირისპირებამ კი ოსმალებს საკმაოდ გაუადვილა სამცხის ციხეების დაკავება, მიუხედავად განეული წინააღმდეგობისა, 1578 წ. „ხუანთქრის ლაშქარი და ლალა-ფაშა მგელციხეს მოადგეს, შეიბნეს...ყოველდღეთ (ხუთშაბათიდან სამშაბათამდე) ომში იყვნეს ციხოანნი. გოგორიშვილი როინ და მისი ძმა ბერი ერუშნელი და მისი ძმისწული ზურაბ იყვნეს მათის ყმითა...ციხე ჩუენვე დაგვრჩა... პარასკევს...ქაჯის ციხე, ველი, თეთრაციხე ნაგვართვეს ურუმთა და ქაჯის ციხის მეციხოვნენი სრულიად შემოეხოცნეს“, ხოლო შაბათს (9 აგვისტოს), იმავე წყაროს ცნობით, „ძურძნასა და წინწალს შუა აზრუმისა და ვანის ფაშა მოვიდეს...ურუმნი მოერივნეს და გაიმარჯვეს“. ესაა ცნობილი ჩილდირის ბრძოლა 1578 წლის 9 აგვისტოს, რომელიც ოსმალთა გამარჯვებით დამთავრდა.

სამხრეთ საქართველოს, კერძოდ, კოლა-არტაანის შესახებ უალრესად მნიშვნელოვანი მასალებია დაცული XVIII ს. დიდი ქართველი ისტორიკოსის ვახუშტი ბატონიშვილის ფუნდამენტურ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ **(ვახუშტი ბატონიშვილი,1973:656-690;720)**. მის მიერ აღწერილი „საჩინო ადგილები სამცხე-საათაბაგოსი“ მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა კოლა-არტაანის ცალკეული გეოგრაფიული პუნქტების, ციხეების, ეკლესია-მონასტრებისა და სხვათა ადგილმდებარეობის დასადგენად, მეურნეობის ცალკეული დარგებისა განვითარებასა თუ რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ სამცხე-საათაბაგოში მიმდინარე პროცესებს, ძირითადად, „მესხური დავითნის მატთანეზე“ დაყრდნობით გადმოგვცემენ XVIII ს.-ის ისტორიკოსები: ვახუშტი ბატონიშვილი, ბერი ეგნატაშვილი და „ქართლის ცხოვრების გაგრძელების“ ანონიმი ავტორი (**ეგნატაშვილი, 1959:273; 520-522; ვახუშტი ბატონიშვილი, 1973:720; ცხოვრება საქართველოსა („პარიზის ქრონიკა“), 1980**).

XVI ს-ში ოსმალეთის მიერ მიტაცებული კოლა-არტაანს სხვა ქართულ რეგიონებთან ერთად მოკლედ ახასიათებს იოანე ბაგრატიონი (1768-1830) თავის ნაშრომში „ქართლ-კახეთის აღწერა“ (**ბაგრატიონი, 1986:83-85**). აქ ახალციხის მაზრაში ანუ „სანჯახში“ შემავალი მხარეებია ჩამოთვლილი, აქვეა მღვდელმთავართა სიაც და მოსახლეობის რაოდენობაც.

კოლა-არტაანის შესასწავლად მცირე, მაგრამ საყურადღებო ცნობებია დაცული ქართულ აგიოგრაფიულ ლიტერატურაში, რომ აღარაფერი ვთქვათ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილ ცნობაზე ერუშეთში მირიან მეფის დროს, IV ს. პირველ ნახევარში, ქართული ეკლესიის მშენებლობის შესახებ, რომელიც „მოქცევაი ქართლისაის“ მატანიდან მომდინარეობს (**მოქცევაი ქართლისაი, ქართული აგიოგრაფია, I, 2008**), უაღრესად საინტერესოა უცნობი ავტორის „ნამება ცხრათა ყრმათა კოლაელთა“, ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, სტეფანე მტბევეარის „ნამება ნმიდისა მონამისა გობრონისა“ (**ქართული აგიოგრაფია, I,II,III:2008**).

გიორგი მერჩულე ახსენებს „ნეტარ ილარიონს, წყაროსათვის მაშენებელს, ერუშნელ ეპისკოპოსს ჯავახეთის საეკლესიო კრებაზე; სტეფანე მტბევეარი „გობრონის ნამებაში“ 914 წ. აბულ-ყასიმის შემოსევისას, ყველის ციხის დაცვას დეტალურად აღწერს და მიუთითებს, რომ „ოდესმე გამოეტევიან სიმრავლენი იგი არტაონისა-სა და რომელნი პოვნიან თავისა მკრებელნი...“

საინტერესო ცნობებს გვანვდის კოლა-არტაანის შესახებ ეპიგრაფიკული ძეგლები; სტელა-ჯვრები, საეკლესიო, სამშენებლო წარწერები (**ქართული წარწერების კორპუსი (V-X სს), 1980: 134-136;267-269**).

უცხოური წერილობითი წყაროებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია II ს. ალექსანდრიელი სწავლული, გეოგრაფი, ასტრონომი და მათემატიკოსი კლავდიოს პტოლემეაიოსი. ის თავის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ იბერიის ქალაქების ჩამოთვლისას ასახელებს „არტანისას“ (**პტოლემეაიოსი, 1955:46;50;58-60**). ისტორიოგრაფიაში „არტანისას“ ლიკალიზაციას ქ. არტანუჯს ან ისტორიულ-გეოგრაფიულ მახარეს-არტაანს უკავშირებენ. თუმცა არის განსხვავებული მოსაზრებაც, რომ პტოლემეაიოსის „არტანისა“ საძიებელია კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, მცხეთის ჩრდილოეთით, იქ სადაც თანამედროვე სოფელი არტანი (თიანეთის მუნიციპალიტეტი) მდებარეობს (**მშვილდაძე, 2015:62-78**).

კოლა-არტაანს იცნობს სომხური საისტორიო მწერლობა. V (VIII) ს. გამოჩენილი სომეხი ისტორიკოსი მოსე ხორენელი თავის „სომხეთის ისტორიაში“ სამხრეთ საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად ასახელებს: „კოლი, კოლბი (კოლა)“, ჯავახეთს, კლარჯეთს, ტაოს (**ხორენელი, 1984:103-106;110;172; 214; 231**). აღსანიშნავია, სომხური გეოგრაფიული და კარტოგრაფიული ძეგლი „სომხური გეოგრაფია“ ე.წ. „აშხარჰაუცი“, რომლის ავტორად ითვლება VII ს. ცნობილი სომეხი გეოგრაფი, ისტორიკოსი, ასტრონომი, ფილოსოფოსი და მათემატიკოსი ანანია შირაკაცი. იბერიის აღწერისას ის ასახელებს შემდეგ პროვინციებს: კლარჯი, არტაანი, შავშეთი, ჯავახი, სამცხე, აჭარა...არტაანს, ჯავახსა და კლარჯს ახსენებს გუგარქის ნაწილებადაც (<https://ka.m.wikipedia.org.>wiki>).

შუა საუკუნეების სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ საკმაოდ მრავალფეროვანია ბიზანტიური საისტორიო წყაროები. თუმცა მათში ცნობები, კონკრეტულად, კოლა-არტაანის შესახებ ძალიან მწირია, რაც გარკვეული ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით შეიძლება აიხსნას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბიზანტიის იმპერატორისა და ისტორიკოსის კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები (912-959), სამხრეთ საქართველოს შესახებ, რომლებიც მას მოცემული აქვს ნაშრომებში: „ბიზანტიის სამეფო კარის ცერემონიები“ და ბასილი მეფის ცხოვრება და მოღვაწეობა“ (**კონსტანტინე პორფიროგენეტი, 1952:291-293**). ისტორიკოსი ტაო-კლარჯეთში განვითარებული

მოვლენების აღწერისას ასევე მიუთითებს, რომ „იბერიის კურაპალატს თავისადმი დაქვემდებარებული ჰყავს ოთხი სხვა სამთავრო: ყველის ერისთავი იბერიაში; აჭარის ერისთავი იბერიაში; ვერიასახის ერისთავი იბერიაში; კარნატაის ერისთავი იბერიაში“. ამ უკანასკნელ საერისთავოში „კარნატაი“, ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული მოსაზრებით, „კოლა-არტაანი“ უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც „ქართულ სამეფოში“, ქართველთა საკურაპალატოში, შემავალი ადმინისტრაციული ერთეული იყო **(მუსხელიშვილი, 1980:180,184)**.

კოლა-არტაანის შესახებ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოსმალური ნარატიული და დოკუმენტური წყაროები. უკვე XV ს. მეორე ნახევრიდან ოსმალეთის იმპერია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უახლოვდება, ხოლო XVI ს-ში ირან-ოსმალეთის დაპირისპირება ამიერკავკასიაში ხანგრძლივ საომარ ოპერაციებში გადაიზარდა, რომლის დროსაც ოსმალეთი ეტაპობრივად ეუფლება სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს; დაპყრობილ ტერიტორიაზე აარსებს „გურჯისტანის ვილაიეთს“. პოლიტიკური პროცესების, სამხედრო ექსპედიციების, რეგიონის დამორჩილების კვალდაკვალ შეიქმნა მდიდარი დოკუმენტური და ნარატიული: გეოგრაფიული, მემუარული ლიტერატურა, რომელშიც მრავალფეროვანი ინფორმაციაა დაცული. ამ მასალის ნაწილი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია და ინახება თურქეთის რესპუბლიკის არქივებში.

XVI ს. ოსმალთა ისტორიკოსთა შორის აღსანიშნავია მუსტაფა ალის (1541-1600 წ.წ) ნაშრომი „ნუსრეთ-ნამე“, რომელშიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუსტაფა-ალა ფაშას ლაშქრობა ამიერკავკასიაში 1578 წ. ისტორიკოსი თავად მონაწილეობდა ამ ლაშქრობაში და დანვრილებით აღწერა სამცხე-საათაბაგოს დაპყრობა ოსმალთა მიერ **(შენგელია, 1974: 20-22)**.

ოსმალურ ნარატიულ წყაროთაგან უაღრესად მნიშვნელოვანია XVII ს. ისტორიკოსის იბრაჰიმ ფეჩევის (1574-1651 წ.წ.) ორტომიანი ისტორია (მოიცავს 1520-1640 წლების პერიოდს), რომელიც ოსმალეთისა და მისი მომიჯნავე ქვეყნების ისტორიისათვის საუკეთესო წყაროს წარმოადგენს. მისი თხზულების დიდი ღირსებაა, რომ ავტორი სარგებლობდა თანამედროვე და წინა საუკუნეთა ისტო-

რიოგრაფიული ლიტერატურით (**ფეჩევი,1964**). იბრაჰიმ ფეჩევი თანმიმდევრობით გადმოგვცემს საქართველოზე თავდასხმის ცალკეულ ეპიზოდებს: 1548-1549 წლებში სამხრეთ საქართველოს ცალკეული ციხეების დაკავების შესახებ. ეს ციხეებია: ბარაკანის (ფარაკანის), ბანაკის (ფანაკი, ბანა), კომკის, პენაკის, ქუჩუკის და სხვა. ასევე საუბარია 1578 წ. მუსტაფა ლალა-ფაშას ლაშქრობის შესახებ: ოსმალებმა „არტაანად წოდებულ ხეობას მიაღწიეს, ეს ადგილი კარია საქართველოსი“. აქ დაბანაკდნენ. 9 აგვისტოს გაიმართა ცნობილი ჩილდირის ბრძოლა, რომელიც ოსმალთა გამარჯვებით დასრულდა (**ფეჩევი,1964:40-41**). ფეჩევი საუბრობს ველისციხის, ჩილდირის, თმოგვის, ხერთვისის, ახალქალაქის ციხეების აღებაზე და არტაანის სანჯაყის მცხოვრებთა დამორჩილებასა და სხვა საკითხებზე.

კოლა-არტაანის შესახებ ცნობები მოიპოვება XVII ს. ოსმალური ისტორიოგრაფიის ბრწყინვალე წარმომადგენლის გეოგრაფისა და მეცნიერის ისტორიკოსის ქათიბ ჩელების (ჰაჯი ხალიფა) (1609-1657). ისტორიულ-გეოგრაფიულ თხზულებაში „ჯიჰან-ნუმა“ (სამყაროს მეგზური). ამ თხზულების 39-ე თავში აღწერილია თბილისი, გორი, მტკვრის ხეობა; შემდეგ თავში საქართველოს სხვა კუთხეების გარდა ახასიათებს არტაანს, ახალციხეს, აწყურს, ახალქალაქს, არტანუჯს; ციხეებს, რომლებიც ოსმალებმა სახვადასხვა დროს დაიკავეს (**ჩელები ქათიბ, 2013:108-111;128-130**).

XVII ს-ის ოსმალთა ისტორიკოსისა და მოგზაურის ევლია ჩელების „**მოგზაურობის წიგნი**“ არაერთ ძვირფას ცნობებს გვაძლევს სამხრეთ საქართველოს ცალკეული მხარეების, კერძოდ, კოლა-არტაანის, ჯავახეთის, ჩილდირის და სხვათა შესახებ. აღწერს ციხეებს, ქალაქებს, გზებს, სავაჭრო ადგილებს, ადმინისტრაციული მოწყობის, მოსახლეობის, მეურნეობის და სხვა საკითხებს. ევლია ჩელების მოწოდებული ცნობები 1640-1647 წ.წ მოიცავს. ეს ცნობები განსაკუთრებით საინტერესო და სანდოა, რადგან ავტორი აღწერილი ამბებისა და ფაქტების თვითმხილველი და თანამედროვეა.. ევლია ჩელები აღწერს არტაანს, აქ არსებულ ციხეებს, მათ მშენებლებს და ა.შ. ასახელებს ხერთვისის ციხეს, ჭაჭარაქის ციხეს, ქაჯის ციხეს, ქალის ციხეს, ოქროს ციხეს, ალის, ფოცხოვის,

შავშეთის ციხეებს...ჯაყისმანის ციხეს. ევლია ჩელები გადმოგ-
ვცემს ახალციხის საფაშოში არსებულ ვითარებას (**ჩელები ევლია,
1971;1973**).

სამხრეთ საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხების შე-
სასწავლად მნიშვნელოვანია XVII ს. მეორე ნახევრის ოსმალთა ის-
ტორიკოსის მუნეჯიმ-ბაშის კომპილაციური თხზულება „დინასტი-
ათა კრებული“, რომელშიც ავტორი სხვა ცნობებთან ერთად იძლე-
ვა სამხრეთ საქართველოში ოსმალთა აგრესიის, ცალკეული ბრძო-
ლების უფრო დეტალურ აღწერას, ვიდრე თუნდაც იბრაჰიმ ფეჩევი
(**შენგელია,1968: 133-152**).

სამხრეთ საქართველოში ირან-ოსმალეთის დაპირისპირების
ცალკეული ეპიზოდების შესახებ საუბარია მუსტაფა ნაიმას (1655-
1716) თხზულებაში „ოსმალეთის ისტორია“ (მოიცავს 1591-1659
წლების ამბებს). ნაიმა გაცილებით ობიექტურია და სრულად
აღწერს მოვლენებს, ვიდრე მისი წინამორბედები (**შენგელია,
1974:69-103**).

ოსმალურ დოკუმენტურ წყაროთაგან უპირველესად აღსანიშ-
ნავია სამეცნიერო მიმოქცევაში ახლახან შემოსული „1574 წ. გურ-
ჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ (**1574 წ. გურჯისტანის ვი-
ლაიეთის დიდი დავთარი, 2016**), რომელიც უაღრესად მნიშვნელო-
ვანი და უნიკალური წყაროა საქართველოს ისტორიისა. მასში
ნაჩვენებია ოსმალთა თანდათანობით წინსვლა სამხრეთ საქარ-
თველოში, დაპყრობილი ტერიტორიის გაოსმალებისათვის ბრძო-
ლა. ესაა არსებითად პირველი დოკუმენტი, რომელიც ოსმალებმა
შეადგინეს დაპყრობილი ქართული ტერიტორიებისათვის და
უაღრესად საინტერესოა XVI ს. 70- იანი წლების სამხრეთ საქარ-
თველოს, მათ შორის, არტაანის ისტორიის ისეთი საკითხების გა-
სათვალისწინებლად, როგორებიცაა: გადასახადები, საგადასახა-
დო სისტემა, პოლიტიკური ისტორია, ისტორიული გეოგრაფია და
სხვა. აღსანიშნავია, რომ ეს დავთარი შედგენილი 20 წლით ადრე,
სანამ ოსმალები სამხრეთ საქართველოს სრულიად დაპყრობის
შემდეგ 1595 წელს შეადგენდნენ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ
დავთარს“. საინტერესოა, რომ ხსენებულ დავთარში უკვე შესულია
დიდი არტაანის ლივა რვა ნაჰიეთი: მზვარე, ჩრდილი, ტყიანი, ქიამ-
ხისი, ფინაკი და ფანასკერტი. 1574 წ. დავთარი აჩვენებს , რომ 1555

ნ. ამასიის ზავის შემდგომ, როცა ოსმალთა ხელში მხოლოდ სამცხის დასავლეთი ნაწილი აღმოჩნდა, უკვე დაიწყო ზრუნვა ქართული ფეოდალური წყობილების ლიკვიდაციისა და მხარის გაოსმალებისათვის, რაც აისახა კიდევ ამ უაღრესად მნიშვნელოვან საისტორიო წყაროში.

1578 წ. ოსმალეთმა ამასიის ზავი დაარღვია და განაახლა ბრძოლა სამხრეთ-საქართველოს დასაპყრობად. 1590 წელს სტამბოლის ზავით არამართო სამცხე-ჯავახეთი, არამედ მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასია ოსმალთა ხელში გადავიდა. ოსმალებმა მალევე გააფართოვეს „გურჯისტანის ვილაიეთის საზღვრები“, ის ახლა მთელ სამხრეთ საქართველოს მოიცავდა, ხოლო მხარის სრული ინკორპორაციისათვის 1595 წ. შეადგინეს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ (**გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, 1941; III, 1958**), რომელიც ასევე ძვირფასი წყაროა XVI ს. უკანასკნელი მეოთხედის სამხრეთ საქართველოს, კერძოდ, კოლა-არტაანის ისტორიის შესასწავლად და გვანდის უხვ ცნობებს არტაანისა და ჩილდირის ლივაში შემავალი მხარის ადმინისტრაციული მოწყობის, აქ დანერგილი ოსმალური საგადასახადო სისტემის, ქართული ფეოდალური მინათმფლობელობის ლიკვიდაციის, მეურნეობის ცალკეული დარგების, მოსახლეობის რაოდენობრივი, სოციალური, რელიგიური კუთვნილების, ადგილობრივი ტოპონიმიკის და სხვა საკითხთა შესასწავლად.

სამხრეთ საქართველოს, კონკრეტულად, არტაანის ისტორიის ცალკეული საკითხების გასაშუქებლად ასევე მნიშვნელოვანია XVIII ს. პირველ მესამედში შედგენილი „ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი“ (1694-1732 წ.წ.), რომელშიც მოცემულია „ეიალეთში“ შემავალი სოფლების აღწერა, გადასახადები, ადმინისტრაციული მოწყობა და ა.შ. (**ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი (1694-1732 წ.წ.), 1979**).

არტაანის შესახებ საყურადღებო ცნობებია დაცული ოსმალურ დოკუმენტურ წყაროებში (**თურქული წყაროები...1983: ოსმალური დოკუმენტური...1989**), რომლებიც თანდათან შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში.

ამრიგად, ისტორიული საქართველოს ერთ-ერთი დაწინაურებული რეგიონის -არტაანის შესახებ წერილობითი წყაროები საკმა-

ოდაა დაცული ქართულ საისტორიო ლიტერატურასა და აგიოგრაფიულ მწერლობაში; ბერძნულ-ლათინურ, ბიზანტიურ, სომხურ, განსაკუთრებით, ოსმალურ ნარატიულ და დოკუმენტურ ძეგლებში, რომელთა შესწავლა ახლებურად წარმოაჩენს სამხრეთ საქართველოს ისტორიის ცალკეულ ეტაპებს.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

- 1. 1574 წ. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, 2016:-** 1574 წ. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, შენიშვნებითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ, თბილისი.
- 2. ბაგრატიონი, 1986:** - ბაგრატიონი იოანე, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა, თბილისი.
- 3. გეორგიკა, IV (2), 1952:** -გეორგიკა (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ), IV (2), თბილისი.
- 4. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, 1941; III, 1958:** - გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, III, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ს. ჯიქიამ, თბილისი.
- 5. ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, IV, 1973:-** ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.
- 6. თურქული წყაროები...1983:-**თურქული წყაროები XVI ს. I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ, თბილისი.
- 7. „მესხური მატიანე“ , 1961:** - „მესხური მატიანე“ (სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, XV- XVI ს.ს.), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ქრ. შარაშიძემ, თბილისი.

8. **ხორენელი, 1984:**-ხორენელი მოსე, სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ.აბდალაძემ, თბილისი.
9. **მუსხელიშვილი, 1980:**-მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბილისი.
10. **მშვილდაძე, 2015:**-მშვილდაძე მადონა, იბერიის ქალაქთა ლოკალიზაცია კლავდიოს პტოლემეაიოსის კოორდინატთა სისტემის მიხედვით (სადოქტორო დისერტაცია), თბილისი.
11. **ოსმალური დოკუმენტური...1989:**-ოსმალური დოკუმენტური წყაროები საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ XVII-XVIII ს.ს. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადეს ა. ველკოვმა და ნ. შენგელიამ, II, თბილისი.
12. **პტოლემეაიოსი, 1955:**-ლომოური ნოდარ, კლავდიოს პტოლემეაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ, მსკი, ნაკვეთი 32, თბილისი.
13. **სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, ქართული აგიოგრაფია, III, 2008:** - ბასილი ზარზმელი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, ქართული აგიოგრაფია, III, თბილისი.
14. **ფეჩევი იბრაჰიმ, 1964:** იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქული ტექსტი შესავლითა და კომენტარებით გამოსცა ს. ჯიქიამ, თბილისი.
15. **ქართული წარწერების კორპუსი, I, 1980:** - ქართული წარწერების კორპუსი, I, ლაპიდარული წარწერები (აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო, V-X ს.ს.), შედგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბილისი.
16. **ქართლის ცხოვრება, I, 1955:** -ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.
17. **ქართლის ცხოვრება, II, 1959:** -ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.

18. **შენგელია, 1968**;-შენგელია ნოდარ, მუნეჯიმ-ბაშის ცნობები ლალა მუსტაფა ფაშას ამიერკავკასიის ქვეყნებშილაშქრობის შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბილისი.
19. **შენგელია, 1974**;-შენგელია ნოდარ, XV-XIX ს.ს. საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბილისი.
20. **ჩელები ევლია, „მოგზაურობის ნიგნი“, ნაკვ. 1, 1971; ნაკვ.II, 1973**: - ჩელები ევლია, „მოგზაურობის ნიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. 1, თბილისი; ნაკვ.II, თბილისი.
21. **ჩელები ქათიბ, 2013**:- ჩელები ქათიბ, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ.ალასანიამ, თბილისი.
22. **ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი (1694-1732 წ.წ.), 1979**: - ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი (1694-1732 წ.წ.), ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ, თბილისი.
23. **წამება გობრონისა, ქართული აგიოგრაფია, III, 2008**: - სტეფანე მტბევარი, წამება გობრონისა, ქართული აგიოგრაფია, III, თბილისი.

Tsiuri Katamadze

Artaani in writing sources

Summary

The work contains a variety of historical sources (narrative, documentary, epigraphic) in Georgian, Greek-Latin, Byzantine, Armenian, Ottoman Historical writing and literature about Artaan.

საქართველო და ევროკავშირი

საქართველოს ევროპისკენ და ზოგადად, დასავლეთისკენ სვლა XX საუკუნის მიწურულს არ დაწყებულა და ამ გზის გაკვალვა ჩვენმა წინაპრებმა გაცილებით ადრე დაიწყეს.

„დასავლეთი“ არის, პირველ რიგში, არა გეოგრაფიული სივრცე, რომელიც მოიცავს ძირითადად ევროპის კონტინენტის დასავლეთ ნაწილს, არამედ ფასეულობათა სისტემა (დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ტოლერანტობა, მყარი ინსტიტუტები, რასაც ეფუძნება სახელმწიფო და სხვ.) და ტექნიკურ-ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე, რომელიც ახასიათებს ევროპას და ჩრდილოეთ ამერიკას. (ამ კონტექსტში უნდა ვიგულისხმოთ ასევე ავსტრალია, იაპონია, სამხრეთ კორეა და ისრაელი). ის, რაც დღეს დასავლეთს წამყვან როლს ანიჭებს პროცესების წარმართვისას, კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა სახელმწიფოებისა და ხალხების ხელში იყო კონცენტრირებული. საქართველოს, როგორც ევროპასა და აზიას შორის მდებარე გზაჯვარედინს მუდმივად ჰქონდა მინიმუმ ორი ან რამდენიმე არჩევანი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, რომლის დროსაც იგი ძირითადად ამ უკანასკნელს ირჩევდა. ამ არჩევანს პოლიტიკურ კონიუნქტურასთან ერთად დასავლეთთან ღრმა კულტურული და სულიერი კავშირები განსაზღვრავდა. ქართულ-ევროპულ (დასავლურ) გზათა პირველი მნიშვნელოვანი გადაკვეთა უკავშირდება მითს არგონავტების შესახებ.

ამ გადმოცემაში მრავლადაა სინამდვილის ელემენტები. ჩანს დასავლურ ქართული ერთობის – კოლხეთის ურთიერთობა მაშინდელი მსოფლიოს წამყვან ხალხთან – ელინებთან, რომლებიც ამრეზით უყურებდნენ არა ბერძენ ხალხებს და თავი სამყაროს ცენტრად მიაჩნდათ. კოლხეთი ახლობელია მათთვის. აიეტი გახლავთ მზის ღმერთის, ჰელიოსის შვილი, ე.ი. იგი ამ სამყაროში ინტეგრირებულად უნდა მივიჩნიოთ. ასევე აიეტი ფლობს ტექნოლოგიურ ნოვაციას - ოქროს საწმისს, რომელიც ბერძნების ცხოველი ინტერესის სფერო იყო. მითი ასევე ასახავს კარგად განვითა-

რებულ მეტალურგიას, კარტოგრაფიას, ზღვაოსნობას (კირბები) და მედიცინის მაღალ დონეს.

ბერძნული კულტურის დომინაცია, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, კარგად ჩანს ძვ.წ-მდე VI საუკუნეში. იგი აქტიურადაა ჩართული ელინურ სავაჭრო-ეკონომიკურ სისტემაში, რომელსაც ბერძნულმა კოლონიზაციამ დაუდო სათავე. ის მოიცავდა ახლო აღმოსავლეთს, ეგვიპტესა და აფრიკის სანაპიროს, დასავლეთ და ცენტრალურ ევროპას და, რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია შავიზღვისპირეთს.

დასავლეთ საქართველოსთან ერთად იბერია მკვეთრი ორიენტაციული არჩევანის წინაშე ძვ.წ-ის I საუკუნის 60-იან წლებში დადგა, როდესაც რომი აღმოსავლეთში აგრესიულ პოლიტიკას წარმართავდა და ცდილობდა პონტოს სამეფოს ხარჯზე მოეხდინა საკუთარი მიზნების განხორციელება. იბერიისგან განსხვავებით კოლხეთი პონტოს სამეფოს უშუალო გამგებლობაში შედიოდა და დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების საშუალება არ ჰქონდა.

გამოიკვეთა იბერიის სამეფოს ფუნქცია საერთაშორისო პოლიტიკაში, რაც გულისხმობდა, კავკასიონის გადმოსასვლელების კონტროლს და იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრების ამ მონაკვეთის დაცვით, იმდროინდელ საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას.

ქართულ-რომაულ ურთიერთობებს, უფრო მაღალ ხარისხში, ადგილი ჰქონდა II საუკუნის 40-იან წლებში ქართლის მეფე ფარსმან II-ის დროს, რომელიც კარგად იყენებდა მის ხელთ არსებულ ბერკეტებს მომთაბარე ტომების სახით და დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას ცდილობდა. მისი ფიგურის მნიშვნელობაზე მეტყველებს ვიზიტი “მარადიულ ქალაქში” და მარსის მოედანზე მისივე ცხენოსანი ქანდაკების აღმართვა.

საქართველოს დასავლეთთან მიმართებაში საკვანძო მომენტად მიჩნეულია IV საუკუნე, ქრისტიანობის განმტკიცების ხანა. ამ რელიგიამ მთლიანად შეცვალა ევროპის ბედი. ასე მოხდა საქართველოშიც. ის შემოვიდა ყველგან: კულტურაში, ხელოვნებაში, ცხოვრების წესში და სააზროვნო სისტემაში.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ, ერთი მხრივ, ორიენტაციასთან დაკავშირებულ საკითხს სრულად გასცა პასუხი, ხოლო მეორე მხრივ, წითელი ხაზი გაავლო აღმოსავლეთთან და გაემიჯნა ჯერ მაზდეანობას, შემდეგ კი ისლამს.

ამის ნათელი დადასტურებაა ვახტანგ გორგასალის პოლიტიკა, რომელიც, მიუხედავად სიძნელეებისა, აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) პოლიტიკურ ორბიტაში ცდილობდა დამკვიდრებას. მეფე სპარსეთის დახმარებით ეშურებოდა თავისი ძალაუფლების გაზრდას და ქვეყნის ტერიტორიის გაფართოება-ცენტრალიზაციას, მაგრამ ეს სტრატეგიული მიზნისაკენ მიმავალ ტაქტიკურ ნაბიჯად მიაჩნდა და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა ბიზანტიური სივრცის ნაწილად ექცია ქვეყანა.

ძალზედ საგულისხმოა VI საუკუნეში ეგრისში მიმდინარე “დიდი ომიანობა”. აღმოსავლურ-დასავლური მსხვილი მოთამაშეების, ირანისა და ბიზანტიის ინტერესები, გარდა სხვა ადგილებისა, დასავლეთ საქართველოშიც გადაიკვეთა. თავის მხრივ, ცუდსა და უარესს შორის არჩევანის პრინციპით მოქმედი ეგრისელები ხან ბიზანტიელებს მოუხმობდნენ ქვეყანაში, ხან კი ირანელებს. თუმცა, მიუხედავად ბიზანტიელთა მიერ გუბაზ მეფის მკვლელობისა, როდესაც ეგრისელთა მიერ შეყრილ აგორაზე ქვეყნის ორიენტაციის საკითხი დადგა, მათი დიდი მსჯელობის შემდგომ დასავლეთს (ბიზანტიას) მიანიჭეს უპირატესობა და აქ განმსაზღვრელი ფაქტორი ქრისტიანობა აღმოჩნდა.

VIII საუკუნეში, ქართლში განსაკუთრებით გაძლიერდა არაბთა ბატონობა. ამ ვითარებას კარგად აღწერს იოანე საბანისძე და ყურადღებას ამახვილებს ქართლის ადგილსა და ფუნქციაზე რეგიონში, რითაც ხაზს უსვამს მის განუყოფლობას ბიზანტიისგან, დაზუსტებით კი ქრისტიანული სამყაროსაგან. “რომელნი ესე ვართ ყურესა ამას ქვეყნისასა . . . არა ხოლო ბერძენთა სარწმუნოებაი ესე ღმრთისა მიერი მოიპოვების, არამედ ჩუენცა შორიელთა ამათ მკვიდრთა”.

X-XI საუკუნეთა მიჯნაზე, როდესაც დღის წესრიგში დგება საქართველოს გაერთიანების საკითხი, ეს ურთიერთობები თვისობრივად ახალ ფაზაში გადადის. გაერთიანებული ქართული ფეოდალური მონარქია, რომელსაც კავკასიური იმპერიის ამბიციები აქვს, ცდილობს ნელ-ნელა წინააღმდეგობა გაუწიოს ბიზანტიას და შემდეგ მის საპირწონედ იქცეს. ეს პროცესი მეტ-ნაკლები ინტენსივობით ერთი საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა. იგი აისახა ჯვაროსნებთან ურთიერთობაში (I, IV და V ჯვაროსნული ლაშქრობები) და რომის წმინდა საყდართან მიმოწერაში.

XIII საუკუნის 40-იანი წლებიდან განსაკუთრებით გახშირდა კავშირები კათოლიკურ სასულიერო ორდენებთან, კერძოდ დომინიკანელებთან და ფრანცისკანელებთან, ხოლო XIV საუკუნეში გიორგი ბრწყინვალის ზეობისას ეს ურთიერთობები ახალ საფეხურზე ავიდა. ამის მიზეზი იყო ერთიანი ქართული მონარქიის ძლიერება, რამაც კათოლიკეებს უბიძგა სმირნადან საეპისკოპოსო კათედრა თბილისში გადმოეტანათ, ასევე მნიშვნელოვანი ცვლილებები საერთაშორისო და რეგიონულ პოლიტიკაში. ვენეციისა და გენუის მიერ, საერთაშორისო ვაჭრობაში უმთავრესი კონკურენტის ბიზანტიის, დასუსტება-ჩამოშორებამ შავი ზღვის ფუნქციის გაზრდა გამოიწვია. იგი იტალიური ქალაქ-სახელმწიფოების მიერ ჩამოყალიბებულ სავაჭრო-ეკონომიკურ სისტემაში ჩაერთო. ამას მოჰყვა გენუელების მიერ სავაჭრო ფაქტორიების დაარსება შავი ზღვის სანაპიროს ქართულ ნაწილში (ბათუმი – ლოვატი, ფოთი – ფასო, სოხუმი – სებასტოპოლისი).

ევროპასთან ურთიერთობისას საბედისწერო მომენტი დადგა 1453 წელს, როდესაც დაეცა კონსტანტინოპოლი. ბიზანტიის იმპერიის დამხობით ჩაიკეტა პირდაპირი გზა დასავლეთისაკენ და ქვეყანა აგრესიული მუსულმანური ქვეყნების რკალში მოექცა: “ეს ის ხანა იყო, როცა ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები ცენტრალიზაციისა და სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცებისაკენ მიილტვოდნენ. ინგლისში ვარდების ომის შემდეგ 1485 წელს თიუდორთა ტრუიმფალური აღზევება მოხდა. საფრანგეთში ლუდოვიკო XI უღმობლად მოსპო ფეოდალური თვითნებობის ნაშთები. დიდი მთავრები ივანე დიდი და ვასილი ერთიმეორეს მიყოლებით ნთქავდნენ მოსკოვის დამოუკიდებელ სამთავროებსა და თავისუფალ ქალაქებს და ახალ რუსეთს უყრიდნენ საძირკველს. ბოსფორზე თურქი სულთნები ახალ იმპერიას აშენებდნენ, რომელიც მრისხანედ იდგა ცალი ფეხით აღმოსავლეთში და მეორეთი დასავლეთში. სპარსეთში შაჰ-ისმაილმა ახალ ეროვნულ დინასტიას ჩაუყარა საფუძველი და გზა მისცა თავისი ხალხის რელიგიურ და პატრიოტულ აღტკინებას. მაგრამ რენესანსული ცივილიზაციისაგან მოწყვეტილ და ქანცგამოღულ საქართველოში საათის ისრები უკან მიდიოდა და არა წინ”. . მიუხედავად ამ სავალალო კონტრასტისა, ქართველი მეფე-მთავრები იმედის თვალით შეჰყურებდნენ ევროპას, მაგრამ ამოდ. იმდროინდელი პოლიტიკური

ვითარებიდან გამომდინარე, მათ მიერ განეული დახმარება მხოლოდ მორალური ხასიათისა იყო. ეს დაადასტურა სიმონ I-ის მიმონერამ პაპ კლიმენტი VIII და ესპანეთის მეფე ფილიპე II-თან და განსაკუთრებით კი სულხან-საბას ელჩობამ საფრანგეთსა და იტალიაში.

თემურ-ლენგის ლაშქრობების შემდეგ სახელმწიფოს დაქუცმაცება-დეზინტეგრაციის პროცესი შეუქცევადად გრძელდებოდა სამი საუკუნის მანძილზე. საგარეო ასპარეზზე ქართული სამეფო-სამთავროების არც თუ წარმატებულ თამაშს ირანსა და ოსმალეთს შორის არამდგრადი შიდაპოლიტიკური პროცესები განაპირობებდა.

რეფორმას საჭიროებდა მთელი სისტემა, რასაც უნდა გამოენვია ეკონომიკის აღმავლობა, სახელმწიფო აპარატის ახლებურად გარდაქმნა, ჯარის რეფორმირება, „ტყვის სყიდვის“ შეჩერება და ამით დემოგრაფიული სურათის გაჯანსაღება და სხვ. ეს მიზნები ჰქონდა ერეკლე II-საც როდესაც რუსეთთან დაკავშირება გადაწყვიტა. საქართველოში განვითარებულმა სამსაუკუნოვანმა პროცესმა, რომელსაც ზემოთ შევხებით, განაპირობა ერეკლეს არჩევანი რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ.

ისეთ გამოცდილ დიპლომატს, როგორიც ერეკლე იყო კარგად ესმოდა ევროპის მნიშვნელობაც და საერთაშორისო პოლიტიკაც. მისი რეფორმები, რაც გულისხმობდა „მორიგე ჯარის“ შექმნას, სახელმწიფო აპარატის გარდაქმნას, ჯარის თანამედროვე იარაღით აღჭურვას ევროპეიზაციისაკენ გადადგმული ნაბიჯები იყო, მაგრამ ეს მხოლოდ პროცესის ერთი მხარე გახლდათ. მეორე მხარეს კი იდგა სამი რეგიონული „ვეშაპი“ და მათთან ერთად მოთამაშე მსხვილი ევროპული სახელმწიფოები, რომელთა შორისაც ხდებოდა ლავირება. თვითონ რუსეთიც ევროპეიზაციის გზაზე იდგა. თავი რომ დავანებოთ რუსეთის სამეფო კარის ვიზუალურ მხარეს, რომელსაც დასავლური „სურნელი“ დაჰკრავდა, უნდა გამოვყოთ ევროპული (გერმანულ-პრუსიული) მოდელის დანერგვის პროცესი არმიაში, განათლების სისტემაში, ეკონომიკაში და ა.შ.

„ქართლ-კახეთის სამეფოს პროდასავლური ორიენტაცია იმდენად სერიოზული იყო, რომ რუსეთის მთავრობის რეზიდენტმა სერგეი ბურნაშოვმა საქმის კურსში ჩააყენა რუსეთის საიმპერატორო კარი.“ ერეკლეს სურვილს - ევროპულად მოეწყო ქვეყა-

ნა, ადასტურებდა 1784 წელს პავლე პოტიომკინის მიერ შეგროვილი ცნობებიც. მიუხედავად იმისა, რომ ერეკლეს ჩანაფიქრი არ გამართლდა და საქართველო რუსეთმა დაიპყრო, უარყოფითის გარდა ამას ზოგიერთი დადებითი მოვლენაც მოჰყვა. რუსეთის გავლით აქამდეც მოაღწია ევროპულმა ცხოვრების წესმა, განათლებამ და კულტურამ.

რუსეთის იმპერიის ნგრევის შედეგად 1918 წელს აღმოცენებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დასავლური ორიენტაციისა იყო. მათ მიერ გატარებული რეფორმებიც ამას ადასტურებდა. აღარაფერს ვამბობთ იმდროინდელ მსოფლიოში ერთ-ერთ სანიმუშო კონსტიტუციაზე.

საქმეში ისევ, ჩვენნაირი პატარა და ჩამოუყალიბებელი სახელმწიფოსთვის, ნაკლებად ანგარიშ გამწვევი ფაქტორი – საერთაშორისო პოლიტიკა ჩაერთო, რომელმაც დემოკრატიული ღირებულებების დამცველი საქართველო რუსეთის გავლენის სფეროდ გამოაცხადა. ეს კი ევროპული კარების კიდევ ერთხელ მიხურვას და განითვლებული რუსული იმპერიის ნაწილად ქცევას ნიშნავდა.

XX საუკუნის ბოლოს „ცივი ომის“ დასრულებას მსოფლიოში ახალი წესრიგის ჩამოყალიბება მოჰყვა. ამ პროცესმა პოლიტიკურ რუკაზე ახალი სახელმწიფოები გააჩინა, რომელთა შორის საქართველოც აღმოჩნდა. ახლადშობილი ქართული სახელმწიფო მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. ეს პრობლემები გამოიხატა 1991-1992 წლებში კანონიერი ხელისუფლების დამხობით, ორი ეთნო-კონფლიქტის გაჩაღებით, რასაც მოჰყვა საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 20%-ის ფაქტობრივი ანექსია რუსეთის მიერ, ეკონომიკური პრობლემები, კორუფციის არნახული მასშტაბები და სხვა პრობლემები. ცხადია, ამ სიძნელეების ერთ-ერთი ძირითადი “შემოქმედი” რუსეთი იყო, რომელიც ვერ ეგუებოდა ტრადიციული გავლენის სფეროების შემცირებას. ამ ფონზე, 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება დასავლეთთან აქტიური ურთიერთობები. თანამშრომლობა ნატოსთან, ევროკავშირსა და ეუთოსთან. ამ პერიოდშივე ყალიბდება საქართველოს ფუნქციის კონტურები XXI საუკუნეში, რომელიც შემდგომში გარდაისახა სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო და რეგიონული მასშტაბის პროექტებში, იყო ეს ბაქო-სუფსა-ჯეიჰანის ნავთობსადენი, თუ ბაქო-თბილისი-ერზუმის გაზსადენი. ამას თან

დაერთო აშშ-თან სტრატეგიული თანამშრობლობა სხვადასხვა სფეროში, ხოლო 90-იანი წლების პროდასავლური ორიენტაციის სიმბოლურ დაგვირგვინებად შეიძლება მივიჩნიოთ 1999 წელს საქართველოს ევროსაბჭოში მიღება. ეს იყო ჩვენი ქვეყნის არაერთი თაობის სურვილი და ოცნება ევროპასთან, დასავლეთთან კავშირისა. ეს სურვილი უფრო მკვეთრად გაჟღერდა 2003 წლის შემდეგ და ახალი ხელისუფლების მიერ გამოითქვა სურვილი დასავლეთისკენ სწრაფვის ტემპების გაზრდისა. მაგრამ 2008 წლის აგვისტოს ომმა ეს პროცესები შეანელა და ჩვენი საზოგადოება კიდევ ერთხელ დააფიქრა არჩევანზე. დღეს ჩვენი მდგომარეობა ასეთია: ერთი მხრივ, ჩვენ არ გვსურს ჩვენი აგრესიული მეზობლის წიაღში, რომელმაც მრავალი ზიანი მოგვყენა ახლო თუ შორეულ წარსულში, ხოლო მეორე მხრივ ვერ ვაბარებთ „გამოცდებს“ რათა დაჩქარდეს ევროპულ ოჯახში დაბრუნება.

საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის პრობლემები და პერსპექტივები. 1990-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდში საქართველოში ახალი ორიენტირის მოძიების პროცესი, მწვავე შიდა პრობლემის სამოქალაქო დაპირისპირებისა და ეკონომიკური კრიზისის ფონზე მიმდინარეობდა. ამ პროცესში ევროკავშირის ჩართვა მოკრძალებული იყო და ძირითადად პოსტ-საბჭოთა ქვეყნებისთვის ტექნიკური დახმარების პროგრამით შემოიფარგლებოდა. ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდი (1992-2003 წწ.) „ახალი ბიზნესის“, ძველი ნომენკლატურისა და „ძველი“ ინტელიგენციის ურთიერთშერწყმას წარმოადგენდა. შევარდნაძის პოლიტიკა რუსეთთან ერთგვარი *modus Vivendi* 2-ის ძიებით, კონფლიქტებთან დაკავშირებით გარკვეული კომპრომისული გარიგებებით და ერთგვარი ლავირების მცდელობით ხასიათდებოდა. თუმცა, ბოლო პერიოდში გაიზარდა დასავლური რიტორიკა რუსეთთან ურთიერთობის დალაგების წარუმატებლობის ფონზე. შიდა პოლიტიკის სრული წარუმატებლობის, კორუფციის, მოშლილი სახელმწიფო ინსტიტუტების, პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ევროკავშირთან, ისევე, როგორც სხვა დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობა და მათი დახმარება ნაკლებად აისახა ქვეყნის კეთილდღეობაზე. ამ პერიოდში გატარებული რეფორმები არა ფუნდამენტური და ნაკლებად ეფექტიანი იყო, მაშინ, როცა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ინტეგრაციის

სქემით ახორციელებდნენ ცვლილებებს ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, აღსანიშნავია, რომ პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯები ევროკავშირთან თანამშრომლობის კუთხით სწორედ ედუარდ შევარდნაძის პერიოდში გადაიდგა, კერძოდ: ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში 1995 წელს გაიხსნა, ხოლო ევროკავშირ-საქართველოს შორის პირველი ხელშეკრულება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ 1996 წელს გაფორმდა. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისადმი ინტერესის შესახებ პირველად ედუარდ შევარდნაძემ ნატოს სამიტზე პრაღაში 2002 წელს განაცხადა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა სამთავრობო გუნდმა ქვეყნის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირება თავის მთავარ პრიორიტეტად გამოაცხადა, რაც გამყარებული იქნა ახალი სიმბოლიკით, მათ შორის ევროკავშირის დროშით საქართველოს ყველა საჯარო დაწესებულებაში. საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის ინაუგურაციაზე საქართველოს დროშასთან ერთად ევროკავშირის დროშა შემთხვევით არ იყო აღმართული. პრეზიდენტის განცხადებით, „ეს დროშა საქართველოს დროშაც არის იმიტომ, რომ გამოხატავს ჩვენი ცივილიზაციის, ჩვენი კულტურის, ჩვენი ისტორიის არსს და ჩვენი მომავლის პერსპექტივას და ხედვას.“ ევროკავშირში ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციის პერსპექტივა შემდეგში მდგომარეობს. საქართველოს ეკონომიკა არასტაბილურობით გამოირჩევა, ევროკავშირის წევრობა კი საქართველოს ფინანსური სტაბილურობის ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია.

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სიმცირეა. ვინაიდან საქართველოს შიდა კაპიტალის ბაზარი კვლავ განუვითარებელია, ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული დაფინანსების გარე წყაროებზე და კერძოდ, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე. ევროკავშირის ქვეყნები კი ამ პრობლემისგან, მეტ-ნაკლებად დაცული გახლავთ, ევროკავშირში შესვლით ჩვენი ქვეყანა შეძლებს ევროპული ბაზრის ათვისებას და მეტ-ნაკლებად შიდა ბაზრის განვითარებასაც. ასევე ინვესტიციები მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად გამოიყენება, რომელთა განხორციელებაც მხოლოდ ადგილობრივი საბანკო სექტორის დაფინანსებით შეუძლებელი იქნებოდა.

საწყის ეტაპზე საქართველოში განსაკუთრებული შეშფოთების საგანი არსებული ხისტი საგადასახადო სისტემები, ყოვლისმომცველი კორუფცია, გადამეტებული სახელმწიფო ჩარევა, რეგულირების განუვითარებელი ბაზა და სუსტი იურიდიული სტრუქტურები იყო. თუმცა, ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველომ გარკვეული კრიტერიუმებით შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწია. ევროკავშირის წევრობა ჩვენს ქვეყანას კი ავტომატურად დაეხმარება საქართველოს კანონმდებლობა ჰარმონიზაციაში მოვიდეს ევროკავშირის კანონმდებლობასთან, ამის მიღწევა ნაკისრი ვალდებულებებით არის შესაძლებელი, რაც ჩვენი ქვეყნის განვითარების უპირველეს მიზანს წარმოადგენს.

უახლოესი წლების ეკონომიკური შედეგები დიდად არის დამოკიდებული ერთი მხრივ, ეკონომიკის განვითარების იმ სტრატეგიულ ხედვაზე, რომელსაც ხელისუფლება შეიმუშავებს და მეორე მხრივ იმაზე, თუ რამდენად სწორად დაიკავენს ქვეყანა ნიშას კავკასიასა თუ ზოგადად, რეგიონში, ევროკავშირის წევრობა პოლიტიკურადაც მომგებიანია, რადგან 1992 წლის მაასტრიხტის ხელშეკრულებით, ევროკავშირი სამართალ სუბიექტს წარმოადგენს რაც მსოფლიო გლობალურ პოლიტიკაში პოლიტიკური კლიმატის შექმნის წინაპირობა გახლავთ. საქართველო კი ამ პროცესში ევროკავშირთან ერთად რა თქმა უნდა ჩართული იქმნება.

მართალია, 2008 წლის შემდეგ საქართველომ სწრაფად შეძლო დაწეოდა და გაესწრო კიდევ საკმაოდ ბევრი ქვეყნისთვის ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის მაჩვენებლის მიხედვით, მაგრამ სოციალური უთანასწორობა კიდევ უფრო გაღრმავდა. ამ ეტაპზე სოციალური უთანასწორობის დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ ჯანდაცვის, განათლების და ინფრასტრუქტურის რადიკალური გაუმჯობესების კონტექსტში, ევროკავშირის წევრობით კი ეს ყოველივე უფრო მარტივად მიღწევა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებიდან გამომდინარე, უახლოესი მომავლის ძირითადი გამოწვევებია: ინვესტორთა ნდობის შემდგომი გაძლიერება, საჯარო ხარჯების შემცირება, გაცვლითი კურსის მოქნილობის უზრუნველყოფა საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის შემცირების მიზნით, კაპიტალის შემოდინების უზრუნველყოფა. ზემოთ განხილული საკითხებიდან გამომდინარე, საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაცია მომგებიანი გახლავთ, მაგრამ საჭიროა არსებული პრობლემების დაძლევა, რასაც საქართველო პასუხობს დადები-

თად და მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს ევროკავშირში ინტეგრაციისთვის.

ევროკავშირი და კონფლიქტები საქართველოში. ევროკავშირი ჩართულია საქართველოს კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პროცესში ადრეული 1990-იანი წლებიდან. ის მონაწილეობდა ძირითადად ჰუმანიტარული, სარეაბილიტაციო და ნდობის აღდგენისაკენ მიმართული აქტივობებით. ევროკავშირი ასევე მონაწილეობდა სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში (მაგ. ჟენევის პროცესი და მისი სამუშაო ჯგუფები). თუმცა პოლიტიკური თვალსაზრისით აფხაზეთის მიმართულებით ძირითადად გაერო ლიდერობდა, ხოლო სამხრეთ ოსეთის მიმართულებით - ეუთო.

ევროკავშირის როლი განსაკუთრებით აქტუალური გახდა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, როდესაც მანამდე არსებული ყველა სამშვიდობო ფორმატი მოიშალა და ევროკავშირი იქცა ადგილზე მოქმედ ფაქტობრივად ერთადერთ საერთაშორისო ფაქტორად. სწორედ ევროკავშირი, საფრანგეთის თავმჯდომარეობით, საკმაოდ სწრაფად ჩაუდგა პოლიტიკურ პროცესს სათავეში და მიაღწია ცეცხლის შეწყვეტას ექვს-პუნქტიანი შეთანხმების საფუძველზე რუსეთსა და საქართველოს შორის. ევროკავშირმა, ასევე მისთვის ერთგვარად უჩვეულოდ სწრაფ ტემპში, პროცესში ჩართო „ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის“ (ESDP) სამოქალაქო მისია – ევროკავშირის დამკვირვებელთა მისია (EUMM), რომელიც 200 დამკვირვებლისგან შედგებოდა და რომლის მოვალეობაც იყო, გადაემოწმებინათ ყველა მონაწილე მხარის მიერ ევროკავშირის ეგიდით გაფორმებული, საქართველოსა და რუსეთის მიერ ხელმოწერილი 12 აგვისტოს ექვს-პუნქტიანი და 2008 წლის 8 სექტემბრის „განსახორციელებელი ზომების“ შეთანხმებების პირობების შესრულება.

გარდა ამისა, 2008 წლის 22 ოქტომბერს, ბრიუსელში ჩატარდა დონორთა კონფერენცია, სადაც საქართველოსათვის 4.5 მილიარდი დოლარის ოდენობის დახმარების (მათ შორის, გრანტებისა და სესხების სახით) გამოყოფის საკითხი გადამწყდა, მათ შორის, ევროკავშირის მონაწილეობით. ამ კონფერენციაზე საგარეო ურთიერთობებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკომისარმა, ბენიტა ფერერო ვალდნერმა, თავის სიტყვაში განაცხადა, რომ „საქართველოში ომით კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი –

მშვიდობა და სტაბილურობა ევროკავშირის მეზობლად. ასევე, საფრთხე დაემუქრა ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას, რაც შეიძლება ძალიან დიდ ფინანსურ ზარალს გაუტოლდეს, თუ დროულად არ მოხდა რეაგირება და ქვეყნის ეკონომიკის ძირითადი საყრდენების შენარჩუნება.”

2008-2010 წლებში ევროკავშირმა საქართველოსთვის დახმარების სახით 500 მლნ ევრო გამოყო. პოსტსაომარ პერიოდში ევროკომისიის მიერ გამოყოფილი დახმარება სამ ძირითად პრიორიტეტულ სფეროზე გადანაწილდა:

- ქართული ეკონომიკის მიმართ ნდობის აღდგენა, დახმარება ინვესტირებასთან ურთიერთობისას;

- ინვესტიციების მიზანმიმართული დაბანდება სტრატეგიულ ინფრასტრუქტურაში (მაგალითად, ენერგეტიკა);

- იძულებით გადაადგილებულ პირთათვის დროული დახმარება სურსათით და სხვა საჭირო საგნებით .

კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილეობს ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუტი. გარდა სადამკვირვებლო მისიისა, ჩართულია საგარეო ქმედებათა სამსახური (ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი, ასევე ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში) და ევროკომისია ფინანსური ინსტრუმენტებით. ევროკავშირის პოლიტიკას განსაზღვრავს ორ კომპონენტისაგან შემდგომი - „არალიარება“ და „ჩართულობა.“ 2009 წლის დეკემბერში ევროკავშირის პოლიტიკურმა და უსაფრთხოების კომიტეტმა (ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებისგან დაკომპლექტებული ორგანო) მიიღო შიდა მოხმარების, არასაჯარო დოკუმენტი ”აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში ევროკავშირის არალიარების და ევროკავშირის ჩართულობის პოლიტიკის პარამეტრების შესახებ“. ამ ორი პრინციპიდან პირველი (არალიარება) არის რეაქცია რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცალმხრივ აღიარებაზე, რაც ევროკავშირის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერას ეფუძნება. მეორე (ჩართულობა) მოტივირებულია კონფლიქტის რეგონების „დეიზოლაციისაკენ“ მისწრაფებით, რაც ასევე გულისხმობს რუსეთზე ცალმხრივი დამოკიდებულების შემცირებას, ალტერნატიული (ევროპული) ღირებულებების გავრცელებას, ნდობის მშენებლობას, საქართველოს საერთო სივრცესთან მეტ ინტეგრაციას და, საბოლოო ჯამში, ევროკავშირისათვის მის უშუალო სამეზობლოში

„თეთრი ლაქებისა“ თუ „შავი ხვრელებიდან“ გამომდინარე საფრთხის ნიველირებას. ამჟამად კონფლიქტების სფეროში ევროკავშირის მთავარ ინსტრუმენტად ჟენევის მოლაპარაკებები მოი-აზრება, რომელიც 2008 აგვისტოს ომის შემდეგ ექვსპუნქტიანი შე-თანხმებისა და მისი „განსახორციელებელი ზომების“ ფარგლებში დაიწყო და დღემდე მისი ორ ათეულამდე, საკმაოდ რთული, რა-უნდი ჩატარდა.

ევროკავშირი აქაც, ფაქტობრივად, წამყვანი აქტორია. ჟენე-ვის მოლაპარაკებების ფორმატი გულისხმობს დისკუსიას სა-ქართველოს, რუსეთისა და აშშ-ს დელეგაციებს, ასევე აფხაზ და ოს მონაწილეებს შორის სამი თანათავმჯდომარის - ევროკავშირის (სპეციალური წარმომადგენლის), გაერო-ს და ეუთო-ს მონაწილე-ობით. ჟენევის ფორმატი ძირითადად უსაფრთხოებისა და ჰუმანი-ტარულ (მათ შორის, დევნილთა დაბრუნების) საკითხებს განიხი-ლავს.

ჟენევის მოლაპარაკებებში დღემდე მონაწილეობს ორი სამუ-შაო ჯგუფი, რომელთაგანაც ერთი, შესაბამისად, უსაფრთხოების (მაგ. ადმინისტრაციულ საზღვარზე გადაადგილების, ცეცხლის განუახლებლობის და სხვ.), ხოლო მეორე ჰუმანიტარულ თემებს (მაგ. ადამიანის უფლებების საკითხები გალში, ჰუმანიტარული სა-ჭიროებები, ჯანდაცვა, ა.შ.) განიხილავს .

ჟენევის დისკუსიების ბოლო, რიგით 22-ე, რაუნდზე 2012 წლის 12 დეკემბერს საქართველოს დელეგაცია ახალი ხელისუფლების მონაწილეობით პირველად იყო წარმოდგენილი. ჟენევის საერთა-შორისო მოლაპარაკებების 23-ე რაუნდი გაიმართა 2013 წლის 27 მარტს. ჟენევის დისკუსიები საქართველოსათვის მნიშვნელოვანი ფორმატია სწორედ მისი მანდატიდან გამომდინარე. ის შეიქმნა ექვს-პუნქტიანი შეთანხმების საფუძველზე, ამიტომ განსაკუთრე-ბით მნიშვნელოვანია მისი რუსულ-ქართული განზომილება და დღის წესრიგი, რომელიც ორ- ძირითად მიმართულებით - უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული საკითხების ირგვლივ მუშა-ობს. ქართული მხარის მიდგომა არის კონსტრუქციული, პრაგმა-ტული და საქმიანი. ჩვენი სურვილია, ამ საკმაოდ რთულ და ძალი-ან პოლიტიზებულ პროცესს საქმიანი დინამიკა შევძინოთ კონკრე-ტულ საკითხებზე, პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებით. აქე-დან გამომდინარე, ჩვენ ვართ გარკვეულწილად მოქნილები და ღია დისკუსიებისთვის. მაგ. ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორ გავუ-

ადვილთა ადამიანებს ცხოვრება ადმინისტრაციული გამყოფი ხაზების ორივე მხარეს, გავაუმჯობესოთ მათი ჯანდაცვა, მივცეთ საშუალება, მოინახულონ კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები ნათესავები, აღვკვეთოთ კრიმინალი, უზრუნველვყოთ გათბობით ზამთარში, და ა.შ. ანუ საკითხებზე, რომელთა გადაჭრაც შესაძლებელია დღეს და საერთო ძალისხმევით.

ასევე ჟენევის დისკუსიის ფარგლებში მიმდინარეობს მუშაობა ძალის არგამოყენების შესახებ განცხადებაზე. ფაქტობრივად, მხოლოდ რუსეთს არ დაუდასტურებია ძალის არგამოყენების პირობა და, იმედია, ეს პირობა გაცხადდება - აცხადებს ქეთევან ციხელაშვილი, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი და „ლიბერალური აკადემია - თბილისის“ ყოფილი დირექტორი. თუმცა, მისივე აზრით, ჟენევა უნდა იქნას აღქმული, როგორც უფრო კომპლექსური

სამშვიდობო პროცესის ნაწილი და „არ ღირს არც მისი ზედმეტად დრამატიზება და არც მასთან გადაჭარბებული მოლოდინების დაკავშირება“. აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული კონფლიქტების მიმართ დასავლეთის ინტერესი ყოველთვის იგრძნობოდა, თუმცა საქართველო-რუსეთს შორის 2008 წლის აგვისტოს ომს განსაკუთრებული ყურადღება და დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ევროკავშირში, მათ შორის, უშუალოდ ბრიუსელში მოქმედი ანალიტიკური ცენტრების წარმომადგენლები ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავენ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომმა მნიშვნელოვნად შეცვალა დასავლეთის დამოკიდებულება ქვეყანაში და რეგიონში უსაფრთხოების და შესაბამისად, არასტაბილურობის რისკების წარმოქმნის კუთხით. სხვადასხვა აზრი მუსირებს, ასევე, ევროკავშირის როლზე საქართველოს კონფლიქტების მოგვარებაში. ზოგიერთი ექსპერტი ეთანხმება აზრს, რომ შესაძლოა ევროკავშირს არ გააჩნია საკმარისი ნება, რესურსი ან გამოცდილება კონფლიქტების მოგვარებაში უფრო აქტიური მონაწილეობისთვის. განსხვავებული აზრის მქონე ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ევროკავშირი შეგნებულად არ ცდილობს ამ საკითხებში თავისი როლის გააქტიურებას. მას არ სურს საშინაო საქმეებში ჩარევა, მსგავსი საკითხები ხალხისა და პოლიტიკოსების მოსაგვარებელია, სადაც ევროკავშირს შეუძლია მედიატორის როლის შესრულება.

საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ქრონოლოგია. 1992 წელს, ევროგაერთიანებამ ოფიციალურად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. 1995 წლიდან, საქართველო, ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (Generalized Scheme of Preferences, (GSP)) სარგებლობს.

1996 წლის 22 აპრილს, ლუქსემბურგში, ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირის შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას (PCA). აღნიშნული შეთანხმებით, საქართველოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთობის შემდგომი განვითარების სამართლებრივი ჩარჩო განისაზღვრა. ხელშეკრულებას ხელი, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, ევროკომისიისა და საქართველოს პრეზიდენტებმა მოაწერეს. ხელშეკრულება ძალაში 1999 წელს შევიდა.

1997 წლის 1 სექტემბრიდან, საქართველოს პარლამენტის დადგენილების საფუძველზე, საქართველომ დაიწყო საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. 2003 წლის 7 ივლისს, ევროკავშირმა სამხრეთ კავკასიის რეგიონში თავისი სპეციალური წარმომადგენელი (EU Special Representative for the South Caucasus) დანიშნა.

2004 წლის 14 ივნისს, ევროკავშირის მინისტრთა საბჭომ, მიიღო გადაწყვეტილება აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში ჩართვის შესახებ.

2005 წელს, საქართველოს მდგრადი განვითარებისა და ეფექტიანი მმართველობის ნახალისებისათვის მიენიჭა ევროკავშირის პრეფერენციების განახლებული ცენტრალიზებული სისტემის (GSP+ სავაჭრო რეჟიმი) შეღავათები.

2006 წლის 14 ნოემბერს, საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის დასრულდა საქართველო-ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შეთანხმების პროცესი, რომელიც ურთიერთანამშრომლობის სტრატეგიულ პრიორიტეტებს ადგენს.

2008 წელს, ევროკავშირმა (ამერიკელ პარტნიორებთან ერთად) მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთ-საქართველოს ომის შეჩერებაში. ევროკავშირის შუამავლობით, ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის ე. წ. ექვს პუნქტიან შეთანხმებას. 2008 წლის 1 სექტემბერს, საფრანგეთის რესპუბლიკის ინიციატივით მოწვეულ ევროკავშირის საგანგებო სამიტზე, ევროკავშირის წევრი ქვეყნე-

ბის ლიდერებმა დაგმეს რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარება და სხვა ქვეყნებს მოუწოდეს აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისაგან თავის შეკავების შესახებ. ევროკავშირი აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკას.

2008 წლის 15 სექტემბერს, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება ევროკავშირის მონიტორინგის მისიის (EUMM) შექმნის თაობაზე, რომლის ძირითად ამოცანას ექვს პუნქტიანი შეთანხმების შესრულების პროცესზე დაკვირვება წარმოადგენს. მისიამ საკუთარი მანდატის განხორციელება 2008 წლის 1 ოქტომბერს დაიწყო.

2008 წლის 25 სექტემბერს, ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოში კრიზისისთვის ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობა შეიქმნა.

2008 წლის 15 ოქტომბერს, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატში, მოლაპარაკებების პირველი რაუნდი (ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები არის ნეიტრალური სტატუსის მქონე ფორმატი, სადაც მონაწილეები ინდივიდუალური სტატუსით არიან წარმოდგენილნი) გაიმართა. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებისა და ჟენევის მოლაპარაკებების სახელმძღვანელო დოკუმენტის შესაბამისად, მოლაპარაკებები მიმდინარეობს ორი პარალელური სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. პირველი სამუშაო ჯგუფი უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს, ხოლო მეორე სამუშაო ჯგუფის ძირითად განსახილველ თემას დევნილებთან და იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული საკითხები წარმოადგენს. მოლაპარაკებებს თანათავმჯდომარეობენ ევროკავშირის, გაერო-სა და ეუთო-ს წარმომადგენლები და ესწრებიან მონაწილეები საქართველოდან, რუსეთის ფედერაციიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან. მოლაპარაკებებში, ასევე, მონაწილეობენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ისევე როგორც სოხუმისა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენლები).

2008 წლის 22 ოქტომბერს (ომის შედეგებთან გასამკლავებლად საქართველოს დახმარების მიზნით), ქ. ბრიუსელში, ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ორგანიზებით გაიმართა დონორთა კონფერენცია, რომელზეც საქართველოსთვის პარტნიორი ქვეყნებისა

და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილმა დახმარებამ 2008-2010 წლებისთვის, 4.5 მილიარდი დოლარი შეადგინა.

2008 წელს, ევროკავშირმა საქართველოს პრეფერენციათა გენერალიზებული სისტემის მოქმედება სამი წლის ვადით (2009-2011) გაუხანგრძლივა (ეფექტური მმართველობისა და მდგრადი განვითარების მიზნებისთვის (GSP+).

2008 წლის 3 დეკემბერს, გამოქვეყნდა ევროკომისიის კომუნიკე „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შესახებ. „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ (Eastern Partnership) ევროკავშირის აღმოსავლეთით მდებარე მეზობელ ქვეყნებთან (უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი) ურთიერთთანამშრომლობისთვის ობიექტად ახალ მექანიზმს წარმოადგენს.

2009 წლის 7 მაისს, ქ. პრაღაში, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პირველი სამიტი გაიმართა.

2009 წლის 30 ნოემბერს, ქ. ბრიუსელში, ხელი მოეწერა „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ერთობლივ დეკლარაციას (დანვრილებითი ინფორმაცია იხ. აღმოსავლეთ პარტნიორობა). პარტნიორობა მობილურობისათვის“ მიზნად ისახავს არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლას და ლეგალური მიგრაციის მონესრიგებას (მათ შორის „ცირკულარული მიგრაციის“ შესაძლებლობების გამოყენებით).

2010 წლის 10 მაისს, ბრიუსელში, ზოგად საკითხთა საბჭომ (General Affairs Council) დაამტკიცა, ევროკომისიის მიერ წარდგენილი მანდატი ასოცირების შეთანხმების თაობაზე საქართველოსთან მოლაპარაკებების დაწყებასთან დაკავშირებით.

2010 წლის 17 ივნისს, ხელი მოეწერა „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ“ შეთანხმებას, ხოლო 2010 წლის 22 ნოემბერს, ევროკავშირსა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეად მისიის შესახებ“ შეთანხმებას. აღნიშნული შეთანხმებები 2011 წლის 1 მარტს შევიდა ძალაში.

2010 წლის 15 ივლისს, დაიწყო ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებები (რომელიც მოიცავს „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას“ (DCFTA).

2010 წლის 2 დეკემბერს, ქ. ბრიუსელში, ხელი მოეწერა საქართველო ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საავიაციო სივრცის" შესახებ შეთანხმებას.

2011 წლის 3 მაისს, ქ. ბრიუსელში გამართულ საგანგებო სხდომაზე, „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ფარგლებში, ოფიციალურად დაფუძნდა თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეა „ევრო-ნესტი".

2011 წლის 14 ივლისს, ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის „სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული დასახელების ურთიერთდაცვისა და აღიარების შესახებ" ხელშეკრულებას, რომელიც 2012 წლის 1 აპრილიდან შევიდა ძალაში.

2011 წლის 25 აგვისტოს, ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით, გაერთიანდა სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისისთვის ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლების თანამდებობები და მათ ნაცვლად, სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობა შეიქმნა.

2011 წლის 29-30 სექტემბერს, ქ. ვარშავაში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის" მეორე სამიტი.

2012 წლის 28 თებერვალს, ოფიციალურად გაიხსნა მოლაპარაკებები, საქართველოსა და ევროკავშირს შორის „ლრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების"(DCFTA) დადების თაობაზე.

2012 წლის 4 ივნისს, საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლის შესახებ დიალოგი გაიხსნა.

2013 წლის 22 ნოემბერს, ევროკომისიამ და ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა აღიარეს საქართველოს მეზღვაურების ტრენინგებისა და კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატები (შედეგად, ქართველ მეზღვაურებს, ევროკავშირის ქვეყნების დროშის ქვეშ მცურავ გემებზე დასაქმების უფლება მიეცათ).

2013 წლის 28-29 ნოემბერს, ქ. ვილნიუსში „აღმოსავლეთ პარტნიორობის" რიგით მესამე სამიტი გაიმართა, რომლის ფარგლებში, ასოცირების შეთანხმებისა და მისი კომპონენტის, ლრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების პარაფირება მოხდა და ასევე, საქართველოს ევროკავშირის

კრიზისების მართვის ოპერაციებში ჩართვის შესახებ შეთანხმება გაფორმდა.

2014 წლის 26 ივნისს, ევროკავშირმა და საქართველომ დაამტკიცეს ასოცირების დღის წესრიგი, რომელიც ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე 2014-2016 წლებში რეფორმების პრიორიტეტულ მიმართულებებს განსაზღვრავს. ასოცირების დღის წესრიგმა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა (ENP AP) ჩაანაცვლა.

2014 წლის 27 ივნისს, ქ. ბრიუსელში, ხელი მოეწერა ერთის მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება.

2014 წლის 18 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიცირებას მხარი ერთხმად დაუჭირა.

2014 წლის 29 ივლისს, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის (29-ე) სხდომაზე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა და ასევე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტის განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმა დამტკიცდა.

2014 წლის 26 აგვისტოს, საქართველოს მთავრობამ ერთის მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა დაამტკიცა.

2014 წლის 1 სექტემბერიდან, ასოცირების შესახებ შეთანხმების დადგენილი ვალდებულებების დაახლოებით 80% (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) კომპონენტის ჩათვლით) ამოქმედდა დროებით რეჟიმში. ასოცირების შესახებ შეთანხმება ძალაში შევა, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეროვნული საკანონმდებლო ორგანოების მიერ რატიფიცირების შემდეგ.

2014 წლის 19 დეკემბერს, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის (51-ე) სხდომამ მოიწონა ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა". სამოქმედო გეგმა საქართველოს მთავრობის 26 იანვრის №59 განკარგულებით დამტკიცდა.

2015 წლის 22 მაისს, ქ. რიგაში „აღმოსავლეთ პარტნიორობის" რიგით მეოთხე სამიტი გაიმართა. სამიტზე განიხილეს ვილნიუსის სამიტის შემდეგ პარტნიორი ქვეყნების მიერ მიღწეული პროგრესი ასოცირების დღის წესრიგი განხორციელების მიმართულებით და ურთიერთანამშრომლობის სამომავლო გეგმები დაისახა.

2015 წლის 18 დეკემბერს, ევროკომისიამ საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) იმპლემენტაციის შესახებ რიგით მეოთხე, საბოლოო ანგარიში გამოაქვეყნა. ევროკომისიის შეფასებით, საქართველომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეორე ფაზის ოთხივე ბლოკით განსაზღვრული ყველა მოთხოვნა შეასრულა და ვიზა ლიბერალიზაციის ტექნიკური პროცესი წარმატებით დაასრულა.

2015 წლის დეკემბერში, დასრულდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირების პროცესი.

2016 წლის 1 ივლისს, საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება სრულად შევიდა ძალაში.

ამრიგად, ევროპის და ევროკავშირის საქართველოსთან ურთიერთობას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ძვ.წ VII საუკუნიდან მოყოლებული, საქართველო არჩევანს დასავლეთზე აკეთებს და ცდილობს თანამედროვე ეტაპზე გახდეს (დაბრუნდეს) ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი. ევროკავშირის წევრობა ქვეყანას დაეხმარება რიგი პრობლემების მოგვარებაში. ქართველი ხალხის არჩევანი დღესაც და წარსულშიც დასავლური ღირებულებებია. საქართველო ამ ღირებულებების ერთგულია. ამ ფასეულობებით უნდა შეიქმნას ტერიტორიულად გამთლიანებული და ეკონომიკურად აღორძინებული ძლიერი სახელმწიფო.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. გორდეზიანი რ., ბერძნული ცივილიზაცია, ანტიკური სამყაროს კულტურები 5 ნიგნად, ნაკვეთი პირველი, თბ., 1988;
2. ევროპარლამენტი (<http://www.europarl.europa.eu/default.htm>;
3. ევროკავშირის საბჭო <http://www.european-council.europa.eu/>;
4. საბანისძე იოვანე, ჰაბოს წამება, ქართული მწერლობა, ტომი I, თბილისი 1987;
5. საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია 2009 – 2012 წლებისთვის;
6. საქართველოს პრეზიდენტის ვებგვერდი www.president.gov.ge;
7. ევროპული ინიციატივე ლიბერალური აკადემია - თბილისი 2012;
8. ციციშვილი დონიძე: საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის ეკონომიკური პრობლემები და პერსპექტივები, დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა . ქუთაისი, 2013;
9. საქართველოს ისტორია, ტომი I, II, III, IV. თბილისი 2014;
10. ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ოფიციალური ვებ-გვერდი, <http://www.ei-lat.ge/publikaciebi1.html?lang=ka-GE>;
11. ქეთევან ციხელაშვილი, დასავლური პარადიგმის ფარგლებში აფხაზეთის „იზოლაცია/დეიზოლაციის“ საკითხი. მარტი, 2011;
12. აღმოსავლეთის პარტნიორობის პრალის სამიტის ერთობლივი დეკლარაცია. 7 მაისი 2009, პრალა;
13. ირაკლი მანველიძე, ევროკავშირი გლობალური საერთაშორისო აქტორი. გამომცემლობა უნივერსალი. თბილისი 2011;
14. ირაკლი მანველიძე. საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ევროპული განზომილება. გამომცემლობა უნივერსალი თბილისი, 2013;
15. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენები <http://nbg.gov.ge/index.php?m=352> .

Tamaz Davitadze

*Georgia and the European Union
Summary*

From early times our ancestors started to connect Europe and generally to the West. The article focuses on Western orientation issues of Georgian political elite since ancient times.

ფრიდონ ქარდავა
ნინო გოგიტიძე
მზია სურმანიძე

ნიკოლოზ გომანის მოღვაწეობის
ზოგიერთი საკითხი
(საარქივო სამმართველოში დაცული მასალების
მიხედვით)

ბათუმის ისტორიაში მართლაცდა თვალსაჩინო, გამორჩეული და იშვიათი პიროვნება იყო ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე გომანი. მისი მოღვაწეობის მთავარი შტრიხი ალბათ სწორედ 1908 წლის 1 ოქტომბერს მუზეუმის გამგედ დანიშვნა იყო. მაშინ ის ბათუმის საქალაქო სასწავლებელთა ხელგარჯილობის მასწავლებელი გახლდათ. საბედნიეროდ აჭარის საარქივო სამმართველოს საცავებში საკმაოადა დაცული დოკუმენტები, რომელიც დაკავშირებულია ბათუმის ამ ამაგდარ ადამიანთან. გვინდა ფართო საზოგადოებასა და ამ საკითხით დაინტერესებულ ვინრო სპეციალისტებს წარმოვუდგინოთ საარქივო მასალების ზოგადი მიმოხილვა გომანის სამუზეუმო და პედაგოგიური მოღვაწეობის კონტექსტში.

გომანები, როგორც ანკეტა გვიჩვენებს, რუსები გახლდათ. საინტერესოა, რომ ინტერნეტის საძიებო სისტემაში გომანები მოხსენიებულნი არიან როგორც ებრაელები, რომლებიც ბელარუსში ცხოვრობდნენ. ნიკოლოზ მოსეს-ძე გომანი (მამა), იყო უკრაინის ჩერნიგოვის გუბერნიის, ქალაქ ჩერნიგოვოდან, ადვილი შესაძლებელია, რომ იქ სწორედ ბელორუსიდან გადმოსულიყო, თანაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ის მოსეს ძეა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ინტერნეტის საძიებო სისტემა მართალია, თუმცა ჩვენს წყაროებში ის ნათლად მოიხსენიება, როგორც რუსი მემამულე, რომელიც ბათუმში აჭარის დედასამშობლოსთან შემოერთებისთანავე ჩანს.

1880 წელს ნიკოლოზის მამა, ნიკოლოზ მოსეს ძე გომანი იხსენიება ბათუმის ქალაქის საკრებულოს წევრობის მსურველთა სიაში 64-ე ნომრად ისეთი ცნობილი პიროვნებების გვერდით, როგორებიცაა ჟურული და ბერსი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ არჩევნებში ის ვერ გახდა საკრებულოს წევრი, მან ვერცერთი ხმა ვერ მიიღო (ასს ცსა, ფ. ი-5; ან.1; საქ.10; ფ.22).

ნიკოლოზ მოსეს ძე ასევე იხსენიება სიაში, სადაც ჩამოთვლილია ის პირები, რომელთაც უნდა გადაეცეთ მიწის ნაკვეთები ნურჩეს უბანში. სიაში მეთერთმეტე ნომრად აღნიშნულია ნიკოლოზ მოსეს ძე გომანი და მითითებულია, რომ მას გადაეცა მიწა (ასს ცსა, ფ. ი-5; ან.1; საქ.7; ფ. 2). დოკუმენტს ქალაქ ბათუმის უფროსი ალექსანდრე ბერსი აწერს ხელს, ის გახლდათ ქალაქის პირველი უფროსი, ტოლსტოის ცოლის ძმა (გურამ შარაძე, „ბათუმის ისტორია“. საარქივო სამმართველოს ბიბლიოთეკა. ბათუმი. 2007 წ.), დოკუმენტი გამიზნულია ბათუმის სამხედრო გუბერნატორის - კომაროვისადმი. გამოდის, რომ ნიკოლოზ მოსეს ძე გომანს მიწის ნაკვეთი ბათუმში უკვე 1879 წელს ჰქონდა. ნ. ნ. გომანი მაშინ 13 წლის გახლდათ.

ნიკოლოზ მოსეს ძე გომანს, 1881 წლის დოკუმენტით გადაეცა 171 კვ/საჟენი მიწის ნაკვეთი, მაშინ ის იყო ქალაქ ბათუმის პოლიციის ოფიცერი (ასს ცსა, ფ. ი-5; ან.1; საქ. 8; ფ.26). 1884 წლის დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ მან 1881 წელს ჩაუყარა ფუნდამენტი სახლს, ნაკვეთის ფართობი 146 კვ/საჟენი იყო, სახლი შედგებოდა სამი ოთახისა და ხის სამზარეულოსაგან. 1885 წელს ნიკოლოზ გომანი ეკატერინე მავროპულოსაგან ყიდულობს 187 კვ/საჟენი მიწის ნაკვეთს მასზე მდგომის ერთსართულიანი ხის სახლით (ასს ცსა, ფ. ი-5; ან.1; საქ. 44; ფ.142).

1890 წელს ნ. მ. გომანს, რომელიც უკვე ტიტულიანი მრჩეველი გახლდათ, ქალაქის საკრებულომ ქალაქის თავის კოიანდერის ხელმოწერით, ბათუმის მესამე საპოლიციო უბნის, ნურჩეს ნაწილში, ოცდამეშვიდე კვარტალში მიუმატა 32 კვ/საჟენი მიწის ნაკვეთი. საინტერესოა, რომ ამ ნაკვეთის მიერთების საკითხი წამოჭრილი აქვს ნიკოლოზის მეუღლეს ქეთევან გომანს ქმრის მინდობილობის საფუძველზე. ასე, რომ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე გომანის დედას ერქვა ქეთევანი (ასს ცსა, ფ. ი-7; ან.1; საქ. 92; ფ. 6).

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე გომანი იყო მემამულე ჩერნიგოვის გუბერნიის ქალაქ ჩერნიგოვოდან. 1931 წელს მის მიერ შევსებული ანკეტიდან ჩანს, რომ ის დაიბადა 1866 წელს, არის ეროვნებით რუსი, გარდა მშობლიური ენისა იცის ქართული, ბათუმში ცხოვრობს მას შემდეგ, რაც აჭარა შემოუერთდა დედასამშობლოს და საქართველოს თვლის მეორე სამშობლოდ. აჭარაში ცხოვრების ხანგრძლივობად უწერია 52 წელი (ასს ცსა, ფ. რ-562; ან.1; საქ.40; ფ.12). 1899 წლის დოკუმენტით კი ირკვევა, რომ გომანი გახლდათ მართლმადი-

დებელი აღმსარებლობის. მას ოდესაში შეუსწავლია მნიგნევის (ნიგნის შეკერვის) ხელობა (ასს ცსა, ფ. ი-9; ან.1; საქ.20; ფ.2).

ნ. ნ. გომანის მეუღლე იყო სევერინა კონსტანტინეს ასული მერჟევსკა (ფონ. ი-30; ან.1; საქ.13; ფ.68), კათოლიკური აღმსარებლობის, როგორც ჩანს პოლონელი, რომელზეც დაქორწინდა 1888 წლის 5 მაისს, ერთ-ერთი მეჯვარე მისი ძმა ალექსანდრე ნიკოლოზის ძე გომანი იყო (ფონ. ი-80; ან.1; საქ.1; ფ.337). ამ დროს სევერინა გახლდათ ვასილ პინაევის ქვრივი, როგორც ჩანს მისგან მემკვიდრეობით დარჩა მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობდა სმეკალოვისა და ზღვის, დღევანდელი რუსთაველისა და 26 მაისის ქუჩების კუთხეში, სამშობიარო სახლის გადმოღმა მხარეს (ფონ. ი-6; ან.1; საქ.63; ფ.39), მოგვიანებით კი ეს მიწის ნაკვეთი, 1912 წელამდე ვალენტინა ვასილის ასულ პინაევას ეკუთვნოდა (ასს ცსა, ფ. ი-6; ან.1; საქ.696; ფ.227)

1888 წლის 29 სექტემბერს მათ შეეძინათ შვილი ნიკოლოზი.

ნიკოლოზ გომანი მეორედ დაქორწინდა 1915 წლის 1 ივლისს პუშკინის სასწავლებლის მასწავლებელ ელენე გიორგის ასულ სტროევაზე, მართლმადიდებელზე, რომლისთვისაც ეს გახლდათ პირველი ქორწინება (ასს ცსა, ფ. ი-80; ან.1; საქ.117; ფ.165). მას დამთავრებული ჰქონდა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი. 1918 წლიდან ის გოგოლის დაწყებითი სასწავლებლის გამგედ ინიშნება (შემდგომში პირველი საფეხურის მეექვსე რუსული სკოლა). მას საცხოვრებელ მისამართად უწერია ამაღლების ქუჩა N31 (ასს ცსა, ფ.რ-144; ან.1; ს.1; ფ.173.)

1908 წლის დოკუმენტის მიხედვით გომანს ჯერაც საოჯახო განათლება აქვს. მოგვიანებით კი, არაუგვიანეს 1912 წლისა, ოდესაში და მოსკოვში შეუსწავლია ხელგარჯილობა ოსტატებთან, ასევე საოლქო ინსპექტორ შენევეთან. დამთავრებული ქონდა ნ. მოჩალკინის გრაფიკული ხელოვნების სასწავლებელი (ასს ცსა, ფ. ი-9; ან.1; საქ.60; ფ.35). 1913 წელს გაიარა კავკასიის სასწავლო ოლქის ცენტრალურ პედაგოგიურ მუზეუმთან არსებული ხელსაქმის კურსები მუყაოს დამუშავების სპეციალობით (ასს ცსა, ფ. ი-27; ან.1; საქ.3; ფ.86).

ნიკოლოზ გომანის მოღვაწეობის მთავარი ასპარეზი, როგორც აღვნიშნეთ მაინც სამუზეუმო საქმე იყო. საინტერესოა, რომ 1893 წელს ზუგდიდის საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი ატყობინებს კ. მაჭავარიანს, რომ მას მუზეუმისათვის უგზავნის სხვა-

დასხვა ქვეყნის 48 ძველ მონეტას. აქედანაც ჩანს, რომ სასწავლებლის მუზეუმს უკვე საკმაოდ ჰქონდა სახელი მოხვეჭილი საქართველოს მასშტაბით და ისიც თვალნათელია, თუ რაოდენ მუშაობას ეწეოდნენ მუზეუმის მესვეურები ექსპონატების მოსაზიდად და შესავსებად. როგორც ირკვევა საქალაქო დაწყებით სასწავლებელში მუზეუმი 1890 წელს უკვე არსებობდა, რაც დასტურდება მის ფონდში დაცული სასწავლებლის მუზეუმის მეგზურით, მუზეუმის ხელმძღვანელი ი. ე. ცელოვალნიკოვი იყო. მეგზური ბათუმში მახარაძის სტამბაშია დაბეჭდილი (ასს ცსა, ფ. ი-9; ან.1; საქ. 21; ფ. 3-12). გომანი სამსახურს იწყებს ბათუმის დაწყებით საქალაქო ვაჟთა სასწავლებელში ხელგარჯილობის მასწავლებლად, სადაც ასევე მოღვაწეობდნენ ცნობილი ბათუმელები: კოსტანტინე მაჭავარიანი, თეოფანე ჯაყელი და ექვთიმე ბერძენიშვილი. ამ სასწავლებელში იგი 1893-1906 წლებში მუშაობდა. 1899 წელს სასწავლებელი გადაკეთდა ბათუმის ექვსკლასიან საქალაქო სასწავლებლად. 1906 წლის 1 დეკემბერს ნიკოლოზ გომანი დაინიშნა ბათუმში არსებული დაწყებითი სასწავლებლების ხელსაქმისა და მნიგნველის (ნიგნის შეკერვის) ხელობის მასწავლებლად.

საქალაქო სასწავლებელთა ინსპექტორი მაჭავარიანი 1908 წლის, კავკასიის სასწავლო ოლქის მეურვისადმი მიწერილ მოხსენებაში წერს, რომ სასწავლებელში დაფუძნდა სახელოსნო, რომელსაც უხელმძღვანელებდა ამავე სასწავლებლის ყოფილი ხელსაქმის მასწავლებელი და სასკოლო მუზეუმის დამაარსებელი ნიკოლოზ გომანი (ასს ცსა, ფ. ი-9; ან.1; საქ. 48; ფ. 45). გუბერნატორის წერილიდან ირკვევა, რომ 1908 წელს ბათუმში ორი საგანმანათლებლო საზოგადოება არსებობდა, ერთი-ერთი მათგანი იყო „სახალხო უნივერსიტეტი“, სადაც საღამოს კურსებზე ლექციას კითხულობდა ნიკოლოზ გომანი (ასს ცსა, ფ. ი-1; ან.1; საქ. 401; ფ. 4).

1909 წლიდან 1913 წლამდე ნიკოლოზ გომანი იყო საქალაქო 6 კლასიანი სასწავლებლის (გორგილადისა და ვაჟა-ფშაველას ქუჩების კვეთაში არსებული ყოფილი კოლეჯის შენობა) მუზეუმის გამგე და ხელგარჯილობის მასწავლებელი. ვინაიდან მას დაპირებული წლიური 600 მანეთის ნაცვლად აძლევდნენ 300 მანეთს, ის 1913 წელს სასწავლებლის ინსპექტორს, მაჭავარიანს, სთხოვს განთავისუფლოს ამ თანამდებობებიდან (ასს ცსა, ფ. ი-9; ან.1; საქ.60; ფ.2), თუმცა ამ პერიოდში გომანს სხვა უფრო მნიშვნელო-

ვანი თანამდებობაც ეჭირა. 1908 წლის იანვარში საქალაქო სასწავლებელთა შრომის მასწავლებლის ნიკოლოზ გომანის ინიციატივით იქნა დაფუძნებული ქალაქის დაწყებითი სასწავლებლები-სათვის საბავშვო მუზეუმი. ქალაქის სათათბიროს 1908 წლის 19 მარტის სხდომაზე იხილებოდა სწორედ მუზეუმის საკითხი, წარმოგიდგენთ დოკუმენტს: „**ბათუმის საქალაქო სათათბირომ 28 ხმოსნის შემადგენლობით, ერთხმად მოიწონა ფინანსური კომისიის და მმართველობის დასკვნა სურვილისა და შესაძლებლობის შესახებ, საქალაქო დაწყებითი სასწავლებლებისათვის, პუშკინის საქალაქო დაწყებით სასწავლებელში (პუშკინის სასწავლებელი მდებარეობდა ვოზნესენსკის, დღევანდელი მედიკიშვილის, N 31- ში, ყოფილი ვენდისპანსერის ტერიტორიაზე. საინტერესოა, რომ იმ პერიოდშიც სასწავლებლამდე იქ საავადმყოფო იყო განთავსებული) საბავშვო მუზეუმის შექმნის შესახებ, შემდეგი განყოფილებებით: ზოოლოგიის, ბოტანიკის, მინერალოგიის და ა.შ. პატარა ზოოლოგიური ბაღითა და აკვარიუმით, ტერარიუმითა და ვივარიუმით, ცხოველთა სიცოცხლეზე დაკვირვებისათვის. აღნიშნული მუზეუმის პირველადი აღჭურვილობისათვის გამოიყო 200 მანეთი. მუზეუმის მომწყობი გომანი პირველი ერთი წელი იმუშავეს უსასყიდლოდ.**“ (ასს ცსა, ფ .ი-7; ან.1; საქ.476; ფ.24).

1909 წლის მარტიდან კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით გომანი ინიშნება ბათუმის ექვსკლასიან სასწავლებელთან არსებული მუზეუმისა და სახელოსნოს გამგედ. ის ამავე დროს ასწავლიდა ხელსაქმეს ბერძნულ დაწყებით და სახელოსნო სასწავლებლებშიც.

1910 წლის 9 მაისს სივინროვის გამო მუზეუმში გადატანილ იქნა ქალაქის მმართველობის შენობის პირველ სართულზე, ერთ ოთახში, სახალხო ბიბლიოთეკასთან. მუზეუმისათვის გამოყოფილი მიზერული თანხა არ იყო საკმარისი, მაგრამ მმართველობა კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ გომანი აღმოჩნდა თავისი საქმის მცოდნე და მისი საქმისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების წყალობით მუზეუმის მუშაობა სრულიად დამაკმაყოფილებელიაო. მუზეუმის დამთვალეირებელთა წიგნში ქუთაისის სახაზინო პალატის მმართველი სობრიევსკი წერს სანიმუშო წესრიგზე, ექსპონატების შენახვასა და კოლექციის შერჩევაზე, მიუთითებს იმაზე, რომ ეს საქმე მცოდნე, გამოცდილი, გულისხმიერი და რაც მთავარია თავისი საქმის მოყვარული ადამიანის ხელშია. მიუხედავად

იმისა, რომ მუზეუმი ახალდაბადებულია, ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს არა მარტო მასწავლებელთა და მოსწავლეთა სახელმძღვანელოდ, არამედ ტურისტებისთვისაც, რომელთაც ანვდის ბათუმის რეგიონის შესახებ მდიდარ ისტორიულ მასალას.

წარმოგიდგენთ მუზეუმის პროგრამას:

1. ფაუნა; 2. ფლორა; 3. მინერალოგია, გეოლოგია და ფესვმცოდნეობა; 4. ფიზიკა-გეოგრაფიული; 5. სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო, 6. ეთნოგრაფიული,

7. ისტორიულ - არქეოლოგიური; 8. საერთო საგანმანათლებლო და მხატვრული განყოფილება; 9. მუნიციპალური განყოფილება“ (ასს ცსა, ფ.ი-7; ან.1; საქ.524; ფ.7).

ბათუმის ქალაქის სათათბიროს 1912 წლის 2 თებერვლის სხდომაზე მოისმინეს მუზეუმის გამგის ნ. გომანის მოხსენება ქუთაისის სახელმწიფო პალატის მმართველის ა.ს. სობრიევსკის შემოწირულობის შესახებ, ასევე გომანის მოწოდებით შემოწირულ ნივთთა სია, ფრიად ღირებული შემოწირულობა მუზეუმისათვის. ერთხმად გადაწყვიტეს მიიღონ შემოწირულობა და შემოწირველთ გადაუხადონ მადლობა (ასს ცსა, ფ.ი-7; ან.1; საქ.513; ფ.6).

1912 წლის 15 ოქტომბრის სათათბიროს სხდომამ 34 ხმოსნის შემადგენლობით ერთხმად მოიწონა და დაამტკიცა ქალაქისათვის ივანე ანდრონიკაშვილის წინადადება ბათუმის ბავშვთა სასწავლო მუზეუმის ბათუმის საქალაქო მუზეუმად გადაკეთების შესახებ. ირკვევა, რომ ნიკოლოზ გომანს საბავშვო მუზეუმის გამგედ 1908 წლიდან 1910 წლამდე უნდა ემუშავა ხელფასის გარეშე, 1910 წ-დან 1913 წლამდე 200 მანეთად და 1913 წლიდან 500 მანეთად. ქალაქის სათათბირომ იმისათვის, რომ გომანს მთელი ყურადღება ქალაქის მუზეუმისათვის დაეთმო, ის გაანთავისუფლა პუშკინის სასწავლებლის შრომის მასწავლებლის, ასევე სასწავლებლის მუზეუმის ხელმძღვანელის პოსტიდან 1913 წლის 1 იანვრიდან და ამავე პერიოდიდან მას ენიშნება გასამრჯელო 500 მანეთის ოდენობით (ასს ცსა, ფ.ი-6; ან.1; საქ.8; ფ.303). 1921 წლამდე ნიკოლოზ გომანი მუზეუმის ერთადერთი თანამშრომელი იყო.

1914 წელს ბათუმის პუშკინის დაწყებითი სასწავლებლის მმართველის ირაკლი ლლონტის სამხედრო სამსახურში განვების გამო სასწავლებლის ხელმძღვანელად დაინიშნა ნიკოლოზ გომანი (ასს ცსა, ფ.ი-6; ან.1; საქ.764; ფ.22). სათათბირო 1914 წლისთვის გეგმავდა მუზეუმისთვის დაფინანსების გაზრდას, ასევე შენობის

გაფართოებას. ამისთვის იგეგმებოდა ქართული სასწავლებლის სამი ოთახის გამოთავისუფლება მუზეუმისათვის (სათათბიროს შენობაში), ხოლო სასწავლებლისათვის ახალი შენობის მოძიება.

1918 წელს სერგეი მესხი აყენებდა წინადადებას გომანისათვის ხელფასის თვიური 188 მანეთიდან 250 მანეთამდე გაზრდაზე. სა-
თათბირომ 1918 წლის 25 ოქტომბრის დადგენილებით მას დაუ-
ნიშნა მომატებული ჯამაგირი (ასს ცსა, ფ.ი-6; ან.1; საქ.764;
ფ.243).

1921 წლის 4 თებერვლის სხდომაზე, საინტერესოა, რომ
ბლანკზე ქალაქის თავის ნაცვლად ქალაქის მოურავი წერია, ეტყო-
ბა დამოუკიდებლობის პერიოდში გარკვეული ენობრივი
ტრანსფორმაცია განიცადა სახელოებმა და უფრო ეროვნული
გახდა. სხდომას ქალაქის მოურავი ანჯაფარიძე თავმჯდომარე-
ობდა, ამ სხდომაზე განიხილეს ბათუმის მეორე ქართულ
სასწავლებელში ბამბუკის სახელოსნოს გახსნის საკითხი, სადაც
მასწავლებლად მოიწვიეს გუგუშვილი, ხოლო ნიკოლოზ გომანს,
ეტყობა საერთო კოორდინაციისთვის გამოუყვეს 45 000 მანეთი
ავანსად (ასს ცსა, ფ.ი-7; ან.1; საქ.751; ფ.18).

1919 წლის 1 მარტიდან ნიკოლოზ გომანის შვილი, ასევე ნიკო-
ლოზი, საკუთარი ნებით ტოვებს ბათუმის საავადმყოფოს ზე-
დამხედველის თანაშემწის თანამდებობას (ასს ცსა, ფ.ი-6; ან.1;
საქ.764; ფ.277). იგი 1921 წელს იწყებს მუშაობას მამის თანა-
შემწედ მუზეუმში (ასს ცსა, ფ.რ-9; ან.2; ს.2; ფ.58), სადაც მან
გარდაცვალებამდე, 1926 წლამდე იმუშავა (ასს ცსა, ფ.რ-10; ან.1;
ს.38; ფ.138). მისი მეუღლე სავარაუდოდ იყო, მარიამ გომანი.

1924 წელს გომანი ინიშნება ბათუმის ბავშვთა სახლში, მოგვია-
ნებით კი ქალთა პედაგოგიურ ტექნიკუმში შრომის მასწავლებლად.
ის იყო დასავლეთ კავკასიის შავი ზღვისპირეთის მხარეთმცოდნე-
ობის მოღვაწეთა მეორე ყრილობის საგამოფენო კომიტეტის წევრი
(ასს ცსა, ფ.რ-562; ან.1; საქ.10; ფ.1), აგრეთვე აჭარსტანის სა-
მეცნიერო-მხარეთმცოდნეობის ბიუროს კოლეგიის წევრი (ასს
ცსა, ფ.რ-562; ან.1; საქ.40; ფ.10).

1924 წლიდან მუზეუმში გადააკეთეს აჭარის მხარეთმცოდნეო-
ბის მუზეუმად, და მისი შეუცვლელი ხელმძღვანელი 1936 წლამდე
სწორედაც ნიკოლოზ გომანი გახლდათ, ხოლო 1936 წლის მარტში
მუზეუმის დირექტორად უკვე მოიხსენიება ნ. ნიჟარაძე (ასს ცსა,
ფ.რ-838; ან.1; საქ.2; ფ.9).

აჭარსტანის მხარედმცოდნეობის მუზეუმში ოცდახუთი წლის განმავლობაში ნაყოფიერი მუშაობისათვის 1935 წელს მუზეუმის დირექტორი, ნიკოლოზ გომანი ჯილდოდება ცაკ-ის საპატიო სიგელით და იგზავნება სამკურნალოდ სახელმწიფოს ხარჯზე, რისთვისაც გამოიყო 1000 მანეთი. საპენსიო ასაკიდან გამომდინარე ის აპირებდა სამსახურის დატოვებას, ამიტომაც სახალხო კომისარიატს დაევალა მისთვის პერსონალური პენსიის დანიშვნა (ასს ცსა, ფ.რ-562; ან.1; საქ.21; ფ.86).

როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე გომანი მართლაცდა გამორჩეული იყო თავისი პროფესიონალიზმითა და საქმისადმი ერთგულებით, მან უდიდესი შრომა და ენერგია ჩადო აჭარაში სამუზეუმო საქმისთვის საფუძვლის ჩაყრის, ჩამოყალიბებისა და განვითარების საპატიო საქმეში, ენეოდა უწყვეტ პედაგოგიურ საქმიანობას და იყო მართლაცდა ჩვენი ქვეყნის ღირსეული შვილი.

გამოყენებული საარქივო მასალები:

1. ასსცსა, ფონდი ი-5; ანან. 1; საქ. 7, 8, 10, 44;
2. ასსცსა, ფონდი ი-9; ანან. 1; საქ. 12, 20, 21, 48, 60;
3. ასსცსა, ფონდი ი-7; ანან. 1; საქ. 92, 476, 513, 524;
4. ასსცსა, ფონდი ი-30; ანან. 1; საქ. 13;
5. ასსცსა, ფონდი ი-27; ანან. 1; საქ. 3;
6. ასსცსა, ფონდი ი-23; ანან. 1; საქ. 5;
7. ასსცსა, ფონდი ი-1; ანან. 1; საქ. 401;
8. ასსცსა, ფონდი ი-80; ანან. 1; საქ. 1, 117;
9. ასსცსა, ფონდი ი-; ანან. 1; საქ. 8, 63, 696, 751, 764;
10. ასსცსა, ფონდი რ-562; ანან. 1; საქ. 10, 21, 40;
11. ასსცსა, ფონდი რ-144; ანან. 1; საქ. 1;
12. ასსცსა, ფონდი რ-9; ანან. 2; საქ. 9;
13. ასსცსა, ფონდი რ-10; ანან. 1; საქ. 38;
14. ასსცსა, ფონდი რ-838; ანან. 1; საქ. 2;
15. გურამ შარაძე, „ბათუმის ისტორია“, ბათუმი. 2007.

Fridon Kardava
Nino Gogitidze
Mzia Surmanidze

Some issues of Nikoloz Gomani's activity
Summary

In article is discussed biography of N.N. Gomani, his work in the context of museum development in Ajara.

**ბერძნული სკოლები აჭარაში და ბერძნული ენის
სწავლების თავისებურებები**

„ჯარისა და ბათუმის მართლმადიდებელი მოსახლეობის სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მხოლოდ ერთი, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ბერძნული ტაძარი იყო, რომლის მშენებლობა 1871 წელს დასრულდა, მასთან სამრევლო სკოლა მოქმედებდა - ერთადერთი სასწავლო დაწესებულება ბათუმში“ - წერდა შტაბს-კაპიტანი ტ. ტ. სტეფანოვი 1878 წელს თავის ისტორიულ ნარკვევში, რომელიც რუსული ჟარების ბათუმში შესვლას ეხებოდა (Стефанов, 1906:106). რეგიონში არ იყო არცერთი სახელმწიფო სკოლა. ა. ფრენკელი აღნიშნავს, რომ რუსეთის იმპერიასთან შეერთებამდე ბათუმში მოქმედი ერთადერთი, ე.წ. „ევროპული სკოლა“, 1861 წელს დაარსებული ბერძნული სკოლა იყო. სკოლა ბერძნული ტაძრის გვერდით მდებარეობდა, სწავლება ბერძნულ ენაზე, ბერძნული პროგრამით მიმდინარეობდა. ბათუმის პრისტავ ჟურულის 1879 წლის ანგარიშის მიხედვით სკოლაში, რომელსაც ბერძნული ტაძრის მღვდელი ხელმძღვანელობდა და რომელიც 2 ოთახში იყო განლაგებული, 40 მოსწავლე სწავლობდა, ერთადერთ მასწავლებელს კი ჰონორარს შეძლებული მშობლები უხდიდნენ (Френкель, 1879:85; Месхи, 1906:589; Вейденбаум, 1901:101).

„ქალაქის ერთადერთი სასწავლო დაწესებულება“ ნაწილია შავიზღვისპირეთის ბერძნულენოვანი განათლების სისტემის ისტორიისა, რომელიც განვითარებას მე-19 ს. შუახანების ოსმალეთის იმპერიაში იწყებს, როცა ტანზიმატის პერიოდის რეფორმებმა ხელი შეუწყო იმპერიის ეთნოკონფესიური უმცირესობის ემანსიპაციას. პონტოელი ბერძნები, ისევე როგორც ანატოლიის სხვა ბერძნული ჯგუფები, აგრძელებდნენ ურთიერთობას საბერძნეთთან, საიდანაც ჩამოჰყავდათ მასწავლებლები, ჩამოჰქონდათ სახელმძღვანელოები, საგანმანათლებლო პროგრამები. 1878 წელს ტრაპიზონის ვილაეთში 50 დაწყებითი (პროგიმნაზია) და 6 საშუალო (გიმნაზია) სკოლა იყო. მე-19 საუკუნის ბოლოსათვის ყველა

მრევლს თავისი სკოლა ჰქონდა, სულ 95, და აქ მამაკაცთა 18% და ქალთა 6% სწავლობდა (Попов, 2010:109).

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან იწყება პონტოელი ბერძნების რუსეთის იმპერიის საზღვრებში დასახლების პროცესი. საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ 1763 წელს მეფე ერეკლე II მოწვევით ბერძენი მემთამადნეების 800 ოჯახი ჩამოსახლდა. 1810-1840 წწ საბერძნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციისა და რუსეთ-თურქეთის ომის (1828-1829 წწ) შემდეგ პონტოელი ბერძნების პირველი ნაკადი გამოჩნდა აღმოსავლეთ საქართველოში. ყირიმის ომის შემდეგ 1856-1866 წწ 6000 პონტოელი ბერძენი ჩასახლდა ჩრდილოეთ კავკასიასა და ამიერკავკასიაში (საქართველოში - ნალკის რაიონში). პონტოელების ჩამოსახლება მასობრივი ხასიათი (17 000 სული) მიიღო 1878-1884 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის (1877-1878 წწ) შემდეგ (საქართველოში - სოხუმი-სა და ბათუმის რაიონები).

ბერძნული საზოგადოების კულტურულმა და სულიერმა ცხოვრებამ განაპირობა ეროვნული ღირებულებების შენარჩუნება უცხო მიწაზე. თითქმის ყველა დიდ სოფელში, სადაც ბერძნები ცხოვრობდნენ, მოქმედებდა სკოლები და კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოებები. ბერძნული, როგორც უცხო ენა, ისწავლებოდა რუსეთის იმპერიის იმ რეგიონების სკოლებში, სადაც პონტოელი ბერძნების დიდი ჯგუფები ცხოვრობდა. საზოგადოებრივ საწყისებზე იხსნებოდა სკოლები, სადაც თავდაპირველად ბერძნულ ენას ტრაპიზონის მოსამზადებელი სკოლის კურსდამთავრებულები ასწავლიდნენ. 1917 წელს ბერძენთა თბილისისა და ტაგანროგის ყრილობებზე დაისვა ბერძნული სკოლების ნაციონალიზაციისა და რეორგანიზაციის საკითხი, დამტკიცდა აუცილებელი შვიდწლიანი სისტემა (პირველი 2 წელი დიმოტიკიზე, 5 - კათარევუსაზე). სახელმძღვანელოები საბერძნეთიდან ჩამოჰქონდათ. 1919 წლისათვის 148 სკოლა მოქმედებდა, აქედან საქართველოში თბილისის გუბერნიაში (ბერძენი ეროვნების მოსახლეობა - 50306 სული) 24 სკოლა 29 მასწავლებლით, ქუთაისის გუბერნიაში (ბერძენი ეროვნების მოსახლეობა - 20095 სული) 18 სკოლა 25 მასწავლებლით, ხოლო ბათუმის ოლქში (ბერძენი ეროვნების მოსახლეობა - 7469 სული) 2 სკოლა 8 მასწავლებლით.

1926 წლიდან სწავლება რუსეთის ფედერაციის განათლების სახალხო კომისიის გადანყვეტილებით მხოლოდ დიმოტიკიზე მიმდინარეობდა. გამოიცა სახელმძღვანელოები დონის როსტოვის, მარიუპოლისა და კიევის ტიპოგრაფიებში. 1928 წელს საქართველოში 106 ბერძნული სკოლა მოქმედებდა (Читлов, 2000:282-292, 298). პედაგოგიური კადრების მოსამზადებლად ბერძნული სასწავლებლების ბაზაზე 30-იან წლებში კრასნოდარში, დონის როსტოვსა და სოხუმში შეიქმნა ბერძნული პედაგოგიური ტექნიკუმები.

ბათუმში, როგორც ზემოთ აღინიშნა, 1878 წლამდე მხოლოდ ერთი (ბერძნული) სკოლა მოქმედებდა. სკოლა, რომლის დაარსების ნებართვა ოსმალეთის მთავრობისაგან ტრაპიზონის მიტროპოლიტის შუამდგომლობით 1956 წელს მიიღეს, 60-იან წლებში ამოქმედდა (1861 (კომახიძე, 1989:10), 1963 (Λουκαΰμι, 2014:40) ან 1966 წ⁴⁰). დაწყებითი სკოლა ოთხწლიანი იყო. იოანის კალფოლლუს მონაცემებით ბერძნული სკოლის პირველი მასწავლებელი ელევთერიოს კეოსეოლლუ იყო, რომელიც 1865 წლის ხანძრის შედეგად განადგურებული სკოლის აღდგენამდე ბავშვებს საკუთარ სახლში ამცადინებდა (Λουκαΰμι, 2014:42). ბათუმის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ, ბერძენი მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ გამოიწვია სკოლის გაფართოება, ის შვიდწლედან გადაკეთდა, რომელთანაც საბავშვო ბაღი და ქალთა სასწავლებელი (1893 წ.) მოქმედებდა. ამ სკოლაში აქილეს დიმიტრიადი, გრიგორის ქსინოპულო და სხვა პედაგოგები ასწავლიდნენ. უცხო ენად ისწავლებოდა ფრანგული. სკოლის კურსდამთავრებულები სწავლას ტრაპიზონის სასწავლებელში (φιλοσοφείο) აგრძელებდნენ. 1886 წლიდან იმპერატორ ალექსანდრე III ბრძანებით ბათუმს პორტო ფრანკოს სტატუსი მოეხსნა, გააუქმეს ფრანგული ენის სწავლება და შემოიღეს რუსული ენის აუცილებელი სწავლება. ბერძნული სკოლა ისევ ხუთწლიანი გახდა. დირექტორი რუსული ენის სპეციალისტი აქილეს მეტაქსა იყო, რომელიც ამ თანამდებობაზე სავუულიდომ შეცვალა. 1883 წელს ბერძნული სკოლისათვის გამოიყო მიწის ნაკვეთი, სადაც

⁴⁰ აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი: ი-23, ა. 1. ბათუმის ბერძნული საქალაქო დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი, საქმე 2, მიმონერა და ოქმები 1886-1887 წწ, გვ. 6

ბერძნულმა დიასპორამ ააშენა ერთსართულიანი ქვის შენობა სკოლისათვის. გიორგი მიხაილიდის, გიორგი მავროპულოსა და გიორგი პისტოფიდის ძალისხმევით მეორე ბერძნული სკოლა გაიხსნა. ბერძნული სკოლის კედლები მოხატული იყო საბერძნეთის განმათავისუფლებელი რევოლუციის ეპოქის მოტივებზე შექმნილი სცენებით, რომლებიც 1918 წელს თურქებმა შეათეთრეს. ვაჟთა სკოლას ხელმძღვანელობდა თეოდორ გრამატიკოპულო, ქალთა სკოლას კი - ამალია ბუროვილი («Батуми», 1998:4; Mouratidou, 1992:109).

XIX ს 80-იან წლებში მოქმედებს ბერძნული საზოგადოებრივი სასწავლებელი, რომელიც მდებარეობდა ბერძნულ ქუჩაზე (ამჟამად ფარნავაზ მეფის ქ.). საინტერესო ინფორმაციაა დაცული 1886 წლის 20 აგვისტოთი დათარიღებული ბერძნული სასწავლებლის სამეთვალყურეო კომიტეტის წევრების დადგენილებაში: ბათუმის ბერძნულ მოსახლეობაში განათლების გავრცელების მიზნით ბათუმში 1866 წლიდან არსებული ბერძნული სასწავლებელი გადაკეთდეს ორკლასიან სემინარიად, საქალაქო საზოგადოებრივ სასწავლებლად ხუთწლიანი კურსებით; ახალი სასწავლებლის პროგრამა გაუთანაბრდეს იმპერიაში არსებული მესამე კატეგორიის სასწავლებლებს. სახელმწიფო - რუსული - ენა ისწავლებოდეს ყოველ კლასში სწავლების მეორე წლიდან; შედგეს ახალი სასწავლო გეგმა, სადაც გათვალისწინებული იქნება ბათუმის ბერძნული მოსახლეობის მოთხოვნები და წარედგინოს დასამტკიცებლად სასწავლო ხელმძღვანელობას; სასწავლებლის კონტიგენტი განისაზღვროს 150 წევრით ორივე სქესისათვის, ხუთი მასწავლებლით, ერთი ზედამხედველით, რომელიც ამავე დროს რუსული ენის მასწავლებელია. ყველა განყოფილებისათვის იქნება საღვთო რჯულის ერთი მასწავლებელი; აღიძრას შუამდგომლობა სასწავლო ორგანოებში დასამტკიცებლად, რათა სწავლა დაიწყოს პირველ სექტემბერს⁴¹.

ბერძნული სასწავლებლის ზედამხედველად ინიშნება იოანის/იანის საულიდისი, რომელსაც იმავე წლის 22 აგვისტოს სახალხო სკოლების ინსპექტორი სთავაზობს, სასწავლებლის

⁴¹ აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი: ი-23, ა. 1. ბათუმის ბერძნული საქალაქო დანყოფითი ორკლასიანი სასწავლებელი, საქმე 2, მიმოწერა და ოქმები 1886-1887 წწ, გვ. 6

პროგრამის შედგენის დროს ისარგებლოს მისი უმაღლესობის მიერ 1872 წლის 3 მაისს დამტკიცებული ორსაფეხურიანი სასწავლებლებისათვის დამტკიცებული ნიმუშით.

საინტერესოა 1886 წლის 13 დეკემბერით დათარიღებული სტატისტიკური ცნობარი სასწავლებლის პირადი შემადგენლობისა და მოსწავლეების შესახებ ინფორმაციით⁴². მოსწავლეთა საერთო რაოდენობა – 118, მათ შორის 77 ვაჟი და 41 გოგონა. პირველ ჯგუფში რეგისტრირებულია 43, მეორეში – 32, მესამეში – 22, მეოთხეში კი 21 მოსწავლე. სარწმუნოებით მართლმადიდებელია 118, ეროვნებით 117 ბერძენი და 1 ქართველი ყოფილა.

სასწავლებელი გახსნილა 1886 წელს, კერძო სახლში. სასწავლებლის ბიბლიოთეკაში იყო 180 დასახელების 210 ტომი წიგნი, საერთო ღირებულებით – 600 მანეთი. სასწავლებლის შენახვა ჯდება 2350 რუბლი, შემონირულობებიდან მიუღიათ 800 რუბლი; ხოლო სწავლის ქირისგან – 600 რუბლი.

1886 წლის 1 ნოემბრისათვის სასწავლებელში ასწავლიდნენ შემდეგი პედაგოგები (სია შედგენილია სასწავლებლის ზედამხედველის მიერ⁴³):

1. **საულიდი ივანე კონსტანტინეს ძე**, 31 წლის, დაბადებული 1856 წლის 27 იანვარს. აქვს მასწავლებლის დიპლომი. 1886 წლის 1 სექტემბრიდან არის სასწავლებლის ზედამხედველი (საფუძველი: სახალხო სკოლების დირექციის 1886 წლის 18 აგვისტოს №1034 განკარგულება). მეუღლე ენრიეტა, ბათუმელი იოანე იოსიფიძის ქალიშვილი. შვილები არ ჰყავთ. ანაზღაურება – 800 რუბლი.

2. **სინაროს ტრიანდაფილ იოანეს ძე**, 35 წლის. დაიბადა 1852 წლის 25 მარტს. აქვს ბერძნული ენის მასწავლებლის დიპლომი. ბერძნულ სკოლაში მასწავლებელია 1886 წლის 1 სექტემბრიდან. დაოჯახებულია. მეუღლე სოფი, მღვდელ აპოსტოლოს ქალიშვილი. ჰყავთ ერთი ვაჟი – თეოდორი. ანაზღაურება – 600 რუბლი.

⁴² აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი: ი-23, ა. 1. ბათუმის ბერძნული საქალაქო დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი, საქმე 2, მიმოწერა და ოქმები 1886-1887 წწ, გვ. 22-22ა

⁴³ აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი: ი-23, ა. 1. ბათუმის ბერძნული საქალაქო დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი, საქმე 2, მიმოწერა და ოქმები 1886-1887 წწ, გვ. 24

3. **კაკულიდი კაკული გიორგის ძე**, 20 წლის. დაიბადა 1867 წლის 17 მარტს. ფოთის მცხოვრები. აქვს კურსების დამადასტურებელი დიპლომი. ბერძნული სკოლის მასწავლებელია 1886 წლის 1 სექტემბრიდან. ანაზღაურება 300 რუბლი, უცოლშვილო

4. **კეფალა ვასილიკი პანაიოტის ასული**, 21 წლის. დაიბადა 1865 წლის ოქტომბერში, თურქეთის ქვეშევრდომი. ბერძნული სკოლის მასწავლებელია 1886 წლის 1 სექტემბრიდან. აქვს ათენის ქალთა გიმნაზიის კურსების დამამთავრებელი დიპლომი, მასწავლებლის ჩინით. ანაზღაურება 300 რუბლი, გაუთხოვარი (მოგვიანებით, ფონდში დაცული მიმონერიდან ჩანს, ის არ იყო თანახმა ემუშავა ამ ანაზღაურებით და სასწავლებლის სამეთვალყურეო კომიტეტმა ის ჩაანაცვლა თბილისის ქალთა გიმნაზიის კურსდამთავრებულით ელენე მაქსიმეს ას. ალექსანდროვათი. №2514 წერილით კომიტეტი ითხოვს მის დამტკიცებას ქალთა განყოფილების გამგედ, ასევე ყოველ კლასში რუსული ენის მასწავლებლად დანიშვნას⁴⁴).

1890 წელს ბერძნულ სასწავლებელში სწავლობდა 20 ქალი და 70 ვაჟი.

XIX ს ბოლოს ბათუმში მოქმედებს ვაჟთა ორკლასიანი სასწავლებელი (ზედამხედველი – ფ. გრამატიკოპულო), საღვთო სჯულის მასწავლებლები მღვდლები კონსტანტინე ცანდეკოვი და მატევი (მათეოს) მანოსი, მასწავლებლები – ფ. გრამატიკოპულო, დ. ვაიანიდი, გ. კერაფულიდი. მოქმედებდა სამრევლო სკოლა გოგონებისთვის. საღვთო სჯულის მასწავლებლები კონსტანტინე ცანდეკოვი (მმართველი), მღვდელი მატევი (მათეოს) მანოსი, ბერძნული ენისა და ხელსაქმის მასწავლებელი მარტა კორნელზენი, რუსული ენისა და არითმეტიკის მასწავლებელი ეკატერინა ვრეტუ.

აჭარის არ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული 90-იანი წლების დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ბერძნულ ენას თანდათან ანაცვლებენ რუსული ენით. მაგალითად საკმარისია მოვიყვანოთ ბერძნული სკოლის სამეთვალყურეო კომიტეტის სახელზე მიღებული კავკასიის სასწავლო ოლქის სახალხო სკოლების დირექტო-

⁴⁴ აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი: ი-23, ა. 1. ბათუმის ბერძნული საქალაქო დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი, საქმე 2, მიმონერა და ოქმები 1886-1887 წწ, გვ. 52

რის წერილი (1892 წლის 19 ნოემბერი. წერილი № 2032)⁴⁵, სადაც ის აღნიშნავს, რომ ენების სწავლების საათების განაწილება (32 საათი ბერძნული ენისათვის და 24 საათი რუსული ენისათვის) არაა მართებული და არ შეესაბამება მოზარდი თაობის საჭიროებებს, რომლებმაც, როგორც რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომებმა, რუსული მშობლიურ ენაზე უკეთ უნდა იცოდნენ. დირექტორი ითხოვს გაკვეთილების ახალი განრიგის შედგენას, სადაც რუსული ენის გაკვეთილებს დაეთმობა 32, ხოლო ბერძნულისას - 12-18 საათი. ასევე ითხოვს არითმეტიკისა და საღვთო სჯულის რუსულ ენაზე სწავლებას. წერილში ნახსენებია, რომ ბერძნული ენის ორი მასწავლებლის ნაცვლად საკმარისია დასაქმდეს ერთი, მაგრამ რუსული ენის მცოდნე.

იგივე ხასიათის ტენდენცია შეინიშნება დირექტორის 1891 წლის 15 იანვრით დათარიღებულ №82 წერილში⁴⁶, სადაც საუბარია სასწავლებლის ბერძნული ენის მასწავლებლებზე, ხარლამპი დიმიტრისისა და იოანის კუსისზე, რომლებსაც სამსახურის შენარჩუნებას რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების პირობით სთავაზობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ვალდებული იქნებიან დატოვონ სამსახური სასწავლებელში. ამასთანავე, სასწავლებლის ადმინისტრაციისაგან ითხოვს, თადარიგი დაიჭირონ, რომ სამომავლოდ უცხოელები არ იყვნენ დაშვებულნი მასწავლებლად, თუნდაც დროებით.

ბათუმის ბერძნული სასწავლებელი შეუმონმებიათ 1898 წლის 7 ნოემბერს⁴⁷. მოცემულია შემონმების შედეგები, კერძოდ: სიის მიხედვით ირიცხებოდა 114 მოსწავლე, მათ შორის პირველ განყოფილებაში - 51, მეორეში - 17, მესამეში - 28, მეოთხეში - 14, მეხუთეში - 4. შემონმების დროისათვის სასწავლებელში ყოფილა 108 მოსწავლე.

⁴⁵ აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფბერონდი: ი-23, ა. 1. ბათუმის ბერძნული საქალაქო დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი, საქმე 3, მიმოწერა და ოქმები, გვ. 4, 4ა

⁴⁶ აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი: ი-23, ა. 1. ბათუმის ბერძნული საქალაქო დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი, საქმე 3, მიმოწერა და ოქმები, გვ. 8-8ა

⁴⁷ აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი: ი-23, ა. 1. ბათუმის ბერძნული საქალაქო დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი, საქმე 3, მიმოწერა და ოქმები, გვ. 20-21

საიმპერატორო ეკონომიკური საზოგადოების სტატისტიკური კომისიის მიერ ბათუმის ბერძნულ სასწავლებელზე შევსებული ბლანკიდან ირკვევა, რომ სასწავლებელი დაარსებულია 1886 წელს. ამ დროისათვის ბათუმში ყოფილა ქართული სკოლა, სომხური დაწყებითი სკოლა, რუსული სკოლა, ბერძნული სამრევლო (ქალთა) სასწავლებელი⁴⁸.

ბერძნული სასწავლებლის აგებაზე დახარჯულა 16 000 რუბლი. იგი ბათუმის ბერძნული საზოგადოების შემოწირულობებით აგებულია. სასწავლებელმა 1894 წლისათვის მოსწავლეთა საჭიროებაზე დახარჯა 2150 რუბლი; დაზღვევაზე – 44 რუბლი; გათბობა-განათებაზე – 60 რუბლი; მომსახურებასა და სისუფთავის დაცვაზე – 120 რუბლი; ავეჯსა და საკლასო მოწყობილობებზე – 60 რუბლი; წიგნებსა და სასწავლო საშუალებებზე – 16 რუბლი. სასწავლებელს ამ წლის მონაცემებით სახელმწიფოსაგან, ქალაქისაგან არაფერი მიუღია, თუმცა ჩანს, რომ ქალაქის შემოსავლებიდან მას ჰქონდა მიღებული 500 რუბლი. სტატისტიკური ბლანკის მე-10 პუნქტის „1894 წლის გადასახადი“ გასწვრივ აღნიშნულია 670 რუბლი.

სასწავლებელში 1894 წლისათვის ირიცხებოდა 85 მოსწავლე, მათ შორის ყველა ვაჟი, ხოლო 1895 წლის იანვარში ირიცხებოდა 91 ვაჟი. მშობლიური ენის მიხედვით 91-ვე ბერძნულენოვანი იყო და ყველა მართლმადიდებელი. გლეხური წარმომავლობის - 80, ხოლო 11 - ვაჭრის ოჯახიდან.

სტატისტიკური ცნობარი შევსებულია 1896 წლის 16 მარტს (სტატისტიკური ცნობარის შევსებაზე პასუხისმგებელი პირი გ. სპიროვი). მისი შევსების დროისათვის სასწავლებელში 87 ბავშვი სწავლობდა.

მოსწავლეთა ასაკობრივი მონაცემები

მოსწ.ასაკი	7	8	9	10	11	12	13	14	15
რაოდენობა	8	9	18	14	13	15	8	4	2

⁴⁸ აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი: ი-23, ა. 1. ბათუმის ბერძნული საქალაქო დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი, საქმე 3, მიმონერა და ოქმები, გვ. 24-26ა

სასწავლებელში პირველ წელს მიუღიათ 14, მეორე წელს – 25, მესამე წელს – 24, მეოთხე წელს – 18, მეხუთე წელს – 10 მოსწავლე.

კლასგარეშე საკითხავი სასკოლო ბიბლიოთეკა მოეწყო 1886 წელს, ნებაყოფილობითი შემოწირულობების ხარჯზე. ბიბლიოთეკის მოწყობაზე სასწავლებელმა დახარჯა 39 რუბლი. ბიბლიოთეკით სარგებლობდნენ მოსწავლეები, მასწავლებლები და კურსდამთავრებულებიც. გამოწერილი ჰქონდა გაზეთები: „Черноморский вестник“ – მასწავლებლების ხარჯით, „Вестник воспитания“, კავკასიის სასწავლო ოქჩის რწმუნებულის გამოცემული ცირკულარი – სასწავლებლის ხარჯით.

სასწავლებლით სარგებლობდნენ სხვა, მათ შორის თურქეთის, სოფლებიც. მითითებულია, რომ სასწავლებელში სწავლობენ მოსწავლეები ტრაპიზონიდან – 20, კერასუნიდან (გირესუნი) – 5, არხაშორიდან – 3, ყოროლისთავიდან – 3, სურმენედან – 20, ხოლო სანტადან – 1 მოსწავლე.

სასწავლებელში ასწავლიდნენ სიმღერას (ასწავლიდა ზედამხვეელი დიდი დასვენების დროს), ერთ-ერთი საგნად დასახელებულია ტანვარჯიში და მასზეც იგივე ინფორმაციაა. ჩამოთვლილია სხვა საგნები: ხელოსნობა, სოფლის მეურნეობა, მებალეობა. სასწავლო წელი იწყებოდა 1 სექტემბრიდან და გრძელდებოდა 30 მაისამდე, მიღება ხდებოდა ყოველწლიურად.

დაცულია მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ სტატისტიკური ცნობები 1893/94, 1894/95 და 1895/96 სასწავლო წლების მიხედვით. იქვე მითითებულია, რომ 1893/94 სასწ. წლისათვის მოცემულია მიახლოებითი ციფრები.

სასწ.წ	სექტ.	ოქტ.	ნო-ემ.	დე-კემ	იანვ.	თებ.	მარ.	აპრ.	მაი-სი
1893/94	81	76	76	76	74	70	70	65	61
1894/95	111	111	111	104	111	98	91	85	80
1895/96	98	65	80	91	85	91	91		

1907 წლისათვის სასწავლებელში ასწავლიდნენ შემდეგი მასწავლებლები (1907 წლის 2 მაისი №12 პატაკის დანართი, ინფორმაცია მოცემულია პირველ პირში)⁴⁹:

1. **გრამატიკოპულო ფეოდორ ხრისტოფორეს ძე.** მართლმადიდებელი ოჯახის შვილი. წოდება არ მაქვს. მასწავლებლის ვალდებულების კეთილსინდისიერი შესრულებისთვის [გაურკვეველია] საქართველოს საეპარქიო სასწავლებლების საბჭომ 1892 წელს დამაჯილდოვა ბიბლიით, ხოლო შემდგომ 1892 წელს – ფულადი ჯილდოთი 50 რუბლის ოდენობით. ვლადიკავკაზის ბერძნული საზოგადოების დაწყებითი სამრევლო სკოლის გამგის მოვალეობის კეთილსინდისიერი შესრულებისთვის ვლადიკავკაზელი ბერძნების მიერ დაჯილდოებული ვარ სასწავლებლის გადაწყვეტილებით: 1) 1895 წელს ვერცხლის საათით, 2) 1898 წელს ვერცხლის ჩაის სერვიზით, 3) 1906 წელს ოქროს საათით. დაბადების თარიღი 1867 წლის 8 ივნისი. ბერძნული განათლება მივიღე გიუმუშხანის პროგიმნაზიაში, ხოლო რუსული – ყარსის საქალაქო სასწავლებელში, რომლის სასწავლო კურსი 1885 წელს დავამთავრე. იმავე სასწავლებელში მოვისმინე გაკვეთილების სწავლების ერთნაირი კურსი და ჩავაბარე გამოცდები, 1886 წელს მივიღე ორკლასიანი დაწყებითი სამრევლო და საქალაქო სასწავლებლების მასწავლებლის წოდების მოწმობა. 1889 წლამდე ვმსახურობდი სოფლის კერძო სასწავლებელში, ხოლო 1889 წლის სექტემბერში ქართული საეპარქიო სამასწავლებლო საბჭოს მიერ დავინიშნე საეკლესიო-სამრევლო სკოლის მასწავლებლად, 1904 წლის ოქტომბერში [გაურკვეველად] ოლქის სახალხო სკოლების დირექტორად. დავინიშნე ვლადიკავკაზის ბერძნების ერთკლასიანი სკოლის გამგედ, ხოლო 1906 წლის სექტემბრიდან აღნიშნულ სასწავლებელში ვიკავებ ზედამხედველის თანამდებობას. სამსახურიდან გათავისუფლებული არ ვყოფილვარ. დაქორწინებული ვარ არდაგანელი მეშჩანის ქალიშვილზე [სახელი]. გვყავს ქალიშვილი და ვაჟი, რაიმე ქონება არ გამაჩნია.

⁴⁹ აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი: ი-23, ა. 1. ბათუმის ბერძნული საქალაქო დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი, საქმე 4, მიმონერა და ოქმები, გვ. 15-15ა

2. **შაინოვი დიმიტრი ვასილის ძე.** ვაჭრის შვილი. მართლმადიდებელი. ჯილდოები და ფულადი საშუალებები არ გამაჩნია. დავიბადე 1885 წლის 5 ივლისს. დავამთავრე ქუთაისი რეალური სასწავლებლის კურსი 1905 წელს. მასწავლებლის ნოდება არ მაქვს. მასწავლებლად ვირიცხები 1906 წლის სექტემბრიდან. დაქორწინებული ვარ. შვილები არ გვყავს, საგვარეულო ქონებას არ ვფლობ.

3. **დიმიტრი ივანეს ძე ვოიცინი.** ბერძნული ენის მასწავლებელი. უცხოელი. მართლმადიდებელი. დაბადებული 1873 წლის 14 ნოემბერს. 1891 წელს დავამთავრე პედაგოგიური განყოფილების კურსი ბულგარეთის გიმნაზიაში. კურსის დამთავრებისთანავე დავიკავე ბერძნულის მასწავლებლის თანამდებობა ბულგარეთის ბერძნულ სკოლებში უწყვეტად 1906 წლის მაისამდე. ხოლო 1906 წლის ნოემბრიდან მიკავია მასწავლებლის თანამდებობა მოცემულ სასწავლებლებში.

4. **გიორგი კონსტანტინეს ძე კარაფულიდი.** [...] უცხოელი. მართლმადიდებელი. დაბადებული 1865 წლის 22 აპრილს. დავასრულე ტრაპიზონის გიმნაზიის კურსი თურქეთში [...]

1908 წ. ბათუმში გაიხსნა პირველი ბერძნული საქალაქო დაწყებითი სასწავლებელი (მისამართი: დონდუკოვ-კორსაკოვის (ამჟამად კ. გამსახურდიას) ქ. 37, გამგე - ანასტას ლაზარიდი). სასწავლებლის 4 განყოფილებაზე სწავლობდა 8-დან 14 წლამდე ასაკის 148 ბავშვი.

1916 წელს მოცემულია სასწავლებლის პედაგოგთა შესახებ არსებული სტატისტიკური ცნობები⁵⁰:

1. მღვდელი **კონსტანტინე ტრიფონის ძე ცანდეკოვი** (წმ. ნიკოლოზის სახელობის ბერძნული ტაძრის მღვდელმსახური 1896-1917 წწ) ასწავლიდა საღვთო სჯულს. დაუმთავრებია ერევნის სასწავლებლო სემინარია. ანკეტის შემდეგი პუნქტის კითხვაა „აქვს თუ არა მასწავლებლობის მოწმობა ან გამოცდილება“, სადაც არაფერია მითითებული. მართლმადიდებელი. დაოჯახებული. ზოგადად თანამდებობაზე იმყოფებოდა 1894 წლიდან, ხოლო მი-

⁵⁰ აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი: ი-23, ა. 1. ბათუმის ბერძნული საქალაქო დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი, საქმე 7, მიმონერა და ოქმები, გვ. 50

თითებულ თანამდებობაზე იყო 1908 წლიდან. შემდეგი პუნქტი ითვალისწინებს თუ რა ჯილდოები აქვს მიღებული – მიღების ვადა და ბოლოს მიღებული ჯილდო. აქ მითითებულია, რომ იგი ფლობდა წმ. ანნას ორდენს. ხელფასი – 240 რუბლი.

2. მასწავლებელი და გამგე **ანასტასი მაქსიმეს ძე ლაზარიდი** ასწავლიდა ზოგადსაგანმანათლებლო საგნებს. დაუმთავრებია ერევნის სამასწავლებლო სემინარია. ანკეტიის პუნქტზე „აქვს თუ არა მასწავლებლობის მონმობა ან გამოცდილება“, არაფერია მითითებული. მართლმადიდებელი. დაოჯახებული. ზოგადად თანამდებობაზე იმყოფებოდა 1900 წლიდან, ხოლო მითითებულ თანამდებობაზე - 1908 წლიდან. ბოლოს მიღებულ ჯილდოებში მითითებული ინფორმაცია არ იკითხება გარკვევით. ჩანს, რომ ხელფასს იღებდა 980 რუბლს (მითითებულია 800+180). არც ბინის გრაფაში მოცემული ინფორმაცია არ იკითხება გარკვევით.

3. **კილინკაროვა ოლგა ალექსანდრეს ასული და დიმიტრია-დი ევგენია აქილევის ასული.** ორივე ზოგადსაგანმანათლებლო საგნებს ასწავლიდა. დაუმთავრებიათ თბილისის მესამე ქალთა გიმნაზია. დამთავრებული აქვთ 7 კლასი. მითითებულია, რომ მასწავლებლის მონმობა აქვთ. მართლმადიდებლები. ოჯახური მდგომარეობაში აღნიშნულია - „ქალიშვილი“ (Дев.). თანამდებობაზე არიან 1910 წლიდან, ხოლო მითითებულ თანამდებობაზე - 1913 წლიდან. ჯილდოების სვეტში მითითებულია ციფრები: 600 + 60 = 660. ჩანს, რომ ხელფასი 980 რუბლი იყო (მითითებულია 800+180), ბინის ქირა - 200 რუბლი.

4. მასწავლებელი **კონსტანტინიდი სტილიან ილიას ძე.** ასწავლიდა ზოგადსაგანმანათლებლო საგნებს. დაუმთავრებია ხონის სამასწავლებლო სემინარია. ანკეტიის შემდეგი პუნქტის კითხვაა „აქვს თუ არა მასწავლებლობის მონმობა ან გამოცდილება“, სადაც არაფერია მითითებული. მხოლოდ ტირეა გასმული. მართლმადიდებელი. დაოჯახებული. ზოგადად თანამდებობაზე იმყოფებოდა 1908 წლიდან, ხოლო მითითებულ თანამდებობაზე იყო 1911 წლიდან. ბოლოს მიღებულ ჯილდოებში მითითებული ინფორმაცია არ იკითხება გარკვევით. ჩანს, რომ ხელფასს იღებდა 980 რუბლს (მითითებულია 800+180). არც ბინის გრაფაში მოცემული ინფორმაცია არ იკითხება გარკვევით.

ბათუმში მე-20 საუკუნის 20-იან წლებში მოქმედებს ბერძნული სკოლა (№6 ბერძნული სკოლა), რომელიც ს. შაუმიანის (ამჟამად დ. თავდადებულის) ქუჩაზე მდებარეობდა (ახლანდელი ანდრია პირველწოდებულის სახ. სკოლის შენობა), სადაც თურქეთიდან ლტოლვილი ძმები კანონიდები ასწავლიან. ბერძნულსა და მათემატიკას ასწავლიან ი. კიდონიდი, ხ. ცაცანიდი, ე. პილიდი, დ. გავრილიდი, კესიდი, ქართულ ენას - რაჟდენ ჩიმაკაძე. უმცროს კლასებს ასწავლის პაპანდოპულო. 1929 წლისათვის სკოლაში 279 ვაჟი და 213 გოგონა სწავლობს. თავდაპირველად სკოლის შენობა ერთსართულიანი იყო, სვეტებიანი ვერანდით ეზოს მხარეს, მაგრამ მოსწავლეთა კონტიგენტის ზრდამ (სკოლა 1924 წელს შვიდწლედად, ხოლო 1929 წელს ათწლედად გადაკეთდა) 30-იან წლებში მეორე სართულის დამატების აუცილებლობა გამოიწვია (ტაბ.I, სურ. 2-4; ტაბ.II, სურ. 1). გაზეთი „საბჭოთა აჭარისტანის“ 1934 წლის 5 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული შ. ცაიშელის სტატიაში უკვე საშუალო სკოლადაა მოხსენებული (ცაიშელი, 1934:V).

1921 წლის 5 ივლისს გამოვიდა საგანგებო კომისიის ბრძანება უსწავლელობის ლიკვიდაციისა და წერა-კითხვის სკოლების გახსნის შესახებ. ქალთა სასწავლებლის შენობაში ბერძნებისათვის გაიხსნა წერა-კითხვის სკოლა. ბერძნული სკოლები იყო ახალშენში, დაგვაში, აჭყვასა და კვირიკეში.

ახალშენის მაცხოვრის ფერისცვალების ტაძარი აშენდა 1894 წელს. ტაძრის საკურთხებლად ბერძნებმა მოიწვიეს ფოთიდან მღვდელი დ. პ. პისტოპულოსი. ტაძრის სამრეკლო ხის იყო, თეოდოროს ხურტიდისმა აჩუქა ტაძარს ლითონის სამრეკლო. 1893 წელს (სხვა მონაცემებით 1884 ან 1885 წელს⁵¹) გაიხსნა სამრეკლო სკოლა. პირველი მასწავლებელი იყო მღვდელი დ. პ. პისტოპულოსი (წარმოშობით სურმენადან, ეგზარხოსმა მას კურთხევა მისცა ახალშენში ემსახურა). გარდა მღვდელი პისტოპულოსისა, აქ მსახურობდნენ ეესკათიოს მაკრიდისი ხაჯი-იორი, მღვდელი კ. კონსტანტინიდისი და ხრისტოს ტავრიდისი (Αγγελίδης, 1999:307). სამკლასიან შენობას მოგვიანებით სამი საკლასო ოთახი მიაშენეს, ამოქმედდა ბერძნული ხუთკლასიანი დაწყებითი სკოლა. სკოლის

⁵¹ აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი: რ-5, აღწერა 1, საქმე 200

პირველი გამგე-მასწავლებელი იყო ილია პისტოპულო, მოღვაწეობდნენ პედაგოგები: დიმიტრი გრამატიკოპულო, გიორგი კაკულიდი, კონსტანტინე ანტონიადი და სხვები. სკოლაში სწავლა ფასიანი იყო. მასწავლებლებს განათლება ტრაპიზონის გიმნაზიაში ჰქონდათ მიღებული. 1932 წელს ახალშენის დაწყებითი სკოლა შეიძენლედან გადაკეთდა. 1938-39 წლებში კი ბერძნული და ქართული სკოლები ქართულ შეიძენლიან, ხოლო 1940 წლიდან საშუალო სკოლად გადაკეთდა (ტაბ.III, სურ. 2-3).

კვირიკეს წმინდა კონსტანტინესა და ელენეს სახელობის ტაძრის შენება დაიწყო 1902 წელს (1909 წელს სახელმწიფოს მიმართეს დახმარებისთვის, ვინაიდან მშენებლობა უსახსრობის გამო გაჭიანურდა). მსახურებდა მღვდელი ი. ნ. ცალიკოფი. სკოლამ მოქმედება დაიწყო 1905 (1910⁵²) წელს. სწავლება წარმოებდა ბერძნულად. მასწავლებლები ტრაპიზონიდან ჰყავდათ მონვეული (არქივის 1928 წ. მასალებიდან ჩვენთვის ცნობილია პედაგოგების გვარები: ა. პუმპურიდი, ეფრემიდი)(Αγγελίδης, 1999:311).

ბერძნული სკოლები აჭყვაში ტაძრებთან (წმინდა გიორგის სახელობის - 1890-91 წწ და პეტრე-პავლეს სახელობის - 1905) მოქმედებდა. პირველი მასწავლებელი ორივე სკოლაში მღვდელი ფ. ნ. პაპადოპულოსი იყო. ასწავლიდა მშობლიურ ენას, არითმეტიკას, მართლწერას, გეოგრაფიას, სიმღერას (Αγγελίδης, 1999:305).

ქობულეთის ბერძნულ სკოლებთან დაკავშირებით საინტერესოა არქივში დაცული რევიზორის [რევიზორის ვინაობის შესახებ ჩანაწერი გაკრული ხელითაა] 1921-22 წლების ანგარიში. 1921-22 წლებში ქობულეთში 13 სკოლაა 35 მასწავლებლითა და 630 მოსწავლით, აქედან 3 ბერძნული სკოლაა, რომლებშიც 152 მოსწავლე სწავლობს და 6 მასწავლებელი ასწავლის (ფონდი 5, ოქმი 4, გვ. 1). რევიზორი ანგარიშში ერთ თავს უთმობს სამ ბერძნულ სოფელს, რომლებშიც მოსახლეობის უმეტესობას ბერძენი ეროვნების მოქალაქეები შეადგენს. სოფლებში არსებული მდგომარეობის აღწერისას, რევიზორი აღნიშნავს, რომ ბერძნები

⁵² აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი: რ-5, აღწერა 1, საქმე 200

ქობულეთში რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ 1885 წელს⁵³ ჩამოვიდნენ ტრაპიზონის ვილაეთიდან და დასახლდნენ სამ სოფელში: დაგვაში, აჭყვასა და კვირიკეში, რომლებიც დაცლილი იყო თურქეთში მუჰაჯირებად წასული ადგილობრივი მოსახლეობისაგან (ფონდი 5, ოქმი 4, გვ. 2). 20-იანი წლების დასაწყისში ბევრმა ბერძენმა, განსაკუთრებით კი იმათ, ვინც მნიშვნელოვანი ქონება შეიძინა, გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნებულიყო, რადგანაც კომუნისტების მოსვლით მათ რელიგიურ და სულიერ უფლებებს და თავისუფლებას საფრთხე დაემუქრებოდა. ბერძენების უკუმიგრაციას დემოგრაფიული ცვლილებები მოყვებოდა. 1921 წლისთვის აჭყვაში 110 ოჯახი ცხოვრობდა, რევიზიის დროისათვის კი 50 იყო დარჩენილი, რომლებსაც არ ჰქონდათ გადაწყვეტილი დარჩებოდნენ თუ დაბრუნდებოდნენ სამშობლოში.

რევიზორის ანგარიშში აღწერილია სკოლის შენობა-ნაგებობები, რომლებიც მოუწესრიგებელი და მოუვლელი იყო იმ მიზეზით, რომ მოსახლეობას ისტორიულ სამშობლოში სურდა დაბრუნება. მნიშვნელოვანია ინფორმაცია სკოლების მართვის ფორმის შესახებ. მათ თავდაპირველად საეკლესიო ორგანოები მართავდნენ და სწავლება ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა, რუსული და ქართული ენები არ ისწავლებოდა. მას შემდეგ, რაც სკოლების მართვა განათლების სამინისტროს ხელში გადავიდა, ბერძნული ენის საათების რაოდენობა შემცირდა რუსული და ქართული ენების საათების გაზრდის ხარჯზე. დაგვაში, სადაც ბერძნულ ოჯახებთან ერთად ცხოვრობდნენ ქართული ოჯახებიც, არ იყო ქართული სკოლა. რევიზორი ანგარიშში ორ გზას სახავს პრობლემის გადასაწყვეტად: 1/ ბერძნულ სკოლაში ქართული განყოფილების გახსნას და 2/ ქართული ენის მასწავლებლის მოწვევას, რადგან თავად ბერძნებიც ითხოვენ სახელმწიფო ენის შესწავლას.

საანგარიშო წლისათვის ბერძნულ სოფლებში 152 ბერძენი მოსწავლეა და 6 ბერძენი მასწავლებელი, აქედან ჩაქეში - 17 მოსწავლე, დაგვაში - 65 მოსწავლე და 3 მასწავლებელი, აჭყვაში - 35 მოსწავლე და 2 მასწავლებელი, კვირიკეში - 35 მოსწავლე და 1 მასწავლებელი. დაგვაში 4 სექციაა 65 მოსწავლით, რომელთაგან

⁵³ ს. ტაბალუას ბერძენების დაგვაში ჩასახლების დასაწყისად 1881 წელი აქვს მითითებული: С. Табагуа, Колхоз села Дагва (исторический очерк), изд. „Сабчота Аджара“, Батуми, 1982, с. 7

37 გოგონა და 28 ვაჟია. კვირიკეში 3 სექციაა. ჩაქვის სკოლა 2 - რუსული და ქართული განყოფილებებისაგან შედგებოდა, სწავლობდა 13 ქართველი, 17 ბერძენი და 18 რუსი ეროვნების მოსწავლე. სამწუხაროდ, არაა აღნიშნული კონკრეტულად რომელ სექტორზე სწავლობდნენ ბერძენი ეროვნების ბავშვები (Λουκασβίλι, 2008:145-150).

ჩვენს ხელთაა არქივში დაცული მასალა, რომელიც ასახავს ბათუმის ბერძნული სკოლების გამგის ხ. ცაცანიდის მიერ 1928 წლის მაისში აჭარის ბერძნულ სკოლებში ჩატარებული რევიზიის შედეგებს⁵⁴. ანგარიში თარიღდება 1928 წლის 3 ივნისით. ამ დროისათვის 4 ბერძნული (კვირიკე, დაგვა, აჭყვა, ახალშენი) სკოლა და ქართულ სკოლებთან მოქმედი 3 განყოფილება (აჭყვა, ქობულეთი, ჩაქვი).

მიმდინარე სასწავლო წლისათვის სკოლებში მუშაობს 18 მასწავლებელი, მათგან ოთხი - ქართულ ენას ასწავლის, 2 - რუსულ ენას, ხოლო ბერძნული ენის მასწავლებლები განათლების ცენტრისა და გამოცდილების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებიან: პედაგოგიური გამოცდილებითა და განათლებით - 6, საშუალო გამოცდილებითა და განათლებით - 4, საშუალო გამოცდილებითა და არასრული განათლებით - 1, დაბალი გამოცდილებითა და საოჯახო განათლებით - 3.

სკოლები მუშაობენ აჭარისთვის შემუშავებული ბერძნულად თარგმნილი პროგრამების მიხედვით. სწავლების მეთოდები, ყოველთვის არაა დამაკმაყოფილებელი, მაგრამ მასწავლებლები მოსწავლეებისადმი მომთხოვნი არიან. მასწავლებლის დატვირთვა კვირაში 24 საათზე ნაკლები არაა, არის სკოლები, სადაც კვირაში 29 და მეტ გაკვეთილს ატარებენ. კომპლექსური მიდგომა ხორციელდება მასწავლებელთა შესაძლებლობების მიხედვით. სახალხო განათლების კომიტეტი მოსწავლეებს წიგნებით, რვეულებითა და სასწავლო საგნებით ამარაგებს. სკოლების შენობების უმეტესობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, დაგვის სკოლისა და ჩაქვის განყოფილების გამოკლებით. სკოლები ყოველწლიურად მარაგდება რუკებითა და სხვა სასწავლო საშუალებებით. არ არის ბიბლიოთეკა.

⁵⁴ აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი: რ-5, აღწერა 1, საქმე 101

ერთიანად სკოლებში 409 მოსწავლე სწავლობს (ვაჟები - 248, გოგონები - 161). ყოროლისთავის მონაცემებთან ერთად მოსწავლეთა რაოდენობა 427-ს აღწევს (საინტერესოა ფაქტი, რომ რევიზორმა ვერ მოახერხა ყოროლისთავის სკოლის შემოწმება, რადგან მასწავლებელმა მიხაილიდისმა ის არ მიიღო, არადამაკმაყოფილებლად ჩათვალა რა მის მიერ წარდგენილი მანდატი და საეჭვოდ მიიჩნია მისი კომპეტენცია). ლარიბი ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი განათლების გარეშე რჩება.

1927 წ. ბათუმის პედაგოგიურ ტექნიკუმში გაიხსნა ბერძნული განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობდა დ. კანონიდი, მოგვიანებით ხ. ცაცანიდი (ტაბ. III, სურ. 1).

ენის საკითხი საბჭოთა კავშირის ბერძნულ მოსახლეობაში არ განისაზღვრებოდა მხოლოდ კათარევუსასა და დიმოტიკის შორის არჩევანით, როგორც ეს საბერძნეთში ხდებოდა. ენის განსაზღვრის აუცილებლობა გამოიწვია იმან, რომ პონტოელი ბერძნები პონტოური დიალექტის სხვადასხვა კილოებზე, ბერძენთა მცირე ჯგუფი (ყირიმი) კი – დიმოტიკიზე სუბრობდა. სკოლებში სწავლება კათარევუსაზე მინდინარეობდა (Καρίτζηλις, 1991:222-225).

1920-1930 წლებში სსრკ-ში იყო მცდელობა პონტოური დიალექტი გადაქცეულიყო პონტოელი ბერძნების სალიტერატურო ენად. ამ ენაზე გამოიცემოდა გაზეთები, სხვადასხვა სახის ლიტერატურა. 1932 წელს კოსტას ტოპხარასმა (კანონიდისმა) გამოსცა პონტოური ენის გრამატიკა (დონის როსტოვის გამომცემლობა „კომუნისტი“) – I γράμματιχῃ τι ρομεικῷ τι ποντικῷ τι γλῶσσαι τοῦ Κ. Τοπχαρά (ტაბ. IV, სურ. 2). ლიტერატურული ფორმის ბაზად გამოყენებული იქნა პონტოური დიალექტის ტრაპიზონური გამოთქმა. მანამდე პონტოელი ბერძნები წერისას იყენებდნენ კათარევუსას. 1926 წელს ბერძენი ინტელიგენციის წარმომადგენლების კონფერენციაზე (10/05/1926) მიიღეს დიმოტიკიზე გადასვლისა და ბერძნული ანბანის რეფორმის გადაწყვეტილება. პარალელურად გრძელდებოდა პონტოურ დიალექტზე ბეჭდვის პრაქტიკა ფონეტიკური ორთოგრაფიის გამოყენებით. 1926-35 წწ გრძელდებოდა პოლემიკა ერთის მხრივ, დიმოტიკის გამოყენებისა და, მეორე მხრივ, დიალექტებზე დაფუძნებული რამდენიმე ბერძნული ენით სარგებლობის მომხრეებს შორის, რაც დასრულდა 1936 წელს სო-

ხუმში ბერძენი მასწავლებლების ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებით შენარჩუნებულიყო ერთიანი ბერძნული ენა - დი-მოტიკი (Попов, 2010:108-109). უნდა ითქვას, რომ ჩრდილოეთი კავკასიის პონტოელი ბერძნებისაგან განსხვავებით ამიერკავკასიის ბერძნებმა უკეთ შეინარჩუნეს თავიანთი დიალექტი (რუსეთში 1927 წელს იყო ასოების მოხაზულობის გამარტივებისა და რუსული ასოებით ჩანაცვლების მცდელობა).

აჭარის არ ცენტრალური სახ. არქივის ფონდებში დაცულია დოკუმენტაცია ატესტატების, დიპლომების, საკლასო ჟურნალების და ა.შ. სახით, რომელიც ამ პერიოდშია შექმნილი, 20-ასოიანი ანბანის გამოყენებით (ტაბ. IV, სურ. 2). ისტორიული ორთოგრაფია შეცვლილია ფონეტიკურით. ამოღებულია დიფთონგები, ერთნაირი ჟღერადობის ხმოვნებიდან დარჩენილია მხოლოდ ι და σ , σ -ს ნაცვლად გამოიყენება ν , სილმებიდან (σ , ζ) დატოვებულია მხოლოდ σ ფორმა, ორმაგი თანხმოვნები იწერება ჟღერადობის მიხედვით ξ – $\kappa\zeta$, ψ – $\pi\zeta$. ბერძნული ანბანი რეფორმის შედეგად შედგება 20 ასო-ბგერისაგან: 5 ხმოვანი: α , ϵ , ι , σ , ν , 15 თანხმოვანი: β , γ , δ , ζ , θ , κ , λ , μ , ν , π , ρ , ς , τ , ϕ , χ . მახვილები აღარ ისმება ერთმარცვლიან სიტყვებზე და ამოღებულია ხმარებიდან მახვილი ბოლო მარცვალზე.

40-იან წლებში მოხდა სხვა ევროპულ ეროვნულ ჯგუფებთან ერთად კავკასიის ბერძნული მოსახლეობის დეპორტაცია. 1938 წლის 31 იანვრის დადგენილებით პოლიტიკურ მოითხოვა როგორც უცხოეთის, ისე საბჭოთა მოქალაქე პოლონელების, ლატვიელების, გერმანელების, ესტონელების, ფინელების, ბერძნების, ირანელების, ხარბინელების, ჩინელების, რუმინელებისგან შემდგარი ჯაშუშურ-დივერსიული კონტიგენტის დარბევის ოპერაციის ჩატარება. 1942 წლის გაზაფხულზე ლ. ბერიას ხელმოწერილი 157-ე დირექტივით დაიწყო ბერძენი მოსახლეობის წმენდის პირველი ტალღა, მეორე და მესამე გადასახლება 1944 და 1949 წელს მოხდა. 1949 წელს ყაზახეთის მიმართულებით გამგზავრებული 26 ეშელონიდან 19 საქართველოდან იყო. 1956 წელს მოხდა რეპრესირებულთა ნაწილობრივი, ხოლო 1991 წელს სრული რეაბილიტაცია (კანონი რეპრესირებული ხალხების რეაბილიტაციის შესახებ)(Зейналова, 2010:102-122).

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1938 წლის გადაწყვეტილებით ბერძნული რაიონების ლიკვიდაციასთან ერთად მოხდა ბერძნული სკოლების დახურვა, სწავლება რუსულ ენაზე გადავიდა, ბიბლიოთეკებიდან ამოიღეს ბერძნულენოვანი წიგნები, შეწყდა ბერძნული გამომცემლობების საქმიანობა. ბათუმის №6 ბერძნული სკოლა 1938 წლიდან ხელის ერთი მოსმით ბელინსკის სახელობის №8 რუსულ სკოლად იქცა.

მე-6 ბერძნულ სკოლაში, რომლის დირექტორი დიმიტრიოს კანონიდისი იყო, ბერძნულ ენას და ისტორიას ასწავლიდნენ დიმიტრიოს კანონიდისი და ალექსანდროს დიამანდოპულოსი (ისტორიკოსი, ფილოლოგი, პოეტი, მწერალი, მეტსახელად ბერძენი, რადგანაც პონტოელი არ იყო, ცნობილი ასევე ფსევდონიმით „რიონის“); მათემატიკას, ფიზიკას - ივან კიდონიდისი (სსრკ ფიზიკური გეოგრაფიის სახელმძღვანელოს ავტორი (Мазманиди, 2011:10; Аскурава, 1995) და ხრისტოფორ ცაცანიდისი, ქართულს - ელენა მეგრელიძე, ბუნებას და ბიოლოგიას - ქრისტოფოროს ქსინოპულოსი, ბიოლოგიას და ქიმიას - მარია მატვიენკო, ფიზკულტურას - ვანია ატროშენკო, კონსტიტუციას - პარასკევოპულოსი (Μουρατίδου, 1992:138), დიამანდოპულუ ევდოქსია, მიროფორა ღრამატიკოპულუ (რუსული ენის მასწავლებელი), პანიდი ვასილიოს (ხაზვის მასწავლებელი), ღრიღორიოს პაპადოპულოსი, ილექტრა კოტიდუ, ეკატერინა პილიდუ, ევტიხია პილიდუ, პანაიოტის კესისოლლუ, მიხაილიდისი (ტანვარჯიშის მასწავლებელი)(Μουρατίδου, 1992:148).

აჭარის ბერძნული საზოგადოების ყველაზე დამსახურებული წევრები იყვნენ პედაგოგები: თეოდორ გავრილიდი (წლების განმავლობაში მე-5 სკოლის დირექტორი), დ.ი. კალანტიდი (მე-6 ბერძნული სკოლის დირექტორი), მ. კუციდი, ა. ცერბოსი, ი. კოტიდი, დ. ჩილინგარიდი, ა. დიამანდოპულო, კ. პანიდი, დ. მიხაილიდი (ტაბ. II, სურ. 092), კ. პოლიხრონიდი, პ. ქსინოპულო, ა. პარასკევოპულო, კ. ივანოვი, ქ. ქ. ქსანტინიდი, ქ. მავრიკიდი, პ. მავრიკიდი, ვ. დელავერიდი და სხვები. განსაკუთრებული ღვაწლი აქვთ ბერძნული ენის სწავლებისა და გავრცელების საქმეში სკოლების დირექტორებს ირაკლი შონუსს (ხიონიდის), ვლადიმერ მისტაკოპულოს (მე-3 რუსული სკოლის დირექტორი), ნიკოლოზ აეროპულოს

(დაგვის სკოლა), ხრისტო ქსანტინიდისა და გიორგი ვიონიდის (ახალშენი), გ. მურადოვს (დაგვა).

ბერძნული ენის სწავლება საბჭოთა კავშირში განახლდა 50-იან წლებში. 1958-დან 1964 წლამდე საქართველოში, იმ რეგიონებში, რომლებსაც პონტოელი ბერძნების მასობრივი გასახლება არ შეეხებია, რამდენიმე ბერძნული სკოლა გაიხსნა. 1958 წელს თ. ყაუხჩიშვილმა 1926 წლის ანბანის საფუძველზე მოამზადა და გამოსცა ბერძნული ანბანი.

ბათუმში ბერძნული ენის სწავლება განახლდა 1981 წელს ბათუმის №3 საშუალო სკოლის დირექტორ ირაკლი შონუსისა და ახალგაზრდა პედაგოგ მარიკა კეფალიდის ძალისხმევით. წლების განმავლობაში ჯერ №3 საშუალო სკოლაში, შემდეგ კი ბერძნულ საზოგადოებაში ახალ ბერძნულ ენას ასწავლიდა და დღემდე ასწავლის ჟანა ქსანტინიდი (Μιστακοπουλο, 1994:3).

მნიშვნელოვანია, რომ დღეს საქართველოს რამდენიმე უნივერსიტეტში წარმატებით მუშაობს ახალი ბერძნული ენის კათედრები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წვლილი ახალი ბერძნული ენის სწავლების საქმეში.

1996 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც უნივერსიტეტის ფორმირების დღიდან ისწავლება კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტინოლოგიის დისციპლინები, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის ბაზაზე გაიხსნა ახალი ბერძნული ენისა და ლიტერატურის განყოფილება (კოორდინატორი, სრული პროფესორი მ. გიორგაძე). 1999 წლიდან მოქმედებს სასწავლო აუდიო-ვიდეო საშუალებებით აღჭურვილი კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინოლოგიისა და ნეოგრეცისტიკის კაბინეტი მდიდარი სპეციალიზირებული ბიბლიოთეკით. 1996-2012 წლებში ნეოგრეცისტიკის სპეციალობაზე 141 სტუდენტი სწავლობდა. ახალი ბერძნული ენის სპეციალობის კურსდამთავრებულები მზია ქადიძე და მადონა ჯინჭარაძე უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდნენ დაგვის სკოლაში ბერძნული ენის მასწავლებლებად, ნანა კვაჭაძე - ბათუმის მე-7 და მე-16 სკოლებში (ტაბ. V, სურ. 305, 309). წლების მანძილზე ადგილობრივ მასწავლებლებთან (ნ. ძნელაძე, მ. ცენტერაძე, ნ. ლუკაშვილი) ერთად ახალ ბერძნულ ენას ასწავლიდნენ საბერძნეთიდან მოწვე-

ული მასწავლებლები ანდონის ცობანგეორგიუ, გიორგოს ლე-
ვენტისი, აპოსტოლოს სულიოსი და გიორგოს ფონტრიე.



დიმიტრი მიხაილიდი მეუღლე
მარია კარსანიდთან ერთად.
ბათუმი, 1926 წელი



ბერძნული სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები (1932 წელი)



ბათუმის № 6 ბერძნული სკოლა 1938 წლამდე



ბათუმის № 8 (ყოფილი № 6) ბერძნული სკოლა (1932)




ბათუმის № 8 (ყოფილი № 6 ბერძნული) სკოლის შენობა




ბერძენი სტუდენტები, ბათუმი, 1927 წ.



ახალშენის პირველი არასრული საშუალო სკოლა, 1938 წელი (ბერძნული შვიდნლედი 1938 წლამდე)



ბერძნული ენის სახელმძღვანელო და ატესტატი



ბერძნული ატესტატები რეფორმამდე და რეფორმის შემდეგ

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კომახიძე, 1996 - თეიმურაზ კომახიძე, „ქალაქ ბათუმის განათლებისა და კულტურის ისტორიის საკითხები“, გამომც. „აჭარა“, ბათუმი. 1996;
2. ცაიშელი, 1934 - შ. ცაიშელი, „ნაციონალურ უმცირესობათა სკოლებში“. გაზ. „საბჭოთა აჭარისტანი“, 5 აგვისტო, №179, ბათუმი. 1934;
3. Αγγελίδης, 1999 – Σωκράτης Αγγελίδης, „Η ιστορία των Ελληνικών εκκλησιών και των σχολείων της νότιας και δυτικής Γεωργίας και της Ατζαρίας“, έκδοση Σωματείου Παναγία Σουμελά, Θεσσαλονίκη. 1999;
4. Καρπόζηλου, 1991- Μάρθα Καρπόζηλου, Ελληνική εκπαίδευση στη Σοβιετική Ένωση (1917-1937), Ιωάννινα. 1991;
5. Λουκασβίλι, 2008 – Νίνο Λουκασβίλι, Τα ελληνόγλωσσα σχολεία της επαρχίας του Κομπουλέτι της Ατζαρίας στην μεταβατική περίοδο 1921-22. Πρακτικά Συνεδρίου Παγκοσμιοποίηση και Ελληνική Διασπορά, τόμος Β', Ε.ΔΙΑ.Μ.ΜΕ., σς.145-150, Ρέθυμνο. 2008;
6. Λουκασβίλι, 2014 – Νίνο Λουκασβίλι, Η ελληνόγλωσσα εκπαίδευση στην Ατζარία (1850-1938), διδακτορική διατριβή, Θεσσαλονίκη. 2014;
7. Μουρατίδου, 1992 - Βάλια Μουρατίδου „Εκατόχρονη Οδυσσεία“, Θεσσαλονίκη. 1992;
8. Μουρατίδου, 1998 - Βάλια Μουρατίδου, „Μια γιαγιά αφηγείται“ , εκδ. Δ. Καζάκης, Θεσσαλονίκη. 1998;
9. Μυστακόπουλος, 2003 – Βλαδίμηρος Μυστακόπουλος, „Ανθρωποι, χρόνια, γεγονότα.“, Θεσσαλονίκη. 2003;
10. Аскурава, 1995 - Аскурава В., Учитель – отец, „Батуми“ Культурно-просветительская газета общества греков в Аджарии, №1(6), январь-февраль 1995;
11. «Батуми», 1998 - Из истории греческой общины Батуми (Ελευθέριος Δ. Παυλίδης, *Ο Ελληνισμός της Ρωσίας* (Σωματείον

- των εκ Ρωσίας Ελλήνων, Αθήνα, 1953), „Батуми» Культурно-просветительская газета общества греков в Аджарии, №1-2(25-26), октябрь-декабрь 1998;
12. Вейденбаум, 1901 - Вейденбаум Е.Г., От Батума до Артвина, Кавказские этюды, Тифлис, 1901;
 13. Зейналова, 2010 - Зейналова Судаба, Формирование европейских этнических общин на Кавказе (XIX-первая половина XX вв), Баку, 2010;
 14. Мазманиди, 2011 - Мазманиди Н., Наши учителя – наследники эллинистической, византийской и трапезундской цивилизации, „Афинский курьер», 08-15 декабря 2011;
 15. Месхи, 1906 - И.С. Месхи, „Очерк развития батумского городского хозяйства», гл. V.Очерк деятельности по народному образованию, Батум и его окрестности, К 25-летию присоединения гор. Батуми к Российской Империи, Издание Батумского Городского Общественного Управления, типография В. Киладзе и Г. Таварткиладзе, Батуми. 1906;
 16. Мистакопуло, 1994 - Мистакопуло В.Д., Греческий язык в школе, „Батуми» Культурно-просветительская газета общества греков в Аджарии, №1, июль 1994;
 17. Попов , 2010 - Попов А., Понтийские греки, Красная книга – Атлас языков мира, находящихся под угрозой исчезновения ЮНЕСКО (электр. версия - сс 102-133), 2010, с. 109 history.kubsu.ru/pdf/kn6_102-133.pdf;
 18. Стефанов, 1906 - Штабс-капитан Т.Т. Стефанов, Исторический очерк вступления русских войск в город Батум 25 августа 1878 г (под редакцией генерала-лейтенанта Потто), Батум и его окрестности, К 25-летию присоединения гор. Батуми к Российской Империи, Издание Батумского Городского Общественного Управления, типография В. Киладзе и Г. Таварткиладзе, Батуми. 1906;
 19. Табагуа, 1982 - Табагуа С., Колхоз села Дагва (исторический очерк), изд. СабчотаАджара», Батуми. 1982;

20. Френкель, 1879 - Френкель А., Очерки Чурук-Су и Батума, типография А.А. Михельсона, Тифлис, 1879;
21. Читлов, 2000 - Читлов Д., Мой народ. Тбилиси, Издательство „Комбинат печати», 2000

Nino Dzneladze

***Greek schools in Ajara and the Greek language teaching
Summary***

The Pontolite greeks settlement process in Russian Empire's borders begins from the beginning of the 19th century. After the war in Crimea in 1856-1866, 6000 Pontian Greeks settled in the North Caucasus and Transcaucasia (in Georgia - Tsalka region). After the Russian-Turkish War (1877-1878) in 1878-1884 the settlement of the Pontolas received a massive character (17,000 souls, in Georgia - Sokhumi and Batumi districts). The article deals with the Greek language teaching features in the Greek schools of Adjara.

**აჭარაში მცხოვრები ბერძნების
კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა
საარქივო სამმართველოში დაცული
დოკუმენტების მიხედვით**

საბერძნეთ-საქართველოს ურთიერთობები საუკუნეებს ითვლის. ამ ურთიერთობის შესახებ უძველესი ცნობები მხოლოდ მითოლოგი-
ამ შემოინახა. გადმოცემის მიხედვით **დაუმორჩილებელი პრომეთე**
სასტიკად დაისაჯა მხოლოდ იმიტომ, რომ ღმერთებს ცეცხლი მო-
პარა და ადამიანს ცხოვრება გაუადვილა. ამის გამო ზევსმა -
ბერძენთა უზენაესმა ღმერთმა, იგი კავკასიონს მიაჯაჭვა. სამეცნიე-
რო ლიტერატურის მიხედვით პრომეთე ამირანის პროტოტიპია. ზოგჯერ ბერძნული პრომეთესა და ქართული ამირანის მითებს
ერთმანეთთან აიგივებენ კიდეც. ასეც რომ არ იყოს, პრომეთეს მაინც
აქვს შეხება ქართულ სამყაროსთან, რადგან მასში პირველად
მოხსენებული კავკასიონის მთები. ეს მითოლოგიური გადმოცემა აი-
სახა მხატვრულ ლიტერატურაშიც.

მეორე მითი **არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის** ისტო-
რიას ეხება. თესალიელმა იაზონმა კოლხეთის მეფე აიეტს ოქროს
სანმისი მოსტაცა და მეფის გრძნეული ასული მედეაც თან გაიყო-
ლა. თანამედროვე საისტორიო მეცნიერების გამოკვლევებით
მითში ასახულია ძვ. წ. XV-XIII სს-ის პერიოდი.

ასე, რომ, ბერძნულ-ქართულ ურთიერთობებს ხანგრძლივი
ისტორია აქვს, თუმცა იგი ყოველთვის არ იყო არ იყო ერთგვარო-
ვანი. მშვიდობიან სავაჭრო თანამშრომლობას ხშირად დაძაბულო-
ბა ენაცვლებოდა, რომელიც საომარ დაპირისპირებად იქცეოდა
ხოლმე. ჩვ.წ-მდე VI ს-დან ბერძნებმა შავი ზღვის აღმოსავლეთ სა-
ნაპიროზე არაერთი ახალშენი დააარსეს, რომელთაგან ერთ-ერთი
ქობულეთ-ფიჭვნარი უნდა ყოფილიყო. ბერძნულ ახალშენებს შო-
რის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ფაზისი. მის დანინაურებას
ხელს უწყობდა **”დიდი აბრეშუმის გზად”** ნოდებული სავაჭრო
გზა, რომელიც იწყებოდა ინდოეთიდან. ეს გზა მიუყვებოდა მდი-
ნარე ამურ-დარიას, კასპიის ზღვას და მდინარე მტკვრით ლიხის

ქედამდე აღწევდა, შემდეგ მდინარე ფაზისით (რიონით) შავ ზღვამდე, ქალაქ ფაზისამდე და აქედან უკვე ბერძნული სამყაროსკენ მიემართებოდა. ბერძნები კოლხეთთან ვაჭრობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. საბერძნეთიდან შემოჰქონდათ ქსოვილები, სამკაული, ჭურჭელი და ფუფუნების სხვა საგნები. საქართველოდან გაჰქონდათ სელი და სელის ნანარმი, ბენჯეული, ტყავი, გემის საშენი ხე-ტყე, აგრეთვე ხის ძვირფასი ჯიშები, მაგალითად, ბზა. გაჰქონდათ ოქრო და რკინა. გაჰყავდათ მონებიც.

ბერძენთა პირველი დასახლებების გაჩენა საქართველოს ტერიტორიაზე სწორედ ბერძნული კოლონიზაციის პერიოდს უკავშირდება. მათი შემოსახლება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე სხვა დროსაც გრძელდებოდა. მცირე ჯგუფი ვერცხლისა და ტყავის მოპოვება-დამუშავების ოსტატებისა ერეკლე მეორის ინიციატივით ჩამოსახლდა. 1763 წელს გიუმეიუშხანიდან მოსული ბერძნების 800-მდე ოჯახი ჩასახლებულა ახტალის მიდამოებში. მათი ჩამოშვები არიან მარნეულის რაიონის სოფელ ოფრეთში მცხოვრები ბერძნები. 1813 წელს თურქეთიდან მოსული ბერძნების 120 ოჯახი დასახლდა ქართველების ყოფილ სოფელ წინწყაროში (თეთრიწყაროს რაიონი). 1828-1829 წლების ომის შედეგად თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ვილაიეთებიდან ქრისტიანული მოსახლეობის დიდი მასა — ქართველები, ბერძნები, სომხები — ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გადმოსახლდა. დევნილები საქართველოში უმთავრესად, ნალკის რაიონში დასახლდნენ. გადმოსახლებულები თავისუფალ პირებად ითვლებოდნენ და ამიტომ ხაზინას მიეკუთვნებოდნენ. თურქეთიდან ჩამოსულები ნასოფლარებს ირჩევდნენ დასასახლებლად, ცვლიდნენ ძირძველ ადგილობრივ ტოპონიმებსა და მათ ნაცვლად მშობლიური სოფლების სახელებს ამკვიდრებდნენ (ერძანს ბარმაქსიზი, თეზი — ავრანლო, ნალკა — გუნიაკალა, კობთა — სანამერი, ქვემო ახალშენი — კირაკი, ზემო ახალშენი — ბაშკოი, ეძენა — შიპიაკი, უწყლო — სანტა, გველფარება — კუმჩი, საბატე — დარაკოვი და ა. შ. 1830 წელს თრიალეთში დასახლდა თურქეთიდან მოსული 7 ათასამდე ბერძენი, რომლებმაც ქართველების ყოფილ ნასახლარზე 18 სოფელი შექმნეს (<https://konkursi2013.wordpress.com>).

XIX საუკუნის შუა წლებში ბერძნები **ჩამოსახლდნენ ზღვისპირა აჭარაში**, აგრეთვე სოფელ ირაგაში (თეთრიწყაროს რაიონი) და ციხისჯვარში (ბორჯომის რაიონი). XX საუკუნის 60-

იანი წლებიდან ბერძნები მასიურად ჩასახლდნენ აფხაზეთში, უმთავრესად სოხუმის მახლობელ სოფლებში. ეს ბერძნებიც თურქეთიდან იყვნენ მოსული და ძირითადად თამბაქოს გაშენებას მისდევდნენ. იმავე საუკუნის მიწურულში ბერძნების საერთო რაოდენობა დაახლოებით 40 ათასს შეადგენდა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს ქალაქებში ცხოვრობდა (თბილისში, ბათუმში, სოხუმში და სხვ.).




ტიპიური ბერძნები ბათუმში, საქართველო
(<https://konkursi2013.wordpress.com>)

ბერძნები ზოგადად ორ ჯგუფად იყოფიან. ბერძნულენოვან ბერძნებს ელინოფილებს (რომეო, ელინი) უწოდებენ, თურქულენოვანებს კი ურუმებს. 1989 წლის აღწერით საქართველოში ცხოვრობდა 100324 ბერძენი. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ ბერძენთა ნაწილი ისტორიულ სამშობლოს დაუბრუნდა. 2002 წლის აღწერის მასალების მიხედვით ბერძენთა რაოდენობა საქართველოში შემცირდა 15166-მდე. მათგან ქვემო ქართლში ცხოვრობს - 7 415, თბილისში - 3 792, აჭარაში - 2 168 (<http://www.nplg.gov.ge>).

აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდებში დაცულია მრავალმხრივ საინტერესო დოკუმენტები, რომლებიც ძირითადად აჭარაში მცხოვრები ბერძნების სამეცნიერო-კულტურული თუ საგანმანათლებლო საქმიანობაა წარმოდგენილი. ბერძნების შესახებ ინფორმაციები დაცულია რ-192, რ-5, ი-6, ი-7, ი - 23 ფონდებში.


ი-23-ე ფონდში (8 საქმეთა ერთეული) დაცული მასალებიდან ირკვევა, რომ XIX ს. ბოლოს (1880-იანი წლები) ბათუმში არსებობდა **ბერძნების საზოგადოებრივი სასწავლებელი**. მოგვიანებით ბერძენი მოსწავლეებისათვის შემუშავებული იქნა ორსართულიანი შენობის პროექტი, რომელიც დამტკიცდა 1902 წ. 17 ივლისს პოლკოვნიკ საზანოვის (მიხეილის ციხესიმაგრის ინჟინერ-პოლკოვნიკი), მღვდელი მანოსის (ნიკოლოზის ეკლესიიდან) და ბერძენი დიმიტრიადის ხელმოწერით (ფონდი ი-6, საქმე 463). ბათუმის საქალაქო თვითმმართველობამ მოიწონა ეს პროექტი. შენობა აიგო მიხაილოვის, ქუთაისის, ბერძნული და მელიკოვის ქუჩების კვეთაზე. საქმეში წარმოდგენილია შენობის პროექტი:



ფონდში წარმოდგენილია აღნიშნული სასწავლებლის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია, კერძოდ: უწყისები, მასწავლებელთა და მოსწავეთა სიები, აღრიცხვის ჟურნალები, ოქმები, ბრძანებები და სხვა (ასს ცსა, ფონდი ი-23. ან. 1 ს. 1.).

N 1 საქმეში დაცულია 1886-1887 წლების მოსწავლეთა აღრიცხვის და აკადემიური მოსწრების მონაცემები. სხვა საქმეებში ვხვდებით მასალებს მასწავლებელთა, კერძოდ 1896 წ. 1 სექტემბრიდან ლუბა მიტროფანეს ასული სტრეფნიკოვას შვებულებაში გაშვების ნებართვის შესახებ (ასს ცსა, ფონდი ი-23. ან. 1 ს. 3. ფ. 1.). 1904 წ. მარტით დათარიღებული დოკუმენტი საიდუმლო ცირკულარის გრიფითაა წარმოდგენილი და საუბარია მოსწავლეებისადმი უხეშად მოპყრობის ფაქტებზე. ასეთი მოპყრობა შეფასებულია, როგორც მოსწავლეთა და მასწავლებელთა დამამცირებელი ქმედება. დოკუმენტის ავტორი მოუწოდებს მასწავლებლებს არ

დაკარგონ მოთმინება და შეინარჩუნონ სიმშვიდე ურთულეს სიტუაციაშიც კი (ასს ცსა, ფონდი ი-23. ან. 1, ს. 3. ფ. 9).



საქმეში წარმოდგენილია აგრეთვე სასოფლო და საქალაქო დანყებითი სკოლებში საქმის წარმოების საკითხებთან დაკავშირებული საინსტრუქციო წერილი. წერილის მიხედვით ირკვევა, რომ სათავო უწყებას აღნიშნულთან დაკავშირებით მოუშადადებია შესაბამისი სახელმძღვანელო დოკუმენტი: „საქმის წარმოების წესები სოფლისა და ქალაქის დანყებითი სასწავლებლებში“. მათვე სკო-

ლის მასწავლებლებისათვის მოუმზადებიათ ასევე საცნობარო ნიგნიც (ასს ცსა, ფონდი ი-23. ან. 1, ს. 3. ფურც.12).

ნიშანდობლივია, რომ იმჟამინდელი კანონმდებლობა ავალდებულებდა სკოლის მოსწავლეებს დადგენილი წესების უსიტყვო შესრულებას. აღნიშნულთან დაკავშირებით გამოცემულია აგრეთვე ბათუმის დროებით გენერალ-გუბერნატორის დადგენილება გენერალ-ლეიტენანტ მიხეევის ხელმოწერით (დათარიღებული 1906 წ. 28 ივლისი). იგივე დოკუმენტი სასტიკად კრძალავს რაიმე სახის მოსწავლეთა ორგანიზაციის ჩამოყალიბებას. მოსწავლეებისათვის უნდა გაეცათ სახელობითი მონუმენტები, რომლის გარეშეც მოსწავლეს არ ჰქონდა უფლება დაშვებულიყო სასწავლო დაწესებულებაში და ეტარებინა მოსწავლის ფორმა (ასს ცსა, ფონდი ი-23. ან. 1, ს. 3. ფ. 14).

საქმეში დაცული მასალებიდან ირკვევა, სკოლებში შემოუღიათ მოსწავლეთა ფორმები. აღნიშნულთან დაკავშირებით საგანგებო დავალება მიუღია ბერძნული ენის მასწავლებელს პაპანდოპულოს. ღარიბი ოჯახის შვილების სია უნდა წარედგინათ სასწავლებლის კომიტეტისათვის, რათა მათთვის აღმოეჩინათ საჭირო დახმარება მოსწავლეთა ფორმების შეძენისათვის (ასს ცსა, ფონდი ი-23. ან. 1, ს. 3. ფ. 15). დოკუმენტებში საუბარია სკოლის დაფინანსების წყაროების შესახებაც (ასს ცსა, ფონდი ი-23. ან. 1, ს. 3. ფ. 24). ერთ-ერთ საქმეში დაცულია ბათუმის ბერძენთა საძმოსადმი სასწავლებლის ხელმძღვანელობის მიმართვა შემოწირულობების ღარიბი ბავშვების ოჯახებისადმი გადაცემის თხოვნით (ასს ცსა, ფონდი ი-23. ან. 1, ს. 5. ფ. 4).

საინტერესოა კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც ნათლად წარმოგვიდგენს იმდროინდელი კონტროლის ხარისხს გაკვეთილების გამცდენი მოსწავლეების სკოლაში გამოუცხადებლობის მიზეზების დადგენის საქმეში. მოსწავლე საიდი მიხაილიდის ავადმყოფობასთან დაკავშირებით სასწავლებლის ხელმძღვანელი ითხოვს მასწავლებლებისაგან ენვიონ მოსწავლის ოჯახს და დაადგინონ - იტყუება თუ არა მოსწავლე (ასს ცსა, ფონდი ი-23. ან. 1, ს. 5, ფ. 2).

ქალაქის თვითმმართველობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ეროვნული უმცირესობების სასკოლო დაწესებულებებს. ისინი ხშირად ითხოვდნენ მონაცემებს ბერძნულ სასწავლებელში სწავლის მსურველთა რაოდენობის, უარისა და თანხმობათა სტატისტიკის, მოსწავლეთა რაოდენობის, მატერიალურ-ტექნიკური

ბაზის მდგომარეობის და სხვა საკითხების შესახებ. ერთ-ერთი ასეთი წერილი გაგზავნილია სასწავლებლის გამგის ლაზარიდის სახელზე და თარიღდება 1912 წ. 6 სექტემბრით (ასს ცსა, ფონდი ი-23. ან. 1, ს. 5, ფ. 46). საქმეებში წარმოდგენილია ბერძნული სასწავლებლის მიერ ჩატარებული ღონისძიებები, ლიტერატურული თუ მუსიკალური საღამოების ამსახველი მასალები და ღონისძიებათა პროგრამები (ასს ცსა, ფონდი ი-23. ან. 1, ს. 5, ფ. 5,6).

საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 1918 წლისათვის ბერძნული სკოლის შენობა დაუკავებია ქალაქის საავადმყოფოს. 1918 წლის 23 თებერვალს ელინურ საზოგადოებას მოუწვევია სხდომა, რომელსაც წარუდგენია სკოლის შენობის საავადმყოფოსაგან გათავისუფლების შუამდგომლობა (ასს ცსა, ფონდი ი-7. ან. 1, ს. 710, ფურც. 2-5).

საარქივო დოკუმენტებში წარმოდგენილია გარკვეული მონაცემები ცნობილი ბერძენი მოღვაწეების შესახებაც. მათ შორისაა საყოველთაოდ აღიარებული ექიმი ტრიანდაფილიდისი. 1906 წლის 24 აპრილის სხდომის ოქმიდან (ოქმი შედგენილია რუსულ ენაზე) ირკვევა, რომ ქალაქის თვითმმართველობის სხდომაზე დაისვა ბათუმის საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გაძლიერების საკითხი. ამ მიზნით დახმარება უნდა ეთხოვათ ექიმ ტრიანდიფილიდისისათვის, გამოცდილი პრაქტიკოსი თერაპევტისათვის, რომელიც ურთულეს პერიოდში, 11 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქალაქის საავადმყოფოს. ამიტომაც დაისვა საქალაქო საავადმყოფოს კონსულტანტად მისი დანიშვნის საკითხი (ასს ცსა, ფონდი ი-7, საქმე 413, ფურც. 19), თუმცა ამ საკითხს გამოუწვევია დისკუსია და ხმოსან ელიავას მოუთხოვია აღნიშნული თანამდებობის მიზანშეწონილობის დასაბუთება (ასს ცსა, ფონდი ი-7, საქმე 413, ფურც. 19). ხმოსან ვოლსკის მხარი დაუჭერია კონსულტანტის თანამდებობის შემოღებისათვის. მისი აზრით, ამ თანამდებობის შემოღება არ არღვევდა არც საექიმო ეთიკის ნორმებს და არც კოლეგიალურ უფლებებს. ტრიანდიფილიდისი კი, რომელიც სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით, ნამდვილად იმსახურებდა დანიშვნას. ნიშანდობლივია, რომ თავად ტრიანდიფილიდისი იყო თვითმმართველობის წევრი (ხმოსანი) (ასს ცსა, ფონდი ი-7, საქმე 413, ფურც. 20). ცხარე დისკუსიის გამო თავმჯდომარეს საკითხი მოუხსნია დღის წესრიგიდან. გარდა ტრიანდიფილიდისა,

თვითმმართველობის შემადგენლობაში იყო აგრეთვე ბერძენი ახილესტ დიმიტრიადი.

როგორც ცნობილია, ტრაგიკულად დაიღუპა სახელოვანი დასტაქარი. იგი გაიტაცა რევოლუციონერმა პროკოფი დოლიძემ 1908 წელს და სიცოცხლეს გამოასალმა. ეს მეტად რეზონანსული საქმე იყო, ამიტომ სოციალ-დემოკრატები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ და ხელი შეუწყეს მთავრობას ლანჩხუთში მიმალული ბოროტმოქმედის შეპყრობაში. ბოროტმოქმედი ჩამოახრჩეს.



ვალდია გოგუაძე ჯავშნოსან მატარებელზე დურბინდით და იარაღით ხელში

საარქივო დოკუმენტებში ვხვდებით სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების, მიწის ნაკვეთებზე საიჯარო ხელშეკრულებების, ბერძნებით დასახლებული კვირიკეს კოლმეურნეობის შრომითი საქმიანობის ამსახველი მასალები (ასს ცსა, ფონდი ი-7, საქმე 413). იქვეა წარმოდგენილი მოხსენება სკოლების საქმიანობის შემოწმების შედეგების შესახებ. იგი დათარიღებულია 1928 წ. 3 ივლისით. როგორც ჩანს, მასწავლებელთა საქმიანობა განსაკუთრებულ კონტროლს ექვემდებარებოდა. ზოგიერთი მასწავლებელი უმკაცრესადაა შეფასებული. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ კვირიკეს სკოლის გამგე-მასწავლებელი ა. პაპანდოპულო. დოკუმენტის მიხედვით, მათემატიკის მასწავლებელი პაპანდოპულო არ ფლობს „დიდაქტიკის ენას“, არ აქვს შემუშავებული „სწავლების ერთიანი კომპლექსური სისტემა“, ხოლო ეფრემიდი

დაბალი კვალიფიკაციის მასწავლებელია, რომელიც მუშაობს ძველი შაბლონებით და ეწინააღმდეგება უახლეს პედაგოგიურ იდეებს (ასს ცსა, ფონდი ი-7, საქმე 413, ფურც. 50-52). ასევე მკაცრადაა შეფასებული დაგვის ბერძნული სკოლის მასწავლებელი სიდეროპულო, აჭყვის ბერძნული სკოლის მასწავლებელი ხ. პონანდოპულო („მწირი განათლებით, ხშირად ბრაზდება“), ქობულეთის განყოფილების მასწავლებელი ა. კარაფელიდი („დაბალი განათლებით“, „2 წლიანი სტაჟით“, „მცირე გამოცდილებით“ და სურვილით „სიყვარულით მოეკიდოს საქმეს“) (ასს ცსა, ფონდი ი-7, საქმე 413, ფურც. 53).

მოხსენებაში ცალკეა გამოყოფილი სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სასწავლო ინვენტარის მდგომარეობა.

მოხსენებაში წარმოდგენილია აგრეთვე რეგიონის ბერძნული სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა და სქესობრივი შემადგენლობა კლასების მიხედვით. ამ დოკუმენტების მიხედვით მოსწავლეთა რაოდენობა ბერძნულ სკოლებში შემდეგნაირად წარმოგვიდგება ასს ცსა, ფ. რ-5, ს. 101, ფურც. 50-56):

კვირიკეს სკოლა

მოსწავლე	I	II	III	IV	სულ
ბიჭები	16	7	6	8	37
გოგონები	8	4	3	4	19
სულ	24	11	9	12	56

დაგვის სკოლა

მოსწავლე	I	II	III	IV	სულ
ბიჭები	22	21	24	15	82
გოგონები	17	14	6	4	40
სულ	39	35	30	19	122

აჭყვის სკოლა

მოსწავლე	I	II	III	IV	სულ
ბიჭები	16	11	10	7	44
გოგონები	14	7	8	2	31
სულ	30	18	18	9	75

ქობულეთის განყოფილება

მოსწავლე	I	II	III	IV	სულ
ბიჭები	1	2	1	3	7
გოგონები	4	2	5	3	14
სულ	5	4	6	6	21

ჩაქვის განყოფილება

მოსწავლე	I	II	III	IV	სულ
ბიჭები	8	4	5	—	17
გოგონები	4	6	1	—	12
სულ	12	10	6	—	29

ახალშენის სკოლა

მოსწავლე	I	II	III	IV	სულ
ბიჭები	15	16	15	15	61
გოგონები	19	12	13	2	46
სულ	34	28	28	17	107

საქმეში წარმოდგენილია აგრეთვე მონაწილეობა, რომელიც ეძლეოდათ მოსწავლეებს დაწყებითი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ (ფონდი ი-23, საქმე 8):



1920-იან წლებში გაიხსნა 13 ჯგუფისაგან შემდგარი „ბერძნული შვიდწლელი“. სამეცნიერო მეთოდური საბჭოსადმი წარდგენილ სპილიოტის ანგარიშში (1925 წ. 25 მარტი) ბერძნული შვიდწლელი დახასიათებულია მოსწავლეთა რაოდენობის, სოციალური წარმოშობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მიხედვით (ასს ცსა, ფ. რ-5, ან.1, საქმე 41, ფურც. 195-214). დოკუმენტებში სკოლა დახასიათებულია როგორც სასწავლო დაწესებულება „წვრილბურჟუაზიული უპირატესობით“, ასევე მზარდი „შრომითი ელემენტით“ (ასს ცსა, ფ. რ-5, ან.1, საქმე 41, ფურც. 195-214).

საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ფუნქციონირებდა ბერძნული დრამატული თეატრი. საქმეშია 1938 წ. 25 მარტით დათარიღებული ინსტრუქცია თეატრში საშვის გაცემის შესახებ. საშვის გაცემას აწარმოებს თეატრის ადმინისტრატორი. დოკუმენტის მიხედვით პარტიის რაიკომის მდივნები, აღმასკომის

თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები, შინსახკომის, მილიციის და სახანძრო რაზმის ხელმძღვანელები სარგებლობენ „უფასო მუდმივი ადგილებით“. „დღიური უფასო საშვის“ მიღების ნებართვა აქვთ რესპუბლიკური გაზეთების წარმომადგენლებსა და რაიონული გაზეთების რედაქციის თანამშრომლებს (ასს ცსა, ფ. რ-192, ს. 1, ფურც. 19. ს. 2. 1937-1938 წლები). საქმეში დაცულია სამუშაო გეგმები კვარტალების მიხედვით, თეატრის ბიუჯეტი, ბილეთები, აფიშები, მოსაწვევები, პროგრამები. მოგვიანებით აღნიშნული თეატრი ლიკვიდირებულ იქნა. საქმეში მისი ლიკვიდაციის ამსახველი მასალებიცაა წარმოდგენილი.

ბათუმელ ბერძნებს 1925 წლისათვის ჰქონდათ აგრეთვე საკუთარი გაზეთი, რომლის რედაქცია განთავსებული იყო გაზეთ „შრომის აჭარისტანში“ (ასს ცსა, ფ. რ-9, ან. 1, ს. 122, ფურც. 45).

საარქივო სამმართველოს ფონდებში დაცულია ბერძნებით დასახლებული კოლმეურნეობების შრომითი საქმიანობის ამსახველი მასალები, კრების ოქმები, საბუღალტრო დოკუმენტაცია.



ბერძნები ჩაის პლანტაციაში ჩაყვა (ჩაქვი) 1905–1915 წლები სერგეი მიხაილისძე პროკუდინ-გორსკის ფოტო

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ ბევრი ბერძენთა ნაწილი საქართველოდან, მათ შორის აჭარიდან წავიდა და ისტორიულ სამშობლოს – საბერძნეთს დაუბრუნდა. თუმცა, „სამცხე-ჯავახეთის ბერძენთა გაერთიანებული კავშირის“ პატრიდას“ მონაცემებით ჯავახელი ბერძნები ადგილზე დარჩნენ. „სხვა ბერძნებისგან

განსხვავებით, ჯავახეთში მცხოვრები ბერძნები სამშობლოს არ ტოვებენ. ჯავახეთიდან არავინ წასულა. ისინი იქ უცხოები არიან. საქართველოში, თავიანთ სახლში უნდათ. აქ “იოლად ვსუნთქავთ”, წყალიც უფრო გემრიელია, პურიც არაა მწარე და ნებისმიერი სხვა რამ უკეთესია” - ამბობენ ისინი.

ისტორიულ სამშობლოში წასულთაგან ბევრი ბერძენი კვლავ დაუბრუნდა მეორე სამშობლოს. ბოლო წლებში ნალკაში დამკვიდრდა ჩვეულება - უკან დაბრუნებული ბერძნები აშენებენ მცირე ზომის ეკლესიებს, რომლებიც მოხატულია წესების ზუსტი დაცვით. ზოგიერთები ახდენენ თავისი სოფლის ეკლესიის რესტავრაციას. შესაბამისად, სალოცავადაც ამ ეკლესიებში დადიან:



ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია ნალკაში

ბერძენთა უკუმიგრაციას განაპირობებს რამოდენიმე ფაქტორი. ადგილობრივთან დაკავშირებულ პრობლემებს დაემატა საბერძნეთში არსებული მძიმე ეკონომიკური ვითარება, კრიზისი. ამასთან, ქვეყანაში მიღებული ახალი კანონპროექტით საბერძნეთში პენსიის გაცემის წესი შეიცვალა. კანონში გათვალისწინებულ სხვა შეზღუდვებთან ერთად ყველას, ვისაც არ შესრულებია 67 წელი, ასევე ყოფილი

საბჭოეთიდან რეპატრირებულ ბერძნებს, მინიმალური პენსია გაუ-
უქმდათ. 260 ევრომდე შემცირებულ მინიმალურ პენსიას ხანშიშესუ-
ლი 30 ათასი პონტოელი ბერძენი იღებდა, რაც სახელმწიფოს, და-
ახლოებით, 80 მილიონი ევრო უჯდებოდა. ამ კანონის მიღებით ხელი-
სუფლებამ პონტოელთა „გენოციდი“ დაიწყო, რამაც ხელი შეუწყო
საარსებო წყაროს გარეშე დარჩენილი პონტოელი ბერძნების უკან
დაბრუნების ტენდენციის გაჩენას.

საქართველოში პონტოელი ბერძნების ძირითადი განსახლების
არეალი წალკის რაიონის 30 სოფელია. აქ 90-იან წლებში სტიქიუ-
რი უბედურების ზონებიდან ჩამოსახლებული აჭარელი ეკო-
მიგრანტების 2300-მდე ოჯახი მათ მიერ მიტოვებულ სახლებში შე-
სახლდა. საბერძნეთის ფინანსური კრიზისის გამო უკვე მესამე წე-
ლია, ბერძნები საქართველოში ბრუნდებიან, რის გამოც ეკო-
მიგრანტები წალკის რაიონს ტოვებენ.

15 წლის მანძილზე ხელისუფლების მიერ მხოლოდ 600-მდე
სახლია შესყიდული ეკომიგრანტებისთვის (<http://www.nplg.gov.ge>).
რა თქმა უნდა, საკუთრების უფლება ხელშეუხებელია, მაგრამ
არის შემთხვევები, როცა რამდენიმე ოჯახმა სახლების შესყიდვის
მიზნით, მოლაპარაკების საფუძველზე, ბერძენ მფლობელებს
თანხები სრულად ან ნაწილობრივ გადაუხადეს, თუმცა სხვა-
დასხვა მიზეზის გამო სახლების დაკანონება ვერც მათ შეძლეს.
მთავარი პრობლემა კი ის არის, რომ ბერძნები ბრუნდებიან უკან,
თავიანთ სახლებში, ეკომიგრანტებს გადახდილ თანხებს ქირაში
უქვითავენ და სახლების დატოვებას სთხოვენ. ყველაზე მთავარი
კი ის არის, რომ საქართველოში არ არსებობს საკანონმდებლო ბა-
ზა, რომელიც დაადგენს თუ ვინ არის ეკომიგრანტი და რა კატეგო-
რიას შეიძლება განეკუთვნებოდეს ამ სტატუსის მქონე პირი. არც
ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ
პირთა შესახებ კანონმდებლობა არ გულისხმობს ეკომიგრანტს,
როგორც ეს საერთაშორისო კანონმდებლობითაა გათვალისწინე-
ბული.

საბერძნეთ-საქართველოს ურთიერთობები თანამედროვე
ეტაპზე. ახალ იმპულსს იძენს. ეს ურთიერთობები განსაკუთრებუ-
ლად გამოიხატა წარმატებულ თანამშრომლობაში განათლებისა
და მეცნიერების მიმართულებით. საქართველო არის ქვეყანა
ვისთანაც საბერძნეთი დაინტერესებულია განავითაროს თა-
ნამშრომლობა ყველა მიმართულებით.

საბერძნეთის თანამშრომლობას საქართველოსთან ტრადიციულად საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ხელმძღვანელობდა. თუმცა 2002 წლის 1 ოქტომბერს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაარსდა განვითარების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის დირექტორატი, რომელსაც ოფიციალურად **ელი-ნური დახმარება** ეწოდა. დირექტორატი ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს განვითარების სფეროში საბერძნეთის თანამშრომლობას მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანასთან და აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთანაც. პროექტით გათვალისწინებულია საქართველოში ეკონომიკის განვითარების თავისებურებების შესახებ კონსულტაციების ჩატარება, სასურსათო პროგრამის ფარგლებში წარმოებული საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერა, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა, მკერდის სიმსივნის დროული დიაგნოსტიკის და მკურნალობის მომსახურება, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა წალკის რაიონში, ბაღების აღდგენა-შეკეთება, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და ა. შ. (<http://www.nplg.gov.ge>)

საბერძნეთი ორმხრივი ხელშეკრულებების ჩარჩოებში აწვდის საქართველოს ჰუმანიტარულ დახმარებას. ამასთან ის განვითარების სფეროშიც თანამშრომლობს ჩვენს ქვეყანასთან სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით.



საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილისა და საბერძნეთის პრემიერ-მინისტრ ალექსის ციპრასის შეხვედრა. ათენი, 2017 წ. 28 მარტი.

საქართველოსა და საბერძნეთის კულტურულ - საგანმანათლებლო, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები დღითი დღე მტკიცდება. სახელმწიფოთა მოგობრული თანამშრომლობა კი ხელს უწყობს ბერძნებისა და ქართველების მეგობრობისა ისტორიული კავშირების შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ასს ცსა, ფ. რ-5, ან.1, საქმე 41, ფურც. 195-214;
2. ასს ცსა, ფ. რ-5, ს. 101, ფურც. 50-56
3. ფონდი ი-6, საქმე 463;
4. ასს ცსა, ფონდი ი-7. ან. 1, ს. 710, ფურც. 2-5;
5. ასს ცსა, ფონდი ი-7, საქმე 413, ფურც. 19, 20, 50, 52, 53
6. ასს ცსა, ფ. რ-9, ან. 1, ს. 122, ფურც. 45;
7. ფონდი ი-23, საქმე 1;
8. ასს ცსა, ფონდი ი-23. ან. 1, ს. 3. ფ. 1, 9, 12, 14, 15, 24,
9. ასს ცსა, ფონდი ი-23. ან.1, ს. 5. ფ. 2, 5, 6, 46
10. ფონდი ი-23, საქმე 8;
11. ასს ცსა, ფ. რ-192, ს. 1, ფურც. 19.
12. <http://www.nplg.gov.ge>;
13. <https://konkursi2013.wordpress.com>

Nato Kikava

Tamaz Phutkaradze

Cultural-educational activities of the Greeks living in Ajara According to documents preserved in the Archives Administration Summary

In the article, on the basis of documents protected in Archives Administration of Ajara, is discussed some issues of cultural and educational activities of Greeks living in Ajara.

**ცოტა რაჲ XX საუკუნის 60-იანი წლების თურქეთის
ქართული სოფლებისა და მისი მოსახლეობის
შესახებ**

*(საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტური
მასალის მიხედვით).*

თურქეთის ქართული მოსახლეობა ძირითადად თავმოყრილია ქ. სტამბულსა და მარმარას რეგიონში მდებარე ბურსას, საქარიას, ქოჯაელის, ბოლუს, ამასიის, თოკათისა და ბალიკესირის ოლქებში. თურქეთის დედაქალაქში ქართული მოსახლეობა მცირეა. ქართული დიასპორის მნიშვნელოვანი ნაწილი შემორჩენილია საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებზე: ართვინის, არტაანისა და რიზეს ოლქებში. უფრო მნიშვნელოვანი დასახლებები არის შავიზღვისპირეთში: სამსუნში, სინოპში, გირესუბანში, ორდუმში, უნეასა და ფაცაში. სხვადასხვა შეფასებით თურქეთში 2 მილიონამდე ქართველი ცხოვრობს. ქართული წარმოშობის თურქ მოქალაქეებს ჩამოყალიბებული აქვთ სათვისტომო-საზოგადოებები, კულტურულ - საგანმანათლებლო ფონდები და შემოქმედებითი კავშირები, ასეა დღევანდელ თურქეთში..... მაგრამ სულ სხვა სიტუაცია იყო გასული საუკუნის 60-70 - იან წლებში. „დედა-სამშობლო ჩემი საქართველოა, ჩვენი სული და გული იქ არის ჩვენ დაბრუნებისთვის ვემზადებით, მაგრამ მანამდე უნდა ქართული კულტურა მივიღოთ, გავქართველდეთ, სულით და გულით...“ (ფ. 303, ან. 1, საქ. 1207. ფ. 4), ამას წერდა 1979 წელს დიდი თურქი ქართველი ახმედ მელაშვილი. ყველასთვის ცნობილია, რომ, თურქეთის ქართულ მოსახლეობაში მან დიდი მუშაობა ჩაატარა, დაუკავშირდა უცხოეთში მცხოვრებ ქართველ თანამემამულეებს, ემიგრანტ ქართველებს და მათი საშუალებით აქტიურად შეუდგა მუშაობას. ის რამდენჯერმე ეწვია პარიზში მცხოვრებ ქართველებს, ხოლო 1965 წელს მისი მოწვევით თურქეთში ჩავიდა პარიზელი ქართველი ილია ჯაბადარი მეუღლითურთ. „1965 წელს მრავალი მიმოწერის შემდეგ ქართველ მუსულმან მელაშვილთან, გადავწყვიტეთ ჩემმა მეუღლემ და მე წავსულიყავით თურქეთში“. (ფ. 303, ან. 1, საქ. 902, ფ. 5). მათი თურქეთში მოგზაურობა განპირობებული იყო არა მხოლოდ აჰმედ მელაშვილისა და მი-

სი ოჯახის გაცნობით, არამედ თურქეთში მცხოვრებ ქართველებში შემორჩენილი ქართული ენის, მათი ფოლკლორის, ადათ წესებისა და მათი ყოფის ახლოს გაცნობის მიზნით.

აჰმედ მელაშვილი ოჯახთან ერთად ქალაქ ბურსაში ცხოვრობდა. ის ევროპიდან ჩამოსულ სტუმარს, სტამბულის მახლობლად მდებარე **ჰაირიეს** სადგურზე დახვდა ცოლის ბიძასთან ერთად. ეს უკანასკნელი იმ პერიოდში სტამბულის ერთ-ერთ საავადმყოფოს ხელმძღვანელობდა. სასტუმროში დაბინავების



სიუზან და ილია ჯაბადარები და აჰმედის ოჯახთან
(ფ. 202, ან. 2, საქ. N 57, ფ. 7, 8.)

შემდეგ,
ექიმმა
სტუმრე-
ბი, თავის

ოჯახში მიიპატიჟა, სადაც მასთან ერთად მასპინძლობდნენ მისი და და ძმა, ეს უკანასკნელი თურქეთის არმიის პოლკოვნიკი იყო. ოჯახში ქართული ესმოდათ, მაგრამ ლაპარაკი უჭირდათ, მათი და, ქართულად ძმებზე უკეთ ლაპარაკობდა. სტუმარებს ოჯახში ქართული გარემო დახვდათ, როგორც თვითონ გადმოსცემს: „ჩვენ უმაღლე თავი ვიგრძენით ქართულ ოჯახში, იმ თბილ სტუმართ - მოყვარეობით, რომელიც ყოველი ქართველის ღირსება არის“. (ფ. 202, ან. 1, საქ. N 79. ფ. 1.). მასპინძელი პოლკოვნიკისგან ცნობილი გახდა, რომ ყველა განათლებულ ქართველს წლების განმავლობაში თურქეთში მნიშვნელოვანი თანამდებობები ეჭირათ: 1924-1927 წლებში თურქეთის ფინანსთა მინისტრი, ბათუმელი გვარად ჯაბანაშვილი ყოფილა; თურქეთის სამხედრო ავიაციის უფროსი, ასევე ქართველი იყო (წლები არ არის დასახელებული); მოგვიანებით ქალაქ იალოვში სტუმრობისას ცნობილი გახდა, რომ „თურქეთის პარლამენტის თავმჯდომარე ფუად სირმენი, ქალაქ იზმიტიდან, რომელიც სამჯერ იყო არჩეუ-

ლი ამ თანამდებობაზე, შთამომავლობით ქართველი ყოფილა, ფეჰში ალფასლანი ქალაქ ართვინიდან, ვექილი და სენატორი, ქართველი ყოფილა; თურქეთის გზებისა და ხიდების მშენებლობის გენერალური დირექტორი სერგეი ბაირამ ოლლუ, ასევე ქართველი იყო და ქართულად გამართულადაც ლაპარაკობდა, საერთოდ ყველა განათლებულ ქართველს თურქეთში დიდი ალაგები უჭირავთ.“ (ფ.202, ან. 1, საქ. N 79. ფ. 2.).

ახმედ მელაშვილის ინფორმაციით, მათთვის ცნობილი იყო, რომ ქალაქ ბურსის მახლობლად 40 - ამდე ქართული სოფელი არსებობდა. სტამბულიდან გემით ქალაქ იალოვაში გაემგზავრნენ. ეს იყო მაშინ პატარა ნავსადგური, სადაც დაახლოვებით 1000-მდე ქართველი ცხოვრობდა. იქ მათი მასპინძელი იყო „სამთო ინჟინერი, ქვანახშირის მადნის გამგე ისმეტ-ბეი. ეს კეთილშობილი ადამიანი წამოსული ყოფილა ქალაქ ქუთაისიდან და ჯაფარიძის გვარს ატარებდა. მას ჰყავდა ცოლშვილი, (ორი ქალი და ერთი ვაჟი), მეუღლე ქართულათაც ლაპარაკობდა.“(ფ. 202, ან. 1, საქ. N 79. ფ.1.). ქალაქ იალოვადან ჯაფარიძემ აჰმედთან ერთად, სტუმრები, მის მშობლიურ ქალაქ ბურსაში ჩაიყვანა. აქ ჯაბადრები აჰმედისა და ჯაფარიძის ოჯახებს სტუმრობნენ. თუმცა გადაპატიჟება ხდებოდა ხან ერთ, ხან მეორე ოჯახში, „ვინც იგებდა ჩვენს სტუმრობას, ყველა ლამობდა ჩვენთან შეხვედრას, მათთან სტუმრობას გვთხოვდა.“ ამ დროს ბურსაში დაახლოებით 20 000 ქართველი ცხოვრობდა. „ფეხს ვერ გადაადგავდი „ჩვენებური“ რომ არ შეგხვედროდა“. (ფ. 202, ან.1, საქ. N 79. ფ. 2.).



შეხვედრა სოფელ ჰაირიეში (ფ. 202, ან.2, საქ. N 57, ფ. 2ა)

ორი დღის შემდეგ ჯაფარიძემ სტუმრები, ბურსიდან ახმედის მშობლიურ სოფელ ჰაირიე ქოი-ში ჩაიყვანა. მოუწყობელი და მთებში სავალი გზით მანქანით ბურსიდან ჰაირიე ქოიმდე 2 საათი დაჭირდათ. სოფლის თავში დახვდათ „მუხტარი“, ასე ეძახდნენ

სოფლის თავს, ხელმძღვანელს. მათ სტუმრობას დაამთხვიეს ჯაფარიძის ვაჟის წინადაცვეთა, „ამ „ცერემონიას“ ჩვენებურები ქორწილს ეძახიან“. სოფელში საოცარი დახვედრა მოუწყეს, როგორც თვითონ აღნიშნავს : „ მე მწერალი არ ვარ და ვერ ავწერ კეთილ მიღებას, ფეხქვეშ გვეშლებოდა ყოველი, დაგვაბინავეს და გაიმართა ცეკვები, სიმღერები, სადილ-ვახშამი, ამ შემთხვევაში ასეთი ადათი იყო: მთელს სოფელს უნდა გამასპინძლებოდა ის ოჯახი, ვისი შვილიც წინადაცვეთას ღებულობდა. უზარმაზარი ქვაბები სხვადასხვა ქართული საჭმელებით სავსე იყო, სუფრაზე საჭმელი რამდენჯერმე გადაავსეს. სუფრა სავსე იყო ქართული საჭმელებით: საცივით, ფხალით, ხარჩოთი და კიდევ ისეთი ქართული საჭმელებით, რომელთა სახელები ჩვენშიც დავინწყებუ-ლია... ჩვენებურები ღვინოს არ სვავენ, ათასში ერთხელ მიირთმე-ვენ სასმელს, რომელსაც რაყს ეძახიან, (ვფიქრობ ეს არაყია), (ფ. 202, ა61, საქ. N 79. ფ. 2, 3.).

თითო დასახლებულ პუნქტში ორ დღეს ჩერდებოდნენ. ორი დღის შემდეგ, განშორებისას მთელმა სოფელმა მოიყარა თავი. „მანქანასთან რომ მივედით, „მუხტარმა“ მითხრა: ბატონო, აქამდე ახმეტას სტუმრები იყავით, დღეიდან თქვენ



შეხვედრა სოფელ ჰაირიეში (ფ. 202, ა6.2, საქ. N 57, ფ. 3)

სოფლისა და ჩემი სტუმრები ხართ. დარჩით, გაგვახარეთ. ეს არ შემეძლო და შევპირდი მეორედ ჩამოსვლას. მანქანასთან სოფელს მოეყარა თავი, „მუხტარმა“ კვლავ მთხოვა: ბატონო, ქალები ჩასხდნენ და ჩვენ სოფლის საზღვრამდე ფეხით ვიაროთ, სოფელი

მოგტირისო. მკითხველი წარმოიდგენს თუ რამდენად ავლელდი. სოფლის საზღვართან მივმართე: ძმებო, მეც სულით და გულით მინდა თქვენთან ყოფნა, მაგრამ ჯერ კიდევ სხვა ჩვენებურებს უნდა ვეწვიო. მადლობელი ვარ სტუმართმოყვარეობისთვის და მისთვის რო, ასე ვაჟკაცურად შეგინახიათ ქართული ადათები, ქართული ენა, სამშობლოს სიყვარული. იცოდეთ, რო ქართველ ერს ბევრი ვარამი გადაუტანია, და კიდევაც იქნებ გადაიტანოს, მაგრამ ჩვენ სულით ძლიერი ვართ და ზოგი ერი დედამიწის ზურგიდან გაქრა, ჩვენ ვარსებობთ, მოვლონიერდით, გავნათლდით და სხვა ქვეყნებში მყოფი ქართველები თუ ოდესმე დაუბრუნდებიან სამშობლოს, ჩვენზე ძლიერი ერი სულით, ჭკვით გულადობით ქვეყანაზე არ მოიპოვება. მე მინდა ყველა თქვენგანი გადავკოცნო, მაგრამ ბევრი ხართ და ვკოცნი თქვენ „მუხტარს“ და ეს კოცნა თქვენთვისაც არის. ატირდა ხალხი და მეც ცრემლები მივმალე“.

(ფ.202,ან.1,საქ.,N79,ფ.4.). დამშვიდობებისას მაგნიტაფონში „გამომშვიდობის“ ჩანერა მოხერხდა.

ჰაირიე ქოიდან ოცი კილომეტრის დაშორებით სოფელ **ჰილ მიე ქოისას** ესტუმრნენ. მოსალამოვებული ყოფილა, როცა სოფელში შევიდნენ. მუხტარმა სოფლის მოსახლეობას მოუყარა თავი, ისაუბრეს საქართველოზე. ამ სოფლის მამაკაცებში ბევრი იყო ქართული გარეგნობით, ლამაზად და ვაჟკაცურად გამოიყურებოდნენ. სოფელ ჰაირიე ქოისგან განსხვავებით ქართულსაც უკეთესად ლაპარაკობდნენ. ბურსაში დაბრუნების შემდეგ ეწვივნენ სოფელ **ალა ჩამაქოის**, გასაოცარი ყოფილა ადგილობრივი მოსახლეობის ცნობისმოყვარეობა საქართველოს მიმართ. ყველას აინტერესებდა თუ როგორი წესწყობილება იყო საქართველოში, თავისუფლად შეიძლებოდა თუ არა ლოცვა მეჩეთებში. რა თქმა უნდა საქართველოს შესახებ სრული ინფორმაცია მიეწოდათ: „მეჩეთი თბილისშიც და ბათუმშიც არის, ვუპასუხე მე და განვაგრძე: „ თქვენთვის და ჩემთვის რჯული არავითარ განსხვავებას არ ქმნის, რადგან თქვენ ძარღვებში და ჩემს ძარღვებში მოძრაობს იგივე ქართული სისხლი“.

(ფ. 303,ან. 1, საქ. 1207. გვ.6)



შეხვედრები სოფლებში (ფ. 202ა6.2, საქ. N 57, ფ.3)

აჰმედის დაჟინებული თხოვნით კიდეც ერთი ქართული სოფელი მოინახულეს **„არმუთალანი“**. სოფელი ბურსიდან 164 კილომეტრით იყო დაშორებული, ბურსაში, უკან, მხოლოდ მეორე დღეს დაბრუნდნენ. ბურსას სილამაზემ და გეოგრაფიულმა მდებარეობამ თბილისი მოაგონა: „ბურსას გეოგრაფიული მდგომარეობა ჩვენს თბილისის მოაგონებს კაცს. როგორც თბილისი იგი მთების შუაა და იზრდება სიგრძეზე, სამხრეთით არის დიდი მთა, რომელსაც ულუდაგს ეძახიან, მასზე არის „ტელეფერიკი“ 2370 მეტრის სიმაღლეზე. აქედან მთელი ქალაქი ჩანს, მხოლოდ ქალაქი ათჯერ უფრო პატარაა, ვიდრე თბილისი, თანაც მდინარე არ შეედრება ჩვენს მტკვარს, გაცილებით მცირეა.“...**(ფ. 202, ა61, საქ. N 79. გვ. 6).**



ილია და სიუზან ჯაბადარები აჰმედ მელაშვილის ცოლშვილთან (ფ. 202ა6.2, საქ. N 57, ფ.6, ნა)

მოგზაურობა სულ ორი კვირა გრძელდებოდა. 2 სექტემბერს მათი მოგზაურობა დასრულდა. სულ ექვსი დასახლებული პუნქტი მოიარეს. სოფლის მოსახლეობას მძიმე პირობებში უხდებოდათ ცხოვრება, „საერთოდ კი უნდა ითქვას, სოფლები ღარიბები არიან, საწყლად აცვიათ, უმრავლესობამ წერა-კითხვა არ იცის არც თურქული და მით უმეტეს არც ქართული.“ (ფ. 202, ან. 1, საქ. N 79. გვ. 6.). სოფლებში არ არსებობდა ელექტროგანათება. ყველა სოფელი წყაროების სიუხვით გამოირჩეოდა, მაგრამ სახლებში არც წყალი, არც აბანო და არც „ზარული“ არ ჰქონდათ. რაც თავის მხრივ გარკვეულ უხერხულობას უქმნიდა ჩამოსულ სტუმრებს. წყალს, ოჯახური საჭიროებისთვის ქალები დოქებით ეზიდებოდნენ.

მოგვიანებით მოგონებებში წერდა: „სიტყვა საქართველო და ქართველი თურქეთში მყოფი ქართველებისათვის უცნობია. ისინი თავიანთ თავს „გურჯებს“ უწოდებენ, ხოლო ერთმანეთს „ჩვენებურებს“ ეძახიან. თურქებს კი ერთმანეთში „კუდიანებს“ უწოდებენ. თუ გურჯი თურქეთში ქართულ ლაპარაკს გაიგონებს, იმნამსვე სიხარულით გამოგეხმაურება“ ჩვენებური ხარ?“ ... მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ თურქეთში მყოფმა ქართველმა, რომ არ იცოდეს არც თურქული და არც სხვა რომელიმე ენა, ქართულის გარდა, ხმამაღლა რომ თქვას „აქ ჩვენებური არის ვინმე, იმ ნამსვე გამოეხმაურება ჩვენებური ქართველი.“ (ფ. 202, ან. 1, საქ. N 79. ფ. 1, 6).

ჩვენებურებმა არ დაივიწყეს წინაპრების გვარები, მათში ბევრს ახსოვდათ ვისი გორისა იყვნენ: თურქეთში, ქართველებით დასახლებულ მიწაზე ცხოვრობდნენ„აბაშიძეები, ძველაშვილები, გორაძეები, გურგენიძეები, ქოქოლაძეები, ბერიძეები, კვახაძეები, ლეკურაშვილები, მიმინაძეები, ტრიკიძეები, იასამანიძეები, მალაყმაძეები, გვერდაშვილები, ქვაბისთაველები, კირნათელები.“ (ფ. 303, ან. 1, საქ. 1207. ფ. 7).

სტამბულში დაბრუნებულმა მოინახულა ქართული მონასტერი (ამის შესახებ მოთხრობილი მაქვს თემაში „საქართველო და თურქეთის ქართველები“).

მოგზაურობა სასიმოვნო შედეგით დამთავრდა, გაირკვა, რომ თურქეთის მიწაზე გაცილებით ბევრი, სუფთა ქართული სოფელი იყო, ვიდრე წარმოდგენით იცოდნენ, „ახმეტას პირველი ცნობა,

რომ თურქეთში ქართველების 40 სოფელიაო, სინამდვილეს არ წარმოადგენდა, არსებობდა სოფლები, რომელსაც ის არ იცნობდა, დაკითხვით სამი ქართული სოფლის სახელი გავიგეთ იალოვას მოშორებით, ბურსის რაიონის სოფლები აღნიშნულია რუკაზე, ის სოფლები, რომელიც ახმეტამ იცის. ამათში მთლად გაშავებული რგოლი ის სოფლებია, სადაც ვიყავი“ (ფ. 202, ან. 1, საქ. N 79, ფ. 8). **სამწუხაროდ ამ რუკამ ჩვენამდე ვერ მოაღწია, ვეჭვობ რომ ასეთივე რუკა ინახებოდა ახმედ მელაშვილის ოჯახშიც.**

1968 წელს ილია ჯაბადარი კიდევ ერთხელ ჩავიდა თურქეთში, საიდანაც ახალი ჩანაწერები ჩამოიტანა, ეს იყო ბათუმის რადიოსთვის გადასაცემი ფირი და სტამბულის არქივებიდან ამოღებული ინფორმაცია ოთარ გიგინეიშვილისთვის გადასაცემი. მიაღწია თუ არა ამ ფირებმა ადრესატებამდე, ეს კიდევ გასარკვევია.

უაღრესად თბილი შეხვედრებისას მოხერხდა ხალხში შემონახული ლეგენდების, ზღაპრების, სიმღერებისა და გამონათქვამების ჩანერა, ილია ჯაბადარი 1968 წელს წერდა „მარტო ჩემი ჩამოსვლით ოთხ სოფელს გული ავუძგერე და სამშობლოს ხსენებით ავატირე ხალხი. განა მათი სულის გასამაგრებლად ფული უნდა დავიშურო? მე ჩემი ცხოვრება ამოვჭამე და თუ რამდენიმე საცხოვრებელი წელიწადი, რაც დამრჩენია ღარიბობაში ჩაივლის, ამას რა მნიშვნელობა ექნება შედარებით იმასთან, რომ ამდენ ქართველების გული მოგებული იქნება სამშობლოსათვის.“ (ფ. 202, ან. 1, საქ. N 70, ფ. 178) . „ჩემმა წასვლამ და ჩვენებთან ლაპარაკმა გამოიწვია დიდი სურვილი ქართული წერა-კითხვის სასწავლებლად, ყველა ამაყობს ქართველობით, ბევრს სურს საქართველოს ნახვა, სურვილები უფრო გაღვივდება თურქეთში ქართველ მოცეკვავეთა გასტროლით, არაფერი არ უნდა დავზოგოთ ამის მიხედვით“... (ფ. 202, ან. 1, საქ. N 79, ფ. 8).

თურქეთის ქართული სოფლების მონახულებამ, მათმა მძიმე მდგომარეობამ, მათმა დაინტერესებამ საქართველოს მიმართ, გადანეცხვინა უფრო მეტად გაელვიძებინა მათში ქართველობა. საამისოდ არჩევანი გაკეთდა თურქეთში, კერძოდ კი, სტამბულში, ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის საგასტროლო მოგზაურობაზე. ამ საშვილობილო საქმისთვის 1965 წელსვე დაიწყო მზადება, „მე დავყაბულდი „გოსკონცერტს“ პირობაზე, მაგრამ ძალიან ვშიშობ და თითქმის დარწმუნებული ვარ, რა დიდ ზარალს ავიტან. მაგრამ, რო იცოდეთ

რა გავლენას იქონიებს თურქეთში მყოფ ქართველებზე, მაშინ მიხვდებით რო ჩემთვის ზარალი სანანებელი არ იქნება, გინდაც მთლად გავკოტრდე...” (ფ.202, ან.1, საქ. N 70, ფ. 178).

1966 წელს ილია ჯაბადარისა და აჰმედ მელაშვილის მონდომებით მოხერხდა ქართული ანსამბლის თურქეთში საგასტროლოდ ჩასვლა. ეს იყო გასაოცარი მომენტი თურქეთში მცხოვრები ქართველების ცხოვრებაში. როგორც ილია ჯაბადარი იგონებს: ...“ შორი გზიდან მოდიოდნენ ჩვენებურები, ზოგი ფეხით, ზოგი ურმით, ზოგი ცხენით ან მატარებლით... ამისთანა რამ აქ სიზმარშიც არ ენახათ, ქართველები სულთ გამაგრდნენ, შორეული სოფლებიდან და ქალაქებიდან მოდიან, ზოგი სამჯერ, ოთხჯერ ესწრება ამ კონცერტს, მე მგონია, რომ ჩემს მიზანს მივაღწიე, მიუყრებული ქართველობა გავაცოცხლე და რომ შედეგი იქნება ამის, ეს მომავალი გვიჩვენებს... შესვენებისას წარამარა მოდიოდნენ „ ჩვენებურები,“ საუბრობდნენ, დიდი იყო მათი მოთხოვნილება ქართულ წიგნებზე,ისინი მონატრებულნი იყვნენ ქართულ საუბარს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო თვალთ არ ენახათ, მისდამი უდიდეს სიყვარულს გამოხატავდნენ“ (ფ. 303, ან 1, საქ. 902, ფ. 8).

მშობლიური მიწიდან გადასახლებულმა მოსახლეობამ უცხო ეთნიკურ გარემოში ცხოვრების მიუხედავად შეინარჩუნა ეროვნული თავისთავადობა, ძველი ქართული კულტურის და ყოფის თავისებურებანი. 1965, 1966 1968 წლებში კი, თურქეთის მიწაზე სამი სხვადასხვა სარწმუნოების ქართველების შეხვედრამ, გააღრმავა მათში შემონახული მშობლიური ფესვები, ხელი შეუწყო ქართველების უფრო მეტად დაახლოვებას. სწორედ ამ მოგზაურობის შემდეგ დაიწყო საქართველოს უცხოეთში მცხოვრები ქართველი თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საზოგადოებამ საქართველოდან ჯერ პარიზში, ხოლო შემდეგ თურქეთში, ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ და „იავენანამ რა ქმნას“ გადაგზავნა. ეს იყო ყინულის გადნობის პერიოდი, დასაბამი იმ დიდი ურთიერთობისა, რომელიც დღემდე გრძელდება.

გამოყენებული წყაროები:

1. სუიცა, ფ.202, ან. 1, საქ. NN 70, 79, 80;

2. სუიცი, ფ.202, ან. 2, სპ. N 57, 60, 61;
3. სუიცი, ფ. 303, ან. 1, სპ. NN 302, 470, 902, 1207.

Tinatin Jabadari

*A bit about the Georgian village of Turkey and its population
in the 60 s of the XX century
Summary*

In 60-70 years of XX century due to close acquaintance with the living in Turkey, Ahmet Melashvili, his family and Georgians living in Turkey, their surviving Georgian language, in order to get familiar with their folklore, customs and their lives, a Georgian Parisian traveller? Ilya Jabadari with his wife, traveled to Georgian villages in Turkey... The local Georgians missed the Georgian dialect, despite the fact that they never saw Georgia. During a very warm meeting it was possible to write down legends, tales, songs and sayings that remained from the people, take photos.

In 1965, 1966 1968 years on the Turkish ground, the meeting of Georgians with two different faiths deepened the related roots in them, helped the Georgians to get closer.

**ქართველ კათოლიკეთა წვლილი სამხრეთ-
დასავლეთ საქართველოსა და თურქეთში
მცხოვრებ ქართველთა შორის ქართული
მემკვიდრეობისა და მშობლიური ენის დაცვის
საქმეში**

(XIX საუკუნის I ნახევარი -XX საუკუნის I ნახევარი)

კათოლიკური ეკლესია საქართველოში ახალი დაფუძნებული არ არის. საქართველოს არც არასდროს გაუწყვეტია მასთან კავშირი. უფრო მეტიც, 1329 წლიდან 1507 წლის ჩათვლით თბილისში მოქმედებდა კათოლიკე ეკლესიის საეპისკოპოსო და ცნობილია იქ მოღვაწე 13 ეპისკოპოსი. ქართველი საერო და საულიერო პირები დიდ პატივისცემას იჩენდნენ კათოლიკე ეკლესიისა და კათოლიკე მისიონერების მიმართ.

საქართველოში კათოლიკეები კომპაქტურად ცხოვრობდნენ სამეგრელოში, გურიაში (ოზურგეთში), იმერეთში (ძირითადად ქუთაისში), აჭარაში (ბათუმში), თბილისში, გორში, ბორჯომში, მაგრამ მათი უდიდესი ნაწილი მესხეთ-ჯავახეთის მკვიდრი იყო და იქვე სახლობდა.

XVIII საუკუნის ბოლოსათვის, მაშინ როდესაც საქართველო მონყვეტილი იყო ქრისტიანულ ევროპას და იზოლაციაში იმყოფებოდა, კათოლიკე მამები იყვნენ დამაკავშირებელნი დასავლეთთან. სახელმწიფოს დაქვემდებარებული მართმადიდებელი ეკლესია იზიარებდა ქვეყნის პოლიტიკურ მესვეურთა პროკათოლიკურ და პროდასავლურ პოლიტიკას, რადგან ის ამოცანად ისახავდა დასავლეთის დახმარებით, საქართველოს თავისუფლებას და აყვავებას. ეს კი განაპირობებდა ქართული ეკლესიის კეთილდღეობას. ამიტომ ქართველთა კათოლიკობა არ აღიქმებოდა ეროვნების შემცველად და არ იყო მიმართული ქართველობის წინააღმდეგ. კათოლიკე მისიონერები ყველგან გზას იკაფავდნენ თავიანთი განათლებით, უნარით, საქმის ცოდნითა და ღვთისმოსაობით. ისინი ეძიებდნენ ადამიანთა სულებს ღმერთისათვის და არა ქონებასა და მიწას თავიანთთვის. ამიტომ ისინი საქართველოში დიდი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობდნენ. მისიონერებს ყოველ მისიონთან თავიანთი ხარჯით გახსნილი ჰქონდათ სკოლები, სა-

დაც ასწავლიდნენ საღვთო სჯულს, სხვადასხვა ენებს და მკურნალობას.

საქართველოს რუსეთის იმპერიასთან მიერთების შემდეგ ვითარება კარდინალურად შეიცვალა. ცარიზმმა ყველგან დაიწყო რუსული ენის დამკვიდრება. 1845 წელს მათ განდევნეს კათოლიკე მისიონერები იმპერიის საზღვრებიდან. ეკლესიებში აკრძალეს ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა. 1886 წლის მთავრობის დადგენილებით კათოლიკურ ეკლესიებში ქართული ენა ბრძანებით იქნა აკრძალული, რამაც ქართველ კათოლიკეთა გულისწყრომა კიდევ უფრო გაზარდა. 1986 წლის უმაღლეს ბრძანებაში, კერძოდ მის მე-6-ე მუხლში ნათქვამი იყო: „Воспретить употребление грузинского языка в армян о – католических церквах при Богослужение и в латинских приходах на кавказе».

ცარიზმი ყოველნაირად ცდილობდა აღმოეფხრა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში ქართული ენა და ქართული ცნობიერება. მეფის რუსეთის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ მათთვის სასურველი შედეგი გამოიღო. სომხურ ტიპიკონზე მყოფი ქართველი კათოლიკეები სომხებად გამოაცხადეს, გამაჰმადიანებული ქართველები თურქებად.

ამიტომაც 1897 წლის აღწერით ქართველი მოსახლეობა სამხრეთ საქართველოში ხელოვნურად 33001 სულიდან, 18666 სულამდე იქნა შემცირებული. მეფის ხელისუფლება დაინტერესებული იყო, რომ ადგილობრივი მოსახლეობისათვის დაეცინეყბინა მშობლიური ენა, ეროვნული ზნე – ჩვეულებები, ტრადიციები. თავიანთ მისწრაფებებს ისინი არც მალავდნენ. ბერი ვოსტორგოვი დაუფარავად აცხადებდა: „ჩვენ ქართველების არც განათლება გვინდა, არც ზნეობრივი ამაღლება, არც ქრისტიანობის აღდგენა. მათ შორის სკოლებს თუ ვაარსებებთ, მხოლოდ ერთი მიზნით – ყველანი გავარუსოთ”.

იმპერიის მიზანი ქართველი ერის გადაგვარება იყო. ამის საპასუხოდ კიდევ უფრო გაძლიერდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. სამხრეთ საქართველოში ეროვნულ – განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი იყო მღვდელი ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი). მას მუდმივი კავშირი ჰქონდა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანესთან და მის წინამძღვართან პეტრე ხარისჭირაშვილთან. ქართველთა ამ სავანეში მძლავრად ფეთქავდა ქართული გული და განისწავლებოდნენ სამშობლოს სიყვარულით გულანთებული მამულიშვილები.

ამ პერიოდისათვის ჯავახეთის რამდენიმე ქართული სოფლის: ხულგუმოს, ბავრის, ტურცხის, კარტიკამის მოსახლეობა – სოფელ ველიდან გადმოსახლებული კათოლიკე ქართველები უკვე გასომხებული იყვნენ. ქართულ კათოლიკურ ეკლესიებში მღვდლები ძირითადად სომეხი ეროვნების პირები იყვნენ, რომლებიც ერთგულად ემსახურებოდნენ რუსეთის იმპერიულ ხელისუფლებას და მის ნებას ასრულებდნენ. ყოველივე ეს მათ ინტერესებს შეესაბამებოდა. ქართულ ეკლესიებში წირვა-ლოცვა სომხურ ენაზე მიმდინარეობდა. ბავშვს მონათვლისას სომხურ სახელს არქმევდნენ. ქართულ გვარებს კი სომხური დაბოლოება ეძლეოდა.

რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. 1878 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის ბერლინში დადებული საზავო ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს შემოუერთდა აჭარა, ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილო ნაწილი-ოლთისი. ამათგან აჭარა-ქობულეთს, შავშეთსა და კლარჯეთს ეწოდა ბათუმის ოლქი. ამ დროისათვის ბათუმი პატარა საპორტო ქალაქი იყო ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობა 3000 სულ აღწევდა. მოსახლეობა გამოირჩეოდა ეროვნული სიჭრელით. XIX ს-ის ბოლოდან მესხეთის მკვიდრმა კათოლიკე ქართველებმა მასიურად დაიწყეს დასახლება ბათუმსა და მის შემოგარენში. ამას ხელი შეუწყო აჭარის მხრიდან ახალციხე - ბათუმის დამაკავშირებელი გზის გაყვანამ. ქართველი კათოლიკეები ძირითადად ვაჭრობასა და ხელოსნობას ეწეოდნენ. ბათუმი, როგორც საპორტო ქალაქი, ხელსაყრელი ადგილი იყო საცხოვრებლად ქართველი კათოლიკეებისათვის. იგი იყო ევროპასთან დამაკავშირებელი კარიბჭე. სულ მალე ქართველ კათოლიკეთა რიცხვმა ბათუმის ოლქში რამდენიმე ათასს გადააჭარბა.

იმპერიის პოლიტიკა როგორც სამხრეთ, ისე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ერთი იყო. ეს იყო გარუსების პოლიტიკა. ცარიზმი ცდილობდა ან გადაეგვარებინა ქართველები ან განედევნა იმპერიის საზღვრებიდან და მათ ადგილზე იმპერიის ყურმოჭრილი მონები დაესახლებინა. ამას ემსახურებოდა მუჰაჯირობა. მისი საშუალებით ცდილობდა მუსლიმანი ქართველები აეძულებინა თურქეთში გადახვეწილიყვნენ და მათ გარკვეულწილად მიაღწიეს მიზანს.

მაგრამ არც აჭარელი მამულიშვილები იყვნენ გულხელდაკრევილები. აქაც მძალავრად ფეთქავდა ქართული გული. ეროვნულ მოძრაობას აქ ხელმძღვანელობდნენ მემედ და ჰაიდარ აბაშიძეები,

გულო კაიკაციშვილი, შერიფ ხიმშიაშვილი და სხვები. მათ მცდელობას უკვალოდ არ ჩაუვლია და ბევრი მუსლიმანი ქართველი გადაურჩა უცხო ქვეყანაში გადახვენას, სადაც ვინ იცის რა ბედი ეწეოდათ მათ ოჯახებს და მათ. აჭარის ზღვისპირეთში საუკეთესო ადგილები რუს ჩინოვნიკებს და სამხედრო პირებს ჰქონდათ დარიგებული.

თურქეთში გადახვენილი ქართველები ეროვნული ცნობიერების ამალგებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის სტამბოლში მოქმედ ქართველ კათოლიკეთა მონასტერს, იქ მომსახურე სასულიერო პირებს. ეს სავანე (მონასტერი ეკლესიით, სტამბითა და ქართული სკოლით) დაარსა 1861 წელს ღრმად განსწავლულმა ცნობილმა კათოლიკე მოძღვარმა პეტრე ხარისლირაშვილმა. მონასტერი იყო ყოველთა ქართველთა შესაკრებელი ადგილი. ქართველ კათოლიკეთა მონასტერი დიდად ეხმარებოდა ყველა ხელმოკლე ქართველს, მიუხედავად სარწმუნოებისა. მონასტრის შენობაში მონყობილი იყო სასტუმრო, სადაც ღამეს ათევდნენ სტამბოლში ჩასული ქართველები. ბევრი ქართველი მაჰმადიანი ისე დაუახლოვდა ქართველ კათოლიკეთა ძმობას, რომ ეკლესიაშიც კი დადიოდა ქართული ქადაგების მოსასმენად. „ამ სავანეში ყველაფერი საქართველოს მოგვაგონებს, აქ მოსული ქართველი სტუმარი უსათუოდ იგრძნობს მამულის სიყვარულს“ – წერს იტალიელი დიპლომატი ევგენი დალევჯი დალესიო. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან ოსმალეთში გადაიხვენა მუჰაჯირთა დიდი რაოდენობა. რელიგიური ფანატიზმის გავლენით მათი ეროვნული ცნობიერება საგრძნობლად იყო დაქვეითებული, მაგრამ პრაქტიკულად ისინი ამაყოფნენ, რომ გურჯები იყვნენ და თურქებისაგან განსხვავდებოდნენ. 1911 წელს პარტ შალვა ვარდიძის ინიციატივით სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანესთან დაარსდა ქართველთა კლუბი. მასში გაერთიანებული იყვნენ სტამბოლში მცხოვრები ქართველები „განურჩევლად რწმენისა და ხარისხისა“. მათ რიცხვში იყვნენ ფაშები, გენერლები, ოფიცრები, ვეჟილები, ექიმები, ვაჭრები, მოხელეები, სტუდენტები. ქართული კლუბის შექმნამ მუსლიმან ქართველებში ქართული ცხოვრება დაატრიალა. მონასტრის ხშირი სტუმრები იყვნენდა წვლილი შეჰქონდათ კლუბის მოღვაწეობაში: მარშალ შაქირ ფაშა ერთგულაშვილს (ახალციხელი; რიზა-ფაშა ათაბეგაშვილს – საზღვაო მინისტრი, (ართვინელი; ისმაილ ელიაშვილს – მსაჯული ოსმალეთის მთავარ კომიტეტში (ქობულეთელი), თავდგირიძეებს ოსმალ-ფაშას, ალი-

ფაშას, აჰმედ – ფაშას – შტაბი გენერალი, მედინის გუბერნატორი – ბაჰრი – ფაშას (ქობულეთელები), პროფესორი ხასან – ფეშმი-ფაშას-სენატორი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე (მარადიდელი), ხასან – ფეშმი ირემაძეს – მუფტი, სახელმწიფო საბჭოს წევრი (მთიანი აჭარიდან) და მრავალი სხვას. კლუბის თავყრილობებს ესწრებოდნენ საქართველოდან ჩასული სტუმრებიც: ვახტანგ ლამბაშიძე, იასე რაჭველი, მიხეილ და ვლადიმერ წერეთლები, დავით ჩიქოვანი, გერასიმე ნადარეიშვილი, მემედ-ბეგ აბაშიძე, ისკენდერ ეფენდი ცივაძე, ხასან ბეგ და მაჰმუდ ბეგ აბაშიძეები, აბედინ-ბეგ ბეჟანიძე და სხვები. შეხვედრები, კრებები იხსნებოდა და მთავრდებოდა ქართული სიმღერებით და საეკლესიო საგალობლებით, კლუბმა შეიმუშავა ოსმალეთის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი პროგრამა. ემიგრანტი ქართველის გიორგი კერესელიძის მოგონება, რომელიც ჩართულია ნაშრომში - „იესო ქრისტე და ქართველი ერი“ გვაცნობებს: ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციის წინა დღეებში ბერლინში ოსმალეთის დელეგაციის ჩასვლას. დელეგაციის ერთ-ერთი წევრი ყოფილა შეიხ-ულ ისლამი, ჰასან-ფეშმი ირემაძე-სტამბოლის ქართული მონასტრის ერთ-ერთი ქომაგი. იგი შეხვედრია გიორგი მაჩაბელსა და გიორგი კერესელიძეს. საუბარი შეხება ქართული ენის სილამაზეს, ქართული ანბანის დახვეწილობას, მის უნიკალურ ბუნებას. ხასან ფეშმი ირემაძეს საუბარში გაუხსენებია თავისი შვილის მაგიდაზე დადებული ნითელყდიანი ქართული ანბანის შესასწავლი წიგნი. სწორედ ეს წიგნი უნდა ყოფილიყო სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის სტამბაში დაბეჭდილი „დედა-ენა“. მონასტრის ბიბლიოთეკაში არის დაცული ისტორიული წყარო-ქრისტიანობისათვის თავდადებული ქართველი-თეოდორე აჭარელის ბიოგრაფიული ცნობები. ამ ცნობების საფუძველზე კვლევის შედეგად საქართველოს საპატრიქრქოს წმინდა სინოდმა 2002 წლის 17 ოქტომბერს წმინდანად შერაცხა ქრისტიანობისათვის წამებული ქართველი თეოდორე აჭარელი. ქართული განმათავისუფლებელი მოძრაობის ცენტრად სტამბოლის გადაქცევას ისიც განსაზღვრავდა, რომ იქ მოქმედებდა ქართველ კათოლიკეთა სავანის სტამბა, რომელიც 1870-იანი წლებიდან ბეჭდავდა და აქვეყნებდა ქართულ წიგნებს. 1908 წლის „ახალგაზრდა თურქთა“ რევოლუციის და კონსტიტუციის შემოღების შემდეგ ეროვნული გათვისცნობიერებისაჯკენ სწრაფვამ, მომატებულად თავი იჩინა ქართველ მაჰმადიან სტუდენტებს შორის, რომლთა უმრავლესობაც სწავლობდა სულთან მუჰამედ II-ის სახე-

ლობის მეჩეთთან არსებულ უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში. ისინი თანდათან დაუახლოვდნენ და დაიწყეს სიარული პარტ შალვა ვარდიქსთან, რომელიც ასწავლიდა მათ ქართულ ენას და საქართველოს ისტორიას, ურიგებდა წიგნებს. ამრიგად კონსტანტინოპოლის, ქართველ კათოლიკეთა საგანემ დიდი როლი შეასრულა თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ეროვნული თვითშეგნებისა და ქართული ენის გავრცელების საქმეში. „კონსტანტინოპოლის ქართული მონასტერი იყო არის და იქნება ქართული სულის მატარებელი, თავშესაფარი ყოველ ლტოლვილისა და გაჭირვებულისა, მიუხედავად მისი რწმენისა და პოლიტიკური შეხედულებისა. იგი ფხიზელი დამცველი დარაჯია ქართული ინტერესებისა – წერდა მამა პიო ბალიძე, ეკლესია-მონასტრის წინამძღვარი.

როგორც იტალიური დიპლომატი ევგენი დალეჯი დალესიო აღნიშნავს და მოწოდებს: „უცხოეთში გამორტყორცნილო ქარველო რა რწმენისა და მისწრაფებისაც გინდა იყო, მოდი ამ საგანეში და ილოცე. . . სულით განახლებული წადი და ჩაეხი ჩვენი ცხოვრების ტალღებში. . . შენ თუ არა შენი შვილი ან შვილიშვილი მაინც ნახავს ბრწყინვალე ხანას საქართველოსას და ქართველი ხალხისას. ამინ“.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ბათუმში ქართველ კათოლიკეთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. 1902 წლის 61-ე ნომერში გაზეთი „ივერია“ წერდა: „ბათუმში ძლიერ მალე იზრდება. დღეს 30000-ზე მეტი მცხოვრებია აქ. . . ქალაქის ნახევარი ქართველბაა. . . მარტო ქართველ კათოლიკეთა რიცხვი 3500-4000 სულამდე გახლავთ“ (თ. კონახიძე, 2001:497). ქართველ კათოლიკეთა სიმრავლემ დღის წესრიგში ტაძრის აშენების საკითხი დასვა. ბათუმელი კათოლიკეების მოძღვარმა მამა ანსელმო მღებრიშვილმა ბევრი იღვანა ჯერ რუსეთის საიმპერიო მმართველობისაგან მშენებლობის ნებართვისა და შემდგომ თვით ტაძრის მშენებლობისათვის. ტაძრის მშენებლობა დაიწყო 1897 წლის 12 აპრილს მრევლის მიერ შეგროვებული ფულით, ეკლესიისათვის ქალაქის სათათბირომ გამოყო 400 საჟენი მიწა, 200 საჟენი მრევლმა საკუთარი სახსრებით შეიძინა. საძირკვლის ჩაყრის შემდეგ შემწეობისათვის მიმართეს კათოლიკე მრეველსა და მეცენატს სტეფანე ზუბალაშვილს. მან ბოლომდე დააფინანსა ტაძრის მშენებლობა, მშენებლობა დასრულდა 1902 წლის ივნისში. მისი კურთხევა მოხდა 1903 წლის 4 მაისს ეპისკოპოს ბარონ ედვარდო როპპის მიერ. 5 მაისს ეპისკოპოსმა სამი მთავარი დიაკ-

ვანი მღვდლად აკურთხა, აზიარა და მირონი სცხო ხუთასამდე კაცს. გამგზავრების ეპისკოპოსს საჩუქრად მიართვეს ვერცხლის ყდით მოჩუქურთმებული ალბომი და პეტრე მეფისაშვილის მიერ დაწერილი ქართველ კათოლიკეთა მოკლე ისტორია (მ. შამილიშვილი, 1988; 80-83). იმპერიის მესვეურები უცხოეთთან კავშირის გამო პოლიტიკურად არასაიმედოდ მიიჩნევდნენ ქართველ კათოლიკეებს. საარქივო დოკუმენტებმა საკმაო ცნობები შემოგვინახეს ამის შესახებ. 1911 წლის 17 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალმა პეტერბურგიდან მიიღო წერილი, რომელიც ატყობინებდა, რომ კავკასიაში ჩამოსული პატრების ერთი ჯგუფი აპირებდა გამგზავრებას ბათუმის ოლქში, სადაც აშენებული იყო მათი ტაძარი და მრევლიც საკმაო იყო. მეფისნაცვალს სთხოვდნენ ყოველი ღონე ეხმარა, რათა შეფერხებულიყო მათი საქმიანობა. 1911 წლის 8 დეკემბრის წერილში ბათუმის პოლიცემისტერი ბათუმის ოლქის გუბერნატორს აცნობებ: „კათოლიკური კონგრეგაციის შტაბ-ბინა ბათუმში მდებარეობს კათოლიკეთა ქუჩაზე. გაერთიანების წევრთა უმრავლესობას ქართველი კათოლიკეები შეადგენენ. მათი ხელმძღვანელი არის ათანასი ბალოშვილი“. ამავე წლის 20 დეკემბრით დათარიღებულ წერილში კი აცყობინებს: „შეკრებებზე ხშირად ჩამოდიან საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან კათოლიკეები. მათ სურთ, რომ ბათუმი გახდეს კათოლიკური მოძრაობის ცენტრი. 1911 წლის 14 დეკემბერის სხდომაზე მათ ისაუბრეს საქართველოს წარსულზე, რუსეთის იმპერიის უარყოფით გავლენაზე და ბლოს მათი აზრით, საქართველოს ხსნა შეუძლია მხოლოდ ევროპას. ამისათვის უნდა გაძლიერდეს კათოლიკური მოძრაობაო. თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ჩვენი იმპერიის სიძლიერისათვის და ჩვენი პოლიტიკის გატარებისათვის ძალიან სახიფათოა არა მარტო ეს კონგრეგაცია, არამედ საერთოდ კათოლიკური მოძრაობა“. სამხედრო გუბერნატორის დავალებით შეიქმნა ჯგუფი ვინმე პეტროვის მეთაურობით, რომელსაც დაევალა შეედგინა ანტიკათოლიკური სპეციალური პროგრამა. 1913 წლის 18 მაისს ბათუმში ჩატარდა საეკლესიო მსვლელობა კათოლიკეთა მონაწილეობით. 1916 წლის 12 ოქტომბერს ბათუმელმა კათოლიკეებმა გაგზავნეს წერილი კავკასიის მეფისნაცვლის საეკლესიო საქმეების უფროსის სახელზე: „ჩვენ ბათუმელი კათოლიკეები, ყველა ოფიციალურ რელიგიურ მიმდინარეობასთან ვიმყოფებით მეგობრულ დამოკიდებულებაში. ჩვენ არავის მიმართ მტრობა არ გვამოძრავებს. ჩვენ პატივს ვცემთ ყველა ჩვენს ძმას და გულში არ გვაქვს ჩადებული არავითარი და-

პირისპირება. მიუხედავად ჩვენი მისამართით გამოთქმული არაერთი დაუმსახურებელი ცილისწამებისა, ჩვენ ვცდილობთ ქრისტიან-მიერად ვაპატიოთ ყველას და ვითანამშრომლოთ, ყველა ქრისტიან ურთიერთსიყვარულისა და დაფასებისათვის”.

ქართველ კათოლიკეებს გარკვეული წვლილი აქვთ შეტანილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და კერძოდ ბათუმის აღმშენებლობისა და კერძოდ ბათუმის ქართულ ქალაქად ჩამოყალიბების საქმეში. ჩამოვთვლი ბათუმში პიროვნებას: მიხეილ მეფისაშვილი – დიდად განსწავლული და დარბაისელი პირი, ვაჟკაცური აღნაგობის, იცოდა ბრწყინვალედ საქართველოს ისტორია, ქართული, სომხური, რუსული, თათრული. დაახლოებული იყო აჭარის ბეგებთან. მისი და გრიგოლ გურიელის მეშვეობით დაუკავშირდა რუსეთის მთავრობა აჭარის ბეგებს დიდი ღვაწლი აქვს სამუსლიმანო საქართველოს შემოერთების საქმეში. ბათუმის ალების შემდეგ ართვინი უფროსად დაინიშნა. ერდინანდ დედებოვი (დედებაშვილი) – ახალციხელი, ვაჭრობდა ხე-ტყით, ბოლოს დასახლდა ბათუმში. არდაიცვალა 1897 წელს. მისი მამა ირიცხებოდა ბათუმის უძველეს ვაჭრად, მიხეილ ბეთანელი – მწიგნობარი,, სამშობლოს მოყვარული თავისი ხარჯით გამოსცა „კაცია-ადამიანი?!” პეტერბურგში, სააღმშენებლო-მშენებლო სააგენტოები ჰქონდა ევროპასა და ამერიკაში, 1879 წელს თბილისიდან მეზურნეები და მომღერლები წაიყვანა ჯერ სტამბოლში, შემდეგ ამერიკაში. გამართა კონცერტები. პირველად გააცნო ამერიკელებს ქართული სიმღერები. 55 წლის მიხეილ ბეთანელი ცოლ-შვილით ცხოვრობს ბათუმში. იცის ყველა ევროპული ენა. მიხეილ ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი დაბადებული ოზურგეთში, დაახლოებული გურიელებთან, ცხოვრობს ბათუმში, მონაწილეობს ოზურგეთის სამოქალაქო სამეცნიერების გამგეობაში, სკოლების მართვაში, ქართველ მაჰმადიანთა შორის ქართული წიგნების გავრცელების საქმეში გურიისა და ბათუმის ყველა საზოგადო საქმეში. ასლანიშვილი ს. ბავრადან საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შეისწავლს სატელეგრაფო საქმე. 1878 წლიდან მსახურობდა ბათუმში, ბორჩხაში, ართვინში, არტანუჯში, თანამშრომლობდა „დროებასა” და „ივერიაში”. ევან უკას ძე მჭედლიშვილი – მამა ს. უდედან გადასახლდა ბათუმში. განათლებული და დარბაისელი პიროვნება. იგი „კრაზანას” ფსევდონიმით იბეჭდებოდა „დროებაში”. ჭერდა 1878 წლის ომზე და ბათუმის ალებზე, ოსმალეთის საქართველოზე. იყო ხმოსანი ბათუმის თვითმმართველობისა. მონაწილეობდა ბათუმის ყველა საზოგადოებრივ საქმიანო-

ბაში. მოულოდნელად გარდაიცვალა გამგეობის სხდომაზე 1903 წელს. დიდი პატივით იქნა დაკრძალული. მას ბათუმზე დიდი ამაგი აქვს. პავლე უკას ძე მჭედლიშვილი – განათლება მიიღო საზღვარგარეთ. ცხოვრობდა ბათუმში. მსახურობდა ბათუმის ბანკში და ირიცხებოდა თბილისის სათავადაზნაურო ბანკის წევრად ბათუმში. იგი აწარმოებდა ამ ბანკის ყოველ საქმეს. მას იცნობდნენ როგორც პროგრესულად მოაზროვნე, სამაგალითო ადამიანს. ბათუმში ითვლებოდა პატივცემულ მოქალაქედ. დიდი შრომა აქვს გაწეული ბათუმისათვის. ბათუმის ღვითსმშობლის ეკლესიის აშენების საქმეში. იბეჭდებოდა „დროების“ და „ივერიაში“. ძმები მჭედლიშვილები ქართული სულიერების გადასცემდნენ სამუსლიმანო საქართველოში, თუ იქიდან აქეთ. შერაფიმი პოლოლიკაშვილი, ახალი ქართული პროფესიული ქანდაკების პიონერი, სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, შემდეგ ოდესაში. ქართველ პროფესიონალ მოქანდაკეთა შორის რუსთაველის პირველი ქანდაკების შემქმნელად ს. პოლოლიკაშვილი არის მიჩნეული. XX ს-ის დასაწყისში ს. პოლოლიკაშვილი ბათუმში მიემგზავრება მან ბათუმის ღვითსმშობლის ეკლესიის გაფორმებაში მონაწილეობა მიიღო. ტაძრის ფასადი ორიგინალური ორნამენტებით დაამშვენა. 1917 წელს იგი მეუღლით და ქალ-ვაჟით საცხოვრებლად ზღვისპირეთში გადმოსახლდა. ატლანტებთა და ჩუქურთმებით შეამკო საბაშვილის სახლი ბათუმში. 1918 წელს იგი მხატვრულად აფრომებს „ფესენკოს აგარაკს“ მახინჯაურში,, რომელიც დღესაც გამოირჩევა ჩუქურთმების სილამაზით. სამწუხაროდ ეს მისი ბოლო ნამუშევარი იყო. მახინჯაურში შემოიჭრა თურქების რაზმი და 43 რჩეული ქართველი დაატყვევა. მათ შორის 48 წლის პოლოლიკაშვილიც. თურქებმა ტყვეები აჭარისწყლის პირას დახვრიტეს და გვამები მდინარეში გადაყარეს.

გასაბჭოების შემდეგ ბათუმელ კათოლიკეთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. ზოგი საზღვარგარეთ გადაიხვეწა, ზოგი ტერორსა და რეპრესიებს შეეწირა. ზოგიც მართმადიდებლურ ეკლესიას შეუერთდა. რადგან ბათუმში კათოლიკური ეკლესია დახურეს მოძღვარი დონ გაბრიელ ასლანიშვილი დახვრიტეს.

ასეთი არის მოკლე მიმოხილვა ქართველი კათოლიკეების ღვაწლისა ჩვენს კუთხეში, ქართული სულიერების შენარჩუნების საქმეში.

Tengiz Parmaksizishvili

***Contribution of Georgian Catholics to Georgian Heritage and
Georgian Language Between Georgians living in Southwest Georgia and
Turkey
Summary***

The Catholic Church in Georgia is not newly established. Georgian Catholics have contributed to the protection of Georgian language in Georgian population living in Turkey. There are many interesting facts is discussed in this article.

**ეპრაელთა საქართველოში მოსვლის, მიგრაციის,
განსახლებისა და ტრადიციულ-ყოფითი
კულტურის ზოგიერთი საკითხი**

ქართველ ებრაელთა ისტორია, მათი საქართველოში მოსვლის, მიგრაციისა და ამ ქვეყანაში განსახლების საკითხი ჯერ კიდევ არ არის ყოველმხრივ შესწავლილი. ჩვენი მიზანია საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა არა მხოლოდ ტრადიციულ-ყოფითი კულტურის გამოვლენა, არამედ იმ ქართულ-ებრაული ურთიერთობების წარმოჩენა, რომელთაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვთ და ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ქართული, ისე ებრაული საზოგადოებისათვის.

ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობებს უძველესი დროიდან საგანგებო სამეცნიერო გამოკვლევა მიუძღვნა **კირიონ ქართველთა კათალიკოსმა: „იუდეველები ძველ ივერიაში“, „საყოველთაო მოლოდინი მესიისა“, „განთესილ იუდეველთა გავლენა ჩვენი წინაპრების სარწმუნოებაზე და ებრაელთა მიერ საუფლო კვართის ჩამოტანა მცხეთაში“.** XIX საუკუნიდან დაწყებული კი საქართველოში მცხოვრები ებრაელების შესახებ არაერთი ნაშრომი გამოქვეყნდა. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ცნობილი საზოგადო მოღვაწის **ზ. ჭიჭინაძის „ქართველი ებრაელები საქართველოში“**, ასევე საინტერესო მასალაა დაცული **რ. თედიაშვილის ნაშრომში „ეთნოგრაფიული ნარკვევი ქუთაისელ ებრაელთა ყოფა-ცხოვრებიდან.“** აღსანიშნავია **თ.იველაშვილისა და თ. ცაგარეიშვილის** მონოგრაფია ქართველ ებრაელთა ყოფისა და კულტურის შესახებ. ქართულ-ებრაულ ურთიერთობებს საინტერესო თემა მიუძღვნა **ყ. მამისთვალაშვილმა ნაშრომში „ქართველ ებრაელთა ისტორია“.** ძალიან მნიშვნელოვანია ცნობილი მეცნიერების, **კერძოდ, ნ. ბერძენიშვილის, გ. ჩიტაიას, შ. ჩხეტიას, შ.ამირანაშვილის, ს. იორდანაშვილის** აქტიური თანამშრომლობა საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმთან. ასევე უნდა აღვნიშნოთ **მ. ლორიას „საქართველოს შავი ზღვისპირეთის ებრაელები“**, სადაც წარმოდგენილია აჭარაში

მცხოვრებ ებრაელთა დღემდე ნაკლებად ცნობილი ისტორიის ეპიზოდები და ეთნოგრაფიული თავისებურებანი.

ქართული საისტორიო ტრადიციით საქართველოში ებრაელი მოახალშენების ჩამოსახლება ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორ II-ის მიერ იერუსალიმის აღებას (ძვ.წ. 586წ.) უკავშირდება, როცა ებრაელი მოსახლეობის ერთი ნაწილი საქართველოში შემოხიზნულა: „ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქვეყანა ხარკითა“ (ქართლის ცხოვრება, 1959:1-2). მცხეთიდან ისინი თანდათან განსახლდნენ საქართველოს სხვადასხვა მხარეში და ძნელია დავასახელოთ საქართველოს რომელიმე რეგიონი, ქალაქი ან მცირე დასახლებული პუნქტი, სადაც ებრაელებს არ უცხოვრიათ. შესაბამისად, ჩვენთვის საინტერესოა საქართველოში დასახლებულ ებრაელთა კულტურულ-ისტორიული ხასიათის იმ თავისებურებათა გამოვლენა, რომელიც ებრაულ დიასპორას საქართველოში ადაპტაციის პროცესში ჩამოუყალიბდა. ებრაელებმა საქართველოში თან მოიტანეს მათთვის დამახასიათებელი ტრადიციულ-ყოფითი კულტურა, რელიგია და ქართულ ეთნოსთან ინტეგრაციის ფონზე შეინარჩუნეს ნაციონალური თვითმყოფადობა. აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა ცნება **„ქართველი ებრაელი“**, როგორც ამ ორი ეთნოსის თანაცხოვრების გამომხატველი ტერმინი. თვით ქართველი ებრაელები თავიანთ თავს ორი სახელით მოიხსენიებენ: ურთიერთშორის ე.ი. ებრაულ წრეში **„ისრაელ“** ან **„ისრაელიშვილს“** უწოდებენ, ხოლო არაებრაულ წრეში კი **„ებრაელს“** (მამისთვალაშვილი ე., 1995:87).

ისტორიულად ქართველი ებრაელების სოციალურ-ეკონომიკური წყობა და უფლებრივი მდგომარეობა ისეთივე იყო, როგორც ქართველი მოსახლეობის. აქ მათ არასოდეს არ განუცდიათ ეროვნული და სარწმუნოებრივი დევნა. ამის მაგალითია 1913 წ. ფრანკურტში გამართული ებრაელთა ერთ-ერთი საერთაშორისო თავყრილობა, სადაც დელეგატები ერთმანეთზე შემზარავ ფაქტებს ყვებოდნენ თავიანთ ქვეყნებში ებრაელთა დევნა-შევიწროების შესახებ. საქართველოდან ჩამოსული სასულიერო მოღვაწის **დავით ბააზოვის** გამოსვლამ კი, დისონანსი შეიტანა დამსწრე საზოგადოებაში როცა განაცხადა: **„ქვეყანა, საიდანაც მე ჩამოვედი, შორეულ კავკასიაშია, მას საქართველო ქვია. ეს არის ქვეყანა, სადაც**

არასდროს არ აუწიოკებიათ ჩემი ხალხი და აგერ, ოცი საუკუნეა, ტკბილად და ძმურად ცხოვრობენ“ (გელაშვილი თ., 1998:10).

პირველ საუკუნეებში ებრაელები ქალაქებში დასახლდნენ. მათი ძირითადი საქმიანობა ვაჭრობა და ხელოსნობა იყო. მათ დიდი წვლილი შეიტანეს ანტიკური და ფეოდალური ხანის საქართველოს საშინაო და საგარეო ვაჭრობაში. საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებამ ებრაელთა ერთი ნაწილი გააქრისტიანა, ხოლო მეორე ნაწილმა იუდაიზმი შეინარჩუნა და პერიფერიებში დასახლდა. ქალაქისა და სოფლის ვაჭრები სოციალ-ეკონომიურად დიდად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ქალაქის ვაჭრები მთლიანად ვაჭრობას მისდევდნენ, ხოლო სოფლის ვაჭრები მოწყვეტილი არ იყვნენ სოფლის მეურნეობას.

საქართველოში მცხოვრებმა ებრაულმა მოსახლეობამ თავიდანვე ისწავლა ქართული ენა, აითვისა ქართული ხალხური რიტუალები და ადგილობრივი ტრადიციები. საქართველო მათ მეორე სამშობლოდ გადაიქცა. ამავე დროს ისინი ლოიალურად განწყობილი რჩებოდნენ იუდაიზმისადმი. ქართველი ებრაელების ყოფაცხოვრებაზე საინტერესო ცნობებს გვანვდიან სხვადასხვა ავტორები, კერძოდ, ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავდა: „ურიამ ოლონდ სახლი გააკეთოს, თავი შეიფაროს, თორემ სხვამხრივ მისთვის სულერთია, ამიტომ არის, რომ ქართლსა და ზემო ქართლს, ქართველებივით მიწიერ სახლებში ცხოვრობენ. გარდა ამისა, ძველთაგანვე ჩვეულება ჰქონდათ ამათ ერთად დასახლება. სახლის წინ ვიწრო ქუჩები იციან. სახლებიც ერთმანეთზე მიყრილია“ (ჭიჭინაძე ზ., 1990:52). ასევე **რ. თედიშვილი** თავის ეთნოგრაფიულ ნარკვევში აღნიშნავდა, რომ „მორწმუნე ისრაელი სახლს იშვიათად ააშენებს, საძირკველს არ ჩაუყრის და თუ ააშენა საძირკველში ახალ-ახალ ვერცხლის ფულს ჩაატანს, იქვე პატარა პურ-ღვინოს გააწყობს სუფრაზე და შიგ საძირკველის ძირში ახალ მამალს დააკვლევინებს ლოცვა -კურთხევით, იმის აღსანიშნავად, რომ საძირკველის ჩაყრას არ გაყვეს ოჯახის მარჩენალი ვაჟკაცი, მამალი მისი სანაცვლოა“ (თავდიშვილი რ., 1990:96).

საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა ებრაელებმა თბილისში ებრაელთა უბანს ჩაუყარეს საფუძველი. ზ. ჭიჭინაძის ცნობით ეს უბანი „სიონის მახლობლად ფეთხანის ეკლესიის ძირას ყოფილა“. აღმოსავლეთ საქართველოში ებრაელები კომპაქტურად იყვნენ დასახლებულნი. ჰქონდათ მიწური და დარბაზული

ტიპის საცხოვრებელი ნაგებობები და ჰყავდათ დიდი, პატრიარქალური ოჯახები.

ებრაელთა ყველაზე დიდი დიასპორა დასავლეთ საქართველოში ქუთაისში და კულაში ოყო. **გ. ტყეშელაშვილი** აღნიშნავს, რომ „ებრაელები იმერეთში მოვიდნენ დაახლოებით XVIII ს-ში. ისინი აფხაზეთიდან მოიყვანეს მეფეებმა, რომლებიც მათ მფარველობდნენ. ქუთაისის ეკლესიამ მათ დაუთმო მიწის ფართობი გუბერნიის მმართველი სახლის მახლობლად და ყოველწლიურად ეგზარქოსს იჯარას უხდიდნენ. აქვთ ღარიბი სინაგოგა, სადაც მხოლოდ სკამებია. ტრიბუნის ირგვლივ სიბნელეა, შელესილი არ არის. სხვა მხრივ გავს ლიტველთა სინაგოგას (კრებული, 1996:24). დასავლეთ საქართველოს ებრაელთა დასახლებებში გავრცელებული იყო ხის ქართული ოდა სახლი, დიდი საკარმიდამო ეზოთი გარშემორტყმული, სადაც განლაგებული იყო სამეურნეო ნაგებობები. ბოსელი, საქათმე, ბელელი, შიგნით გაშენებული იყო ვენახი და ხეხილის ბაღი. სოფლის მეურნეობასთან ერთად ებრაელთა დიდი ნაწილი ხელოსნობასა და შინამრეწველობას (მეთუნეობას, დურგლობას, მექუდეობას, მჭედლობას) მისდევდა:

ქართველი და ებრაელი ხალხის მრავალ საუკუნოვანმა თანაცხოვრებამ უდიდესი გავლენა იქონია მათ ყოფასა და კულტურაზე. ებრაული ქორნილის, დაკრძალვის, გლოვის რიტუალებს მკაფიოდ ეტყობა ქართული ადათ-წესების გავლენა. ამის პარალელურად მათ შემოინახეს საკუთარი რელიგიური ტრადიციები, ეროვნულობა, თვითმყოფადობა, საქველმოქმედო საქმიანობა (ობოლთა და ღატაკთა დახმარება). ყოველივე ეს კი მათი სულიერი და მატერიალურ კულტურის განვითარების გარკვეულ დონეზე მეტყველებს.

XX ს-ში იწყება ებრაელთა მასობრივი გადასახლება ისრაელსა და ევროპის ქვეყნებში. დღეს საქართველოში დაახლოებით 4000 ებრაელი ცხოვრობს. ებრაული თემები არის ქუთაისში, გორში, ბათუმში, სურამში, ქარელში და ახალციხეში. მათ ცენტრად კი თბილისი ითვლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართლის ცხოვრება, თბ., 1959;
2. მამისტვალაშვილი ე. ქართველ ებრაელთა ისტორია, თბ., 1995;

3. გელაშვილი თ. ბააზოვი დ. ქართველთა და ებრაელთა მეგობრობის სიმბოლო, თბ.,1998;
4. ჭიჭინაძე ზ. ქართველი ებრაელები საქართველოში, თბ.,1990;
5. თავდიშვილი რ. ეთნოგრაფიული ნარკვევები, თბ.,1990;
6. კრებული, ქართულ-ებრაული ურთიერთობანი, ქუთაისი, 1996.

Marina Jintcharadze

***Some issues of the Jewish arrival in Georgia, migration,
resettlement and traditional culture
Summary***

The work is presented on the basis of scientific literature on the arrival of Jews in Georgia and their resettlement in various parts of Georgia, their traditional culture and national identity maintained by the integration of Georgian ethnicity.

**ქალაქის კუთვნილი მამულები ბათუმში
XX საუკუნის 10-იან წლებში. მათი დანიშნულება და
ექსპლოატაცია**

მეოცე საუკუნის დასაწყისში, აჭარის საქართველოსთან შემოერთებიდან დაახლოებით 32 წლის შემდეგ ჯერ კიდევ მოუგვარებელი რჩებოდა ადგილზე მინათმონყოფის საკითხი. საკითხის დასარეგულირებლად რუსეთის სახელმწიფო ხელისუფლებამ მიწის საკითხის მონესრიგებაზე ზრუნვა მხარის შემოერთებისთანავე დაიწყო. ამ მიზნით კავკასიის მეფისნაცვლის გენერალ-ადიუტანტ, თავად სვიატოპოლკ-მირსკის ბრძანებით ჯერ კიდევ 1879 წლის 1 მარტის ბრძანებით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევა **ბათუმისა და ყარსის ოლქებში არსებული უძრავი ქონების საკუთრების, სარგებლობის და გასხვისების ყველა ფორმის გამოვლენა.**

კომისიის შემადგენლობაში შედიოდა თავმჯდომარე და ორი წევრი. თავმჯდომარისა და ერთი წევრის არჩევა ხდებოდა ქალაქის მმართველობის მიერ, მეორე წევრი და მთარგმნელები ინიშნებოდნენ სამხედრო გუბერნატორების მიერ.

კომისიას მფლობელობის ყველა ფორმის გამოსავლენად საჭირო ცნობები ადგილზე უნდა შეეგროვებინა და შეემოწმებინა. იგი ვალდებული იყო ზუსტად და ნათლად განესაზღვრა ხაზინის საკუთრებაში არსებული და სრულ განკარგულებაში მყოფი თავისუფალი მიწის ნაკვეთები, მათი ოდენობა უნდა განსაზღვრულიყო არსებული მონაცემების მიხედვით (თუნდაც მიახლოებით). კომისიას ევალებოდა მოეძიებინა საკადასტრო ნიგნები, არქივები და სხვადასხვა სახის დოკუმენტები, რომლებიც არ იყო გადმოცემული თურქული მმართველობის მიერ და რომლებიც, შესაძლოა, იყო კერძო პირების ხელში ან ყოფილი თურქული ხელისუფლების მიერ ადრე დაკავებულ ადგილებში. ყველა აღნიშნული ნიგნი, არქივი და დოკუმენტი კომისიას უნდა გადაეცა შესაძლად და დასაცავად კავკასიის სამთო სამმართველოსთვის.

ქალაქებში - ყარსსა და ბათუმში, ასევე სხვა დასახლებულ პუნქტებში აუცილებლობის შემთხვევაში კომისიას უნდა აღერიცხა კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებიც. მონა-

ცემები უნდა შეტანილიყო ოქმების წიგნში, მფლობელისათვის აქტის წაკითხვისა და კომისიის წევრების მიერ ხელმოწერის, ნომრის მინიჭების შემდეგ უბრუნდებოდა მფლობელს. საეჭვო აქტების შემთხვევაში ხდებოდა საკადასტრო წიგნებთან მისი შედარება ან მოწმეების გამოკითხვა, შედეგის მიხედვით - კომისიის შესაბამისი შეფასებით უბრუნდებოდა მფლობელს. აქტის არარსებობის შემთხვევაში ხდებოდა კეთილსაიმედო პირების გამოკითხვა და ნამდვილობის ან დაკარგვის დადასტურების შემთხვევაში ჩვენებები შეჰქონდათ ოქმში, წინააღმდეგ შემთხვევაში კომისია გასცემდა შესაბამისი შინაარსის მოწმობას. კომისია არ განიხილავდა ხანგრძლივად ფლობის უფლებით გამო დავას და სხვადასხვა პირთა პრეტენზიებს, ასეთი საქმეები სასამართლოს გადაეცემოდა.

მიწის საგანგებო ინსტრუქციის თანახმად, კომისიას დაევალა, ყოველ ქალაქსა და ოლქში საქმის დასრულების შემდეგ შედეგები და მიმონერა გაეგზავნა კავკასიის სამთო მმართველობაში (კავკასიის სამთო მმართველობის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ფრეიერი)

აჭარაში ამ დროისთვის **აქტუალობას ისევ ინარჩუნებდა ოსმალური კანონი, რომლის თანახმადაც მიწების უმეტესობა „ერაზი-ი-მირიეს“ - სახელმწიფო მიწების კატეგორიას განეკუთვნებოდა.** უფრო ზუსტად, ოტომანური კანონმდებლობით, კერძო პირების მიერ მიწებით სარგებლობის უფლება მიიღებოდა მმართველობისაგან (მთავრობისაგან) ყოველწლიური გადასახადის გადახდის პირობით, გაიცემოდა განსაკუთრებული დოკუმენტი „ტაპუ“. „მირიეს“ მიწებზე მთავრობის ნებართვის გარეშე აკრძალული იყო ნაგებობების აგება და ნარგავების გაშენება, ისევე როგორც სარგებლობის უფლების გადაცემა მეორე პირისათვის.. „მირიეს“ მიწები უსასყიდლოდ გადაეცემოდა მემკვიდრეობით, სამი წლის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით აუთვისებელი და დაუმუშავებელი მიწები კი გადაეცემოდა მესამე პირს, ასევე „ტაპუს“ პირობით.

მიწათმფლობელობის ზემოთაღნიშნული ფორმის გარდა, ოტომანური კანონმდებლობა აღიარებდა მფლობელობის კიდევ ერთ ფორმას - „მიულქს“. ეს იყო უძრავი ქონების ფლობის ფორმა, ყველა იმ პირობის დაცვით, რასაც ითვალისწინებდა ქრისტიანული სახელმწიფოს კანონმდებლობა. კერძო პირების მიერ საკუთრების უფლება მტკიცდებოდა სულთნის ფირმანით (სიგელით),

მაგრამ იმ მიწების რაოდენობა, რომელსაც კერძო პირები ფლობდნენ „მიუღეს“ თანახმად, შეზღუდული იყო.

მიუხედავად არაერთი ღონისძიებისა, მიწების მფლობელობის საკითხი 1910-იან წლებში ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ გარკვეული და დაზუსტებული, მათ შორის სახაზინო და მუნიციპალური საკუთრების კუთხითაც, რასაც არქივებში დაცული დოკუმენტებიც ცხადყოფს.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს ეროვნული არქივის ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული **ქუთაისის სახაზინო პალატის** მასალებში ჩვენს მიერ მოძიებული ბათუმის **ქალაქის კუთვნილი მამულების ნუსხა**. დოკუმენტში, რომელიც 1910 - 1911 წლებით თარიღდება, აღნუსხულია ქალაქ ბათუმის კუთვნილი უძრავი ქონება, მდებარეობის, ფართობის, დანიშნულება-ექსპლუატაციის და ზოგიერთი სხვა მონაცემის ჩვენებით.

#	მამულის აღ- გომდებარეობა /ქალაქის ნაწილი და ქუჩა/	მიწის ფართობი კვ. საფ.	მამულის დანიშნულება და ექსპლუატაცია	არის თუ არა ნაგებობები ნაკვეთზე, რა არის ნაკვეთზე განთავსებული	ნაკვეთის ლირებულება (მან. და კაპ.)	შემოსავალი მამულის დანიშნულების ნადავში
1	მიწის ნაკვეთი სანაპირო ზოლში ქალაქის პირველ ნაწილში	267.07	იჯარით თევზჭერის საზოგადოებას		26707	
2	მიწის ნაკვეთი თბილისის ქუჩაზე, ქალაქის პირველ ნაწილში	62, 57		რკინის პეკჰაუზი	31, 28	300
3	მიწის ნაკვეთი იქვე	64, 94			32, 47	
4	მიწის ნაკვეთი სანაპირო ზოლში, პირველ ნაწილში	1469, 39	იჯარით რუსეთის სატრანსპორტო და სადაზღვევო საზოგადოე-		110 203	

			ბას			
5	მინის ნაკვეთი სანაპირო ზოლში, პირველ ნაწილში	46.51	იჯარით სანჯვარო ვას			
6	მინის ნაკვეთი სანაპირო ზოლში, პირველ ნაწილში	68, 75	გამოყოფილია საზღვაო სივრცის ასაგებად			
7	მინის ნაკვეთი ბურუნ-ბაშის კონცხზე, ბურუნ-ტაბიეს სიმაგრის წინ	5410				
8	მინის ნაკვეთი ზღვის სანაპიროზე, ქალაქის ბულვარის ჩრდილოეთით	558	არენდით ბო-იაჯიანს			
9	ნაკვეთი ბულვარის ჩრდილოეთით, საზღვრებში: ჩრდ.- სანაპირო ზოლი, სამხ.დას. - ბულვარი აღმ. -ერისთავის ქუჩის გაგრძელება	1350	იჯარით ფიზიკური განვითარების ხელშეწყობის საზოგადოებას			
10	ქალაქის ბულვარი	13 960		პავილიონი, სამზარეულო, ორი ჯიხური და ბარაკი ექსკურსანტებისათვის	1250	

11	ნაკვეთი სმე-კალოვსკის და დონდუკოვ-კორსაკოვსკის ქუჩების კუთხეში საზღვრებში: აღმ. დონდუკოვ-კორსაკოვსკის ქუჩა, დას. და ჩრდ. - კაჩხოვეის მიწის ნაკვეთი	25.95		ხის დუქანი, მელკოვიანცის მიერ იჯარით აღებული		
12	ნაკვეთი ბულვარისა და ვოზნესენსკის ქუჩების კუთხეში	102,22	იჯარით ნაკაშიძეს			
13	ნაკვეთი სმე-კალოვის ქუჩაზე	131	იჯარით ჯაიანს			
14	ნაკვეთი სმე-კალოვის ქუჩაზე	1332	გამოყოფილია სობოროს ასაგებად			
15	ნაკვეთი სმე-კალოვისა და მიხეილის ქუჩების კუთხეში	197, 09		ქვის ნაგებობა, იჯარით აღებული სამხედრო უწყების მიერ, სახანძრო კომიტეტის შენობისთვის	1300	
16	მიწის ნაკვეთი საზღვრებში: აღმ. შეპელევის ქუჩა, დას. ზღვის ქუჩა, ჩრდ. ბულვარის	1981, 36	გამოყოფილია სახელობო სასაწვლებლის შენობის ასაგე-			

	ქუჩა, სამხ. სმეკალოვის ქუჩა.		ბად			
17	ნაკვეთი სმეკალოვისა და ზღვის ქუჩების კუთხეში	600	გამოყოფილია მარინის ქალთა სასწავლებლის შენობის ასაგებად			
18	ნაკვეთი სმეკალოვისა და ვოზნესენსკის ქუჩების კუთხეში	400	გამოყოფილია სომხური სამრევლო სასწავლებლის შენობის ასაგებად			
19	მინის ნაკვეთი სმეკალოვისა და ბუღვარის ქუჩების ფარგლებში	2623, 33				
20	ნაკვეთი სმეკალოვის ქუჩაზე, ციხის შენობასა და აღნიშნულ ქუჩას შორის	241				
21	ნაკვეთი საზღვრებში: აღმ. ციხე (ბახმეტიევის მიწა), დას. სასაზღვრო პოსტი, ჩრდ. ზღვა, სამხ. ტბა „ნურიეგილ“	13 650	ციხის ქვეითთა ბატალიონის ყოფილი ბანაკი			1889 წლის მონაცემი, შესაძლოა შემცირებულია ნაპირის ზღვის გან

						გადა- რეც- ხვის გამო
22	ქალაქის ბალი	14 843,25				
23	ნაკვეთი ვოზ- ნესენსკის ქუჩაზე	211,5	გაცემუ- ლია იჯარით ჯვარი- კაშვილ- ზე		105	
24	ნაკვეთი სმე- კალოვკისა და თბილი- სის ქუჩების კუთხეში	60	მოედანი			
25	ნაკვეთი სმე- კალოვის, მი- ხეილის ქუჩე- ბის, მარიინ- სკის პროს- პექტის საზ- ღვრეებში	437	„აზიზი- ეს“ მოე- დანი			
26	მიწის ნაკვე- თი მიხეილის ქუჩისა და ქართული ქუჩის შესაბ- ვევის კუთხე- ში	220.90	გამოყო- ფილია სამრევე- ლო სკო- ლის- თვის, ნა- გებობე- ბით	ერთსარ- თულიანი ქვის სახ- ლი		
27	მიწის ნაკვე- თი მარიინ- სკის პროს- პექტისა და დონდუკოვ- კორსაკოვის ქუჩების კუთხეში	125	იჯარით, საბაევს			
28	მიწის ნაკვე- თი თბილისი ქუჩისა და სობოროს შე- საბვევის კუთხეში	60	მოედანი			
29	მიწის ნაკვე- თი მარიინ-	327, 68	ყოფილი ქალაქის			

	სკის პროს- პექტზე		საწყობი			
30	იგივე ასათი- ანის ქუჩაზე	244.85	იჯარით საბაშ- ვილს			
31	იგივე ასათი- ანის ქუჩაზე	2400	გამოყო- ფილია ქართუ- ლი ეკ- ლესიის მშენებ- ლობის- თვის			
32	მიწის ნაკვე- თი ზღვის ქუ- ჩისა და გუ- რიის შესახ- ვევების კუთ- ხეში	133.50		ერთსარ- თულიანი ქვის სახ- ლი მესამე საპოლი- ციო უბნი- სა და პრისტავის ბინისათ- ვის		
33	იგივე შეპე- ლევსკისა და ასათიანის ქუჩების კუთხეში	372, 20		ორსარ- თულიანი ქვის სახ- ლი ქალა- ქის ექ- ვსკლასია- ნი სასწავ- ლებლის- თვის		
34	იგივე, ასათი- ანის, შერემე- ტიევის, შეპე- ლევს და იმერეთის ქუჩების ფარგლებში	843, 52	ნურიეს ბაზრის მოედანი			
35	ნაკვეთი კო- მაროვის, ასა- თიანის, შე- რემეტიევის, და იმერეთის ქუჩის შესახ- ვევის ფარ- გლებში	741, 24	ნურიეს სავაჭრო რიგები	ქვის მაღა- ზიები, იჯარით გაცემული		

36	იგივე ქუჩების და უსახელო შესახვევის ფარგლებში	710	ქალაქის სახლი	ორსართულიანი ქვის სახლი ; ქალაქის მმართველობა		
37	იგივე ერისთავის ქუჩაზე	99	იჯარით, საბავესა და ფილიპოვს			
38	მიწის ნაკვეთი ლორისმელიქოვისა და ოგლობჟინსკის ქუჩების საზღვრებში	298, 24		1.ერთსართულიანი, фахверков иx სახლი, 2.ორსართულიანი ქვის ფლიგელი, არენდით, ბერძენიშვილს.		
39	იგივე, ვოზნესენსკისა და ვლადიკავკაზის ქუჩების კუთხეში	501, 64	გამოყოფილია ქალთა გიმნაზიის შენობისთვის	ორსართულიანი ქვის სახლი		
40	ნაკვეთი ვლადიკავკაზის, ვოზნესენსკისა და ოლგინსკის ქუჩების საზღვრებში	388, 20	გამოყოფილია ქალაქის პუშკინის დაწყებითი სასწავლებლის ასაგებად	ქალქის პუშკინის დაწყებითი სასწავლებლის შენობა		
41	ნაკვეთი ვოზნესენსკის, ოლგინსკის ქუჩების და უსახელო შესახვევის საზღვრებში	422, 48	გაცემულია იჯარით სხვადასხვა პირებზე			

42	იგივე პეტერ-ბურგის, ზღვის, ოლგინსკის ქუჩების და უსახელო შესახვევის ფარგლებში	2003,35	იჯარით, სხვადასხვა პირებზე			
43	იგივე ზღვისა და გეორგის ქუჩების კუთხეში	415	ნაგებობები	სახანძრო რაზმისთვის, ნავთობის ქალაქი.		
44	ნაკვეთი ზღვისა და გეორგის ქუჩების კუთხეში	183	გამოყოფილია ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმისთვის	ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების კუთვნილი შენობები		
45	იგივე პეტერ-ბურგისა და ზღვის ქუჩების კუთხეებში	166.09	იჯარით. ჭყონიასა და გიგინეშვილს	მოიჯარეთა ნაგებობები		
46	ნაკვეთი გეორგისა და შეპელევის ქუჩების კუთხეში	691,13	იჯარით თავართქილაძეს, სიამაშვილსა და ნემსაძეს			
47	ნაკვეთი გეორგის ქუჩაზე	3019, 07	იჯარით: ვაშაკიძესა და კონცელიძეს; ნალდაძეს და ცინცაძეს, თავისუფალი -137, 32კვ. საფუ			
48	იგივე, კომაროვსკისა და	1802, 49	იჯარით კეჭემა-			

	ოლგინსკის , შერემეტიე- ვისა და გი- ორგის ქუჩე- ბის საზ- ღვრებში		ძეს, თა- ვისუფა- ლი - 916, 38კვ. საუ			
49	იგივე თბი- ლისისა და გიორგის ქუ- ჩების კუთხე- ში	379	გამოყო- ფილია რომა- ულ-კა- თოლი- კური ეკ- ლესიის მშენებ- ლობის- თვის			
50	მინის ნაკვე- თი გიორგის და კომაროვ- სკის ქუჩების კუთხეში	397.60	გამოყო- ფილია ბერძნუ- ლი დან- ყებითი სამრევე- ლო სას- ნავლებ- ლისთვის	ქვის ერ- თსართუ- ლიანი შე- ნობა		
51	იგივე კომა- როვის ქუჩა- ზე	358, 32	გამოყო- ფილია ქარ- თველთა შორის ნერა- კითხვის გამავე- რცელე- ბელი სა- ზოგა- დოების დანყები- თი სას- ნავლებ- ლის შე- ნობის- თვის	ქვის ერ- თსართუ- ლიანი შე- ნობა		
52	იგივე თბი- ლისისა და გეორგიევ- სკის ქუჩების	306. 49				

	კუთხეში					
53	მინის ნაკვეთი თბილისის ქუჩაზე	77.80	იჯარით კვახაძეს			
54	იგივე, იმავე ქუჩაზე	77.80	იჯარით გალუსტოვს			
55	იგივე თბილისის და გიორგის ს ქუჩების კუთხეში	104,77	იჯარით შავერდ დავიდოვს			
56	ნაკვეთი დონდუკოვკორსაკოვსკის და გიორგის ს ქუჩაზე	38.89				
57	მინის ნაკვეთი ქუთაისის ქუჩაზე	35,37	გამოყოფილია მეორე თურქული მეჩეთისთვის, ნაგებობებით			
58	იგივე სანაპიროს ქუჩაზე	29,95	10 კვ. საფ. ქალაქის სასწრაფო თვის, 19,95 იჯარით მირზა ოღლის			
59	იგივე სანაპიროს ქუჩაზე	4, 85	იჯარით ბერიძეს			
60	იგივე მიხაილოვის, ქუთაისის, მეორე სანაპიროს ქუჩების საზღვრებში	60.62	თურქული ბაზრის მოედანი			
61	იგივე პეტერბურგის, მი-	209	„ლომოვაია“			

	ხაილოვის და ქუთაისის ქუჩების საზღვრებში					
62	მიწის ნაკვეთი თბილისი, პეტერბურგის ქუჩებსა და უსახელო შესახვევს შორის	468,27	ართვინის ბაზრის მოედანი	ქალაქის თერთმეტი ქვის დუქანი და ფარდული--ნავეს-- ქალაქის სასწორისთვის		
63	მიწის ნაკვეთი თბილისისა და პეტერბურგის ქუჩების კუთხეში	627,77				
64	მიწის ნაკვეთი თბილისისა და პეტერბურგის ქუჩების კუთხეში	399,90	მოედანი			
65	მიწის ნაკვეთი შეპელევის, პეტერბურგისა და ზღვის ქუჩების საზღვრებში	421, 74	გაცემულია იჯარით სხვადასხვა პირებზე			
66	მიწის ნაკვეთი ზღვის, პეტერბურგისა და ვოზნესენსკის ქუჩების საზღვრებში	850, 24	გაცემულია იჯარით სხვადასხვა პირებზე			
67	მიწის ნაკვეთი ვოზნესენსკის, პეტერბურგისა და ტურგენევის ქუჩების საზღვრებში	401, 80	გაცემულია იჯარით სხვადასხვა პირებზე			

68	მიწის ნაკვეთი ართვინის გზაზე	8876	ქალაქის საავადმყოფოს და სადეზინფექციო კამერის ნაგებობების			
69	მიწის ნაკვეთი ასათიანის ქუჩაზე, ქალაქის ბაღსა და უსახლკარო ბავშვთა სახლს შორის	3633,75				
70	მიწის ნაკვეთი ანგისიაში	24 263,34				
71	მიწის ნაკვეთი ოსტროვსკის, ბარიატინსკის, ირაკლის ქუჩების საზღვრებში /მეხტერბაშევებისა და ვარძლოვებისგან გადაცემული/	1733,50				
72	მიწის ნაკვეთი ირაკლის, ბარიატინსკისა და ლერმონტოვის ქუჩების საზღვრებში /მეხტერბაშევებისა და ვარძლოვებისგან გადაცემული/	1857,63				
73	მიწის ნაკვეთი	320		გადაცე-		

	თი ირაკლისა და ბარიატინ-სკის ქუჩების საზღვრებში			მულია ევანგე-ლისტურ-ლუთერა-ნული ეკ-ლესიის მრევლის-თვის, ეკ-ლესიის ასაგებად		
	ნაკვეთების ნავთობის დასახლება-ში:					
74	მინის ნაკვე-თი სასაფლა-ოს ქუჩასა და სამხედრო გზას შორის	25 887, 44				
75	მინის ნაკვე-თი ბაქოს ქუ-ჩაზე, ქალა-ქისთვის გა-დაცემული ვოლფენზო-ნისა და რო-ზენშტეინი-საგან	3 313,48				
76	მინის ნაკვე-თი ბაქოს ქუ-ჩაზე	1354				
77	მინის ნაკვე-თი ნავთობის ქუჩაზე	4100,69	იჯარით, ნავთო-ბის შემ-ნახველ და გადა-მამუშა-ვებელ სააქციო საზოგა-დოებას			

78	მიწის ნაკვეთი ირაკლის, ბარიატინსკის, ლერმონტოვის ქუჩებზე	1857,63				
79	მიწის ნაკვეთი, სამკუთხა ფორმის, ახლადდაპროექტებულ ქუჩაზე					
80	მიწის ნაკვეთი ირაკლისა და ბარიატინსკის ქუჩების კვეთაზე	320				
81	მიწის ნაკვეთი ნავთობის ქუჩაზე	1035	იჯარით. ნავთობპროდუქტების სააქციო საზოგადოება	2070		
82	მიწის ნაკვეთი ნავთობის ქუჩაზე	112,74				
83	მიწის ნაკვეთი არტილერიის ქუჩაზე / წარსულში ნობელების მიერ იჯარით აღებული /	6279,76				

ქალაქის საკუთრებაში იყო 165, 848, 56 კვ. საფენი მიწა.

გამოყენებული წყაროები:

1. ქ.ც.ა. ფონდი N 23, საქმე N 2746, ფურ. 63-73; ფონდი N 130, საქმე N 259., ფურ. 24-49

ნუგზარ მგელაძე თემურ ტუნაძე

ახალშენის ფერისცვალების სახელობის ტაძარი



ახალშენის ფერისცვალების სახელობის ტაძარი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენში, ზღვის დონიდან 100 მეტრზე, მდ. ბარცხანის სანაპიროზე მდებარეობს. ხალხური ცნობით ტაძარი პონტოელი ბერძნების მიერ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან 1912 წლამდე პერიოდშია აგებული.

ტაძრის შესახებ ცნობები ცოტაა, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მისი ისტორიის სრულად აღდგენას. მოცემულ შემთხვევაში კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასაყრდენი ზეპირი ისტორიები შეიძლება ყოფილიყო, რომლებიც ხალხურმა მეხსიერებამ შემოინახა, თუმცა ამ მხრივაც, გარკვეულ სირთულეს ქმნის ის გარემოება, რომ სოფელ ახალშენში ბერძნული მოსახლეობა თითქმის აღარ დარჩა. ეს კი ფაქტიურად გამორიცხავს მათში საველე-ეთნოგრაფიული მასალების შეკრებას. მიუხედავად აღნიშნულისა, მოძიებული საარქივო წყაროების, ზეპირი ისტორიების, ასევე სამეცნიერო ლიტერატურაში დაცული სხვადასხვა ხასიათის ცნობების ურთიერთშეპირისპირებით შესაძლებელი შეიქმნა ახალშენის

ეკლესიის ისტორიის ქვემოთ მოცემული ერთიანი სურათის აღდგენა, რაც ბუნებრივია, გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო სრული მაინც ვერ იქნება.

ხალხური გადმოცემით ახალშენის ბერძნებს დაახლოებით XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის 10-იან წლებში თავკაცობდა და ხელმძღვანელობდა ბერძენი მუტას იანესი. მისი დახმარებით ახალშენელმა ბერძნებმა, ეკლესიისა და სკოლის მშენებლობის ნებართვისა და შესაბამისი სამუშაოებისათვის მიწის გამოყოფის თაობაზე, ქუთაისის გუბერნატორს მიმართეს, თუმცა, როგორც ჩანს, გამოყოფილი მიწა საკმარისი არ აღმოჩნდა. ასეთ ვითარებაში ბერძნებს იქვე მოსაზღვრედ, ეკლესიის ზემოთ მცხოვრებ შაინ-ალა კიკნაძისათვის მიუმართავთ და უთხოვიათ, რომ მიწის გარკვეული ნაწილი ეკლესიის ასაგებად მიეყიდა. ხალხური გადმოცემით შაინ ალას მიწის ნაკვეთი უჩუქებია. აღსანიშნავია, რომ 1980-იან წლებში ეკლესიის რესტავრაციის დროს შაინ ალას შვილიშვილმა ეზოს გაფართოებისა და კეთილმოწყობის მიზნით ეკლესიას მიწის ფართობი კვლავ აჩუქა (ჩხაიძე, 2010).

ბერძენ მუტას იანესთან დაკავშირებით, რომლის სახელი და გვარიც ხალხურმა მეხსიერებამ შემოინახა, საინტერესოა ახალშენის ფერისცვალების ბერძნული ეკლესიის 1895 წლის მეტრიკული წიგნი, სადაც ახალშობილთა აღწერის მასალებში კარგად იკითება სახელი და გვარი იოანის მუტა. მისი მეუღლე ყოფილა ოლიმპიადა, რომელთაც 1895 წლის 28 ივნისს შეეძინათ შვილი პანაიოტი⁵⁵.

ფაქტია, რომ აღნიშნული ორი სახელისა და გვარის მუტას იანესისა და იოანე მუტასის იდენტობასთან დაკავშირებით საინტერესოა დაზუსტდეს სიტყვა „მუტას“ სახლისა თუ გვარის აღმნიშვნელია. იგივე ეკლესიის მეტრიკულ წიგნებში მოხსენიებულია ახალშენის მცხოვრები პოლიხრონ გეორგი მუტა, ივანე მუტა, პავლო მუტა, ოლიმპიადა მუტა, მარია მუტ ოლი (მინერილი აქვს ქ. ფოთი, ალბათ ფოთიდან იყო). ჩვენი ვარაუდით მუტა ან მუტას გვარის აღმნიშვნელი უნდა იყოს. ხალხური ვარიანტის მუტას იანესის სწორი ფორმაა იოანე მუტა (ბერძნული ტრანსკრიფციით იოანის მუტას). მეტრიკულ წიგნებში მოცემულია, რომ იოანე მუტა გლეხთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა⁵⁶.

⁵⁵ აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი, ი-80, ს.204, გვ.1,2.

⁵⁶ აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი, ი-80, ს.204, გვ.1, 1-ა

გადმოცემით ახალშენის ეკლესიის მშენებლობა ბერძნებს 1888 წელს დაუწყიათ და ქვის ფუნდამენტიც მოუშაადებიათ. შემდგომ, როგორც ჩანს ტაძრის მშენებლობა შეჩერებულა, მაგრამ ბერძნებს ქვის ფუნდამენტის შიგნით ხის პატარა ტაძარი ჩაუდგამთ. ეს ხის ტაძარი დამწვარა. ამის შემდგომ ახალშენის ბერძნებს ქვის ტაძრის მშენებლობა კვლავ განუახლებიათ.

1912 წლის 7 მაისს ახალშენის ბერძნული ტაძარი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ლეონიდე ოქროპირიძემ აკურთხა. ამ დროიდან XX საუკუნის 30-იან წლებამდე ეკლესია ღია იყო.

ძველი ტაძრის ეზოში აგებული იყო სამრეკლო, რომელზედაც სამი ზარი იყო ჩამოკიდებული. ხალხური გადმოცემით ამ ზარებიდან ერთი ბორჯომის რაიონის ერთ-ერთ სოფელში, სავარაუდოდ ციხისფვარშია, მეორე ზარი სოფ. აჭარისწყალზე სამხედროებმა – მესაზღვრეებმა წაიღეს და ამჟამად ეს ზარი აჭარისწყლის სკოლაშია, ხოლო მესამე ზარი ზოგიერთი ცნობით დაკარგულია (ჩხაიძე, 2010). სხვადასხვა წერილობითი მასალების ურთიერთშეჯერებით ირკვევა, რომ ეს მესამე ზარი 1937 წელს ქსანტიდების ოჯახმა გადაინახა და 80-იან წლებში ხარლამპი ქსანტიდმა ეკლესიას დაუბრუნა. ანალოგიურად, ძველი ტაძრის გასაღები რესტავრაციის დროს ახალშენელმა ბერძენმა სოფია კერიდმა გადასცა (ლეკვიშვილი, 2001:62). გადმოცემით ახალშენის ტაძართან ვაჟთა და გოგონათა ბერძნული სკოლებიც არსებობდა.

ხალხური გადმოცემით ახალშენის ეკლესიის პირველი მღვდელი დიმიტრი მაკრიდი იყო. იგი ტრაპიზონიდან მოუწვევიათ, თუმცა მას ახალშენში დიდხანს არ უმოღვანია. იგი მალე გარდაცვლილა და ტაძრის ეზოშია დასვენებული. დიმიტრის მეუღლე 1941 წელს გარდაიცვალა, მაგრამ 40-იან წლებში ტაძრის ეზოში დასაფლავება აკრძალული იყო, ამიტომ იგი ახალშენის საერთო სასაფლაოზეა დაკრძალული. მეორე მღვდელი იყო დიმიტრი პიასტოპულო. იგი 1925 წელს მუტას იანესთან ერთად საცხოვრებლად მესოპოტამიაში წასულა. ამდენად ეკლესია მღვდლის გარეშე დარჩა. ამიტომ მომდევნო მღვდელი ახალშენელმა ბერძენმა სოხუმიდან მოიწვია. ეს იყო ხრისტო ტავრიდი. მას ცოლად ისევ ახალშენელი ჰყავდა, ანუ ახალშენელთა სიძე იყო, რამაც, დაახლოებით 1925 წლიდან, ეკლესიაში მისი მღვდლად მოწვევა განაპირობა. გადმოცემით ხრისტო ტავრიდი და ეკლესიის მგალობელთა გუნდი 1937

წელს ლამით წაუყვანიათ სახლიდან, ანუ რეპრესიების მსხვერპლი გამხდარან (ჩხაიძე, 2010).

ზოგადად, ხალხურ გადმოცემებსა და ინტერპრეტაციებს დიდი მნიშვნელობა აქვს და თავისთავად მსგავსი ინფორმაციები მეცნიერული კვლევისთვისაც საინტერესოა, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ხალხური ინტერპრეტაცია ისტორიულ სინამდვილეს ნაწილობრივ, ან საერთოდ არ ემთხვეოდეს. მოცემულ შემთხვევაში, ახალშენის ტაძრისა და ზოგადად, ქართულ ბერძნული ურთიერთობების შესახებ, აჭარის მოსახლეობის წიაღში თავისებური ხალხური ისტორია იწერება. ამ ისტორიებში ყოველ თაობას მისთვის დამახასიათებელი წვლილი შეაქვს და ამა თუ იმ ამბავს თაობიდან თაობას გადამუშავებული სახით გადასცემს. მსგავს ზეპირ ისტორიებში ათწლეულების მანძილზე თაობებში დაგროვებული სიტბო და კეთილმეზობლური ურთიერთობებია ასახული. მოცემულ შემთხვევაში ჩვენს ამოცანას წარმოადგენდა არ დაგვეკარგა ხალხური გადმოცემები და ამის ფონზე წარმოგვედგინა ახალშენის ტაძრის რეალური ისტორია, რომელიც საარქივო მასალების საშუალებით შეიძლება აღვადგინოთ.

ბათუმის ცენტრალურ არქივში დაცულია ახალშენის ეკლესიის ანკეტა, იგივე მეტრიკული წიგნი, რომელიც 1915 წელსაა შედგენილი⁵⁷. ბუნებრივია მასში დაცული ინფორმაცია უფრო შეესაბამება სინამდვილეს. აღნიშნული ანკეტიდან ვგებულობთ, რომ ახალშენის ფერისცვალების ტაძარი 1912 წელს მრევლის მიერაა აგებული. იგი ქვის შენობა იყო. იქვე აღნიშნულია შემდეგი: „სამრეკლო აშენებულია ხის ტაძრისაგან განცალკევებით“. თუ ეს ასე იყო, გამოდის, რომ ხის ტაძარი 1915 წლისათვის ჯერ კიდევ არ იყო დამწვარი (თუ იგი მართლა დაიწვა) და ცალკე იდგა. ტაძარს სატრაპეზოც გააჩნდა, რომელიც, ასევე, ფერისცვალების სახელობის იყო. ეკლესიაში შტატით ირიცხებოდა ერთი მღვდელი და ერთი მეფსალმუნე. მღვდლის ჯამაგირი 392, ხოლო მეფსალმუნისა 122,50 მანეთს შეადგენდა. ეკლესიის წლიური შემოსავალი 200 მანეთი იყო და სხვა შემოსავალი ეკლესიას არ ჰქონდა. მრევლის შემადგენლობისა და შემოსავლების შესახებ სხვა წყარო უცნობია. ტაძრის საფოსტო მისამართი იყო „ქ. ბათუმი, ბათუმის ოლქის ღვთისმოსავ კონსტანტინე ცანდეკოვს“. ტაძართან სამლოცველო

⁵⁷ აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი, ი-80, ს.204, გვ.10-11, შდრ.: აცსა, 2010:37-38

სახლები, სასაფლაო შენობები არ მდგარა. ეს მონაცემი შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ანკეტის დასაწყისში მითითებულ ცნობას, რომელიც ხის ეკლესიის არსებობას მიუთითებს. თუ ეს ასე არაა, მაშინ „სამლოცველო სახლებში“ ხის ეკლესია არ იგულისხმება.

სხვა მონაცემის მიხედვით სოფელ ახალშენის პირველმოსახლე ბერძნები გვარად იშხანიდები, ავგოპულოები და ასლანიდები იყვნენ. თავდაპირველად მათ ხის ეკლესია აუგიათ (გოგია, 1997:75). 1884 წელს ტაძართან სკოლა აუშენებიათ, სადაც სწავლება ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა. ქვის ახალი ტაძარი კი შემონირობულობით 1912 წელს დაუმთავრებიათ (გოგია, 1997:75).

აღსანიშნავია, რომ საეკლესიო ქონების ნუსხათა სია 1895 წლიდან არსებობდა. ამავე წლიდან არსებობდა ერთკლასიანი შერეული საეკლესიო სკოლა, რომელიც კერძო სახლში ყოფილა განთავსებული. 1895 წლიდან ინახებოდა სრულყოფილად აღწერის ჩანაწერები და ასევე, 1895 წლიდანვე მეტრიკის აღრიცხვის წიგნებიც სრულად ინახებოდა. ეს მონაცემები ხაზს უსვამს 1895 წელს და ადასტურებს, რომ ახალშენში აქაურ ბერძნებს თავდაპირველად ხის ტაძარი 1895 წელს უნდა აეშენებინათ. ფაქტია, რომ 1895 წლისათვის ხის ტაძარი უკვე არსებობდა. 1906 წელს გამოცემულა საძიებო წიგნი (არ ჩანს რის საძიებო წიგნია), რომელშიც 1915 წლისათვის 103 ფურცელი უკვე შევსებული ყოფილა. ეკლესიას ჰყავდა მნათე, თუმცა ანკეტის მიხედვით, იგი საშტატო განრიგში არაა მოხსენიებული. მნათესთან ინახებოდა საეკლესიო თანხა ბეჭდითა და გასაღებით, ასევე საეკლესიო წრისათვის განკუთვნილი წიგნები 2 ეგზემპლარად. ეკლესიის მნათე იყო ხარლამპი კონსტანტინეს ძე ვინიჩევი, რომელიც თავის მოვალეობას 1912 წლის 2 აპრილიდან ასრულებდა. 1915 წლის მონაცემებით ტაძართან არსებული სკოლა ხაზინიდან 360 მანეთს, ხოლო ეკლესიის შემოსავლებიდან 400 მანეთს ღებულობდა. სკოლაში 123 ვაჟი და 62 გოგონა სწავლობდა.

ახალშენის ფერისცვალების ეკლესიის ანკეტას ხელს აწერს მღვდელი დიმიტრი (გვარი არ იკითხება) და მეფსალმუნე სტიმან ბასტო (საჭიროებს დაზუსტებას).

საარქივო მონაცემები აზუსტებს, ასევე ახალშენში პირველი მღვდლის ვინაობასაც. ახალშენის ეკლესიის 1895 წლის მეტრიკულ წიგნებში, რომლებშიც ასახულია დაბადების, გარდაცვალების და ქორწინების შესახებ ცნობები, არაერთგან აღნიშნულია, რომ 1895

ნლისათვის ახალშენის ეკლესიაში მღვდელი იყო „Харалампій (ზოგან წერია – Хараламбій) Хаджи Горѓиадись синь Узунь Георг оглы“. ყველგან გვხვდება მისი ხელწერაც, რომლითაც იგი წიგნში შეტანილ ინფორმაციას ადასტურებს⁵⁸, რაც შეეხება ხალხში დაცულ ცნობას ეკლესიის პირველ მღვდლად დიმიტრი მაკრიდის აღიარების შესახებ, შესაძლოა ეს იმით იყოს განპირობებული, რომ დიმიტრი მაკრიდის სასაფლაო ეკლესიის ეზოში დღემდეა დაცული.

ახალშენის მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიის 1895 წელი მეტრიკული წიგნების, ანუ დაბადების, ნათლობის, გარდაცვალების და ქორწინების რეგისტრაციის მასალებიდან ჩანს, რომ ახალშენში შემდეგი გვარები ცხოვრობდნენ: Мутась, Челенкь, Янакь, Папахрисостомидись, Куртоглы, Георгиадись, Ксандинь, Мазманидись (ზოგჯერ წერია Мазманиди), Кофіади, Макриди, Антоніади, Ешхань, Василики, Авгопуло, Игнатіади, Котоглы, Константиниди, Чиликь, Хуршут оглы, Пелить оглы (ყარსის მცხოვრები), Капаянидись, Киритоглы, Ксандипи, Букириди, Ксандинь, Антоніади, j(И)анидись, Одонтидись, Ямакь, Какулиди, Симеонидись (ხელწერით ჩანს, რომ იყო Симеонидი), Айвазофь, Ампериди, Панаѓотиди, Панкозь оглы, Ападжиди, Кесоглы, Триатафилиды, Мутась (ზოგჯერ წერია мута), Ксангоиглось, Ситмали, Мавропулось, Щантикидись, Пимениди, Анастасіади, Пиаstopуло⁵⁹.

1937 წლიდან ახალშენის ტაძარი დაიხურა და წლების მანძილზე კოლმეურნეობის საწყობად გამოიყენებოდა. ტაძარში სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მინერალურ სასუქებს ინახავდნენ, რასაც ძველებური მოზაიკური იატაკი დაუზიანებია. უყურადღებობისა და მოუვლელობის შედეგად, დროთა განმავლობაში ეკლესიის გუმბათიც ჩამოქცეულა. დარღვეული გუმბათის ჯვარი ახალშენის სკოლის დირექტორს საკუთარ სახლში გადაუნახავს.

1944 წლის მონაცემებით, საბჭოთა მთავრობის მიერ უმოქმედო საკულტო შენობების აღწერის მასალებში ახალშენის ბერძნუ-

⁵⁸ აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი, ი-80, აღწ.ქ, საქმე 204, გვ.1-17.

⁵⁹ აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 977, აღწ.1, საქმე 2, გვ.12,13. შდრ. აცსა, 2013:61

ლი ტაძარიც მოიხსენიება, კერძოდ აღნიშნულია, რომ „1935-1937 წლებში ეკლესია ხალხის მოთხოვნით დაიხურა“ და გამოყენებული იქნა კოლექტივის სამეურნეო მიზნებისათვის.⁶⁰ ბუნებრივია ეკლესიის დახურვის ამგვარი მიზეზი საბჭოთა სახელმწიფოს მხრიდან მოძებნილი გამამართლებელი არგუმენტი იყო, თუმცა სინამდვილეში დაუჯერებელია ეკლესია ხალხის მოთხოვნით დაეხურათ.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ახალშენელმა ბერძნებმა ტაძრის რესტავრაცია გადანწყვიტეს. ამ მიზნით შეიქმნა „ეკლესიის აღდგენის კომიტეტი“ (ან „ფერისცვალების ეკლესიის მშენებლობის საზოგადოება“⁶¹), რომელსაც პროფესიით ინჟინერი სტილიკო აივაზიდი ჩაუდგა საათავეში. მისი გარდაცვალების შემდგომ ტაძრის აღდგენაში დიდი ღვაწლი ირაკლი ნიკოლოზის ძე მუტასს მიუძღვის, რომელმაც ტაძრის აღდგენის საქმე გააგრძელა.

ტაძრის რესტავრაცია გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო. ამას დამთხვავა ის გარემოება, რომ ამ დროს ბერძნებმა საბერძნეთში მასიური დაბრუნება დაიწყეს. ამან შეუშალა ხელი ტაძრის აღდგენის დასრულებას, თუმცა ამ დროისათვის აღდგენილი იყო სახურავი, ფანჯრები ჩასმული და კარიც შეკეთებული იყო. აღსანიშნავია, რომ გუმბათის აღდგენის შემდგომ ახალშენის სკოლის დირექტორმა შენახული ძველი ჯვარი ეკლესიას დაუბრუნა და ისიც აღუმართავთ.

დაახლოებით 1990-იანი წლებიდან ტაძრის რესტავრაციის საქმე ახალშენელმა ბერძნებმა აქაურ ქართველ მოსახლეობას გადააბარეს, რომლებმაც დაასრულეს ტაძრის ინტერიერისა და ეზოს კეთილმოწყობა. ახალშენელ ქართულ მოსახლეობას დღესაც ახსოვს დიდი სახალხო შეკრება, რომელიც 1994 წელს, დაახლოებით აპრილში შედგა. ამ დროს ერთიანი ძალით მოხერხდა ტაძრის ეზოს და შემოგარენის დასუფთავება და გაწმენდა. განახლებული ტაძარი 1994 წლის 19 აგვისტოს, ფერისცვალება დღეს საზეიმოდ

⁶⁰ იქვე, გვ.12,13. შდრ. აცსა, 2013:61

⁶¹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „2016 წლის 10 მაისის მდგომარეობით რეგისტრირებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ბაზა“-ში ფიქსირებულია „ფერისცვალების ეკლესიის მშენებლობის საზოგადოება“ (ს/კ.202173600), მაგრამ რამდენადაც ახალშენში ბერძნები უკვე აღარ ცხოვრობენ ამ საზოგადოებასთან თუ კომიტეტთან დაკავშირებული საკითხის დაზუსტება ვერ ხერხდება.

ეკურთხა. განახლებული ეკლესიის პირველი მღვდელი იყო მამა მიქაელ მჭედლიშვილი, შემდგომ დეკანოზი ზაქარია ფერაძე. 1997 წლიდან ტაძარში წირვა-ლოცვას აღასრულებდა დეკანოზი ბასილი ბერიძე. მამა ბასილის გადმოცემით ძველი ტაძრიდან შემორჩა სანათლავი ემბაზი. იგი 1915 წლითაა დათარიღებული, ინახებოდა მოსახლეობაში და ეკლესიის განახლების შემდეგ ისევ ეკლესიას დაუბრუნდა (ლეკვეიშვილი, 2001:62). მოსახლეობის მოწვევით 1997 წლის 20 სექტემბერს ახალშენის ფერისცვალების ტაძარს უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე სტუმრობდა.

თანამედროვეობაში ახალშენის ფერისცვალების სახელობის ტაძრი ერთ-ერთი საუკეთესოდ კეთილმოწყობილი ტაძარია, რომელიც უზრალოებითა და სისადავით გამოირჩევა. ეს განსაკუთრებით ეკლესიის ეზოზე ითქმის. აქ საინტერესოაა განთავსებული ბოლო დრომდე მოღწეული სიძველეები - საფლავის ქვები, რომლებიც ეზოს ლანდშაფტის თანამედროვე დიზაინთან ძალზე სასიამოვნო სინთეზს ქმნან.

ახალშენის ტაძარი რიყის ქვითაა ნაშენი, რომელიც იქვე მდინარე ბარცხანის სანაპიროებიდან უნდა იყოს შეგროვებული. კუთხეებისა და სარკმლის ღიობებისათვის კი ნათალი ქვაა გამოყენებული. ტაძრის სიგანე 11 მეტრი, სიგრძე საკურთხეველის ჩათვლით 16 მეტრი, ხოლო სიმაღლე გუმბათის ჩათვლით 21 მეტრია. დაგეგმარებითა და ფორმით ახალშენის ტაძარი სხვა ბერძნული ტაძრების მსგავსია.

ტაძრის ეზოში რამდენიმე ძველი სასაფლაოა, მათ შორისაა დიმიტრი მაკრიდისა და მისი ძმის ძველი და ახალი სასაფლაოები (ტაბ.XI, სურ.013, 014). საფლავის ქვაზე ორენოვანი – ბერძნულ-ქართული ეპიტაფიაა ამოკვეთილი, რომლის ქართული ნაწილი ასე იკითხება „შეინყაღე უფალო სულნი მონათა შენთა, მღვდლის დიმიტრი მაკრიდისა და ძმისა მისისა და მიეც მათ საუკუნი ხსენება. ამინ“. არის კიდევ ერთი ძველი სასაფლაო, რომელსაც სამწუხაროდ რაიმე წარწერა არ აქვს და ვინაობის დადგენა არ ხერხდება.



ტაძრის ეზოში დაცულია ორი ჩუქურთმიანი ქვა, მათგან ერთი, სავარაუდოდ, ძველი ტაძრის ფასადზე, ან შესასვლელის თავზე, ან ფასადის სხვა რომელიმე თვალსაჩინო ადგილზე უნდა ყოფილიყო ჩაშენებული. ვერ გამოვრიცხავთ, რომ ეს ქვაც საფლავის სტელა იყოს. მასზე რელიეფური ჯვარია გამოსახული, რომელიც იქსისეზურად დალაგებული ჯვრებითაა შემკული. ქვა დაზიანებულია, ჩამოტეხილია მარჯვენა ქვედა კუთხე, მაგრამ იგი ისე დგას, რომ მისი ერთიანი კომპოზიციური იერი დარღვეული არაა. მეორე ქვა უფრო მეტი ალბათობით შესაძლოა საფლავისა იყოს. იგი მაღალი და ოთხკუთხა ფორმა მოყვანილობისაა. ოთხივე მხარე ორნამენტირებულია. ერთ მხარეს, რომელსაც სწორი ორიენტაციის მიზნით, პირობითად, ფასადი ვუწოდეთ, ჩანს წარწერაც ჰქონდა, მაგრამ იმდენად დაზიანებულია, რომ რაიმე შინაარსის დაზუსტება ვერ ხერხდება. მარჯვენა და მარცხენა გვერდებზე ერთნაირი ორნამენტი ახასიათებს, რომელთაგან მარჯვენა გვერდითი მხარის ჩუქურთმა უფრო კარგადაა შენახული. ესაა „ქოთანში ჩარგული“, უფრო სწორად, იქედან ამოზრდილი მცენარე – სიცოცხლის ხე,



რომელსაც ორივე მხარეს ორ-ორი შეფოთილი ტოტი აქვს. ქვედა ტოტები უფრო მცირე და ზედა უფრო დიდი ზომისაა. ფოთლები კარგადაა გამოკვეთილი. სამწუხაროდ ქვის დაზიანების გამო არ ჩანს სიცოცხლის ხის ძირითადი ღერძის დასასრული, კერძოდ ზედა ნაწილი რით და როგორ მთავრდება. ქოთნიდან ამომავალი ხის ძირი, ღეროსთან შედარებით მსხვილია. მის ორივე მხარეს ტოტების ქვეშ ორი მრგვალი ყვავილი - ვარდულია გამოკვეთილი. ქვას ზურგის მხარეც ორნამენტირებული აქვს. ესაა მცენარეული იერის სტილიზებული ჯვრის გა-

მოსახულება. ჯვრის მკვლავები, როგორც ბერძნული ეკლესიებისთვისაა დამახასიათებელი, სამფურცლოვანი იერისაა. კარგად ჩანს ჯვრის საყრდენი საფეხურებრივი პოსტამენტი. ამ შემთხვევაშიც

ჯვრის ორივე მხარეს ორი ვარდულია, გამოსახული. ჩუქურთმები რელიეფურია და ჩაჭრა-ამოკვეთის წესითაა შესრულებული.

რამდენადაც აღნიშნული ქვა, მისი თავდაპირველი ადგილიდან გადაადგილებულია და ამ ეტაპზე ტაძრის ეზოს ლანდაფტში ერთგვარი ესთეტიკური როლი ენიჭება, მის შესახებ სხვა რაიმე საკითხის დაზუსტება ვერ ხერხდება და პირობითად მივიჩნევთ, რომ სავარაუდოდ ეს საფლავის ქვა უნდა იყოს.

ამდენად ახალშენის ტაძარი, ხალხში შემონახული ზეპირი ისტორიების ფონზე, ქართულ-ბერძნული ურთიერთობის ცოცხალი მატთანაა, რომელიც ისტორიულად დამახასიათებელი სიტბოთი და უბრალოებით აგრძელებს ფუნქციონირებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **თედორაძე**, 2011 – თედორაძე. დ., ახალშენის ფერისცვალების ეკლესია. – მუზეუმის მაცნე, IV, ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმის ჟურნალი, ბათუმი;
2. **ლეკვეიშვილი**, 2001: – ლეკვეიშვილი ს., მოქმედი მართლმადიდებლური ტაძრები აჭარაში, ბათუმი;
3. **ჩხაიძე**, 2010 – დოკუმენტური ფილმი „ფერისცვალება“, აჭარის ტელევიზია, ბათუმი, ავტორი თ. ჩხაიძე. იხ.: <http://www.myvideo.ge/v/2054597>;
4. **ასს ცსა**, ფ. ი-80, ს.204 – აჭარის ცენტრალური არქივი, ფონდი ი-80, აღწ. 1, საქმე 204;
5. **ასს ცსა**, ფ. ი-57, ს.25 – აჭარის ცენტრალური არქივი, ფონდი ი-57, აღწ. 1, საქმე 25;
6. **ასს ცსა**, 2010 – რელიგიური დანესებულებები აჭარაში (დოკუმენტების კრებული), I, აჭარის საარქივო სამმართველო, ბათუმი. იხ.: <http://www.adjara.gov.ge/uploads/Docs/3d425858837e4906b33b3c755854.pdf>

Nugzar Mgeladze
Temur Tunadze

Akhalsheni Transfiguration Cathedral
Summary

Akhalsheni Transfiguration Cathedral is located in village Akhalsheni, Khelvachauri municipality, on the river Bartskhana 100 meters above sea level. According to folklore the cathedral was constructed by the Greeks from the 80s of the 19th century until the 1912 period. The archive sources, the history of oral history, as well as in the scientific literature are presented in the unified picture of the history of Akhalsheni church.